სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

პაატა ჯავახიშვილი

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლი ქართულ სამართლებრივ პერსპექტივაში

სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტის გამომცემლობა

უაკ(UDC)-347.99(479.22)
ჯ-145

პაატა ჯავახიშვილი

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლი ქართულ სამართლებრივ პერსპექტივაში

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2022

Paata Javakhishvili

Constitutional Review over the Decisions of Ordinary Courts in Georgian Legal Perspective

Sulkhan-Saba Orbeliani University Press, Tbilisi, 2022

© პაატა ჯავახიშვილი, 2022
© სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2022

ISBN 978-9941-8-3928-3

წინათქმა

„საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლი ქართულ სამართლებრივ პერსპექტივაში“ ეფუძნება 2021 წლის დეკემბერში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩემ მიერ დაცულ დისერტაციას. საკვლევი თემის კომპლექსურობა და აქტუალურობა ქართულ სამართლებრივ აზროვნებაში მაფიქრებინებს, რომ ამ მიმართულებით კვლევის მხოლოდ პირველი ეტაპი დასრულდა. იმედი მაქვს, სამომავლოდ, კვლევის ფარგლებში საშუალება მომეცემა უფრო სიღრმისეულად და დეტალურად შევეხო საკონსტიტუციო კონტროლის ქართულ მოდელსა და მისი განვითარების პერსპექტივას.

ნაშრომში განხილული ინსტიტუტის მრავალასპექტიანი და სიღრმისეული შეფასების მიზნით, სამეცნიერო კვლევის განხორციელებისას მაქსიმალურად გამოვიყენე საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სფეროში არსებული ყველა მნიშნელოვანი წყარო, შესრულებული როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაზე, დეტალურად გავამახვილე ყურადღება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკასა და საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციების რეკომენდაციებზე. ვეცადე, ენობრივი თვალსაზრისით ნაშრომი გასაგები და აღქმადი ყოფილიყო არა მხოლოდ ვიწრო პროფესიული წრისთვის, არამედ საკითხით დაინტერესებულ პირთა ფართო წრისათვის. იმედი მაქვს, შედეგობრივი თვალსაზრისით ნაშრომი მკითხველისთვის დააკმაყოფილებს მაღალ აკადემიურ სტანდარტს.

კვლევის პროცესში ფასდაუდებელი ღვაწლისა და დამსახურებისთვის მინდა მადლობა გადავუხადო რამდენიმე ადამიანს, რომელთა მხარდაჭერის გარეშე ვერ მოხდებოდა არა მხოლოდ აღნიშნული კვლევის განხორციელება, არამედ ჩემი პროფესიული ჩამოყალიბებაც. უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ გიორგი კახიანს, რომელმაც ნდობა გამომიცხადა და საშუალება მომცა, მისი ხელმძღვანელობით მემუშავა წინამდებარე თემაზე სადოქტორო პროგრამის ფარგლებში. მისი საქმიანი რჩევები და მხარდაჭერა ძალიან მნიშვნე-

ლოვანი იყო კვლევის შესრულების მთელი პერიოდის განმავლობაში. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო პროფესორებს – გიორგი კვერენჩხილაძესა და დიმიტრი გეგენავას, რომელთა თანადგომას მუდმივად ვგრძნობდი კვლევის განხორციელების პროცესში, განუზომელია მათი ღვაწლი წინამდებარე ნაშრომის შექმნაში. ასევე მადლიერი ვარ ყველა იმ ადამიანისა, რომლებიც მუდმივად გვერდში მედგნენ და მგულშემატკივრობდნენ. მათ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ამ ნაშრომის შექმნა.

მადლობა მინდა გადავუხადო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს, სადაც წინამდებარე კვლევა განხორციელდა და სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტს, რომლის დამსახურებითაც აღნიშნულმა ნაშრომმა დღის სინათლე იხილა. ჩემთვის პატივია, წარმოვადგენდე აღნიშნულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს პროფესიულ საქმიანობაში.

და ბოლოს, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო დედას, შეუფასებელი ამაგისთვის და პატივი მივაგო მამის ნათელ ხსოვნას, მათი პიროვნული ღირსება მუდამ შთამაგონებს ჩემი ცხოვრების გზაზე!

იმედი მაქვს, წინამდებარე ნაშრომი მოკრძალებულ წვლილს შეიტანს საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლისა და კონსტიტუციური კანონიერების განვითარებაში, დაეხმარება ამ საკითხებით დაინტერესებულ ადამიანებს და დააკმაყოფილებს პროფესიული სფეროსა და ფართო საზოგადოების ინტერესს.

პაატა ჯავახიშვილი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტი

თბილისი, 2022 წლის ივნისი

შემოკლებანი

იხ. – იხილეთ

ა.შ. – ასე შემდეგ

მსგ. – მსგავსი

შეად. – შეადარეთ

დაწვრ. – დაწვრილებით

ჟურნ. – ჟურნალი

ევროსასამართლო, ევროპული სასამართლო – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ევროკონვენცია, ევროპული კონვენცია – ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო

ალბანეთი – ალბანეთის რესპუბლიკა

აზერბაიჯანი – აზერბაიჯანის რესპუბლიკა

აშშ – ამერიკის შეერთებული შტატები

ბელგია – ბელგიის სამეფო

ბულგარეთი – ბულგარეთის რესპუბლიკა

გაერთიანებული სამეფო – დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო

გერმანია – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

ევროკავშირი – ევროპის კავშირი

ევროსაბჭო – ევროპის საბჭო

ესპანეთი – ესპანეთის სამეფო

ესტონეთი – ესტონეთის რესპუბლიკა

ეუთო – ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია

ვენესუელა – ვენესუელის ბოლივარული რესპუბლიკა

ვენეციის კომისია – ევროპული კომისია დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით

თურქეთი – თურქეთის რესპუბლიკა

ინდონეზია – ინდონეზიის რესპუბლიკა

იტალია – იტალიის რესპუბლიკა

კოლუმბია – კოლუმბიის რესპუბლიკა

კოსტა რიკა – კოსტა რიკის რესპუბლიკა

ლატვია – ლატვიის რესპუბლიკა

მექსიკა – მექსიკის შეერთებული შტატები

პოლონეთი – პოლონეთის რესპუბლიკა

პორტუგალია – პორტუგალიის რესპუბლიკა

რუსეთი – რუსეთის ფედერაცია

საბჭოთა კავშირი – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი

საფრანგეთი – საფრანგეთის რესპუბლიკა

სერბეთი – სერბეთის რესპუბლიკა

სლოვაკეთი – სლოვაკეთის რესპუბლიკა

სლოვენია – სლოვენიის რესპუბლიკა

სომხეთი – სომხეთის რესპუბლიკა

ფილიპინები – ფილიპინების რესპუბლიკა

ჩეხეთი – ჩეხეთის რესპუბლიკა

ჩილე – ჩილეს რესპუბლიკა

ხორვატია – ხორვატიის რესპუბლიკა

App. – Application

Art. – Article

ECHR – European Commission of Human Rights

ECtHR – European Court of Human Rights

ed. – edition

etc. – et cetera

N – Number

sub. – Subsection

v. – versus

Venice Commission – European Commission for Democracy Through Law

Vol. – Volume

Para. – Paragraph

Iss. – Issue

შინაარსი

I. შესავალი 1

II. საკონსტიტუციო კონტროლი საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე 11

1. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის სამართლებრივი ბუნება 11

1.1. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის მახასიათებლები 11

1.1.1. სრული კონსტიტუციური სარჩელი საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუციურ სისტემაში 11

1.1.2. სრული კონსტიტუციური სარჩელის მიზნები და ფუნქციები 15

1.1.3. სრული კონსტიტუციური სარჩელი ძალაუფლების გამიჯვნის სისტემაში 18

1.1.3.1. საკონსტიტუციო სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლება ... 19

1.1.3.2. საკონსტიტუციო სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლება .. 22

1.1.3.3. საკონსტიტუციო სასამართლო და სასამართლო ხელისუფლება 24

1.2. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის ქმედითობა და ეფექტი 28

1.2.1. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის ეფექტიანობა დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის დაცვაში 28

1.2.2. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის როლი ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვასა და უზენაესობაში 30

1.2.2.1. სრული კონსტიტუციური სარჩელი, როგორც ძირითადი უფლებების დაცვის შიდაეროვნული მექანიზმი 30

1.2.2.2. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს ურთიერთმიმართება 32

1.3. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის დადებითი და უარყოფითი მხარეები 36

1.3.1. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის დადებითი მხარეები 36

1.3.2. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის უარყოფითი მხარეები 39

2. საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების კომპეტენციური ურთიერთმიმართება 43

2.1. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების მბოჭავი ძალა საერთო სასამართლოების მიმართ 43

2.1.1. განმარტებითი გადაწყვეტილებები 43
2.1.2. აბსტრაქტული ნორმათკონტროლი 47
2.1.3. სასამართლო პრაქტიკის კონტროლი 49

2.2. საკონსტიტუციო სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს ურთიერთმიმართება 52

3. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის მოდელები და სამართლებრივი გეოგრაფია 55

3.1. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის კლასიკური მოდელები 55
3.1.1. გერმანული მოდელი 55
3.1.2. ესპანური მოდელი 59

3.2. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლი აღმოსავლეთ ევროპაში 63
3.2.1. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში 63
3.2.2. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლი სამხრეთ კავკასიაში 69

III. საკონსტიტუციო კონტროლის ქართული მოდელი და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა 73

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციური სტატუსი 73

1.1. საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც საკონსტიტუციო ორგანო 73

1.2. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის დანერგვის მცდელობა ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში 76

1.3. საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართება საერთო სასამართლოებთან 80
1.3.1. გადაწყვეტილების სავალდებულობა და მბოჭავი ძალა 80
1.3.2. კონსტიტუციური წარდგინება 84

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლი 87

2.1. ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლის არსი 87

2.2. საკანონმდებლო საფუძვლები 89

2.3. საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცდილება და პრაქტიკის ანალიზი 91

2.3.1. ნორმისა და მისი ნორმატიული შინაარსის გამიჯვნის საჭიროება.....91
2.3.2. ნორმისა და მისი ნორმატიული შინაარსის გამიჯვნის სტანდარტი ... 94
2.3.3. საფრთხეები და გამოწვევები 102

3. საკონსტიტუციო კონტროლის არსებული მოდელის ეფექტიანობა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა..... 106

3.1. ძირითადი უფლებების დაცვა მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის არარსებობის პირობებში 106

3.2. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის ეფექტიანობა ევროსასამართლოსადმი მიმართვიანობის კონტექსტში 109

IV. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრების პერსპექტივა ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში 113

1. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრების მიზანშეწონილობა 113

2. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის მიზანშეწონილი მოდელი საქართველოსთვის 116

2.1. საკონსტიტუციო სამართალწარმოება საქართველოში მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის არსებობის პირობებში .. 116
2.1.1. საკონსტიტუციო სამართალწარმოების დაწყება 116
2.1.1.1. საკონსტიტუციო სამართალწარმოების დაწყების წინაპირობები 116
2.1.1.1.1. საკონსტიტუციო სამართალწარმოების დაწყების ფორმალური წინაპირობები 116
2.1.1.1.1.1. სარჩელის ფორმა 116
2.1.1.1.1.2. უფლებამოსილი მოსარჩელე 119
2.1.1.1.1.3. კანონიერი ინტერესების დამცველი 121
2.1.1.1.1.4. სამართალწარმოების საფასური 124
2.1.1.1.2. საკონსტიტუციო სამართალწარმოების დაწყების მატერიალური წინაპირობები 127
2.1.1.1.2.1. სასარჩელო მოთხოვნის ფარგლები 127
2.1.1.1.2.2. პირდაპირი და მყისიერი ზიანი 131
2.1.1.1.2.3. სამართლებრივი საშუალებების ამოწურვა 133
2.1.1.1.2.4. სარჩელის წარმოებაში მიღების საგამონაკლისო შემთხვევები 138
2.1.1.1.3. სამართალწარმოების ვადა 140
2.1.1.1.3.1. საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ვადა.... 140

2.1.1.1.3.2. საქმის არსებითად განსახილველად მიღების ვადა.....146
2.1.1.1.3.3. გადაწყვეტილების მიღების ვადა.....151
2.1.1.1.4. უფლების ბოროტად გამოყენება.....157
2.1.1.2. სარჩელის წარმოებაში მიმღები სტრუქტურული ერთეული.....161
2.1.2. ძირითადი უფლების დაცვის დროებითი ღონისძიებები.....166
2.1.3. სარჩელის განხილვა და მტკიცების ტვირთი.....169
2.1.4. სარჩელის განხილვის შეწყვეტა.....170
2.1.4.1. სარჩელის განხილვის შეწყვეტის საფუძვლები.....170
2.1.4.2. სარჩელის განხილვის შეწყვეტის შედეგები.....175
2.1.5. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება.....176
2.1.5.1. გადაწყვეტილების სამართლებრივი ბუნება.....176
2.1.5.2. გადაწყვეტილების ფორმა და შინაარსი.....179
2.1.5.3. გადაწყვეტილების ძალაში შესვლა.....182
2.1.5.3.1. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი.....182
2.1.5.3.2. გადაწყვეტილების უკუძალა.....184
2.1.5.4. გადაწყვეტილების აღსრულება და ეფექტი.....188

2.2. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოს კანონმდებლობაში.....193

2.3. ინსტიტუციური ცვლილებები საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრებისათვის.....196

V. დასკვნა.....200

დანართი 1.....210
დანართი 2.....211
დანართი 3.....213
ბიბლიოგრაფია.....215
სამეცნიერო ლიტერატურა.....215
სამართლებრივი აქტები.....225
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები.....227
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელები.....231
უმაღლესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებები.....231
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.....231
ევროკავშირის კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია).....232
ელექტრონული რესურსები.....233

„საზოგადოებას, რომელშიც არ არის უზრუნველყოფილი უფლებათა დაცვის გარანტია და ძალაუფლების გამიჯვნა, არ გააჩნია კონსტიტუცია.“

საფრანგეთის 1789 წლის ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია

I. შესავალი

თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში კონსტიტუცია არის ღირებულება, რომელიც „ერის ფუნდამენტური და უზენაესი სამართლის სათავედ მიიჩნევა.“[1] კონსტიტუციის, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი დოკუმენტის ხელშეუხებლობა, მასში გადმოცემული ღირებულებების დაცვის ეფექტიანი მექანიზმის აუცილებლობას განაპირობებს. კონსტიტუციის დაცვის უმთავრესი გარანტია კი საკონსტიტუციო კონტროლია, რომლის შესახებაც სამართლის თეორეტიკოსებს შორის პირველად, საკუთარ შრომებში აბატი სიესი აღნიშნავდა.[2] კელზენისაგან განსხვავებით, სიესის მიერ წარმოდგენილი, ამ ფუნქციის განმახორციელებელი ინსტიტუტი ჰიბრიდული ბუნებით ხასიათდებოდა: იგი არც ინსტიტუციურად დამოუკიდებელი საკონსტიტუციო სასამართლო იყო და არც უმაღლეს სასამართლოში არსებული სრულყოფილი პალატა.[3] თუმცა უმთავრესი იდეა, რომელიც კონსტიტუციის დაცვის პირობა უნდა გამხდარიყო, გულისხმობდა კონსტიტუციასთან შეუსაბამო აქტების გაუქმებას.

თანამედროვე პირობებში, საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციით აღჭურვილი სასამართლოები, იქნება ეს საკონსტიტუციო სასამართლო თუ საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი დეცენტრალიზებული სისტემა, ცენტრალური ინსტიტუტები არიან დასავლური ტიპის დემოკრატიულ რეჟიმებში.[4] თუმცა დღესდღეობით აღარავინ უარყოფს, რომ კანონმდებლობაზე ნორ-

---

1 Marbury v. Madison - 5 U.S. 137 (1803).

2 Goldoni M., At the Origins of Constitutional Review: Sieyès' Constitutional Jury and the Taming of Constituent Power, Oxford Journal of Legal Studies, Vol. 32, N2, 2012, 211.

3 იხ., იქვე.

4 Vanberg G., Legislative-Judicial Relations: A Game-Theoretic Approach to Constitutional Review, Florida State University, American Journal of Political Science, Vol. 45, N2, 2001, 346.

მატიული საკონსტიტუციო კონტროლი აღარ მიეკუთვნება საკონსტიტუციო სასამართლოს უმთავრეს ფუნქციას და „ნორმატიული კონსტიტუციური სარჩელების რიცხვი ბევრად ნაკლებია ინდივიდუალურ სარჩელებთან შედარებით", რომელთა განხილვაც ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოებს უწევთ.[5]

საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში კონსტიტუციის დაცვის იდეის ცენტრალური ადგილის მიუხედავად, თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის განმსაზღვრელი თვისება სულ უფრო მეტად ხდება ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა, რაც სხვადასხვა ქვეყანაში წარმოშობს საკითხს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფის მიზნით, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი პირდაპირი მიმართვის უფლების არეალის გაფართოების შესახებ.[6] საკონსტიტუციო სასამართლოს ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებამოსილება ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვაა,[7] ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების თვალსაზრისით, კი საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში დამკვიდრებული ყველაზე ეფექტიანი პროცესუალური საშუალება, კონსტიტუციური სარჩელის მექანიზმია.

კონსტიტუციურ სარჩელს, როგორც ძირითადი უფლებების დაცვის პროცესუალურ ინსტრუმენტს, განსაკუთრებული ადგილი უკავია საკონსტიტუციო კონტროლის სისტემაში. ამ მექანიზმის მიზანი კონსტიტუციური უფლებების დაცვისათვის შესაბამისი სამართლებრივი გარანტიების შექმნაა იმ პირთათვის, რომლებიც მიიჩნევენ, რომ დაირღვა მათი ფუნდამენტური უფლება. კონსტიტუციური სარჩელის საშუალებით ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ მათი კონსტიტუციური უფლება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოცემული აქტის ან განხორციელებული ქმედების საფუძველზე შეილახა, შეუძლიათ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვონ დარღვეული უფლებრივი მდგომარეობის აღდგენა და შესაბამისი კომპენსაცია.[8] სწორედ კონსტიტუციური სარჩელი ქმნის კონ-

---

[5] The Limits of Constitutional Review of The Ordinary Court's Decisions in Constitutional Complaint Proceedings, Report Limits of Fact, Law and Remedies: Myths and Realities of Constitutional Court of Spain Experience, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission in Co-operation With The Constitutional Court of the Czech Republic, CDL-JU(2005)068, CCS 2005/11, Strasbourg, 20 December, 2005, 4.

[6] Gentili G., A Comparison of European Systems of Direct Access to Constitutional Judges: Exploring Advantages for The Italian Constitutional Court, Italian Journal of Public Law, Vol. 4, 2012, 159.

[7] Stone Sweet A., Constitutional Courts, Yale Law School Legal Scholarship Repository, 2012, 823.

[8] Palguna G. D., Constitutional Complaint and The Protection of Citizens Constitutional Rights, Constitutional Review, 2017, 2.

სტიტუციის უზენაესობისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის პროცესუალურ შესაძლებლობას.

საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო სისტემაში კონსტიტუციური სარჩელის სხვადასხვა ფორმაა დანერგილი. კონსტიტუციური სარჩელის, როგორც უფლების დაცვის საშუალების ჩამოყალიბება ავსტრიას უკავშირდება, სადაც კელზენის იდეებზე დაყრდნობით, ევროპის მასშტაბით. პირველად ჩამოყალიბდა საკონსტიტუციო სასამართლო და შესაბამისად, დაინერგა კონსტიტუციური სარჩელის მექანიზმი. საკონსტიტუციო კონტროლის ავსტრიულ მოდელში საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განახორციელოს საკონსტიტუციო კონტროლი კანონებზე, ადმინისტრაციულ აქტებზე, საერთაშორისო ხელშეკრულებებზე, თუმცა არა სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.[9] გერმანიასა და ესპანეთში კი საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი შესაძლებელია საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიც გახდეს. მაგალითად, ესპანეთის საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში დამკვიდრებულია კონსტიტუციური სარჩელის ფორმა - „recurso de amparo“, რომელიც საშუალებას იძლევა, დაინტერესებული პირის მიერ გასაჩივრდეს პარლამენტის გადაწყვეტილებები, სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტები და სასამართლოს გადაწყვეტილებები კონსტიტუციით განსაზღვრულ ძირითად უფლებებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.[10] თუმცა საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლები არსებითად მნიშვნელოვანია კონსტიტუციის უზენაესობისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის თვალსაზრისით. კონსტიტუციური სარჩელი, როგორც მექანიზმი, შემოწმდეს მხოლოდ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების აქტები, ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და ზოგადად, კონსტიტუციის უზენაესობის დაცვის არასაკმარისი, არასრულყოფილი საშუალებაა, ვინაიდან კონსტიტუცია შესაძლოა დაირღვეს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებითაც, რომელთა კონსტიტუციურობის დადგენა ასევე აუცილებელია კონსტიტუციური მართლწესრიგის უზრუნველყოფისათვის.

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის სამართლებრივი გეოგრაფია ფარავს არამხოლოდ დასავლეთ და ცენტრალურ ევროპას, არამედ გამოიყენება აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებშიც. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა,

---

[9] Constitution of Austria, 1920, Art. 139, 140, 144.

[10] Organic Law on The Constitutional Court of Spain, No.2/1979, Art. 41-44.

კომუნისტური მმართველობის დასრულების შემდეგ მიიღეს ან გადასინჯეს მათი ძირითადი კანონები, საკონსტიტუციო ან უმაღლესი სასამართლოების მიმართ, პირდაპირი მიმართვის ფორმის ინტეგრაციის მიზნით.[11] საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან კი საკონსტიტუციო კონტროლის აღნიშნული ფორმა აზერბაიჯანისა და თურქეთის კანონმდებლობითაა განსაზღვრული და ეს უკანასკნელი, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სტანდარტის ამაღლებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი ინდივიდთა მიმართვიანობის კლების გამო, წარმატებულ მაგალითად მიიჩნევა.[12]

1999 წლის 20 მაისს საქართველომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიკაცია მოახდინა, რითაც საქართველოს დაეკისრა რეფორმების განხორციელების ვალდებულება ევროპის საბჭოს პრინციპებთან და სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის მიმართულებით.[13] ევროპულ სამართალთან ინტეგრაციისა და საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების დანერგვაა. ადამიანის ძირითადი უფლების დაცვის ყველაზე ეფექტიანი საშუალება კი საკონსტიტუციო კონტროლია, რის გამოც, ამ უკანასკნელს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა.

საკონსტიტუციო კონტროლის ჩამოყალიბება და განვითარება დაკავშირებულია განსაკუთრებულ ისტორიულ, სამართლებრივ და პოლიტიკურ პირობასთან, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებული თავისებურებით ხასიათდება.[14] საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის ჩამოყალიბება თანამედროვე ქართული სახელმწიფოს გარიჟრაჟზე მოხდა და დღეს საქართველოში დამკვიდრებული საკონსტიტუციო კონტროლი კონსტიტუციისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა. თუმცა საკონსტიტუციო კონტროლის ევროპულ გამოცდილებაზე მსჯელობისას წარმოიშობა მნიშვნელოვანი საკითხები: რამდენად უზრუნველყოფს საქართველოში დამკვიდრებული საკონსტიტუციო კონტროლის მოდელი ადამიანის ძირითადი უფლებების ევროპული სტანდარტით დაცვის შესაძლებლო-

---

[11] Gentili G., A Comparison of European Systems of Direct Access to Constitutional Judges: Exploring Advantages for The Italian Constitutional Court, Italian Journal of Public Law, Vol. 4, 2012, 161.

[12] Speech of Mr. Haşim KILIÇ, President of the Turkish Constitutional Court, Conference - The Best Practices of Individual Complaint to the Constitutional Courts in Europe, Paris, Strasbourg, 2014, 2.

[13] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 1950.

[14] Hausmaninger H., Juditial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany and Russia, Tulane European and Civil Law Forum, 1997, 25.

ბას? არსებობს თუ არა კონსტიტუციური უფლებების უფრო მაღალი სტანდარტით დაცვის საშუალება? რა ღონისძიებების გამოყენებით შეიძლება მოხდეს აღნიშნული მიზნის მიღწევა?

წინამდებარე კვლევის ობიექტი საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა იმ უფლებამოსილებას უკავშირდება, რომელსაც იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად საკონსტიტუციო კონტროლის სრულყოფილ და უნივერსალურ ფორმად განიხილავენ.[15] ამ ინსტიტუტის ფუნქციონირება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა გარანტირებისა და უზრუნველყოფის მიზანს ემსახურება, რაც განსაზღვრავს კიდეც საკვლევი თემის განსაკუთრებულ აქტუალურობას. საკონსტიტუციო სასამართლოსათვის საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების საკონსტიტუციო კონტროლის უფლების მინიჭების საკითხი საქართველოში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმების ფარგლებში არაერთხელ განიხილებოდა, თუმცა ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მიუხედავად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ამ უფლებამოსილების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება დღემდე არ მიღებულა.[16] აღნიშნულის მიზეზად საკითხის გარშემო ერთიანი ხედვის არარსებობა, მისი შეუსწავლელობა, კანონმდებლისა და სამეცნიერო წრეების ფრთხილი დამოკიდებულება და პოლიტიკური ნების არარსებობა უნდა დასახელდეს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის შესაბამისად, პირს უფლება აქვს კონსტიტუციური სარჩელით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვოს ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის გაუქმება, რომელიც ლახავს კონსტიტუციით აღიარებულ მის ძირითად უფლებას.[17] თუმცა იგი მოკლებულია შესაძლებლობას გაასაჩივროს უმაღლესი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები, რომელთაც შესაძლოა პირდაპირი გავლენა მოახდინონ სახელმწიფოში მის უფლებრივ მდგომარეობაზე. აღნიშნულის გამო, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ფაქტობრივად ვერ აკონტროლებს კონსტიტუციის მეორე თავით განსაზღვრული ძირითადი უფლებების განმარტებასა და გამოყენებას საერთო სასამართლოების მიერ[18]

---

[15] იხ., Prakke C.L., Constitutional Law of 15 EU Member States, Edited by Prakke L., Kortmann C., Brandhof H., Burkens M., Calogeropoulos A., Craenen G., Frieden L., Gilhuis P., Ballin E., Koekkoek A., Kraan K., lunShof H., Meij J., Schagen J., Steenbeek J., Thill J., Deventer, 2004, 356.

[16] იხ., ბაბეკი ვ., კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში, თბილისი, 2002, 262-266.

[17] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, 1995.

[18] ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 63.

- საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია გააუქმოს არაკონსტიტუციური კანონი, მაგრამ არ არსებობს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა გადახედვის სამართლებრივი საშუალება, როცა ისინი უშუალოდ არღვევენ ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

ეს გარემოება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყურადღების ქვეშ მოექცა, რომელიც მტკიცედ უჭერს მხარს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის დანერგვას ეროვნული მართლმსაჯულების სისტემაში. 2006 წელს საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ", ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პარალელი გაავლო უნგრეთის საკონსტიტუციო კონტროლის მოდელთან, რომელიც შემოიფარგლებოდა მხოლოდ კანონის კონსტიტუციურობის აბსტრაქტული შემოწმებით და საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლი (დღევანდელი რედაქციით მე-60 მუხლი) კონვენციის 35-ე მუხლის მიზნებისთვის, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის შიდაეროვნულ არაეფექტიან საშუალებად მიიჩნია.[19] ამ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოში ამჟამად მოქმედ ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის სისტემას „აკლია ეფექტიანი მექანიზმი, მომჩივანს შესთავაზოს პირდაპირი და კონკრეტული საშუალებები ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევათა შემთხვევების გამოსწორებისათვის, რის გამოც, არსებული საკანონმდებლო შესაძლებლობა ვერ იქნება განხილული ძირითად უფლებათა დაცვის სათანადო საშუალებად."[20] ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულმა საქმემ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ძირითადი უფლებების დაცვის ეფექტიანი მექანიზმის კრიტიკას დაუდო სათავე.[21]

ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელი, როგორც საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის სამართლებრივი წინაპირობა, ევროპის სახელმწიფოებში არსებითი სამართლებრივი ინსტრუმენტია ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად და

---

[19] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ", საჩივრის N40765/02, პ. 42.

[20] შარაშიძე მ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის „რეალური" კონსტიტუციური სარჩელების უფლებამოსილების მინიჭების პერსპექტივები, წიგნში: ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2010, 203-204.

[21] მენაბდე ვ., კონკრეტული კონტროლის პარადიგმა კონსტიტუციონალიზმში, კრებულში: „ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები", კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2010, 126.

ქმნის თავისებურ, დამატებით რგოლს ეროვნული სასამართლო ხელისუფლების სისტემაში საერთო სასამართლოებთან მიმართებით. ამასთან, განაცხადთა რაოდენობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში იმ სახელმწიფოების მიმართ, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოები ფლობენ ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ფუნქციას, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, გაცილებით დაბალია, ვიდრე სახელმწიფოებში, სადაც არ არსებობს მსგავსი სასარჩელო მექანიზმი.[22] ეს ინსტიტუტი უზრუნველყოფს უფლების დაცვის ეფექტიანი საშუალების ჩამოყალიბებას შიდაეროვნული მასშტაბით და სახელმწიფოს როლის ზრდას საერთაშორისო ურთიერთობებში. სწორედ ამ მიზეზთა გამო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მხარს უჭერს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილების მინიჭების ინიციატივას.[23]

კონსტიტუციური სარჩელის აღნიშნული ფორმის შემოღება გარკვეულ საფრთხეებსაც შეიცავს, რომელთა შორის აღსანიშნავია საკონსტიტუციო სასამართლოსა და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს შორის წინააღმდეგობრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება,[24] საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის და სარჩელთა სიმრავლის პირობებში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვის საფრთხე. თუმცა ზოგიერთი მოსაზრებით, საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილების გარეშე, ვერასდროს მიაღწევს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უმაღლეს სტანდარტს,[25] იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას, ამ დროს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერება ხდება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წე-

---

[22] იხ., Paczolay P., Report Introdaction to the Report of the Venice Commission on Inividual Access to Constitutional Justice, Conference on Individual Access to Constitutional Justice, Conference on Individual Access to Constitutional Justice, Arequipa, Peru, 30-31 May, 2013, 2.

[23] Ulvan N. C., Constitutional Complaint and Individual Complaint in Turkey, Ankara Bar Review, 2013, 181.

[24] გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012, 25.

[25] Lacchi C., Review by Constitutional Courts of the Obligation of National Courts of Last Instance to Refer a Preliminary Question to the Court of Justice of the EU, Special Issue - Preliminary References to the CJEU Part Five, German Law Journal, Vol. 16, N06, 2015, 1670.

სით.[26] საქართველოს საკონსტიტუციო პრაქტიკაში ამ ინსტიტუტის დამკვიდრების შემთხვევაში, აღნიშნული საფრთხეების სიღრმისეული შეფასებისა და პრევენციისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავებას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა და საკონსტიტუციო კონტროლი აქტუალური თემებია, ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციო კონტროლთან დაკავშირებით მხოლოდ რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი არსებობს, რომელთა ნაწილი უფრო ზოგადი ხასიათისაა და კონკრეტულ ქვეყნებში სისტემის თავისებურებებს ფრაგმენტულად შეეხება. აღნიშნულის მიზეზი ის გამოწვევებია, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებულ საკითხებს ახლავს თან. ნაშრომის მიზანია საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის შესწავლა საზღვარგარეთის ქვეყნებში, მასთან დაკავშირებული თავისებურებების შეფასება, საქართველოს საკონსტიტუციო სინამდვილის განხილვა და საჭიროებისამებრ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციური სრულყოფის მიზნით, შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით კვლევა წარიმართება შედარებითსამართებრივი, ანალიტიკური, ტელეოლოგიური და ისტორიული მეთოდების გამოყენებით, რაც საკვლევი თეზისის სპეციფიკით არის განპირობებული. მეთოდური კვლევის საფუძველზე მოხდება საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის საშუალების თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურის, სამართლებრივი აქტების, სასამართლო გადაწყვეტილებების, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესწავლა და ანალიზი. დამუშავდება ქართული სამართლის წყაროები და უცხოურ ენაზე შესრულებული დოქტრინალური მასალა, რომელიც ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში დღემდე არ განხილულა. აღნიშნული საშუალებას იძლევა სიღრმისეულად იქნეს შესწავლილი საკონსტიტუციო კონტროლის ქართული მოდელი, შეფასდეს მისი ეფექტიანობა ფუნდამენტური უფლებების დაცვის თვალსაზრისით და საჭიროებისამებრ, შემუშავდეს შესაბამისი ხარვეზების აღმოფხვრის ღონისძიებები.

---

[26] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლი, 1996.

წინამდებარე ნაშრომის სტრუქტურა კვლევის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილი იქნება ხუთ ნაწილად, რომელთაგან პირველი და ბოლო ნაწილები დაეთმობა ნაშრომის შესავალსა და დასკვნას. ნაშრომის მეორე ნაწილი შეეხება იმ ქვეყნების საკონსტიტუციო გამოცდილების ანალიზს, სადაც საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება. ამ მიზნით, განხილული იქნება საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის ძირითადი მახასიათებლები, მიზნები და ფუნქციები, მისი ქმედითობა და ეფექტი, მოდელები და სამართლებრივი გეოგრაფია. შეფასდება ინსტიტუტის დადებითი მხარეები და ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში მის დამკვიდრებასთან დაკავშირებული სირთულეები.

მესამე ნაწილში წარმოდგენილი იქნება საქართველოს საკონსტიტუციო სინამდვილის სამართლებრივი ანალიზი. დეტალურად იქნება განხილული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი ძალაუფლების გამიჯვნის[27] ქართულ მოდელში და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან მისი კომპეტენციური მიმართება. ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის თვალსაზრისით შეფასდება საკონსტიტუციო კონტროლის ქართული მოდელის ეფექტიანობა, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის არარსებობის პირობებში. განისაზღვრება საქართველოს საკონსტიტუციო სისტემის ძირითადი თავისებურებანი და საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრების მიზანშეწონილობის საკითხები.

მეოთხე ნაწილში განხილული იქნება საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისა და სამართალწარმოების პროცესუალური ასპექტები. დეტალურად შეფასდება ამ ინსტიტუტის პირობებში, შესაბამისი ქვეყნების საკონსტიტუციო სამართალწარმოების ნორ-

---

[27] საქართველოს კონსტიტუციის მე-4 პუნქტის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით და უდავოა, რომ საკონსტიტუციო სამართალი, როგორც სამართლის ნორმატიული დარგი ადგენს ტერმინს „ხელისუფლების დანაწილება". თუმცა საკონსტიტუციო სამართალში, როგორც სამართლის მეცნიერულ დარგში, აღნიშნული ტერმინის იდენტური მნიშვნელობით ასევე დამკვიდრებულია ტერმინი „ძალაუფლების გამიჯვნა". იმის გათვალისწიებით, რომ წინამდებარე ნაშრომი კვლევის შედეგია, ასევე, ლათინური ტერმინის „Separation of Powers" უფრო ზუსტ ქართულ თარგმანად „ძალაუფლების გამიჯვნა" მიმაჩნია, ნაშრომში სწორედ ეს ტერმინი იქნება გამოყენებული. დამატ., იხ., გეგენავა დ., ზოგიერთი ცნების მართებულობის საკითხისათვის ქართულ საკონსტიტუციო სამართალში, წიგნში: ზურაბ ახვლედიანი 80, ზ. ძლიერიშვილისა და ს. ქავთარაძის რედაქტორობით, თბილისი, 2013, 190-193.

მატიული და დოქტრინალური საკითხები. კერძოდ, ყურადღება გამახვილდება საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის საქართველოში დანერგვის ინსტიტუციურ, საკანონმდებლო და პროცესუალურ თავისებურებებზე და შემუშავდება კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა პრაქტიკულმა იმპლემენტაციამაც უნდა უზრუნველყოს ადამიანის ძირითადი უფლებების მაღალი სტანდარტით დაცვა და საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფა.

II. საკონსტიტუციო კონტროლი საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე

1. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის სამართლებრივი ბუნება

1.1. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის მახასიათებლები

1.1.1. სრული კონსტიტუციური სარჩელი საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუციურ სისტემაში[28]

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი მსოფლიოს ისტორიაში აღინიშნება, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებებისათვის ბრძოლის ეპოქა.[29] ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები, როგორც უზენაესი ღირებულებები და იდეები, რომლებიც ე.წ. „უცვლელ" და „მუდმივ" ხასიათს ატარებენ,[30] დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრესი ნიშანი გახდა, რომელთა დაცვა გარანტირებული უნდა ყოფილიყო სათანადო წესით. ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დაცვის ეფექტიანი საშუალებების ძიების პროცესში, ევროპაში ფეხი მოიკიდა საკონსტიტუციო კონტროლის[31] იდეამ, თუმცა ამერიკული მოდელისგან განსხვავებით,[32] ეს უფლებამოსი-

---

[28] კვლევაში გამოყენებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სადოქტორო პროგრამის ფარგლებში ჩემ მიერ შესრულებული კოლოქვიუმები, რომლებიც გამოქვეყნებულია თსუ იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალში".

[29] Sadurski W., Postcommunist Constitutional Courts in Search of Political Legitimacy, EUI Law, 2001/11, 15.

[30] Gegenava D., Unconstitutional Constitutional amendment: Three Judgments from The Practice of the Constitutional Court of Georgia, South Caucasus Law Journal, N5/2014, 397.

[31] „კონსტიტუციურ კონტროლსა" და „საკონსტიტუციო კონტროლს" შორის განსხვავების შესახებ დაწვრ. იხ., მელქაძე ო., „საკონსტიტუციო კონტროლი" - ტერმინის არსებითი მნიშვნელობის შესახებ, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N1,1998; იხ., კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ზოგიერთი თეორიული ასპექტი, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N4, 2005, 11.

[32] საკონსტიტუციო კონტროლის ამერიკული მოდელი ევროპის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებშია გავრცელებული, კელზენისეული მოდელი კი დასავლეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში გვხვდება, დამატ., იხ., Dürr, S. R., Improving Human Rights Protection on the National and The European Levels - Individual Access to Constitutional Courts, Studii Si Anticole, 2015, 42.

ლება ცენტრალიზებულ საკონსტიტუციო სასამართლოებს მიენიჭათ,[33] რითაც საფუძველი საკონსტიტუციო კონტროლის ევროპულ,[34] იგივე საკონსტიტუციო სასამართლოს ევროპულ მოდელს ჩაეყარა.[35]

საკონსტიტუციო კონტროლის იდეის დამკვიდრების პროცესი, ამერიკული მოდელის მსგავსად, სადაც სასამართლოების მიერ „სახელმწიფო ხელისუფლების კოორდინირებული შტოების კონტროლის იდეა"[36] წინააღმდეგობრივი განხილვების საფუძველზე დამკვიდრდა,[37] ევროპაშიც გამოწვევებით აღსავსე იყო. დემოკრატიის დაბალი ხარისხი, სამოქალაქო საზოგადოების კონსოლიდაციის დეფიციტი, ხელისუფლების ორგანოებს შორის შეკავება-გაწონასწორების პრინციპის განსხვავებული აღქმა და სხვა სოციალურ-პოლიტიკური გარემოებები, ის წინააღმდეგობები აღმოჩნდა, რომელთან გამკლავებაც საკონსტიტუციო სასამართლოებს მოუწიათ ევროპაში. აღნიშნულის გარდა, საკონსტიტუციო ტრიბუნალების პოლიტიზაციის მცდელობა და მათი ჩართვა ხელისუფლების პოლიტიკურ შტოებს შორის დავაში, უმთავრესი პრობლემა იყო, რამაც დაღი დაასვა ზოგიერთი სახელმწიფოს საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას.[38]

საზღვარგარეთის საკონსტიტუციო სინამდვილეში პარლამენტის მიერ მიღებული კანონების საკონსტიტუციო კონტროლი დიდი ხნის განმავლობაში აღიქმებოდა როგორც საჯარო ხელისუფლების ინტერესებისა და კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებების კანონმდებლის ხელყოფისაგან დაცვის უმთავრესი საშუალება.[39] საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში მხოლოდ საკანონმდებლო აქტების მოქცევა ცხადყოფდა, რომ ამ ტიპის კონსტიტუციურობის კონტროლი ადამიანის უფლებების დაცვის არასრულყოფილი ფორმა იყო,[40] რის გამოც, სახელმწიფოებმა საკონსტიტუციო

---

[33] ტერმინების „ცენტრალიზებული" და „დეცენტრალიზებული" შესახებ იხ., Finck D., E., Judicial Review: The United States Supreme Court Versus the German Constitutional Court, Boston College International and Comparative Law Review, 125, 1997; იხ., მელქაძე ო., გონაშვილი ვ., საკონსტიტუციო ზედამხედველობა და კონტროლი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 1999, 108.

[34] Hausmaninger H., Judicial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany and Russia, Tulane European and Civil Law Forum, 1997, 25.

[35] ტერმინი „საკონსტიტუციო სასამართლოს მოდელი" დაწვრ., იხ., Finck D., E., Judicial Review: The United States Supreme Court Versus the German Constitutional Court, Boston College International and Comparative Law Review, 152, 1997.

[36] Bermann G. A., Murbury v. Madison European Union „Constitutional" Review, 2004, 557.

[37] *Marbury v. Madison* - 5 U.S. 137, (1803).

[38] დაწვრ. იხ., შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003,

[39] კვერენჩხილაძე გ., მელქაძე ო., საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, თბილისი, 1997, 135.

[40] Hausmaninger H., Judicial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany and Russia, Tulane European and Civil Law Forum, 1997, 37.

კონტროლის ობიექტის გაფართოებით უფლების დაცვის უკეთესი სტანდარტის ძიება დაიწყეს.

ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლები გააფართოვა და ამ პროცესს დაუქვემდებარა არამხოლოდ კანონები და აღმასრულებელი ხელისუფლების აქტები, არამედ საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული ქმედება, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაა.[41] გერმანიაში, სადაც „ძირითადი კანონის უმთავრეს თემად ადამიანი მიიჩნევა",[42] ჯერ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" აქტის, ხოლო 1969 წლიდან, ძირითადი კანონის საფუძველზე, საკონსტიტუციო კონტროლი გავრცელდა სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზეც.[43] საკონსტიტუციო კონტროლის აღნიშნული ფორმა შთამაგონებელი აღმოჩნდა ესპანეთისა და სხვა რამდენიმე ევროპული ქვეყნისათვის, რომელთაც საკონსტიტუციო სასამართლოებს მიანიჭეს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება. საკონსტიტუციო კონტროლის ამგვარი გაფართოება განაპირობა იდეამ, რომლის შესაბამისადაც „ძირითადი უფლების დარღვევის ფაქტი არ უნდა დარჩეს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის ყურადღების მიღმა."[44]

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე, დაეფუძნა კონკრეტულ პროცესუალურ ინსტრუმენტს - კონსტიტუციურ სარჩელს, რომელიც ნაშრომში მოხსენიებული იქნება ტერმინით - „სრული კონსტიტუციური სარჩელი",[45] ხოლო იმის გამო,

---

[41] ერქვანია თ., კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის ხარვეზები საქართველოში - ე.წ. „რეალური" კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სისტემაში ინტეგრაციის შესახებ, კრებულში „ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში", კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 41.

[42] გეგენავა დ., საკონსტიტუციო იდენტობის გაგებისთვის, კრებულში „სერგო ჯორბენაძე 90", ს. ჯორბენაძის რედაქტორობით, თბილისი, 2019, 333, იხ., ციტირება Reestman J.H., The Franco-German Constitutional Divide, Reflections on National and ConstitutionalIdentity, Eucost, 2009, 384.

[43] The Basic Law of the Federal Republic of Germany, 1949, Art. 93(1); The Act on the Federal Constitutional Court, 1951, Art. 92.

[44] Stone Sweet A., Constitutional Courts, Yale Law School Legal Scholarship Repository, 2012, 824.

[45] ქართულ სამეცნიერო ლიტერატურასა და კანონმდებლობაში სარჩელთან მიმართებით დამკვიდრებულია ტერმინი „კონსტიტუციური". აღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომშიც დაცულია საკანონმდებლო მიდგომა და გამოყენებულია ტერმინი „კონსტიტუციური სარჩელი", თუმცა ვიზიარებ მოსაზრებას, რომ კონტექსტის შესაბამისად, სიტყვა „საკონსტიტუციო", და კონკრეტულად, „საკონსტიტუციო სარჩელი" სწორი გრამატიკული ფორმაა და უკეთ გამოხატავს სარჩელის სამართლებრივ ბუნებას. ტერმინების „კონსტიტუციური" და „საკონსტიტუციო" ურთიერთმიმართების შესახებ იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მეოთხე გამოცემა, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 2.

რომ საკონსტიტუციო კონტროლის ამ ფორმას მართლმსაჯულების განმახორციელებელი საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები ექვემდებარება, სამართლებრივი საშუალების ამოწურვის პირობით, გამოყენებული იქნება ტერმინი - „მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლი“.[46] აღსანიშნავია, რომ ქართულ სამართლებრივ წყაროებში გამოყენებულია ტერმინი „რეალური საკონსტიტუციო კონტროლი“, რომელიც გულისხმობს „სრულყოფილ“ ინდივიდუალურ სასარჩელო წარმოებას“,[47] თუმცა ტერმინი პრობლემურია ეტიმოლოგიური და შინაარსობრივი წინააღმდეგობების გამო.[48] თავის მხრივ, ამ ტიპის კონსტიტუციური სარჩელის აღსანიშნავად არც ტერმინი „სრულყოფილია“ სათანადო და გამოსადეგი, გრამატიკული და კონტექსტუალური თვალსაზრისით,

---

[46] საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის შესაბამისად, საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო საკონსტიტუციო სასამართლოა, ხოლო მართლმსაჯულება ხორციელდება საერთო სასამართლოების მიერ. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, „მართლმსაჯულება“ ექსკლუზიურად მიემართება საერთო სასამართლოების საქმიანობას, ხოლო „საკონსტიტუციო კონტროლი“ - საკონსტიტუციო სასამართლოს. მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების დოქტრინაში ზოგჯერ გამოიყენება ტერმინი „საკონსტიტუციო მართლმსაჯულება“, მას საკონსტიტუციო კონტოლისგან განსხვავებული შინაარსობრივი დატვირთვა აქვს და გამოიყენება საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციური თავისებურების აღსანიშნავად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ამ თვალსაზრისით, საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოდ განიხილება ერთმნიშვნელოვნად. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, განსახილველი ინსტიტუტის ფარგლებში, საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება საერთო სასამართლოების საქმიანობაზე და მაშასადამე, მართლმსაჯულების სისტემაზე, რის გამოც, ტერმინი „მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლი“, გარდა სემანტიკური თვალსაზრისით ტერმინოლოგიური მრავალფეროვნებისა, ზუსტად და ლაკონურად ასახავს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმის სამართლებრივ ბუნებას და უკეთ გადმოსცემს ამ ინსტიტუტის ფარგლებში, საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის ურთიერთობის ანატომიას. ტერმინების „საკონსტიტუციო კონტროლი“ და „საკონსტიტუციო მართლმსაჯულება“ ურთიერთმიმართების შესახებ იხ., გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012, 25;

[47] ერქვანია თ., კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის ხარვეზები საქართველოში - ე.წ. „რეალური“ კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სისტემაში ინტეგრაციის შესახებ, კრებულში „ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში“, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 44.

[48] კონსტიტუციური სარჩელი, რომელიც სუბსიდიურობის პრინციპის დაცვით საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლს ითვალისწინებს, გერმანიაში აღინიშნება ტერმინით „echte Verfassungsbeschwerde“, (სიტყვასიტყვით - „ნამდვილი კონსტიტუციური სარჩელი“). აღნიშნული ტერმინი ინგლისურად ითარგმნა როგორც „სრულყოფილი კონსტიტუციური სარჩელი“ - „full constitutional complaint“, ასევე, როგორც „Real constitutional complaint“, რომლის ქართულენოვანი ვერსიაც „რეალური კონსტიტუციური კონტროლია“. თუმცა გრამატიკული მნიშვნელობით „სრულყოფილი“ რისამე შინაარსობრივ მდგომარეობას მიემართება, ხოლო „სრული“ - ფორმას. ამდენად, მივიჩნევ, რომ აღნიშნული ინსტიტუტის ბუნებას, ქართული ენის თავისებურებების გათვალისწინებით, ყველაზე უკეთ ტერმინი „სრული კონსტიტუციური სარჩელი“ შეესაბამება. დამატ., იხ., ერქვანია თ., კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის ხარვეზები საქართველოში - ე.წ. „რეალური“ კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სისტემაში ინტეგრაციის შესახებ, კრებულში „ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში“, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 44.

ვინაიდან იგი უფრო ცნების (ამ შემთხვევაში კონსტიტუციური სარჩელის) ხარისხს მიემართება, ვიდრე მის ფარგლებს.

1.1.2. სრული კონსტიტუციური სარჩელის მიზნები და ფუნქციები

სრული კონტიტუციური სარჩელის არსის გაგებისა და საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუციურ სისტემაში მისი ადგილის განსაზღვრის მიზნით მნიშვნელოვანია, მოკლედ განვიხილოთ კონსტიტუციური სარჩელის ის ძირითადი ფორმები, რომლებიც დამკვიდრებულია საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში, ევროპისა და მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

საკონსტიტუციო კონტროლის თანამედროვე ევროპული მოდელი კონსტიტუციური სარჩელის რამდენიმე მოდელს იცნობს:

- ნორმატიული კონსტიტუციური სარჩელი (“normative constitutional complaint“) საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებული პროცესუალურ-სამართლებრივი მექანიზმია, რომელიც პირს შესაძლებლობას აძლევს მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს კანონის კონსტიტუციურობის შემოწმების მიზნით.[49] ამ ტიპის სასარჩელო წარმოებისთვის აუცილებელია, რომ გასაჩივრებული აქტი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებდეს მოსარჩელეს, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოებაში არ დაიშვება სარჩელი.[50]
- რევიზიული კონსტიტუციური სარჩელი (“constitutional revision“). ევროპის ქვეყნების ნაწილი ინდივიდებს ანიჭებს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის უფლებას, რომლის მიზანიცაა მხოლოდ ბოლო ინსტანციის (უზენაესი სასამართლოს) სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შემოწმება.[51] რევიზიული კონსტიტუციური სარჩელი, განიხილება როგორც ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის „სუბფორმა“.[52]

---

[49] Dürr, S. R., Improving Human Rights Protection on the National and The European Levels - Individual Access to Constitutional Courts, Studii Si Anticole, 2015, 41.

[50] დოქტრინასა და ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის პროცესუალური ფორმის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინები „სარჩელი“, „საჩივარი“, „მიმართვა“, „განაცხადი“, „განცხადება“, რომლებიც ნაშრომის მიზნებისთვის არსობრივად იდენტური მნიშვნელობის ცნებებია, რის გამოც, ტერმინოლოგიური ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით, ნაშრომში გამოყენებული იქნება ტერმინი „სარჩელი“.

[51] Lacchi C., Reviev by Constitutional Courts of the Obligation of National Courts of Last Instance to Refer a Prelimenary Question to the Court of Justice of the EU, Special Issue - Preliminary References to the CJEU Part Five, German Law Journal, Vol. 16(6), 2015, 1964.

[52] ერქვანია თ., ნორმატიული საკონსტიტუციო სარჩელი, როგორც კონკრეტული საკონსტიტუციო

- სრული კონსტიტუციური სარჩელი, (“full constitutional complaint“), რომლის საფუძველზეც საკონსტიტუციო სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო ხელისუფლების სამივე შტოს მიერ მიღებული აქტები, მათ შორის, ინდივიდუალური აქტები და საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებიც, სუბსიდიურობის პრინციპის დაცვით.[53] სუბსიდიურობის პრინციპის შესაბამისად, მოსარჩელე მხოლოდ ყველა სხვა სამართლებრივი საშუალების ამოწურვის შემთხვევაშია უფლებამოსილი კონსტიტუციური სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვოს მისი კონსტიტუციური უფლებების დაცვა.
- ასევე აღსანიშნავია კონსტიტუციური სარჩელის ფორმა actio popularis,[54] რომელსაც მართალია კელზენი არაკონსტიტუციური ნორმების ეფექტიან მექანიზმად მიიჩნევდა, თუმცა გასაჩივრების გადაჭარბებული შესაძლებლობის გამო, ის იშვიათ შემთხვევებში გვხვდება ევროპულ საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში.[55]

მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლი გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებას დაინტერესებული პირის ინდივიდუალური სარჩელის საფუძველზე განიხილოს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული

სარჩელის არასრულყოფილი ფორმა საქართველოში, 2014, იხ., <https://emc.org.ge/ka/products/normatiuli-sakonstitutsio-sarcheli-rogorts-konkretuli-sakonstitutsio-kontrolis-arasrulqofili-forma-sakartveloshi> [03.06.2022]

[53] სრული კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო ხელისუფლების მიერ გამოცემული ნებისმიერი აქტი, მათ შორის, ინდივიდუალური აქტი და საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება, თუმცა გასაჩივრების სუბსიდიური ბუნებიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოში ძირითადად საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები ხვდება. ამ გარემოების გათვალისწინებით, ასევე კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ტერმინი „სრული კონსტიტუციური სარჩელი“ ნაშრომში განხილული იქნება როგორც საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის პროცესუალური საშუალება, ხოლო ინდივიდუალური აქტები შეიძლება მოაზრებულ იქნენ ზოგად კონტექსტში, სუბსიდიურად. ამასთან, ტერმინები „სრული კონსტიტუციური სარჩელი“ და „მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლი“ ნაშრომში გამოყენებულია კონკრეტული ცნებების აღსანიშნავად და არ აისახება შესაბამის კანონის პროექტში. იხ., Dürr, S. R., Improving Human Rights Protection on the National and The European Levels - Individual Access to Constitutional Courts, Studii Si Anticole, 2015, 41; იხ., Faiz P. M., A Prospect and Challenges for Adopting Constitutional Complaint and Constitutional Question in the Indonesian Constitutional Court, Constitutional Review, Vol. 2, 2016. 107.

[54] “actio popularis“ საფუძვლები ჯერ კიდევ ძველი რომის სამართლიდან იღებს სათავეს. საკონსტიტუციო კონტროლის აღნიშნული მოდელის მრავალი ფორმა დღესაც გავრცელებულია ხორვატიაში, მალტაში, სერბეთში, მონტენეგროში. აღნიშნული ტერმინი ლათინურია და განიმარტება როგორც actio (მოქმედება), popularis (ხალხი).

[55] Opinion on Three Legal Questions Arising in The Process of Drafting the New Constitution of Hungary, Adopted by the Venice Commission at its 86th Plenary Session, 2011, CDL-AD(2011)001, Opinion N614/2011, 11.

გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობა.[56] ეს უფლებამოსილება სუბსიდიური ბუნებისაა და შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, როგორც უფლების დაცვის დამატებითი საშუალება. კონსტიტუციური სარჩელის ამ ფორმის დანერგვას და ეფექტიან ფუნქციონირებას განსაკუთრებული წვლილის შეტანა შეუძლია სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში. ამ მნიშვნელობის გათვალისწინებით საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების შეფასებით, ეს მექანიზმი, როგორც სამართლებრივი დაცვის საშუალება, „ნებისმიერი ინდივიდისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი,"[57] რამდენადაც ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელი ფარავს არამხოლოდ ნეგატიურ-დამცავ, არამედ, ასევე პოზიტიურ-მფარველობით უფლებებსაც,[58] ანუ მოიცავს ძირითადი უფლებების მთელ სპექტრს.

მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას საკონსტიტუციო სასამართლო ზედამხედველობს კანონმდებლობის კონსტიტუციასთან შესაბამისი ინტერპრეტაციის პროცესს. სრული კონსტიტუციური სარჩელის ინსტიტუტი განიხილება, როგორც „კრიტიკულად აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში", რამდენადაც საკონსტიტუციო სასამართლოს, კანონმდებლობის გარდა, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის ზედამხედველობის შესაძლებლობასაც კი ანიჭებს.[59] თუმცა ამგვარი კონტროლის ფარგლები ზღვარდადებულია საკონსტიტუციო საკითხებით. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საქმის წარმოება, ფაქტების დადგენა, კანონის ინტერპრეტაცია და მათი გამოყენება კონკრეტულ საქმეზე, კვლავაც საერთო სასამართლოების მოვალეობაა და მათზე არ ვრცელდება საკონსტიტუციო სასამართლოს ზედამხედველობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა „საქმე შეეხება „სპეციფიკურ საკონსტიტუციო საკითხს", როცა კონკრეტული საქმის განხილვისას წარმოშობილი პრობლემა საკონსტიტუციო მნიშვნელობისაა."[60]

სრული კონსტიტუციური სარჩელის განხილვის უფლებამოსილება საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებულ სტატუსს განაპირობებს, რამდენა-

---

[56] Stone Sweet A., Constitutional Courts and Parliamentary Democracy (Special Issue on Delegation), Yale Law School Legal Scholarship Repository, 2002, 87. იხ., Gentili G., A Comparison of European Systems of Direct Access to Constitutional Judges: Exploring Advantages for The Italian Constitutional Court, Italian Journal of Public Law, Vol. 4, 2012, 161.

[57] Mavcic A., M., Individual Complaint as a Domestic Remedy to be Exhausted or Effective Within the Meaninig of The ECHR, Comparative and Slovenian Aspect, 2011, 6-7.

[58] დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2010, 75.

[59] Gardos-Orosz F., The Hungarian Constitucional Court in Transition – from Actio Popularis to Constitutional Complaint, 2012, 310.

[60] იხ., იქვე.

დაც იგი ხდება საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის შემოწმებაზე კომპეტენტური სახელმწიფო ორგანო. მეორე მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლო იქცევა საკონსტიტუციო ნორმების ინტერპრეტაციის მაკონტროლებლად, რადგან „სასამართლო გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციო კონტროლი სხვა არაფერია, თუ არა ნორმის ახსნა-განმარტებათა კონტროლი."[61] საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას საკონსტიტუციო სასამართლო ახდენს საერთო სასამართლოების საქმიანობის კონსტიტუციასთან შესაბამისობის მონიტორინგს. ამ ფუნქციის განხორციელება კი მას სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის დამაბალანსებელ უმაღლეს ორგანოდ აქცევს.

1.1.3. სრული კონსტიტუციური სარჩელი ძალაუფლების გამიჯვნის სისტემაში

მე-20 საუკუნის ევროპულ კონსტიტუციონალიზმში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია საკონსტიტუციო კონტროლის იდეა. ზოგიერთი მეცნიერისთვის, ეს გარემოება ერთგვარი პარადოქსია, რადგან საუკუნეების განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ სასამართლო, ბუნებით სუსტი ინსტიტუტია, ვინაიდან მისი გადაწყვეტილებების აღსრულება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ხელისუფლების სხვა, და ზოგიერთ შემთხვევაში, მასთან დაპირისპირებაში მყოფი უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებებზე.[62] საკონსტიტუციო სასამართლო კი, როგორც სასამართლო ხელისუფლების ორგანო, რომლის გადაწყვეტილებებსაც საერთო სასამართლოებისგან განსხვავებით უფრო ფართო გავლენა აქვს და erga omnes მოქმედებს, ყველაზე მეტად ხდება ხელისუფლების ორგანოებისგან ამგვარი ზეგავლენის ობიექტი. აღნიშნულის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლოები მაინც ახერხებენ ინსტიტუციური სტაბილურობისა და ავტორიტეტის დაცვას, რასაც დოქტრინაში აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოთა ხელმძღვანელების ამ ინსტიტუტისადმი პატივისცემითა და იმ „საფასურის გადახდის შიშით" ხსნიან, რისი გაღებაც მათ მოუწევთ, საკონსტიტუციო სასამართლოზე „შეტევის" შემთხვევაში.[63]

ძალაუფლების გამიჯვნის თანამედროვე სისტემაში საკონსტიტუციო სასამართლოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის ძალაუფლების

---

[61] ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 63-64.

[62] ფედერალისტის წერილები, N78, 1788, იხ., <http://federalistpapers.ge/federalistebi7.php> [03.06.2022]

[63] Vanberg G., Constitutional Courts in Comparative Perspective: A Theoretical Assessment, Annual Review Political Scienses, 2015, 168.

დამაბალანსებელი, გამაწონასწორებელი ფუნქცია აქვს მინიჭებული. მისი საქმიანობა უპირატესად მიმართულია „პოლიტიკური პრობლემების წმინდა სამართლებრივი გზებით გადაწყვეტაზე.“[64] გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ საკონსტიტუციო სასამართლო სახელმწიფოში პოლიტიკურ სტაბილურობას უწყობს ხელს, მათ შორის, „ხელისუფლების უზურპაციის მცდელობისას შეურიგებელი სამართლებრივი ბრძოლით.“[65]

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას საკონსტიტუციო სასამართლოს დამოკიდებულება ხელისუფლების სხვა შტოებთან მიმართებით კიდევ უფრო აქტუალური ხდება. საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციური მანდატი იმთავითვე განაპირობებს მის განსაკუთრებულ როლს ძალაუფლების გამიჯვნის სისტემაში, ქმნის რა წინააღმდეგობრივი ურთიერთობის პერსპექტივას ხელისუფლების შტოებთან მიმართებით.[66] სწორედ აღნიშნულის გამო განიხილებიან ზოგადად, საკონსტიტუციო სასამართლოები ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის „ცოცხალ გულად“ და „პრაქტიკულ ინტერპრეტატორებად.“[67] აღნიშნული საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით მიზანშეწონილია დეტალურად იქნეს განხილული მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას საკონსტიტუციო სასამართლოსა და ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები.

1.1.3.1. საკონსტიტუციო სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლება

საკონსტიტუციო კონტროლის გარიჟრაჟზე, როცა ჯერ კიდევ პოპულარული იყო კლასიკური პარლამენტარიზმის იდეა, ძველი კონსტიტუციები პარლამენტის უზენაესობას ისეთ ელემენტებს უკავშირებდნენ, როგორიცაა კანონმდებლობაზე საკონსტიტუციო კონტროლის აკრძალვა და სასამართლოს დაქვემდებარება საკანონმდებლო ხელისუფლებისადმი.[68] კელზენისეული სა-

---

[64] გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012, 26.

[65] შეად., რამიშვილი ნ., სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საკითხები კონსტიტუციონალიზმში, თბილისი, 2005, 28.

[66] Lach K., Sadurski W., Constitutional Courts of Central and Eastern Europe: Between Adolescence and Maturity, Journal of Comparative Law, Vol. 3, N2, 2008, 227.

[67] Buquicchio G., Dürr S. R., Constitutional Courts - The living Heart of the Separation of Powers, The role of the Venice Commission in promoting Constitutional Justice, in Raimondi, Guido et al. eds. Essays in honour of Judge Luis Lopez Guerra, 2018.

[68] Stone Sweet A., Constitutional Courts and Parliamentary Democracy (Special Issue on Delegation), Yale Law School Legal Scholarship Repository, 2002, 78.

კონსტიტუციო სასამართლოს გამოჩენის შემდეგ კი მკაფიოდ გაესვა ხაზი საპარლამენტო ხელისუფლებასთან სასამართლოს შეუთავსებლობის საკითხს.[69] დემოკრატიზაციის წარმატებული ტალღების საუკუნეში, ახალმა კონსტიტუციებმა ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მიზნით, ჩამოაყალიბეს კონსტიტუციის უზენაესობის დაცვის მექანიზმი საკონსტიტუციო სასამართლოს სახით.[70] დღეს უკვე საერთაშორისო სამართლებრივი საზოგადოება შეთანხმებულია, რომ მიმდინარე კანონმდებლობა თანხვედრაში უნდა იყოს კონსტიტუციის შინაარსთან,[71] რისი მთავარი გარანტიც საკონსტიტუციო სასამართლოა.[72]

მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის პირობებში კიდევ უფრო აქტუალური ხდება საკონსტიტუციო სასამართლოსა და საკანონმდებლო ორგანოებს შორის ურთიერთობის საკითხი. „ხელისუფლების არჩევითი ორგანოები სასამართლოს აკავშირებენ დემოკრატიასთან, ხოლო სასამართლოები არჩევით ხელისუფლებას - კონსტიტუციასთან."[73] აღნიშნული ურთიერთკავშირი აყალიბებს ბუნებრივ ინსტიტუციურ წინააღმდეგობას: საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპს უზრუნველყოფს, „ერთგვარი ჯებირის ფუნქციას ასრულებს, რომელიც იცავს ეროვნულ წარმომადგენლობით ორგანოს სახელმწიფოსათვის ზიანის მომტანი გადაწყვეტილებების მიღებისგან და ხელს უწყობს, მთავრობასა და პარლამენტს შორის პოლიტიკური წონასწორობის შენარჩუნებას."[74] თუმცა საკანონმდებლო ორგანო თავად არის ხელისუფლების ერთ-ერთი შტო, რომელიც ვერ იქნება მიუკერძოებელი ხელისუფლების ორგანოებს შორის ამგვარი „წონასწორობის დარღვევისას".

გასათვალისწინებელია მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის გავლენაც საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილების არაკონსტიტუციურად გამოცხადება შესაძლოა უკავშირდებოდეს საერთო სასამართლოების მიერ კანონმდებლობის არაკონსტიტუციურ ინტერპრეტაციას, რაც საერთო სასამართლოების მიერ არამხოლოდ ნორმის არასწორი შინაარსით გამოყენებას, არამედ თავად ამ ნორმის ბუნდოვანებას და მისი სხვადასხვა მნიშვნელო-

---

69 იხ., იქვე.

70 იხ., იქვე, 79.

71 Models of Constitutional Jurisdiction, By Steinberger H., European Commission for Democracy Through Law, CDL-STD (1993)002, Strasbourg, 1993, 3.

72 ნაკაშიძე მ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემები, ჟურნ. „მართლმსაჯულება", N1, 2009, 136.

73 მელქაძე ო., გონაშვილი ვ., საკონსტიტუციო ზედამხედველობა და კონტროლი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 1999, 107.

74 კვერენჩხილაძე გ., მელქაძე ო., საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, თბილისი, 1997, 143.

ბით ინტერპრეტაციის ლოგიკურ შესაძლებლობას გულისხმობს. აღნიშნულის გამო, საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების არაკონსტიტუციურად გამოცხადება კანონმდებელსაც მიანიშნებს, მისი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი საკანონმდებლო ნების გამოჩენისკენ.

ყველაზე ზოგადი განმარტებით, საკონსტიტუციო სასამართლოების მიზანი საკანონმდებლო უმრავლესობის პოლიტიკური ძალაუფლების კონტროლი და მისი შეზღუდვაა.[75] საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა არსებითად მიმართულია პარლამენტის მიერ არაკონსტიტუციური კანონების მიღებისგან კონსტიტუციის დაცვისაკენ. ამ მიზნით საკონსტიტუციო სასამართლო მიღებულ გადაწყვეტილებაში არამხოლოდ მსჯელობს კანონის არაკონსტიტუციურ შინაარსზე, არამედ ხშირად „შესაბამის მითითებებსაც აძლევს საკანონმდებლო ორგანოს, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს კანონი კონსტიტუციასთან შესაბამისი შინაარსით."[76] ზოგიერთ შემთხვევაში კი საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია „ნორმის არარსებობით გამოწვეული სინამდვილე გამოავლინოს და პარლამენტს მიუთითოს მისი აღმოფხვრის შესახებ."[77] აღნიშნულ ფუნქციას საკონსტიტუციო სასამართლოები წინასწარი (ხორციელდება ძირითადად, საკონსტიტუციო საბჭოების მეშვეობით) და შემდგომი საკონსტიტუციო კონტროლის ფორმით ახორციელებენ.[78]

საკონსტიტუციო სასამართლოს სტატუსთან დაკავშირებით კელზენი მიიჩნევდა, რომ იგი ნეგატიური კანონმდებელია,[79] რამდენადაც უფლებამოსილია გააუქმოს კონსტიტუციასთან შეუსაბამო კანონები, მაშინ როდესაც პოზიტიური კანონმდებელი – საკანონმდებლო ორგანო ქმნის პოზიტიურ სამართალს.[80] საკანონდებლო ორგანოს ექსკლუზიური უფლებამოსილება კანონშემოქმედებითი საქმიანობაა, საკონსტიტუციო სასამართლო კი მართალია, არ იღებს კანო-

---

[75] Vanberg G., Legislative-Judicial Relations: A Game-Theoretic Approach to Constitutional Review, Florida State University, American Journal of Political Science, Vol. 45, N2, 2001, 347.

[76] Fernandes de Andrade G., Comparative Constitutional Law: Judicial Review, Journal of Constitutional Law, 2001, 983.

[77] შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 144.

[78] შარაშიძე მ., ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის თავისებურებანი ნორმათკონტროლის კომპეტენციის განხორციელების სფეროში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N3, 2003, 10.

[79] გერმანიის ძირითადი კანონის კომენტარებში აღნიშნულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ნორმათკონტროლის უმაღლეს ორგანოს არ აქვს, არც კანონმდებლის და არც „ნეგატიური კანონმდებლისა" თუ „ვითომ კანონმდებლის" სტატუსი და საკონსტიტუციოსამართლებრივი ნორმების კონტროლი ფუნქციურად გამონაკლისი სამართალწარმოებაა, „როგორც ინდიკატორი სამართალთან შესატყვისობის კონტროლისა", შეად., ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 61.

[80] შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 285.

ნებს, მაგრამ მნიშვნელოვნად ეხმარება კანონმდებელს საკანონმდებლო ნების ჩამოყალიბებაში და ხშირად კარნახობს კიდეც მას კანონის, როგორც საკანონმდებლო სამართალწარმოების პროდუქტის შინაარსს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკონსტიტუციო სასამართლო „ქმნის მტკიცე სამართლებრივ სინამდვილეს, მატერიალური გაგებით.“[81] თანამედროვე საკონსტიტუციო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ სწორედ ეს კომპეტენციური ინერცია განაპირობებს ხშირად საკონსტიტუციო სასამართლოს ნეგატიურ კანონმდებელსა და პოზიტიურ ნორმაშემოქმედს შორის ზღვარის ბუნდოვანებას.[82] აღნიშნული კი საკანონმდებლო ორგანოსა და საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის კონკურენციულ ურთიერთობას და საკონსტიტუციო დაძაბულობას ქმნის.[83]

და ბოლოს, საკანონმდებლო ორგანო შებოჭილია სამართლით, გულისხმობს მის უდიდეს პასუხისმგებლობას სამართლებრივი სტაბილურობის მიმართ, რომელიც მყარი სამოქალაქო წესრიგის საფუძველია ქვეყანაში.[84] საკანონმდებლო ორგანო, რომელიც „შეზღუდულია კონსტიტუციით, ივარაუდება, რომ შეზღუდულია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებითაც“.[85] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მბოჭავი ძალისაა ნებისმიერი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიმართ და პირდაპირ ან ირიბად გავლენას ახდენს კანონშემოქმედის ნების ჩამოყალიბებაზე.[86] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ბუნება და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაზე მისი გავლენა დეტალურად ქვემოთ იქნება განხილული.

1.1.3.2. საკონსტიტუციო სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლება

საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს ცენტრალური ადგილი უკავია თა-

---

[81] გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012, 49.

[82] იხ., გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო: პოზიტიური კანონმდებლობის მცდელობა და გამოწვევები, კრებულში: „ლადო ჭანტურია 55“, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018.

[83] სწორედ აღნიშნულს უკავშირდება მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კანონმდებელს უკეთესი თანაშემწე, როგორიც საკონსტიტუციო სასამართლოა, არ ჰყავს იხ., ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 61.

[84] იხ., იქვე, 143-145.

[85] იხ., იქვე, 63.

[86] აღსანიშნავია, რომ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ გააჩნია მბოჭავი იურიდიული ძალა თავად საკონსტიტუციო სასამართლოსათვის. იხ., Finck D., E., Judicial Review: The United States Supreme Court Versus the German Constitutional Court, Boston College International and Comparative Law Review, 1997. 144.

ნამედროვე სახელმწიფოს ფუნქციის რეალიზებაში, უზრუნველყოს სამართლებრივი მშვიდობა და სამართლებრივი უსაფრთხოება.[87] იგი არამხოლოდ კონსტიტუციის მცველისა[88] და ადამიანის ძირითადი უფლებების მოდარაჯის[89] ფუნქციებს, არამედ ნეიტრალური არბიტრისა და ხელისუფლების შტოთა შორის დამაბალანსებლის როლსაც ასრულებს. ხშირად საკონსტიტუციო სასამართლო, გარკვეული თვალსაზრისით, პარლამენტის ზემდგომ ორგანოდაც გვევლინება, რომელიც წყვეტს სადავო საკითხებს მთავრობასა და პალატებს შორის.[90] იგი ინსტიტუციაა, რომელიც მიზნად ისახავს „კონსტიტუციის დაცვას ხელისუფლების სამივე შტოს მიერ განხორციელებული დარღვევებისგან."[91]

თანამედროვე სახელმწიფოს დემოკრატიული მართვის მოდელი, კანონის უზენაესობის უზრუნველყოფისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვისათვის ითვალისწინებს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე კონტროლს.[92] კონსტიტუციის დარღვევა შესაძლებელია გამოწვეული იყოს თანაზომიერებისა და პროპორციულობის პრინციპის[93] გაუთვალისწინებლად მთავრობის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტით. აღნიშნულის პრევენციისთვის საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში შედის არამხოლოდ კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენა, არამედ საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება აღმასრულებელი ხელისუფლების აქტებზეც და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს მბოჭავი ძალა აქვთ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიმართ. მაგალითად, გერმანიის ძირითადი კანონის შესაბამისად, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, რომელიც არის საბოლოო და მბოჭავი ხასიათისა, „ყველა სასამართლო და სამთავრობო დაწესებულება ვალდებულია შეასრულოს იგი."[94]

---

[87] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, სამეცნიერო რედაქტორი პ. ტურავა, თბილისი, 2013, 517.

[88] ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 61.

[89] Karakamisheva T., Constitutional Complaint – Procedural and Legal Instrument for Developmant of The Constitutional Justice (Case study – Federal Republic of Germany, Repyblic of Croatia, Republic of Slovenia and Republic of Macedonia), 1st Congress of the World Conference on Constitutional Justice, Cape Town, 23–24 January, 2009.

[90] კვერენჩხილაძე გ., მელქაძე ო., საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, თბილისი, 1997, 133.

[91] გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012, 26.

[92] Stone Sweet A., On the Constitutionalisation of the Convention: The European Court of Human Rights as a Constitutional Court, Yale Law School Legal Scholarship Repository, 2009, 2.

[93] Reiner A., Constitutional Courts of Central and European Countries as a Dynamic Source of Modern Legal Ideas, Tulane European and Civil Law Forum, Vol. 18, 2003, 109.

[94] Palguna G. D., Constitutional Complaint and The Protection of Citizens the Constitutional Rights, Constitutional Review, 3, N1, 2017, 2.

მთავრობის საქმიანობაზე განხორციელებული საკონსტიტუციო კონტროლი წარმოშობს ეჭვებს საერთო სასამართლოებთან კომპეტენციური მსგავსების თაობაზე, ვინაიდან ორივე სისტემა კანონით დადგენილ ფარგლებში განიხილავს მთავრობის მიერ გამოცემულ აქტებს. თუმცა საერთო სასამართლოებისგან განსხვავებით, რომელთა მიზანი ამ აქტების კანონშესაბამისობის დადგენაა, საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით აფასებს მათ. საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოები უფლებამოსილნი არიან განიხილონ აღმასრულებელი ხელისუფლების აქტების კონსტიტუციურობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელეს ამოწურული აქვს უფლების დაცვის ყველა სხვა სამართლებრივი საშუალება. სრული კონსტიტუციური სარჩელი საშუალებას იძლევა საკონსტიტუციო კონტროლი განხორციელდეს აღმასრულებელი ხელისუფლების აქტებზე, მათი გასაჩივრებისთვის დადგენილი ყველა სამართლებრივი საშუალების ამოწურვის პირობით. აღნიშნულით გამოირიცხება საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის კომპეტენციური დუბლირება მთავრობის აქტების განხილვისას.

1.1.3.3. საკონსტიტუციო სასამართლო და სასამართლო ხელისუფლება

მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის პირობებში აქტუალურია საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს სტატუსისა და როლის, აგრეთვე საერთო სასამართლოებთან ურთიერთმიმართების შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლო, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებით, ყალიბდება უმაღლეს სახელმწიფო ორგანოდ სასამართლო ხელისუფლების სათავეში,[95] რაც გარკვეულ წინააღმდეგობას წარმოშობს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოებს შორის.[96] თუმცა სასამართლო სისტემის სათავეში საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფნა პირობითია.[97] საკონსტიტუციო სასამართლო მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის მქონე არცერთ სახელმწიფოში არ განიხილება დამატებით სასამართლო ინსტანციად, არამედ მისი შეფასების საგანი საკონსტიტუციო სა-

---

[95] მიიჩნევა, რომ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციო კონტროლი მაინც არ აქცევს მას უმაღლეს ორგანოდ სასამართლო ხელისუფლების სისტემაში. იხ., Starck C., Constitutional Review in the Federal Republic of Germany, Translated by Ignaski J., Notre Dame International and Comparative Law Journal, Vol. 2, 1984, 87.

[96] Garlicki L., Constitutional Courts Versus Supreme courts, International Journal of Constitutional Law, Vol. 5, N1, 2007, 63.

[97] იხ., ნიშნიანიძე ნ., კონსტიტუციური იუსტიციის ფილოსოფიური შემეცნების საკითხისათვის, ჟურნ., „ადამიანი და კონსტიტუცია“, N2, 1997, 43.

კითხებია, კერძოდ - ადამიანის ძირითადი უფლებები.[98] მაგალითად, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო განიხილება „უმაღლეს და უკანასკნელ ეროვნულ ინსტანციად,[99] მაგრამ არა უმაღლეს სააპელაციო სასამართლოდ,"[100] რამდენადაც იგი ამოწმებს არა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მართებულობას, არამედ მისი სამართლებრივი ინტერესი გადაწყვეტილების ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებთან თავსებადობის შეფასებაა.[101]

აღნიშნულის მიუხედავად, კონკურენციული ურთიერთობა საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოებს შორის ბუნებრივია, კანონზომიერი და ხელისუფლების ორგანოებს შორის დემოკრატიული ურთიერთობების მოთხოვნებს შეესაბამება, რაც განპირობებულია ცენტრალიზებული საკონსტიტუციო კონტროლის კელზენისეული სისტემის თავისებურებით: საკონსტიტუციო კონტროლის ძალაუფლება კონცენტრირებულია სასამართლოს შტოსგან დამოუკიდებელ დაწესებულებაში, რომელიც „სასამართლოს ტრადიციული სისტემის გარეთ მოიაზრება".[102] სწორედ მას გააჩნია სამართლებრივი ნორმების ან სასამართლო გადაწყვეტილებების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შეფასების სპეციალური უფლებამოსილება.[103] ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლო არ ახორციელებს „პოლიტიკური ხასიათის იურისდიქციას", როგორც ეს საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს შემთხვევაშია განსაზღვრული.[104]

საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი ბუნება ხშირად დისკუსიას იწვევს. კერძოდ, განსხვავებული მოსაზრებები არსებობს იმის თაობაზე, საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო ხელისუფლების ორგანოა თუ მისგან განცალკევებული დამოუკიდებელი ინსტიტუტი.[105] საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციებში, როგორც წესი, საკონსტიტუციო სასამართლოსთან და-

---

[98] გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012, 20.

[99] ᵃელქაძე ო., საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2008, 81.

[100] უფრო მეტიც, იგი არც კი განიხილება საერთო სასამართლოების სისტემის შემადგენელ ნაწილად, იხ., Fremuth M. L., Patchwork Constitutionalism: Constitutionalism and Constitutional Litigation in Germany and beyond the Nation State - A European Perspective, Duquesne law Review, Vol. 49, N2, 2011, 348

[101] გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012, 20.

[102] Garlicki L., Constitutional Courts Versus Supreme courts, International Journal of Constitutional Law, Vol. 5, N1, 2007, 44.

[103] მო დ., უცხო ქვეყნის სასამართლო პრაქტიკის გამოყენება და დიალოგი საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა", N2, 2010, 6.

[104] კვერენჩხილაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლი საფრანგეთში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N2, 1997, 60.

[105] ნიშნიანიძე ნ., კონსტიტუციური იუსტიციის ფილოსოფიური შემეცნების საკითხისათვის, ჟურნ., „ადამიანი და კონსტიტუცია", N2, 1997, 43.

კავშირებულ საკითხებს ცალკე თავი ეთმობა. ამგვარი ტენდენცია შეინიშნება გერმანიის, ესპანეთისა და სხვა ევროპული ქვეყნების ძირითად კანონებში. სასამართლო სისტემის ამგვარი სტრუქტურული განცალკევება მართალია, ფორმალური ხასიათისაა, თუმცა მნიშვნელოვანია და ხაზს უსვამს, რომ აღნიშნულ ქვეყნებში ფუნქციონირებს საკონსტიტუციო კონტროლის კონცენტრირებული მოდელი,[106] სადაც „საკონსტიტუციო სასამართლოს ჰიბრიდული ბუნება აქვს - იგი საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოცაა და სასამართლოც.“[107]

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გავლენა საერთო სასამართლოების პრაქტიკაზე სხვადასხვა ასპექტში ვლინდება. პირველ რიგში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად საერთო სასამართლოების მიერ.[108] აღნიშნულის გამო საკონსტიტუციო სასამართლოები ევროპის მასშტაბით ცდილობენ მოახდინონ „იურიდიული წესრიგის კონსტიტუციონალიზაცია, თუმცა განსხვავებული წარმატებით.“[109] მაგალითად, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო შესაბამის მითითებებს აძლევს საერთო სასამართლოებს სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენების თაობაზე ძირითად უფლებებთან მიმართებით.[110] აღნიშნულის გარდა, თავად საერთო სასამართლოებიც ცდილობენ თავიანთი გადაწყვეტილებები შეუსაბამონ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას,[111] რისი გათვალისწინებითაც, იქ, სადაც მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება, კონსტიტუციური სარჩელების 90% ეფუძნება საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებას, კონსტიტუციით განსაზღვრული ძირითადი უფლებების დარღვევის თაობაზე.[112]

ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებს შორის ურთიერთობა სამ ასპექტში შეიძლება დახასიათდეს: საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს მბოჭავი ძალა აქვთ საერთო სასამართლოების მიმართ, ვინაიდან არაკონსტიტუციურად ცნობილი კანონი აღარ გამოიყე-

---

[106] Guillen Lopez e., Judicial Review in Spain: The Constitutional Court, 2008, 532.

[107] გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012, 25.

[108] Stone Sweet A., Constitutional Courts and Parliamentary Democracy (Special Issue on Delegation), Yale Law School Legal Scholarship Repository, 2002, 87.

[109] იხ., იქვე, 11.

[110] იხ., Federal Constitutional Court, Lüth, BVerfGE 7, 1958.

[111] Starck C., Constitutional Review in the Federal Republic of Germany, Translated by Ignaski J., Notre Dame International and Comparative Law Journal, Vol. 2, 1984, 89.

[112] Stone Sweet A., On the Constitutionalisation of the Convention: The European Court of Human Rights as a Constitutional Court, Yale Law School Legal Scholarship Repository, 2009, 11.

ნება საერთო სასამართლოების მოსამართლეების მიერ. აღნიშნულის გარდა, საერთო სასამართლოები ვეღარ იყენებენ არაკონსტიტუციურად ცნობილ სტატუტებს და ისინი პატივს სცემენ საკონსტიტუციო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებებს, რომლითაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კანონის კონკრეტული ინტერპრეტაცია ცხადდება არაკონსტიტუციურად.[113]

საკონსტიტუციო და საერთო იურისდიქციის სასამართლოებს შორის ურთიერთობის თავისებურება კიდევ ერთ საკონსტიტუციო ინსტიტუტში ვლინდება - საკონსტიტუციო სასამართლო საერთო სასამართლოების მიმართვის საფუძველზე განიხილავს კონსტიტუციურ წარდგინებას იმ ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელთა საფუძველზეც სასამართლოებმა მართლმსაჯულება უნდა განახორციელონ.[114] კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტი ემსახურება სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცებას და სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნების უზრუნველყოფას, რომელიც საფრთხის ქვეშ დადგება, თუ ცალკეული სასამართლო უფლებამოსილი იქნებოდა გამოეყენებინა კანონის რომელიმე დებულება, რომელიც არაკონსტიტუციურად მიაჩნია.[115] კონსტიტუციური წარდგინება ცხადყოფს, რომ კონსტიტუციურობის კონტროლზე ექსკლუზივი საკონსტიტუციო სასამართლოს ეკუთვნის. უფრო მეტიც, გერმანიაში მიიჩნევა, რომ გერმანიის ძირითადი კანონი ისაა, რასაც ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც გერმანიის ძირითადი კანონის „მცველი და მთავარი ინტერპრეტატორი“,[116] განმარტავს.[117]

ამდენად, მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლი საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის არსებულ ურთიერთობას კიდევ უფრო მეტ აქტუალობას სძენს. საერთო სასამართლოების საქმიანობაზე საკონსტიტუციო კონტროლის პირობებში იზრდება საერთო სასამართლოთა თვითკონტროლი და მათი მცდელობა შეუსაბამონ საკუთარი პრაქტიკა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს. ამ პირობებში, საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ძირითადი უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის როლი უზრუნველყოფს საერთო სასამართლოების ეფექტიან საქმიანობას და მის ხარისხობრივ ზრდას.

---

[113] Comella V. F., The Spanish Constitutional Court: Time for Reforms, Journal of Comparative Law, N3(2). 2008, 30.

[114] The Basic Law of the Federal Republic of Germany,1949, Art. 100(1).

[115] ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, 32.

[116] Fremuth M. L., Patchwork Constitutionalism, Constitutionalism and Constitutional Litigation in Germany and beyond the Nation State - A European Perspective, Duquesne Law Review, Vol. 49, 248.

[117] იხ., იქვე.

1.2. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის ქმედითობა და ეფექტი

1.2.1. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის ეფექტიანობა დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის დაცვაში

სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრესი ნიშანი კანონის უზენაესობის პრინციპის უზრუნველყოფაა, რომელიც კონსტიტუციის უზენაესობას და მის დაცვასაც გულისხმობს.[118] კონსტიტუცია ირღვევა მასთან შეუსაბამო, არაკონსტიტუციური კანონის მიღებით. თუმცა ადამიანის ძირითადი უფლებები, რომლებიც თანამედროვე კონსტიტუციის ბირთვს ქმნიან, ასევე შეიძლება დაირღვეს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებითაც. ამიტომ, ჩნდება კითხვა: პირის ფუნდამენტური კონსტიტუციური უფლების დაცვა შესაძლებელია კი სრულყოფილად, თუ იგი დავობს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე და საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში არ ექცევა საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები?[119]

სამართლებრივ სისტემაში, რომელშიც მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება, საკონსტიტუციო სასამართლო გვევლინება ინსტიტუტად, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას, რაც თანამედროვე დემოკრატიის ერთ-ერთი გამოვლინებაა.[120] საკონსტიტუციო სასამართლო „დემოკრატიული გარდაქმნის პროცესის განუყოფელი ნაწილი,[121] კონსტიტუციის დაცვისა და საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განხორციელების ექსკლუზიური ორგანოა.[122] იგი „ძალაუფლების გამიჯვნისა და კანონის უზენაესობის ევროპული გაგების კლასიკური შედეგია“.[123] სრული კონსტიტუციური სარჩელის კონკრეტული ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში არსებობისას, საკონსტიტუციო სასამართლო ადამიანის თავისუფლების განხორციელების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად გვევლინება.[124] დებულება -

---

[118] იხ., კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ზოგიერთი თეორიული ასპექტი, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, N4, 2005, 11.

[119] Henderson J., The Constitutional Court of the Russian Federation: The Establishment and Evolution of Constitutional Supervision of Russia, Journal of Comparative Law, N3(2), 2008, 144.

[120] Rupp G. H., Judicial Review in The Federal Republic of Germany, 1960, 30.

[121] Sólyom L., The Role of Constitutional Courts in the Transition to Democracy, with Special Reference to Hungary, International Sociology, Vol. 18, N1, 2003, 135.

[122] Rupp G. H., Judicial Review in The Federal Republic of Germany, 1960, 30.

[123] იხ., იქვე.

[124] Reiner A., Constitutional Courts of Central and European Countries as a Dynamic Source of Modern Legal Ideas, Tulane European and Civil Law Forum, Vol. 18, 2003, 110.

„საჯარო ხელისუფლების მიერ გამოცემული აქტი იურიდიულ ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან“,[125] განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის პირობებში და გულისხმობს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კონსტიტუციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფასაც.

სამართლებრივ სახელმწიფოში საერთო სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელება კანონის უზენაესობის პრინციპის საფუძველზე ხორციელდება. „მართლმსაჯულების სიმბოლო გამოხატავდა და დღესაც გამოხატავს არამხოლოდ სამართლიანი სასამართლოს არსსა და იდეას, არამედ მთლიანობაში სამართლიანი სახელმწიფოს, კონკრეტულად კი ადამიანთა საზოგადოებაში ხელისუფლების სამართლიანი ორგანიზაციის იდეას“.[126] საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლით კი საკონსტიტუციო სასამართლო არამხოლოდ კანონის უზენაესობის უბრალო მონაწილე ხდება, არამედ თავად არის მისი განხორციელების გარანტი. საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული როლი სცილდება კონკრეტული ქვეყნის შიდაეროვნულ სფეროს, რამდენადაც დღესდღეობით, თავად კანონის უზენაესობა აღარ განიხილება, როგორც ეროვნული სამართლის, არამედ როგორც საერთაშორისო სამართლის პატივისცემა.[127] აღნიშნულის დადასტურებაა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საკონსტიტუციო კონტროლის იდეის პოპულარობა, რაც განაპირობა იმ გარემოებამ, რომ საკონსტიტუციო სამართლის უზენაესობა სასიცოცხლოდაა მნიშვნელოვანი დემოკრატიული საზოგადოებრივი ღირებულებების ეფექტიანად დანერგვისთვის ნებისმიერ სახელმწიფო სისტემაში.[128]

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოს ცენტრალური ადგილი უკავია დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის დაცვაში. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლი კი ზრდის საკონსტიტუციო სასამართლოს როლს ამ მიმართულებით, ვინაიდან ქმნის კანონის უზენაესობის გარანტიას და ხელს უწყობს ადამიანის ძირითადი უფლებების სრულყოფილ დაცვას, რაც საბოლოო ჯამში, დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვაკუთხედია.

---

[125] Zeidler W., The Federal Constitutional Court of the Federal Republic of Germany: Decisions on the Constitutionality of Legal Norms, Notre Dame Law Review, Vol. 62, 1987, 504.

[126] კვერენჩხილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა და საკონსტიტუციო იუსტიციის მოდელები (ზოგიერთი თეორიული საკითხი), ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, N3, 2006, 42.

[127] Reiner A., The Internationalisation of the Protection of Fundamental Rights in Germany, Annales Universitatis Apulensis Series Jurisprudentia, 2018, 319.

[128] Reiner A., Constitutional Courts of Central and European Countries as a Dynamic Source of Modern Legal Ideas, Tulane European and Civil Law Forum, Vol. 18, 2003, 103.

1.2.2. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის როლი ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვასა და უზენაესობაში

1.2.2.1. სრული კონსტიტუციური სარჩელი, როგორც ძირითადი უფლებების დაცვის შიდაეროვნული მექანიზმი

ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების დაცვა თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ნიშანია. კონსტიტუცია, როგორც სახელმწიფოს უმთავრესი ატრიბუტი და საზოგადოებრივი ფასეულობების განმსაზღვრელი დოკუმენტი არამხოლოდ უნდა აღიარებდეს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, არამედ ამ უფლებათა და ღირებულებათა დაცვის ეფექტიან საშუალებებს ქმნიდეს. სამართლებრივ სახელმწიფოს სწორედ ადამიანის ძირითად უფლებებზე ზრუნვა და მათი დაცვის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება გამოარჩევს. „უფლების დაცვის ყველაზე ქმედითი საშუალება კი სასამართლო წესით დაცვაა."[129] აღსანიშნავია, რომ სასამართლო დაცვის უფლება თავად არის ადამიანის ერთ-ერთი დამოუკიდებელი უფლება და ამასთანავე, ყველა სხვა უფლებისა და თავისუფლების დაცვის აუცილებელი გარანტია.[130]

ხელისუფლების ყველა შტო შებოჭილია ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.[131] კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები „არ საჭიროებენ ეროვნულ საკანონმდებლო აქტებში დაკონკრეტებას და ისინი პირდაპირ მოქმედი სამართალია."[132] ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც ფუნდამენტური უფლებების დაცვისათვის კონსტიტუციის ინტერპრეტირებას ახდენს, საკონსტიტუციო სასამართლოა. ამ ფუნქციის შესასრულებლად საკონსტიტუციო სასამართლო ევროპის ქვეყნების ნაწილში, საერთო სასამართლოების მიმართ ძირითადი უფლებების დაცვის ეროვნული საშუალებების განხორციელებისას, ბოლო ინსტანციის როლს ასრულებს.[133] მიიჩნევა, რომ ამ უფლებამოსილების ფარგ-

---

[129] ხეცურიანი ჯ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა", N4, 2011, 52.

[130] ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, თბილისი, 2016, 115.

[131] Palguna G. D., Constitutional Complaint and The Protection of Citizens the Constitutional Rights, Constitutional Review, Vol. 3, N1, 2017, 2.

[132] ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, თბილისი, 2016, 115.

[133] შეად., Lacchi C., Review by Constitutional Courts of the Obligation of National Courts of Last Instance to Refer a Preliminary Question to the Court of Justice of the EU, Special Issue - Preliminary References to the CJEU Part Five, German Law Journal, Vol. 16, N06, 2015, 1664.

ლებში მოქმედი საკონსტიტუციო სასამართლო ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალურ სტანდარტს ადგენს.[134]

მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის დროს საკონსტიტუციო სასამართლო ქმნის ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ყველაზე ეფექტიან შიდასამართლებრივ მექანიზმს, რომელიც საშუალებას აძლევს ნებისმიერ პირს ზედმეტი დანახარჯების გარეშე მიაღწიოს სამართლიან გადაწყვეტილებას ქვეყნის შიგნით. სრული კონსტიტუციური სარჩელით შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოს გადაწყვეტილებები[135] და იგი სათანადო საშუალებად მიიჩნევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 35-ე მუხლის მიზნებისთვის. უფლების დაცვის ეს საშუალება ამავდროულად, უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განტვირთვას.[136]

პირის ფუნდამენტური უფლებების დაცვა უნდა იყოს „არსებითად და ფუნქციურად ეფექტიანი."[137] საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც შექმნილია კონსტიტუციის უზენაესობისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვისათვის, ვერ უზრუნველყოფს ამ მიზნის წარმატებით განხორციელებას, თუ მისი ფუნქციური არსენალი შეზღუდული იქნება მხოლოდ კანონთა ნორმატიული კონტროლით. აუცილებელია, საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატი და მისი უფლებამოსილების ფარგლები თანხვედრაში იყოს ერთმანეთთან. საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც ნეგატიური კანონმდებლის ფუნქციითაა აღჭურვილი ასევე უნდა იყოს უფლებამოსილი შეაფასოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა კონსტიტუციურობაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, „მოლოდინი და ნდობა, რომელიც ამ ინსტიტუტის მიმართ საზოგადოებაში არსებობს დაიმცრობა და გაქრება."[138] ამდენად, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის პირობებში საკონსტიტუციო სასამართლოები ძირითადი უფლებების დაცვის ყველაზე ეფექტიან შიდაეროვნულ საშუალებად იქცევიან, რომელთა ფუნქციური როლი, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის უნივერსალურ სტანდარტს ქმნიან.[139]

---

[134] Speech of Mr. Haşim KILIÇ, President of the Turkish Constitutional Court, Conference - The Best Practices of Individual Complaint to the Constitutional Courts in Europe, Paris, Strasbourg, 2014, 2.

[135] Zeidler W., The Federal Constitutional Court of the Federal Republic of Germany: Decisions on the Constitutionality of Legal Norms, Notre Dame Law Review, Vol. 62, 1987, 506.

[136] Dürr, S. R., Improving Human Rights Protection on the National and The European Levels - Individual Access to Constitutional Courts, Studii Si Anticole, 2015, 50.

[137] Reiner A., The Internationalisation of the Protection of Fundamental Rights in Germany, Annales Universitatis Apulensis Series Jurisprudentia, 2018, 316.

[138] Dürr, S. R., Improving Human Rights Protection on the National and The European Levels - Individual Access to Constitutional Courts, Studii Si Anticole, 2015, 41.

[139] Speech of Mr. Haşim KILIÇ, President of the Turkish Constitutional Court, Conference - The Best Practices of Individual Complaint to the Constitutional Courts in Europe, Paris, Strasbourg, 2014, 2.

1.2.2.2. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს ურთიერთმიმართება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის ყველაზე ეფექტიანი საერთაშორისო ინსტიტუტია. იგი კონვენციის „ცოცხალ ორგანიზმად" მიიჩნევა, რომელიც გავლენას ახდენს წევრი ქვეყნების სამართლებრივ სისტემაზე და ხელს უწყობს კანონის უზენაესობისა და „დემოკრატიის კონსოლიდაციას ევროპაში."[140] ამდენად, მნიშვნელოვანია საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლი შევაფასოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან და ევროპულ კონვენციასთან მიმართების კონტექსტში.

1998 წელს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ახორციელებს ხელშემკვრელ მხარეთა შიდასამართლებრივ სისტემაზე ზედამხედველობას.[141] აღნიშნულის მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქცია არ ვრცელდება საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაზე, რაც მნიშვნელოვანი სირთულეა ძირითადი უფლებების ეფექტიანი დაცვისათვის. თუ საერთო სასამართლოების შიდაეროვნული სისტემა ვერ უზრუნველყოფს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას, პირი შესაძლოა დაგვიანებითაც კი მიმართავდეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რაც „კლავს მისსავე სუბსიდიურობის პრინციპს."[142]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი გამოწვევა მიმართვების მზარდი რაოდენობაა, რომელიც საფრთხეს უქმნის სასამართლოს ეფექტიან საქმიანობას.[143] სტატისტიკურად 1960-იან წლებში საშუალოდ 5 ინდივიდუალური განაცხადი შედიოდა სასამართლოში, 1970-იან წლებში - 16, 1980-იან წლებში - 46, , ხოლო მე-11 დამატებითი ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ, მკვეთრად გაიზარდა მიმართვიანობა: მხოლოდ 1998 წელს განაცხადთა რაოდენობამ 18 200 შეადგინა, ხოლო მოგვიანებით, 2006 წელს 50 500-ს მიაღწია.[144] 2011 წელს 27%-ით გაიზარდა განაცხადთა რაოდენობა და 52 188 მიაღწია, ხოლო ჯამურად განხილვის პროცესში მყოფ განა-

---

[140] იხ.. იქვე.

[141] Stone Sweet A., On the Constitutionalisation of the Convention: The European Court of Human Rights as a Constitutional Court, Yale Law School Legal Scholarship Repository, 2009, 3.

[142] Buquicchio G., Review and Way Forward for the Individual Application System, Seven Years on Istanbul, Venice Commission, 2019, 5.

[143] Stone Sweet A., On the Constitutionalisation of the Convention: The European Court of Human Rights as a Constitutional Court, Yale Law School Legal Scholarship Repository, 2009, 4.

[144] იხ., იქვე.

ცხადთა რაოდენობა 160 200 გახდა.[145] უახლესი სტატისტიკით, 2019 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 44 500 განაცხადი შევიდა, რაც 3%-ით მეტია 2018 წლის მონაცემთან შედარებით[146], აღნიშნული საქმეებიდან 14 700 - პალატის ან კომიტეტის განსახილველი საქმე იყო.[147] უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დაფუძნების დღიდან 1959-2011 წლებში განაცხადთა ნახევარი ოთხ სახელმწიფოზე მოდის, ეს ქვეყნები არიან თურქეთი, იტალია, რუსეთი, პოლონეთი.[148] სწორედ აღნიშნული სტატისტიკა ქმნის რეალურ რისკს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გამართული ფუნქციონირებისთვის.

ამ პირობებში სულ უფრო მეტ აქტუალურობას იძენს ეროვნულ დონეზე უფლების დაცვის ალტერნატიული და დამატებითი ინსტრუმენტების ჩამოყალიბება, რამაც უნდა შეამციროს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმართვიანობის ტალღა.[149] ერთ-ერთ მექანიზმად მოიაზრება საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლი. ინდივიდებს, რომელთაც კანონმდებლობით დადგენილი წინაპირობების დაცვით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება გააჩნიათ, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის პირობებში, შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ უფლების დაცვის ეფექტიანი შიდაეროვნული მექანიზმი და თავიდან აირიდონ ფინანსური და მორალური დანახარჯები. უნდა აღინიშნოს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ეროვნული კონსტიტუციები ითვალისწინებენ მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის სისტემას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ფუნქციონირებს როგორც ეროვნული უფლებების დაცვის ფაკულტატური და „ნაკლებად აქტუალური“ დამატებითი მექანიზმი.[150]

მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლი ეროვნულ საკონსტიტუციო სასამართლოებსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შორის ურთიერთსასარგებლო დამოკიდებულების ხელშემწყობი მექანიზმია. საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატი, რომელიც ნაციონალურ დონეზე საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას განამტკიცებს, ემსგავსება ადამიანის უფლებათა

---

[145] Greer S., Wildhaber L., Revisiting the Debate About „Constitutionalizing“ The European Court of Human Rights, Human Rights Law Review N12, 2012, 656.

[146] Analysis of Statistics 2019, European Court of Human Rights, 2020, 4/61. იხ., <https://www.echr.coe.int>.

[147] იხ., იქვე.

[148] Greer S., Wildhaber L., Revisiting the Debate About „Constitutionalising“ The European Court of Human Rights, Human Rights Law Review N12, 2012, 657.

[149] იხ., იქვე, 671.

[150] Stone Sweet A., On the Constitutionalisation of the Convention: The European Court of Human Rights as a Constitutional Court, Yale Law School Legal Scholarship Repository, 2009, 8.

ევროპულ სასამართლოს,[151] ზოგიერთი მეცნიერის შეფასებით კი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ტრანსნაციონალური საკონსტიტუციო სასამართლოა, რომლის „რეპუტაცია, იურისდიქცია, სამართალშემოქმედებითი ინსტრუმენტები და გავლენა სამართლებრივ და პოლიტიკურ სისტემებზე" იმსახურებს ყველაზე მძლავრ საკონსტიტუციო ტრიბუნალთან შედარებას.[152]

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტის დანერგვას ქვეყნის შიდაეროვნულ დონეზე, რის გამოც, საერთაშორისო ინსტიტუტები, განსაკუთრებით ადამიანის უფლებადამცველი ინსტიტუციები, მხარს უჭერენ მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმის დანერგვას. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტატისტიკის ანალიზია, რომლის შესაბამისადაც, სახელმწიფოებიდან, სადაც სრული კონსტიტუციური სარჩელის მექანიზმი მოქმედებს, განაცხადთა რაოდენობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიმართ გაცილებით დაბალია, იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც მსგავსი სასარჩელო წარმოების ფორმა არ არსებობს.[153] სწორედ ამიტომ მოუწოდებს ვენეციის კომისია სახელმწიფოებს სრული კონსტიტუციური სარჩელის დანერგვისკენ.[154] ვენეციის კომისია მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას ემხრობა, არამხოლოდ იმიტომ, რომ იგი ითვალისწინებს კონსტიტუციური უფლებების ყოველმხრივი დაცვის შესაძლებლობას, არამედ მისი სუბსიდიური ბუნების გამოც, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს განტვირთავს, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის საშუალებების ნაციონალურ დონეზე დანერგვით.[155]

და ბოლოს, მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის პირობებში საკონსტიტუციო სასამართლოები ეროვნული ძირითადი კანონებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დაცვის მთავარი ინსტიტუტები ხდებიან. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ადგილი ქვეყნის ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში. სახე-

---

[151] საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის გამო საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგჯერ მოიხსენიებენ როგორც „პატარა სტრასბურგს", იხ., <https://www.radiotavisupleba.ge/a/patara-strasburgis-idea/27518532.html> [03.06.2022]

[152] იხ., იქვე, 14.

[153] იხ., Paczolay P., Report Introdaction to the Report of the Venice Commission on Inividual Access to Constitutional Justice, Conference on Individual Access to Constitutional Justice, Arequipa, Peru, 30-31 May, 2013, 2.

[154] Buquicchio G., Review and Way Forward for the Individual Application System, Seven Years on Istanbul, Venice Commission, 2019, 3.

[155] Opinion on Three Legal Questions Arising in The Process of Drafting the new Constitution of Hungary, Adopted by the Venice Commission at its 86th Plenary Session, 2011, CDL-AD(2011)001, Opinion N614/2011, 12.

ლმწიფოთა ნაწილი ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას განიხილავს როგორც კვაზიკონსტიტუციურ დაკუმენტს, რის გამოც საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს ნებისმიერი კანონი, მისი კონვენციასთან შეუსაბამობის გამო.[156] მაგალითად, ესპანეთში, თუ საერთო სასამართლოები, რომელთაც აქვთ ვალდებულება იხელმძღვანელონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკით, უგულებელყოფენ კონვენციის მოთხოვნებს, ნებისმიერი ინდივიდი უფლებამოსილია amparo-ს პროცედურის გამოყენებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს საერთო სასამართლოების წინააღმდეგ.[157]

ესპანეთისგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას გერმანიაში მიმდინარე კანონის იურიდიული ძალა აქვს მინიჭებული, მისი დამტკიცების აქტის გამო.[158] 2004 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული მიდგომით, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაამკვიდრა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების, როგორც არამხოლოდ ეროვნული გარანტის გაგება.[159] ამ თვალსაზრისით ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ადამიანის ძირითადი უფლებების განმარტებისას, სულ მცირე, კონვენციურ სტანდარტს იყენებს.[160] თუმცა ეს სტანდარტი არ არის აბსოლუტური და გამოიყენება ჰაინრიხ ტრიპელის მიერ შემუშავებული მიდგომა, რომლის შესაბამისადაც, ევროპული კონვენცია გამოიყენება, როგორც გამოსადეგი საშუალება შიდანაციონალური აქტების განმარტებისას, თუმცა მათ შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, როდესაც კანონს „აშკარად ნაციონალური შინაარსი გააჩნია, არ ხდება მისი ეროვნული მნიშვნელობის ინტერნაციონალიზაცია.“[161]

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმიანობაზე. აღნიშნული მექანიზმის დანერგვა ქვეყნის ეროვნულ დონეზე ასრულებს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის დამატებითი საშუალების როლს, რითაც ხელს უწყობს სასარჩელო მოთხოვნის ნაციონალურ დონეზე გადაწყვეტის შესაძლებლობას. მიღებული შედეგი კი განაპირობებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმართვიანობის კლებას, მის განტვირთვას და საბოლოო ჯამში, საქმიანობის ეფექტიანობის ზრდას.

---

[156] Stone Sweet A., On the Constitutionalisation of the Convention: The European Court of Human Rights as a Constitutional Court, Yale Law School Legal Scholarship Repository, 2009, 8.

[157] იხ., იქვე.

[158] Reiner A., The Internationalisation of the Protection of Fundamental Rights in Germany, Annales Universitatis Apulensis Series Jurisprudentia, 2018, 318.

[159] იხ., იქვე.

[160] იხ., იქვე, 319.

[161] იხ., იქვე.

1.3. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის დადებითი და უარყოფითი მხარეები

1.3.1. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის დადებითი მხარეები

მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის დადებით ასპექტებზე საუბრისას, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ძირითადი უფლებების დაცვის უფრო მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა: ამ დროს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში დგას „ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სადარაჯოზე, რადგან ის ქმნის უფლების დაცვის კონკრეტულ პროცედურულ ინსტრუმენტს.“[162] აღნიშნულის გამო, სრული კონსტიტუციური სარჩელის ინტეგრირება ქვეყნის ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში დადებითად არის შეფასებული დოქტრინაში და საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტების მიერ.[163] ძირითადი უფლებების დაცვის თვალსაზრისით, აღნიშნული მექანიზმის შემოღება შეფასებულია, როგორც სახელმწიფოს მიერ ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის „უნივერსალური სტანდარტის“ დამკვიდრების მცდელობა.[164] სრული კონსტიტუციური სარჩელის მექანიზმი სახელმწიფოში ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის უმაღლეს სტანდარტს უზრუნველყოფს,[165] რამდენადაც იგი ფარავს ძირითადი უფლებების დაცვის იმ ე.წ. „ნაცრისფერ ზონებს“, რომელთა დაცვასაც სხვა პროცესუალური საშუალებები ვერ უზრუნველყოფენ[166]

თანამედროვე ევროპული საკონსტიტუციო სასამართლო ავსტრიელი მეცნიერის, ჰანს კელზენის პირმშოა,[167] რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს განიხილავდა კონსტიტუციისა და შესაბამისად, ადამიანის ძირითადი უფლე-

---

[162] Karakamisheva T., Constitutional Complaint – Procedural and Legal Instrument for Developmant of The Constitutional Justice (Case study – Federal Republic of Germany, Repyblic of Croatia, Republic of Slovenia and Republic of Macedonia), 1st Congress of the World Conference on Constitutional Justice, Cape Town, 23–24 January, 2009.

[163] ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 186.

[164] Speech of Mr. Haşim KILIÇ, President of the Turkish Constitutional Court, Conference - The Best Practices of Individual Complaint to the Constitutional Courts in Europe, Paris, Strasbourg, 2014, 2.

[165] Lacchi C., Review by Constitutional Courts of the Obligation of National Courts of Last Instance to Refer a Preliminary Question to the Court of Justice of the EU, Special Issue - Preliminary References to the CJEU Part Five, German Law Journal, Vol. 16, #06, 2015, 1670. მსგ., Buquicchio G., Review and Way Forward for the Individual Application System, Seven Years on Istanbul, Venice Commission, 2019, 3.

[166] Gentili G., A Comparison of European Systems of Direct Access to Constitutional Judges: Exploring Advantages for The Italian Constitutional Court, Italian Journal of Public Law, Vol. 4, 2012, 162.

[167] Stone Sweet A., Constitutional Courts and Parliamentary Democracy (Special Issue on Delegation), Yale Law School Legal Scholarship Repository, 2002, 79.

ბების დაცვის გარანტად. გამომდინარე იქიდან, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ინდივიდის ფუნდამენტური უფლებების დაცვის ყველაზე ეფექტიან საშუალებად მიიჩნევა, უფლების დაცვა უნდა იყოს არა მოჩვენებითი, არამედ საკონსტიტუციო სასამართლო აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი პროცესუალური შესაძლებლობით. ასეთ შესაძლებლობად კი, საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება მიიჩნევა საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს საკონსტიტუციო მანდატიდან გამომდინარეობს და სრულად შეესაბამება მის სამართლებრივ ბუნებას.

სრული კონსტიტუციური სარჩელის დანერგვით ეროვნულ დონეზე იქმნება უფლების დაცვის დამატებითი გარანტია, რაც განაპირობებს უფლების დაცვის ეროვნული სისტემის მიმართ საერთაშორისო ინსტიტუტების ნდობის ჩამოყალიბებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ინდივიდის სარჩელის დაკმაყოფილება უარყოფითად აისახება სახელმწიფოში დემოკრატიის ხარისხზე, რისი პრევენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი სრული კონსტიტუციური სარჩელის ინსტიტუტია. იგი განაპირობებს სახელმწიფოში არსებული დემოკრატიის ხარისხისა და შესაბამისად, საერთაშორისო ინსტიტუტების ანგარიშებში სახელმწიფოს ავტორიტეტის ზრდას. აღსანიშნავია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება, დემოკრატიის ინდექსი და საზოგადოების სასამართლოს მიმართ ნდობის ხარისხი ბევრად მაღალია, სხვა სახელმწიფოებთან შედარებით.[168] ამ მხრივ აღსანიშნავია, საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაცია Freedom House, რომლის ანგარიშებშიც სახელმწიფოები, რომლებიც ახორციელებენ მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლს, დემოკრატიულ და სრულად თავისუფალ ქვეყნებად განიხილებიან.[169]

ამ ინსტიტუტის სახელმწიფოს სამართლებრივ სივრცეში ინტეგრაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სასამართლო სისტემის ეფექტიანობაზე, რამდენადაც ეროვნულ დონეზე იქმნება დამატებითი პრევენციული მექანიზმი „ხელისუფლების ორგანოების მიერ დაშვებული შეცდომის გამოსასწორებლად“.[170] აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმართვიანობა იმ ქვეყნებიდან, სადაც საკონსტიტუციო სასამართლო საერთო სასამართლოების საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებს, ბევრად დაბალია, იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც ასეთი მექანიზმი არ გამოიყენება.[171] მიიჩნე-

---

[168] ევროპის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოები, შედარებითი კვლევა, საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური დეპარტამენტი, 2014, 13-14.

[169] იხ., <https://freedomhouse.org/countries/freedom-world/scores> [03.06.2022]

[170] იხ., Paczolay P., Report Introdaction to the Report of the Venice Commission on Inividual Access to Constitutional Justice, Conference on Individual Access to Constitutional Justice, Arequipa, Peru, 30-31 May, 2013, 2.

[171] Buquicchio G., Review and Way Forward for the Individual Application System, Seven Years on Istanbul, Venice Commission, 2019, 3.

ვა, რომ ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა უმჯობესია „ეროვნულ დონეზე, და არა ევროკავშირის დონეზე.“[172] პროფესორი დიურის შეფასებით, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ძირითად საშუალებებს შორის ყველაზე ეფექტიანი როლი მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლს გააჩნია და ქვეყნები, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოები ამ საშუალებით არიან აღჭურვილნი, შედარებით ნაკლებად ექცევიან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კრიტიკის ქვეშ.[173] სწორედ ამიტომ უჭერენ მხარს ვენეციის კომისია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნული ინსტიტუტის სახელმწიფოთა ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში ინტეგრაციას.[174]

მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის უპირატესობას, კიდევ ერთი სამართლებრივი გარემოება განაპირობებს: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსგან განსხვავებით, რომელსაც არ გააჩნია სამართლებრივი აქტების გაუქმების უფლებამოსილება, საკონსტიტუციო სასამართლოები სწრაფად და ოპერატიულად უზრუნველყოფენ მსხვერპლის[175] ძირითადი უფლების დარღვევის ფაქტის აღმოფხვრას, არამხოლოდ ნორმატიული კონტროლის, არამედ სრული კონსტიტუციური სარჩელის პირობებში.[176] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ეს ერთგვარი „სისუსტე“ დაიძლევა ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში ადამიანის უფლების დაცვის უფრო ეფექტიანი მექანიზმის დანერგვის გზით. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის „კონსტიტუციონალიზაცია ერთი გზაა, რომელიც უზრუნველყოფს კონვენციური უფლებების კონსტიტუციური სტანდარტით დაცვის შესაძლებლობას.“[177]

---

[172] იხ., იქვე, 4.

[173] დიური შ. რ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ევროპული მოდელები, პ. ჯავახიშვილის თარგმანი, „სამართლის ჟურნალი“, N2, 2017, 351.

[174] Buquicchio G., Review and Way Forward for the Individual Application System, Seven Years on Istanbul, Venice Commission, 2019, 3. ვენეციის კომისია ასევე მიესალმება საკონსტიტუციო კონტროლის იმ ფორმის ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში დანერგვას, რომელიც ქმნის შესაძლებლობას საკონსტიტუციო სასამართლოში სუბსიდიურად გასაჩივრდეს არამხოლოდ ნორმატიული აქტი, არამედ ინდივიდუალური აქტიც, რომელიც გამოცემულია ნორმატიული აქტის საფუძველზე და პოტენციურად არღვევს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს, იხ., Opinion on Three Legal Questions Arising in The Process of Drafting the new Constitution of Hungary, Adopted by the Venice Commission at its 86th Plenary Session, 2011, CDL-AD(2011)001, Opinion N614/2011, 11.

[175] ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია მიიღოს განცხადებები ნებისმიერი ფიზიკური პირისგან, არასამთავრობო ორგანიზაციისაგან, ან ცალკეული პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი. იხ., ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950.

[176] შეად., Stone Sweet A., On the Constitutionalisation of the Convention: The European Court of Human Rights as a Constitutional Court, Yale Law School Legal Scholarship Repository, 2009, 7.

[177] იხ., იქვე, 8.

სრული კონსტიტუციური სარჩელის დანერგვა კი ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში, უფლების დაცვის უფრო ეფექტიან საშუალებად მიიჩნევა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოსა და ინდივიდის ადამიანური, ფინანსური და მორალური რესურსების ეკონომიას.

სრული კონსტიტუციური სარჩელის დადებით მხარეებზე მსჯელობისას ასევე უნდა აღინიშნოს საერთო სასამართლოების სისტემაში შიდაკონტროლისა და მართლმსაჯულების ხარისხის ზრდა. საკონსტიტუციო სასამართლოსთვის საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების გადასინჯვის შესაძლებლობის მინიჭება უზრუნველყოფს სასამართლოებისა და სახელმწიფო ორგანოების მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის უკეთ გააზრებას და გადაწყვეტილებების ხარისხობრივ ზრდას, რაც თავის მხრივ, განაპირობებს მათი საქმიანობისადმი საზოგადოების ნდობის გაზრდას. სრული საკონსტიტუციო კონტროლის პირობებში საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთულობის ფაქტიც კი საკმარისია სრული კონსტიტუციური სარჩელის მექანიზმის ეფექტიანობის და მისადმი საზოგადოებრივი ნდობის დემონსტრირებისთვის.[178] ამასთან, იქმნება შესაძლებლობა, „კონსტიტუციის ზეგავლენა იგრძნობოდეს არამხოლოდ საჯარო სამართლის სფეროზე, არამედ ასევე კერძოსამართლებრივ ურთიერთობებზეც“[179] და ეფექტიანად დაინერგოს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი.

და ბოლოს, საკონსტიტუციო სასამართლოს მიზანი კონსტიტუციის დაცვის უზრუნველყოფაა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისგან. როგორც წესი, ხელისუფლების აღნიშნულ ორგანოებს შორის მოიაზრებიან საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოები. თუმცა, იმის გამო, რომ კონსტიტუციური უფლებების დარღვევა შესაძლოა განპირობებული იყოს საერთო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებითაც, უნდა არსებობდეს აღნიშნულ აქტებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობაც.[180]

1.3.2. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის უარყოფითი მხარეები

თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის დამკვიდრება

---

[178] Reiner A., Constitutional Courts of Central and European Countries as a Dynamic Source of Modern Legal Ideas, Tulane European and Civil Law Forum, Vol. 18, 2003, 111.

[179] ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 63.

[180] გეწაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, N1, 1998, 25.

მეცნიერთა შორის ფართო დისკუსიის ფონზე მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მექანიზმი ხელს უწყობს სახელმწიფოში დემოკრატიული ფასეულობების ჩამოყალიბებას და ადამიანის ძირითადი უფლებების მაღალი სტანდარტით დაცვას, არსებობს მართლმსაჯელებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებული შიშებიც. საფრთხეები, რომლებიც მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას იჩენენ თავს უკავშირდება საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილს ძალაუფლების გამიჯვნის სისტემაში, მის გავლენას ხელისუფლების სხვა შტოების საქმიანობაზე, საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობის შენარჩუნებას მოჭარბებული სარჩელების პირობებში და სისტემის ფუნქციონირების კრიტიკულ საჭიროებას, მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტიკის ჭრილში.

სრული კონსტიტუციური სარჩელის სკეპტიკოსთა უმთავრესი შიში უკავშირდება საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის პირობებში იზრდება საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიზაციის რისკი: საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც აღჭურვილია უფლებით, გააუქმოს ხელისუფლების სამივე შტოს გადაწყვეტილებები, შესაძლოა ჩართულ იქნეს პოლიტიკურ პროცესში,[181] რაც წინააღმდეგობაშია მის სამართლებრივ ბუნებასთან. მეცნიერთა ნაწილი საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლის ორგანოდ განიხილავს, ხოლო ნაწილს იგი პოლიტიკის ორგანოდ მიაჩნია.[182] გასაზიარებელია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის პოლიტიკური განზომილება აშკარაა და სწორედაც, საკონსტიტუციო სასამართლოების ბუნებას ჰიბრიდული, პოლიტიკურ-სამართლებრივი შინაარსი განაპირობებს.[183] იგი სამართლის ორგანოცაა და პოლიტიკისაც. მისი მიზანი „პოლიტიკური საკითხების წმინდა სამართლებრივი გზით გადაწყვეტაა,“[184] საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადი ფუნქცია, არა პოლიტიკისგან დაშორება, არამედ, პოლიტიკური პრობლემების წმინდა სამართლებრივი საშუალებებით მოგვარებაა.[185]

---

[181] შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 145.

[182] კვერენჩხილაძე გ., მელქაძე ო., საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, თბილისი, 1997, 133.

[183] Lach K., Sadurski W., Constitutional Courts of Central and Eastern Europe: Between Adolescence and Maturity, Journal of Comparative Law, Vol. 3, N2, 2008, 224.

[184] გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012, 26.

[185] კვერენჩხილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა და საკონსტიტუციო იუსტიციის მოდელები (ზოგიერთი თეორიული საკითხი), ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, N3, 2006, 41.

სრული კონსტიტუციური სარჩელის პირობებში კიდევ უფრო მატულობს დაძაბულობა საკონსტიტუციო და საერთო იურისდიქციის სასამართლოებს შორის. საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმებით, საკონსტიტუციო სასამართლო ემსგავსება სუპერსააპელაციო ინსტანციას, რომელიც კონტროლს ახორციელებს საერთო სასამართლოების საქმიანობაზე.[186] ამ პირობებში იქმნება სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური ავტორიტეტის უზრუნველყოფის პრობლემა.[187] თუმცა აღსანიშნავია, რომ სრული კონსტიტუციური სარჩელის პირობებში საკონსტიტუციო სასამართლოები მოქმედებენ არა როგორც სააპელაციო სასამართლოები, არამედ მათი მიზანი მიღებული გადაწყვეტილების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შეფასებაა.[188]

საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვა მოჭარბებული სარჩელებით[189] და მისი საქმიანობის ეფექტიანობის კლება, რეალური საფრთხეა მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის დანერგვისთვის.[190] ჩვეულებრივ, იმ სახელმწიფოთა საკონსტიტუციო სასამართლოები, რომლებსაც არ აქვთ უფლებამოსილება, განიხილონ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები, საქმეთა დაბალი რაოდენობით გამოირჩევიან სხვა სახელმწიფოთა საკონსტიტუციო და უზენაეს სასამართლოებთან შედარებით, რომლებიც ინდივიდუალურ სარჩელებს იღებენ განსახილველად.[191] ესპანეთის შემთხვევა ამ საფრთხის ერთ-ერთი მაგალითია: amparo-ს პროცედურის დანერგვის შემდგომ, კონსტიტუციური სარჩელების ჭარბი რაოდენობა უარყოფითად აისახა საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაზე,[192] რომლის ძირითადი ნაწილი

---

[186] ზაალიშვილი ნ., საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციური კონტროლის საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველოში მისი დამკვიდრების პერსპექტივა, იხ., <http://www.parliament.ge/files/legal_issues/publications/saerto_sasamartloebi.pdf>. [03.06.2022]

[187] Faiz P. M., A Prospect and Challenges for Adopting Constitutional Complaint and Constitutional Question in the Indonesian Constitutional Court, Constitutional Review, Vol. 2, 2016, 109. მსგ., Buquicchio G., Review and Way Forward for the Individual Application System, Seven Years on Istanbul, Venice Commission, 2019, 5.

[188] იხ., იქვე.

[189] „ადამიანებს არ აკმაყოფილებთ მართლმსაჯულების ქვემდგომ ინსტანციებში განხორციელება და მათი ბუნებრივი მოთხოვნილებაა საქმე ბოლო ინსტანციამდე ასაჩივრონ“ იხ., ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 192.

[190] Gentili G., A Comparison of European Systems of Direct Access to Constitutional Judges: Exploring Advantages for The Italian Constitutional Court, Italian Journal of Public Law, Vol. 4, 2012, 163.

[191] Faiz P. M., A Prospect and Challenges for Adopting Constitutional Complaint and Constitutional Question in the Indonesian Constitutional Court, Constitutional Review, Vol. 2, 2016, 110. იხ., ევროპის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოები, შედარებითი კვლევა, საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური დეპარტამენტი, 2014, 5; იხ., შარაშიძე მ., ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის თავისებურებანი ნორმათკონტროლის კომპეტენციის განხორციელების სფეროში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, N3, 2003, 11.

[192] Guillen Lopez e., Judicial Review in Spain: The Constitutional Court, 2008, 549-550.

სწორედ ამ ფორმის კონსტიტუციური სარჩელების დასაშვებობის შემოწმებას უკავშირდებოდა.[193] შედეგად, გაიზარდა სასამართლოს საქმიანობის დრო და კრიზისი შეიქმნა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სხვა ფუნქციების ეფექტიანად განხორციელების თვალსაზრისით.[194] აღსანიშნავია, რომ ვენეციის კომიისიის დაკვირვებით, კონსტიტუციური სარჩელების წარმოებაში მიღების ეტაპზე ეფექტიანი ფილტრაციის მექანიზმის პირობებში, საკონსტიტუციო სასამართლო დაცულია ამგვარი გადატვირთვის საფრთხისგან.[195]

დოქტრინაში ასევე არსებობს მოსაზრება, რომ მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლი ქმნის სამართლებრივი სტაბილურობის პრობლემას გაჭიანურებული აპელაციების და ვადების გამო.[196] თუმცა აღნიშნული მოსაზრება უგულებელყოფილია ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის, როგორც უმთავრესი ღირებულების მაღალი სტანდარტით დაცვის აუცილებლობით. შესაბამისად, არ არსებობს ლოგიკური არგუმენტი იმის უარსაყოფად, რომ მექანიზმი რომელიც ამ ღირებულების უკეთესად დაცვის შესაძლებლობას იძლევა, არ იქნეს დანერგილი სამართლებრივ სისტემაში.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის უფლების მინიჭება საკონსტიტუციო სასამართლოსთვის გარკვეულ რისკებს აჩენს, თუმცა მათი ძირითადი ნაწილი იმ შემთხვევაში იჩენს თავს, როცა საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის დანერგვა საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციური მომზადებისა და სამართალწარმოების პროცესის ადაპტაციის მიზნით, საჭირო ცვლილებების გარეშე ხდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფოები ამ საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, მიმართავენ ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა სასარჩელო წარმოების მატერიალური და ფორმალური წინაპირობების მკაფიო რეგლამენტირება, საკონსტიტუციო სამართალწარმოების ვადების განსაზღვრა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ღონისძიებების შემუშავება და ა.შ. აღნიშნულ საკითხებზე დეტალური მსჯელობა ქვემოთ იქნება წარმოდგენილი.

---

[193] Gentili G., A Comparison of European Systems of Direct Access to Constitutional Judges: Exploring Advantages for The Italian Constitutional Court, Italian Journal of Public Law, Vol. 4, 2012, 171.

[194] იხ., იქვე.

[195] Buquicchio G., Review and Way Forward for the Individual Application System, Seven Years on Istanbul, Venice Commission, 2019, 4.

[196] Faiz P. M., A Prospect and Challenges for Adopting Constitutional Complaint and Constitutional Question in the Indonesian Constitutional Court, Constitutional Review, Vol. 2, 2016, 105.

2. საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების კომპეტენციური ურთიერთმიმართება

2.1. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების მბოჭავი ძალა საერთო სასამართლოების მიმართ

2.1.1. განმარტებითი გადაწყვეტილებები

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მბოჭავი იურიდიული ძალა აქვს ყველა სახელმწიფო ორგანოსა და თანამდებობის პირის მიმართ. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში გაკეთებული განმარტება, რომლითაც დადგინდა ძირითადი უფლებების დარღვევის ფაქტი, მოიცავს სავალდებულო რეკომენდაციებს კანონის განმარტების თაობაზე და ყველა სახელმწიფო ორგანომ, მათ შორის, სასამართლომ აღნიშნული განმარტებით უნდა იხელმძღვანელოს.[197] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სავალდებულობა ემყარება იმ გარემოებას, რომ გადაწყვეტილება კანონის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ, „ნორმატიული წესრიგის ნაწილია, რის შედეგადაც, არაკონსტიტუციური დებულება წყვეტს მის სამომავლო გამოყენებას."[198]

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სავალდებულობა კონკრეტული ქვეყნის კონსტიტუციიდან გამომდინარეობს. საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატი ამ მიმართულებით ხშირად ყალიბდება ფორმულირებით: კონსტიტუცია არის ქვეყნის ძირითადი კანონი, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს საჯარო ხელისუფლების მიერ გამოცემული ყველა სამართლებრივი აქტი. საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც კონსტიტუციის მცველი და მთავარი ინტერპრეტატორია, გადაწყვეტილებას სადავო ნორმის საკონსტიტუციო დებულებასთან შეპირისპირების საშუალებით ადგენს. ნორმის კონსტიტუციურობის დადგენის ერთ-ერთი მთავარი ეტაპი კონსტიტუციის კონკრეტული დებულების შინაარსის იდენტიფიცირებაა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მბოჭავი ძალა გულისხმობს, არამხოლოდ მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შესრულების ვალდებულებას, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები იბოჭებიან საკონსტიტუციო სასამა-

---

[197] ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, 29.

[198] Decision N847 of 8 July 2008, published in the Official Gazette of Romania, Part I, N605 of14 August 2008, Safta M., Developments in the Constitutional Review. Constitutional Court Between the Status of Negative Legislator and the Status of Positive Co-Legislator, Perspectives of Business Law Journal, Vol. 1, Iss. 1, 2012, 15.

რთლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილითაც. გადაწყვეტილების ამ ნაწილში განიმარტება საკონსტიტუციო დებულების ნამდვილი არსი და განისაზღვრება მისი შინაარსობრივი ელემენტები, მისი კრიტერიუმები, რომელთა შესაბამისადაც სადავო ნორმის კონსტიტუციურობა უნდა დადგინდეს.

სადავო ნორმის კონსტიტუციურობის დადგენა განმარტებითი გადაწყვეტილების საფუძველზე ხორციელდება. საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული მოდელის ქვეყნებში საკონსტიტუციო სასამართლოები პირდაპირ და კონკრეტულ მითითებებს ადგენენ, „თუ როგორ უნდა შეიცვალოს არაკონსტიტუციური კანონი ისე, რომ შეიძინოს კონსტიტუციასთან თავსებადი შინაარსი.“[199] გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 1970-იან წლებში, აბორტის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით, ძალადაკარგულად ცნო დებულება, რომლის შესაბამისადაც, ლიბერალიზებული იყო აბორტი დასავლეთ გერმანიაში და პარლამენტს პირდაპირ მიუთითა მიეღო კანონი, რომელიც აბორტს დანაშაულად გამოაცხადებდა.[200] ზოგადად, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო განიხილება კონსტიტუციის მთავარ ინტერპრეტატორად, და უფრო მეტიც, მიიჩნევა, რომ „თავად ძირითადი კანონი არის ის, რა შინაარსითაც გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს მას.“[201]

საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ ნორმის კონსტიტუციურობის დადგენა ასევე ხდება სადავო ნორმის ინტერპრეტაციის კონსტიტუციურობის, ე.ი. მისი გამოყენებისა და საჯარო ხელისუფლების მიერ განმარტების კონსტიტუციის შინაარსთან შეფასებით.[202] მაშასადამე, კონსტიტუციური სარჩელი პირის მიერ შეიტანება არამხოლოდ პროცედურული დარღვევების შემთხვევაში (მაგალითად, როცა მოსარჩელე ამტკიცებს, რომ მის მიმართ დაირღვა სამართლიანი სასამართლოს უფლება), არამედ კონსტიტუციური სარჩელი ასევე შეიძლება შეეხებოდეს კანონის მატერიალური შინაარსის ინტერპრეტაციის შედეგად პირის უფლებების დარღვევის ფაქტს.[203]

---

[199] Fernandes de Andrade G., Comparative Constitutional Law: Judicial Review, Journal of Constitutional Law, 2001, 982.

[200] იხ., იქვე.

[201] Fremuth M.L., Patchwork Constitutionalism: Constitutionalism and Constitutional Litigation in Germany and beyond the Nation State - A European Perspective, Duquesne law Review, Vol. 49, Iss. 2, 2011, 347

[202] უმრავლეს შემთხვევებში ძირითადი უფლებების დაცვის თაობაზე წარდგენილი სარჩელები სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი შტოს მიერ ნორმის არასწორ ინტერპრეტაციას უკავშირდება: კანონი, რომელიც კონსტიტუციასთან შინაარსობრივად თავსებადია, საჯარო ხელისუფლების შესაბამისი შტოს მიერ არასათანადოდ განიმარტება ან იგი არასათანადოდ იყენებს კანონის საფუძველზე მისთვის მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას, იხ., Comella V. F., The Spanish Constitutional Court: Time for Reforms, Journal of Comparative Law, N3(2), 2008, 28.

[203] Rupp G. H., Judicial Review in The Federal Republic of Germany, 1960, 41.

მაგალითად, ლუთის საქმეზე გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი, საერთო სასამართლოების პრაქტიკის კონკრეტულ მიმართულებას დაედო საფუძვლად.[204] აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს, როგორც კონსტიტუციის მთავარი ინტერპრეტატორის მანდატი თანაბრად უკავშირდება, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის ევროპულ, ისე ამერიკულ მოდელს, სადაც საკონსტიტუციო კონტროლს (საკონსტიტუციო ზედამხედველობას), საერთო იურისდიქციის სასამართლოები ახორციელებენ.[205]

საკანონმდებლო ორგანო შებოჭილია არამხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომლის შესაბამისადაც ნორმა არაკონსტიტუციურად გამოცხადდა, არამედ გადაწყვეტილების მბოჭავი ძალა უმეტესად პარლამენტის სამომავლო კანონშემოქმედებით საქმიანობას შეეხება. საკანონმდებლო ორგანო მოკლებულია შესაძლებლობას მოახდინოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ინტერპრეტირება, ყოველ შემთხვევაში, იმ ფორმით, რომ იგი წინააღმდეგობაში აღმოჩნდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მოტივაციასა და ზოგადად, გადაწყვეტილების არსთან. მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულება ხშირად საკონსტიტუციო ან საკანონმდებლო დებულებად ყალიბდება, რომლის შესაბამისადაც, სამომავლოდ იკრძალება კანონის მიღება იმ შინაარსით, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ ძირითად კანონთან შეუსაბამოდ ცნო, ეს მიდგომა შეესაბამება მოსაზრებას, რომ „საკონსტიტუციო სამართალი ყოველთვის ინტერპრეტაციაა“,[206] თუმცა ამ შეფასების განზოგადება პარლამენტის საქმიანობასთან მიმართებით ვერ მოხდება.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება ხშირად ემსგავსება საკანონმდებლო საქმიანობას.[207] მართალია, საკონსტიტუციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას ჩამოაყალიბოს სავალდებულო ნორმა პოზიტიური გაგებით, თუმცა მისი შინაარსის ფორმულირებისას, საკონსტიტუციო სასამართლოს მოტივაცია შეიძლება ადგენდეს „კარგი კანონის“ კრიტერიუმებს, რომელსაც სადავო ნორმა უნდა შეესაბამებოდეს. მაგალითად, 1995 წლის

---

[204] იხ., შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ე. ჩაჩანიძის თარგმანი, თბილისი, 2011, 97-100.

[205] კვერენჩხილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა და საკონსტიტუციო იუსტიციის მოდელები (ზოგიერთი თეორიული საკითხი), ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, N3, 2006, 45.

[206] გეგენავა დ., საკონსტიტუციო იდენტობის გაგებისთვის, კრებულში „სერგო ჯორბენაძე 90“, ს. ჯორბენაძის რედაქტორობით, თბილისი, 2019, 336, იხ., ციტირება წიგნიდან Jacobsohn G. J., Constitutional Identity, 2010, 7.

[207] იხ., გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო: პოზიტიური კანონმდებლობის მცდელობა და გამოწვევები, კრებულში: „ლადო ჭანტურია 55“, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018., იხ., Garlicki L., Constitutional Courts Versus Supreme courts, International Journal of Constitutional Law, Vol. 5, N1, 2007, 65-66.

15 მაისის გადაწყვეტილებით ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ყოფილი გდრ-ის მოქალაქეები, რომლებიც ერთიანი გერმანიის აღდგენამდე, ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდნენ გფრ-ის წინააღმდეგ, ექვემდებარებიან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ჯაშუშობისთვის, მხოლოდ გარკვეული შეზღუდვებით.[208] აღნიშნული შეზღუდვები თავად საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა საკუთარ გადაწყვეტილებაში. მანამდე, 1958 წლის 11 ივნისის დადგენილებაში (ე.წ. „საქმე აფთიაქების შესახებ") ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ცნო, რომ „კერძო პრაქტიკის უფლებათა კანონით დადგენილი შეზღუდვები ეწინააღმდეგება პროფესიის თავისუფალი არჩევის ძირითად უფლებას."[209] აღნიშნული გადაწყვეტილებები მოიცავენ დასკვნებს სამართალურთიერთობათა იმ სფეროებზე, რომლებზეც შესაბამისი უფლება ვრცელდება და ა.შ. ბუნებრივია, საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიტიური ნორმაშემოქმედების მცდელობა ზღვარდადებულია და საკონსტიტუციო სასამართლოს ეკრძალება ნორმის იმგვარი ინტერპრეტაცია, რომელიც დაავიწროებს (ან გააფართოვებს) სახელმწიფო ორგანოს „თავისუფალი პოლიტიკური საქმიანობის სფეროს".[210]

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში გაკეთებული განმარტების სავალდებულობა კიდევ უფრო კომპლექსური ბუნებით ხასიათდება მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისგან განსხვავებით, რომელთა კომპეტენციური მანდატი ძირითადად კანონშემოქმედებით და ნორმააღმასრულებელ ფუნქციებს უკავშირდება, სასამართლო ხელისუფლების ორგანოები, სამართალშემფარდებელი ფუნქციით რთულად ეგუებიან სავალდებულო მოთხოვნებს, რომლებიც იმპერატიულად, კანონის მათ მიერვე გაკეთებულ ინტერპრეტაციას არ ეფუძნება. ამ განსხვავებამ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საერთო სასამართლოების ერთგვარი დაუმორჩილებლობაც კი გამოიწვია საკონსტიტუციო სასამართლოებისადმი.[211] თუმცა იქ, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ მაღალი ნდობა და ხელისუფლების ორგანოებს შორის ძლიერი სამართლებრივი კულტურაა ჩამოყალიბებული, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები სამართალშემოქმედების წყაროა საერთო სასამართლოებისთვის. ამ თვალსაზრისით გამორჩეული მაგალითი გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოა, რომ-

---

[208] ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, 30.

[209] იხ., იქვე, 29.

[210] ხუბუა გ., სამართლის თეორია 2004, თბილისი, 163.

[211] Reiner A., Constitutional Courts of Central and European Countries as a Dynamic Source of Modern Legal Ideas, Tulane European and Civil Law Forum, Vol. 18, 2003, 105.

ლის ინტერპრეტაცია არის საბოლოო და მბოჭავი ბუნებისა ხელისუფლების ნებისმიერი დაწესებულებისათვის, ნებისმიერ დონეზე,[212] მათ შორის, სასამართლო ორგანოებისთვის.[213] თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს სააპელაციო იურისდიქციას, პირდაპირი პროცედურული მნიშვნელობით.[214] აღსანიშნავია, რომ დღემდე არსებობს გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო და უზენაეს სასამართლოებს შორის შეუთანხმებლობის იშვიათი შემთხვევები.[215]

2.1.2. აბსტრაქტული ნორმათკონტროლი[216]

საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებს არამხოლოდ კანონის კონსტიტუციურობაზე, არამედ მათი განმარტების კონსტიტუციურობაზეც. თუ ნორმის განმარტება შესაძლებელია სხვადასხვა შინაარსით, საკონსტიტუციო სასამართლომ „უნდა შეარჩიოს კონსტიტუციასთან თავსებადი განმარტება."[217] ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება გავლენას ახდენს არამხოლოდ ნორმათა გარეგან, ფორმალურ შესაბამისობაზე კონსტიტუციასთან მიმართებით, არამედ ადგენს და უზრუნველყოფს მათ შინაარსობრივ შესაბამისობასაც. შინაარსობრივი თავსებადობის დადგენა საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციის ინტერპრეტატორად აქცევს, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ბუნება, მისი აღსრულებისა და სახელმწიფო ცხოვრებაში განხორციელების უპირველესი წინაპირობაა.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელსაც მბოჭავი იურიდიული ძალა აქვს, ამავდროულად erga omnes ეფექტი გააჩნია ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას.[218] სამოქალაქო ან სის-

---

[212] Starck C., Constitutional Review in the Federal Republic of Germany, Translated by Ignaski J., Notre Dame International and Comparative Law Journal, Vol. 2, 1984, 89.

[213] Prakke C. L., Constitutional Law of 15 EU Member States, Edited by Prakke L., Kortmann C., Brandhof H., Burkens M., Calogeropoulos A., Craenen G., Frieden L., Gilhuis P., Ballin E., Koekkoek A., Kraan K., lunShof H., Meij J., Schagen J., Steenbeek J., Thill J., Deventer, 2004, 357.

[214] Rupp G. H., Judicial Review in The Federal Republic of Germany, 1960, 30.

[215] დაწვრ. იხ., Garlicki L., Constitutional Courts Versus Supreme courts, International Journal of Constitutional Law, Vol. 5, N1, 2007, 53.

[216] ტერმინი „აბსტრაქტული ნორმათკონტროლი" გამოყენებულია ნორმაშემოქმედების პროცესზე საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოქმედების აღსანიშნავად და არ გულისხმობს აბსტრაქტულ საკონსტიტუციო კონტროლს, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმას.

[217] Zeidler W., The Federal Constitutional Court of the Federal Republic of Germany: Decisions on the Constitutionality of Legal Norms, Notre Dame Law Review, Vol. 62, 1987, 510.

[218] Safta M., Developments in the Constitutional Review. Constitutional Court Between the Status of Negative Legislator and the Status of Positive Co-Legislator, Perspectives of Business Law Journal, Vol. 1, Iss. 1, 2012, 2.

ხლის სამართალწარმოების პროცესისგან განსხვავებით, სადაც მოქმედებს inter pares პრინციპი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეთა გარდა, ყველას მიმართ მოქმედებს. ამ თვალსაზრისით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ჩამოყალიბებული შედეგი, ბევრად მნიშვნელოვანია სამართალწარმოების სხვა ფორმებთან შედარებით. კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების დროსაც კი, ძალადაკარგული ნორმა უქმდება ყველას მიმართ და მისი ამოღება ხდება სამართლებრივი აქტების რეესტრიდან. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას კი, მართალია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება კონკრეტულ საქმეზე, მოსარჩელის სამართლებრივი ინტერესების დაკმაყოფილებას იწვევს და იგი სხვა პირთა მიმართ უშუალოდ არ მოქმედებს, თუმცა მას მაინც გავლენა აქვს საერთო სასამართლოების საქმიანობაზე ნორმათა ინტერპრეტაციის პროცესში.

საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს აბსტრაქტულ კონტროლს ნორმაშემოქმედებაზე, რაც გულისხმობს სამართალშემოქმედების, ნორმის შინაარსისა და მათი გამოყენების პროცესზე ზედამხედველობას. საერთო სასამართლოებზე საკონსტიტუციო კონტროლის პირობებში, ამ სტატუსს ემატება საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე კონტროლიც. საკონსტიტუციო სასამართლო დემოკრატიული სახელმწიფოსა და ძალაუფლების გამიჯვნის თეორიის კონტექსტში, ერთობ მოცულობით უფლებამოსილებას დავიწროებული სპეციალიზაციის ფარგლებით უმკლავდება. ეს გულისხმობს კონტროლის შინაარსის კონკრეტიზაციას კონსტიტუციური საკითხებით, მათ შორის, ადამიანის ძირითადი უფლებების ფარგლებით. საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატი საკონსტიტუციო საკითხებით შემოიფარგლება, რაც არამხოლოდ საკონსტიტუციო დონეზეა რეგლამენტირებული, არამედ საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკითაც განმტკიცებული მიდგომაა. მაგალითად, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო სარჩელს წარმოებაში მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონსტიტუციურ სარჩელს ფუნდამენტური კონსტიტუციური მნიშვნელობა ექნება.[219]

აღსანიშნავია, რომ საერთო სასამართლოების საქმიანობის მიმართ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არამხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო და სარეზოლუციო, არამედ აღწერილობით ნაწილსაც. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში ყალიბდება განსახილველ საქმესთან დაკავშირებული გარემოებები

[219] Gentili G., A Comparison of European Systems of Direct Access to Constitutional Judges: Exploring Advantages for The Italian Constitutional Court, Italian Journal of Public Law, Vol. 4, 2012, 168. იხ., Kommers D. P., Miller R. A., Das Bundesverfassungsgericht: Procedure, Practice and Policy of the German Federal Constitutional Court, Journal of Comparative Law, N3(2), 2008, 202.

და ფაქტები, რომელთაც საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით უდავო მნიშვნელობა აქვთ. ამდენად, საერთო სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას ამ გარემოებას შესაძლოა გადამწყვეტი გავლენა ჰქონდეს.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართება ნორმაშემოქმედებაზე აბსტრაქტულად ვრცელდება სამართალშემოქმედების მთელ პროცესზე, თუმცა განსაკუთებული გავლენა კანონშემოქმედებით საქმიანობაზე აისახება. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა გულისხმობს არამხოლოდ მისი იურიდიული ძალის გაუქმებას, არამედ მას მბოჭავი ძალა აქვს სამომავლოდ პარლამენტის ნების მიმართ, რომელსაც ეზღუდება იმავე შინაარსით ახალი ნორმის მიღება. საკანონმდებლო ორგანო კანონპროექტის შემუშავებისას სხვა კრიტერიუმებთან ერთად ხელმძღვაელობს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით და უზრუნველყოფს სამართლებრივი აქტების მასთან შესაბამისობას. აღნიშნული ასევე შეეხება სახელმწიფო ხელისუფლების ნებისმიერ ორგანოს, რომელიც ეწევა ნორმაშემოქმედებით ან კანონის აღსრულების ფუნქციას.

და ბოლოს, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმაშემოქმედებაზე აბსტრაქტული კონტროლი კიდევ ერთ სამართლებრივ ნიუანსში ვლინდება: საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის იურიდიული ძალის დაკარგვის მომენტი სამომავლოდ დაუკავშიროს ისეთ სამართლებრივ ინტერესს, რომელიც სახელმწიფოსა და ინდივიდისთვის ზიანის მიყენების პრევენციას ან მის შემცირებას უზრუნველყოფს. ამ პროცესუალური შესაძლებლობით, საკონსტიტუციო სასამართლო არამხოლოდ ნორმაშემოქმედებაზე ახორციელებს საკონსტიტუციო კონტროლს, არამედ სამართლებრივი სტაბილურობის გარანტიც ხდება.

2.1.3. სასამართლო პრაქტიკის კონტროლი

საკონსტიტუციო სასამართლო მნიშვნელოვან როლს ასრულებს პრეცედენტული სამართალშემოქმედების დანერგვის თვალსაზრისით. საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლობები ძლიერია პრეცედენტული პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების მიმართულებით. საკონსტიტუციო სასამართლო მიღებული გადაწყვეტილებებით ცდილობს ჩამოაყალიბოს სამართალშემოქმედებისა და სამართალგანვითარების კონსტიტუციასთან შესაბამისი გაგება და ხელი შეუწყოს კონსტიტუციის არა შემდგომ, არამედ პრევენციულად, კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის იდეას. საკონსტიტუციო სასამართლო ამ ფუნქციას ასრულებს როგორც საკონსტიტუციო მართლწესრიგისა და სამართლებრივი სტაბილურობის მცველი.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციის ინტერპრეტაცია გავლენას ახდენს პარლამენტის კანონშემოქმედებით საქმიანობასა და სასამართლოს პრაქტიკაზე.[220] საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციის განმარტების შინაარსი სავალდებულოა საერთო სასამართლოებისთვის. იმ ქვეყნებში კი, სადაც მოქმედებს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლი, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს და დაძლიოს საერთო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კონსტიტუციასთან შეუსაბამისობის არგუმენტით. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სავალდებულობა გულისხმობს არამხოლოდ გადაწყვეტილების განუხრელ შესრულებას, არამედ მისი შინაარსისა და დასაბუთების გათვალისწინებას სასამართლოების მიერ საკუთარ საქმიანობაში. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, გააუქმოს სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტოს გადაწყვეტილებები, მათ შორის, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები და „სამართლებრივი ვალდებულებები დააკისროს მათ.“[221]

საერთო სასამართლოები ხშირად, საკუთარი ინიციატივით იყენებენ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს საკუთარ საქმიანობაში, რაც მიანიშნებს საკონსტიტუციო კონტროლის როლის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და საერთო სასამართლოების პრაქტიკაზე გავლენას. საერთო სასამართლოების მიზანი საკუთარი გადაწყვეტილებების საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანაა.[222] გარდა ამისა, საკონსტიტუციო კონტროლის პირობებში არსებობს კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას აძლევს საერთო სასამართლოებს, საკონსტიტუციო სასამართლოსაგან პასუხი მიიღონ იმ ნორმების კონსტიტუციურობის შესახებ, რომლებსაც საკუთარი გადაწყვეტილების შინაარსი უნდა დააფუძნონ.

საკონსტიტუციო კონტროლის სხვა ფორმების განხორციელებისას საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის გავლენა არაპირდაპირია და საერთო სასამართლოების მიერ საკუთარი ნებით, საკონსტიტუციო ღირებულებების ნებაყოფლობითი დანერგვის სურვილით აიხსნება. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას კი, სადაც სრული კონსტიტუციური სარჩელის ინსტრუმენტი გამოიყენება საკონსტიტუციო სასამართლოს

---

[220] Limbach J., The Role of The Federal Constitutional Court, SMU Law Review, Vol. 53, 2000, 430.

[221] Garlicki L., Constitutional Courts Versus Supreme courts, International Journal of Constitutional Law, Vol. 5, N1, 2007, 67.

[222] Starck C., Constitutional Review in the Federal Republic of Germany, Translated by Ignaski J., Notre Dame International and Comparative Law Journal, Vol. 2, 1984, 89.

მიერ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა კონსტიტუციურობის შესაფასებლად, საკონსტიტუციო სასამართლო პირდაპირ ნერგავს მართლმსაჯულებაში საკონსტიტუციო ღირებულებებს. ამ მიდგომით საკონსტიტუციო სასამართლო უმაღლეს და ყველაზე მნიშვნელოვან სასამართლო ინსტანციად ყალიბდება.[223] საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო სასამართლოს გავლენის საილუსტრაციოდ აღსანიშნავია „ლუთის საქმე", რომელმაც ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ახალი სტანდარტის დადგენას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი.[224] „ლუთის გადაწყვეტილებამ" ყურადღება გაამახვილა ძირითადი უფლებების ე.წ. „რადიაციულ გავლენაზე" და განმარტა, რომ „ძირითად კანონში მოცემული ფუნდამენტური უფლებების კატალოგი, არამხოლოდ ობიექტურად არსებული ღირებულებების სისტემაა - სუბიექტური უფლებები, არამედ, ობიექტური პრინციპებიც."[225] მისივე განმარტებით, არცერთი დებულება არ შეიძლება იყოს შეუსაბამო ძირითადი უფლებების ღირებულებით სისტემასთან და უნდა განიმარტოს მისივე სულისკვეთებით.[226] აღნიშნული საქმე პრეცედენტული მნიშვნელობისაა საერთო სასამართლოებისთვისაც.

ამდენად, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას განსაკუთრებით იზრდება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მნიშვნელობა. ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლისგან განსხვავებით, სრული კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება პირდაპირი იურიდიული შედეგის მქონეა საერთო სასამართლოების საქმიანობისთვის. საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებას არაკონსტიტუციურად მიიჩნევს, აუქმებს მას და იღებს ახალ გადაწყვეტილებას, ან ხელახალი განხილვის მიზნით უბრუნებს მას საერთო სასამართლოებს. ამ გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლო მართლმსაჯულების პროცესის კონსტიტუციურობის ასპექტს აკონტროლებს, ხოლო საერთო სასამართლოები უფრო მეტად უზრუნველყოფენ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის გაზიარებას და საკონსტიტუციო პრინციპების საკუთარ საქმიანობაში დანერგვას.

---

[223] Frremuth, Lysander M., Patchwork Constitutionalism: Constitutionalism and Constitutional Litigation in Germany and beyond the Nation State - A European Perspective, Dunquesne law Review, Vol. 49, Iss. 2, 2011, 347-348.

[224] Limbach J., The Role of The Federal Constitutional Court, SMU Law Review, Vol. 53, 2000, 431.

[225] იხ., იქვე.

[226] იხ., იქვე.

2.2. საკონსტიტუციო სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს ურთიერთმიმართება

მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის პირობებში საკონსტიტუციო და უზენაეს სასამართლოებს შორის ურთიერთობა წინააღმდეგობრივი ასპექტებით ხასიათდება. უზენაესი სასამართლო, საერთო სასამართლოების სისტემის სათავეში მყოფი, მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანოა. მისი როლი და დანიშნულება საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კასაციის წესით განხილვა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებაა. საკონსტიტუციო სასამართლო კი, სპეციალიზებული საკონსტიტუციო სასამართლოა, რომლის უმთავრესი ფუნქცია საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებით, კონსტიტუციისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვაა. სრული კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციასთან თავსებადობის ნაწილში განიხილავს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებს და უფლებამოსილია ძალადაკარგულად გამოაცხადოს ისინი.

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების ურთიერთობის თავისებურებისთვის ერთი სამართლებრივი გარემოების განმარტებაა მიზანშეწონილი: საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საჯარო ხელისუფლების აქტების კონსტიტუციურობის შეფასება მკაცრად დადგენილი წინაპირობების საფუძველზე ხორციელდება, რომელთა შორის, აღსანიშნავია, სუბსიდიურობის პრინციპი: საკონსტიტუციო სასამართლო საერთო სასამართლოების გადაწყვეტილების თაობაზე წარდგენილ სარჩელს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიღებს წარმოებაში, თუ მოსარჩელეს ამოწურული აქვს სამართლებრივი დაცვის ყველა სხვა სამართლებრივი საშუალება. ამ მიზეზით კონსტიტუციური სარჩელები საკონსტიტუციო სასამართლოში იქამდე ვერ ხვდება, ვიდრე სასამართლო გასაჩივრების ყველა ინსტანცია არ იქნება ამოწურული. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო ძირითადად, სწორედ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა კონსტიტუციურობას განიხილავს, რომელიც საერთო სასამართლოების სისტემის სათავეშია და გასაჩივრების ბოლო ინსტანციაა მართლმსაჯულების სისტემაში. სწორედ ეს გარემოება განსაზღვრავს მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას საკონსტიტუციო და უზენაეს სასამართლოებს შორის ურთიერთობის ანატომიას.

უზენაეს და საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის წინააღმდეგობრივი ურთიერთობის რამდენიმე ასპექტი შეიძლება გამოიყოს. პირველ რიგში, იმ

ქვეყნებში, სადაც საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება, კიდევ უფრო იზრდება კონკურენცია და წინააღმდეგობა საკონსტიტუციო და უზენაეს სასამართლოებს შორის, რაც გარკვეული თვალსაზრისით ინსტიტუციური კონფლიქტის წინაპირობა შეიძლება გახდეს.[227] ამ პირობებში ყალიბდება საკონსტიტუციო სასამართლოს მეოთხე ინსტანციად გადაქცევის ერთგვარი შიში, რომელიც ნასაზრდოებია მხოლოდ გასაჩივრების ფაქტის შესაძლებლობით. წონადი არგუმენტი, რომელიც ამ მოსაზრებას უპირისპირდება, მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების ფარგლებს უკავშირდება: საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს არა საქმესთან დაკავშირებულ ფაქტებს, არამედ გადაწყვეტილების შესაბამისობას კონსტიტუციასთან.[228] საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს მხოლოდ იმას, რამდენად დაცულია კონკრეტული ძირითადი უფლება და არ ახდენს ფაქტების და საქმეში არსებული სამართლებრივი პრობლემის შეფასებას.

გარდა ამისა, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციო კონტროლის პირობებში, საკონსტიტუციო სასამართლოს, საერთო სასამართლოებთან მიმართებით მნიშვნელოვანი კომპეტენციური უპირატესობა გააჩნია. საკონსტიტუციო სასამართლოს ექსკლუზიური უფლებამოსილება, ძირითადი კანონის შესაბამისად, საკონსტიტუციო საკითხების გადაწყვეტაა.[229] ამ მანდატის გათვალისწინებით მიიჩნევა, რომ სამართლებრივი უსაფრთხოება და კონსტიტუციის უზენაესობა უკეთაა დაცული, როცა საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებს სასამართლო ხელისუფლებისგან ცალკე მდგომი ინსტიტუცია, რომელიც „დაკომპლექტებულია უფრო დემოკრატიული გზით, ვიდრე საერთო სასამართლოები.“[230]

ასევე გასათვალისწინებელია უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების ისტორიული წარმოშობა და ფუნქციური სპეციალიზაცია. საკონსტიტუციო სასამართლოები ხელისუფლების საჯარო შტოებისგან განსხვავებული წესით ყალიბდებიან და მათი ავტორიტეტი არსებითად დამოკიდებულია მიუკერძოებელ და სამართლიან გადაწყვეტილებაზე, მაშინ როცა უზენაეს სასამართლოებს, რომლებიც მართლმსაჯულებას ახორციელებენ, შეუძლიათ მხო-

---

[227] Faiz P. M., A Prospect and Challenges for Adopting Constitutional Complaint and Constitutional Question in the Indonesian Constitutional Court, Constitutional Review, Vol. 2, 2016, 110.

[228] Buquicchio G., Review and Way Forward for the Individual Application System, Seven Years on Istanbul, Venice Commission, 2019, 3.

[229] Zeidler W., The Federal Constitutional Court of the Federal Republic of Germany: Decisions on the Constitutionality of Legal Norms, Notre Dame Law Review, Vol. 62, 1987, 504.

[230] Comella V. F., The Spanish Constitutional Court: Time for Reforms, Journal of Comparative Law, N3(2). 2008, 23.

ლოდ კასაციის ფუნქცია განახორციელონ[231] და მათი დაკომპლექტების წესში ნაკლებად არის გათვალისწინებული პოლიტიკური მონაწილეობის პრინციპი.

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო, საერთო სასამართლოების სისტემასთან, და კონკრეტულად, უზენაეს სასამართლოსთან შედარებით ახალგაზრდა ინსტიტუტია. საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული მოდელის ისტორია მდიდარია წინააღმდეგობებით და გამარჯვებებით, თუმცა საკონსტიტუციო ტრიბუნალები, რომლებიც მნიშვნელოვან გამოწვევებს აწყდებიან, ჯერ კიდევ ინსტიტუციური ეფექტიანობის გამოცდას აბარებენ ახალი დემოკრატიის ქვეყნებში. საკონსტიტუციო და უზენაეს სასამართლოებს შორის ურთიერთობის დრამატულობა ყველაზე უკეთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში იკვეთება, სადაც ჩეხეთისა და პოლონეთის მაგალითზე, საკონსტიტუციო სასამართლოს უპირატესი როლის მიუხედავად, უზენაესი სასამართლოები, რომლებიც საერთო სასამართლოების სისტემას მიეკუთვნებიან, სიფრთხილით უდგებიან საკონსტიტუციო სასამართლოს ხედვების იმპლემენტაციას მათ საქმიანობაში.[232] თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, აღნიშნულ ინსტიტუტებს შორის წინააღმდეგობრივი ურთიერთობა კონსტიტუციურ ფარგლებში ნარჩუნდება და შეკავება-გაწონასწორების პრინციპის შესაბამისად წარიმართება.

---

[231] შეად., Hazama Y., Constitutional Review in Turkey: Multilevel Analysis, Researchmethods Cases, 2017, 3.

[232] Reiner A., Constitutional Courts of Central and European Countries as a Dynamic Source of Modern Legal Ideas, Tulane European and Civil Law Forum, Vol. 18, 2003, 105.

3. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის მოდელები და სამართლებრივი გეოგრაფია

3.1. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის კლასიკური მოდელები

3.1.1. გერმანული მოდელი

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბება ნაცისტური რეჟიმის შემდგომ პერიოდს და გერმანიაში ძირითადი კანონის მიღებას უკავშირდება.[233] მანამდე გერმანიაში არ არსებობდა კანონის კონსტიტუციურობის შემოწმებაზე უფლებამოსილი შესაბამისი საკონსტიტუციო მნიშვნელობის ორგანო.[234] საკონსტიტუციო კონტროლის ჩამოყალიბება გერმანიაში მიზნად ისახავდა ისეთი ინსტიტუტის ფორმირებას, რომელსაც კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში არსებული კანონების ანულირების უფლება ექნებოდა. ასე დამკვიდრდა გერმანიაში საკონსტიტუციო ხელისუფლების პრინციპი „Constitutional Governance,"[235] რომელიც დღესაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმმართველი იდეაა გერმანიის საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო არის უმაღლესი სასამართლო, რომელსაც „ბოლო სიტყვა ეკუთვნის ფედერალური კონტიტუციის მშენებლობაში."[236] იგი პოლიტიკის ორგანოცაა და სამართლისაც[237] და ამავდროულად, ფლობს საკონსტიტუციო საკითხებზე მართლმსაჯულების გა-

---

[233] ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ჩამოყალიბდა 1949 წლის გერმანიის ძირითადი კანონის საფუძველზე და საქმიანობა დაიწყო 1951 წლიდან.

[234] ვაიმარის კონსტიტუციით გათვალისწინებული იყო საკონსტიტუციო იურისდიქციის არსებობა, მაგრამ მისი განხორციელება ევალებოდა იუსტიციის უმაღლეს ორგანოს – საიმპერატორო სასამართლოს და სახელმწიფო სასამართლო პალატას, რომელიც წყვეტდა გერმანიის მიწების ფარგლებში წარმოშობილ საკონსტიტუციო დავებს, იხ., მელქაძე ო., რამიშვილი ნ., გერმანიის კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 1999, 149-150.

[235] Kommers D. P., Miller R. A., Das Bundesverfassungsgericht: Procedure, Practice and Policy of the German Federal Constitutional Court, Journal of Comparative Law, N3(2), 2008, 196.

[236] Rupp G. H., The Federal Constitutional Court and The Constitution of The Federal Republic of Germany, 1972, 359.

[237] ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ბუნების დუალურობას ხაზს უსვამს ის გარემოებაც, რომ გერმანიაში საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბებისას გაჟღერდა მოსაზრება საკონსტიტუციო კონტროლის ორი ორგანოს ჩამოყალიბების თაობაზე, რომელთაგან ერთი განიხილავდა კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობას, ხოლო მეორე, უფრო პოლიტიკური უფლებებით იქნებოდა აღჭურვილი და ხელისუფლების შტოებსა და ორგანოებს შორის წარმოშობილ დავებს გადაწყვეტდა, იხ., Kommers D.,P., Miller R. A., Das Bundesverfassungsgericht: Procedure, Practice and Policy of the German Federal Constitutional Court, Journal of Comparative Law, N3(2), 2008, 196.

ნხორციელების მონოპოლიას.[238] მას გააჩნია ყოვლისმომცველი კომპეტენცია საკონსტიტუციო სამართლის ნებისმიერ საკითხთან მიმართებით[239] და გამორჩეულ როლს ასრულებს გერმანიის, როგორც სამართლებრივ სისტემაში, ისე პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში.[240] ამ მნიშვნელობის გათვალისწინებით, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო დიდი მოწონებით სარგებლობს და მუდმივად სახელდება სამ მოწინავე ინსტიტუციას შორის, რომელსაც ყველაზე მეტად ენდობიან გერმანიის მოქალაქეები.[241]

გერმანიის სასამართლო სისტემა რთული სტრუქტურული მრავალფეროვნებით გამოირჩევა,[242] რომელშიც ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო განსაკუთრებულ როლს ასრულებს. იგი აღჭურვილია კონსტიტუციის დაცვის ძირითადი გარანტის სტატუსით.[243] გერმანიის ძირითადი კანონი ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებებს ანიჭებს. იგი ერთდროულად სასამართლო ორგანოცაა და უმაღლესი საკონსტიტუციო ორგანოც.[244] ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მართალია, სასამართლო ხელისუფლების ორგანოა, თუმცა ერთგვარი ფუნქციური განსაკუთრებულობა გამორიცხავს მის მოთავსებას სასამართლო ხელისუფლების სისტემაში. „ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო არამხოლოდ კონსტიტუციის დამცველი და ძირითადი ინტერპრეტატორია, არამედ ნეგატიური კანონმდებელი და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უკანასკნელი ეროვნული ინსტანცია.“[245]

გერმანიის საკონსტიტუციო სინამდვილეში დანერგილი სრული ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის მექანიზმი გამოხატავს „გერმანიის ძირითადი კანონის ზოგად სულისკვეთებას“, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემ-

---

[238] Fernandes de Andrade G., Comparative Constitutional Law: Judicial Review, Journal of Constitutional Law, 2001, 981.

[239] Rupp G. H., The Federal Constitutional Court and The Constitution of The Federal Republic of Germany, 1972, 362; Finck D., E., Judicial Review: The United States Supreme Court Versus the German Constitutional Court, Boston College International and Comparative Law Review, 127, 1997.

[240] Wittig C. E., Ideological Values and their Impact on the Voting Behavior of Justices of the Federal Constitutional Court of Germany, Thesis Master of Public Administration, 2009, 27. 22.

[241] იხ., იქვე, 23.

[242] გერმანიაში მართლმსაჯულება ხორციელდება ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს, ფედერალური სასამართლოებისა და მიწების სასამართლოების მიერ. გერმანიის სასამართლო სისტემაში სასამართლო ხელისუფლება იყოფა საკონსტიტუციო სამართალწარმოებად და სამართალწარმოების ხუთ დამოუკიდებელ დარგად, რომელთაც სათავეში უდგანან ფედერაციის შესაბამისი უმაღლესი სასამართლოები, იხ., ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, 13.

[243] Finck D., E., Judicial Review: The United States Supreme Court Versus the German Constitutional Court, Boston College International and Comparative Law Review, 1997, 137.

[244] ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, 15.

[245] მელქაძე ო., რამიშვილი ნ., გერმანიის კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 1999, 162.

დგომ იქნა მიღებული და რომელიც ცენტრალურ ადგილს ადამიანის ღირსებას და ზოგადად, ფუნდამენტური უფლებების დაცვას უთმობს.[246] უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის ძირითადი კანონის შემუშავების პროცესში დებატები მოჰყვა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსთვის უფლებამოსილების მინიჭებას, განეხილა ინდივიდთა კონსტიტუციური სარჩელები.[247] საბოლოოდ, კონსტიტუციური სარჩელის მექანიზმი ჯერ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ 1949 წლის კანონში, ხოლო მოგვიანებით 1969 წელს გერმანიის ძირითად კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად აისახა.[248]

სრული კონსტიტუციური სარჩელის საშუალებით პირს უფლება აქვს მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფედერალური და მიწის კანონის გაუქმების, ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების ან ფედერალური ან მიწების სასამართლოების გადაწყვეტილებათა გაუქმების მოთხოვნით, იმ მოტივით, რომ მათი ქმედებით დაირღვა კონსტიტუციით გარანტირებული მისი ძირითადი უფლება.[249] ეს უფლებამოსილება სუბსიდიური ბუნებისაა.[250] სასამართლოს აღნიშნულ უფლებამოსილებას ყველაზე დიდი ადგილი უკავია გერმანიის საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში[251] და ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ნახევარზე მეტი ამ კატეგორიის საქმეებს უკავშირდება.[252] აღსანიშნავია, რომ ფედერა-

---

[246] Gentili G., A Comparison of European Systems of Direct Access to Constitutional Judges: Exploring Advantages for The Italian Constitutional Court, Italian Journal of Public Law, Vol. 4, 2012, 167; იხ., Patrono M., The Protection of Fundamental Rights by Constitutional Courts – A Comparative Perspective, 2000, 409.

[247] მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ აღნიშნული ინსტრუმენტის ეროვნულ სამართლის სისტემაში ინტეგრაციას შეეძლო არსებითად ახალი გარანტია შეექმნა ფუნდამენტური უფლებების დაცვისათვის და მათი დაცვის ხარისხი მიმდინარე კანონმდებლობიდან, საკონსტიტუციომდე აემაღლებინა. მეცნიერთა მეორე ნაწილი კი სიფრთხილეს იჩენდა და ეჭქვეშ აყენებდა საჯარო ხელისუფლების ორგანოების მზაობას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ძირითადი უფლებების დაცვის თაობაზე. იხ., Borowski, M., The Beginnings of Germany's Federal Constitutional Court. Ratio Juris, Vol. 16 #2, 2003, 168-170; Barnet R. J., The Protection of Constitutional Rights in Germany, Virginia Law Review, Vol. 45, 1959, 1155.

[248] Durr S. R., Improving Human Rights Protection on the National and The European Levels - Individual Access to Constitutional Courts, Studii Si Anticole, 2015, 41. პაკტე პ., მელენ-სუკრამანიანი ფ., კონსტიტუციური სამართალი, სამეცნიერო რედ.. ავ. დემეტრაშვილი, თბილისი, 2012, 274.

[249] The Basic Law of the Federal Republic of Germany, Art. 93(1)(4)(a).

[250] Rupp G. H., The Federal Constitutional Court and The Constitution of The Federal Republic of Germany, 1972, 360; იხ., პაკტე პ., მელენ-სუკრამანიანი ფ., კონსტიტუციური სამართალი, სამეცნიერო რედ.. ავ. დემეტრაშვილი, თბილისი, 2012, 274; Palguna G. D., Constitutional Complaint and The Protection of Citizens The Constitutional Rights, Constitutional Review, 3, N1, 2017, 2.

[251] Wittig C. E., Ideological Values and their Impact on the Voting Behavior of Justices of the Federal Constitutional Court of Germany, Thesis Master of Public Administration, 2009, 27.

[252] Prakke L. C., Constitutional Law of 15 EU Member States, Edited by Prakke L., Kortmann C., Brandhof H., Burkens M., Calogeropoulos A., Craenen G., Frieden L., Gilhuis P., Ballin E., Koekkoek A., Kraan K., lunShof H., Meij J., Schagen J., Steenbeek J., Thill J., Deventer, 2004, 356.

ლურ საკონსტიტუციო სასამართლოში ყოველწლიურად 6 000-მდე კონსტიტუციური სარჩელის წარდგენა ხდება, რის შედეგადაც, 1951 წლის 7 სექტემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე უკვე 238 048 საქმეზე განხორციელდა შესაბამისი პროცედურა.[253] მართალია, საშუალოდ სარჩელთა მხოლოდ 2%-ია წარმატებული,[254] თუმცა ეს სულაც არ მიანიშნებს, მექანიზმის არაეფექტიანობაზე. არსებული მოსაზრებით, აღნიშნული ფაქტი „მხოლოდ გადაწყვეტილების პარადიგმატულ ხასიათს გამოხატავს, რომელიც გავლენას ახდენს პოლიტიკოსების, თანამდებობის პირებისა და მოსამართლეების სამომავლო ქცევაზე."[255] ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, სწორედ ამ კატეგორიის საჩივრების შედეგია საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების არსებობა.[256]

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლი ეფექტიანი მექანიზმია ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის, სასამართლოების თვითკონტროლის გაუმჯობესებისა და სამართალგანვითარების ხელშეწყობისთვის. ზოგიერთი მეცნიერი გერმანიის საკონსტიტუციო სამართალში დამკვიდრებულ საკონსტიტუციო კონტროლის ამ ფორმას უნივერსალურად მიიჩნევს, რადგან მარტივი პროცედურის გამოყენებით შესაძლებელია პირის კონსტიტუციური უფლებების ეფექტიანი დაცვა.[257] საკონსტიტუციო კონტროლის ეს ფორმა მრავალი ქვეყნის შთაგონების წყარო გახდა ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის თვალსაზრისით და მათ მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკა დღესაც მოდელურ ეტალონად განიხილება ახალი დემოკრატიის ქვეყნებისთვის.

---

[253] German Federal Constitutional Court, Annual Statistic 2018, published 2019, იხ., <https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Downloads/EN/Statistik/statistics_2018.pdf?__blob=publicationFile&v=4> [03.06.2022]

[254] 1951 წლიდან 1971 წლამდე საკონსტიტუციო სასამართლოში 25 181 სარჩელი შევიდა, საიდანაც 23 399 ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელი იყო და მათგან მხოლოდ 263 დაკმაყოფილდა იხ., Rupp G. H., The Federal Constitutional Court and The Constitution of The Federal Republic of Germany, 1972, 362. ასევე 2012 წელს პირველმა სენატმა დაუშვებლად ცნო შემოსული საქმეების 52%, მეორე სენატმა – 91%, დაშვებული საქმეებიდან დაკმაყოფილებული სარჩელების პროცენტული მაჩვენებელია 2.78%. 2011 წელს პირველმა სენატმა დაუშვებლად ცნო შემოსული საქმეების 49%, ხოლო მეორე სენატმა – 89%. დაშვებული საქმეებიდან წარმატებული სარჩელების პროცენტული მაჩვენებელია 1.62%. ყოველწლიურად სასამართლო განიხილავს 6 000-მდე სარჩელს, რომელთა უმრავლესობა სრული კონსტიტუციური სარჩელია,
იხ., <https://www.bundesverfassungsgericht.de/EN/Homepage/home_node.html> [03.06.2022]

[255] Limbach J., The Role of The Federal Constitutional Court, SMU Law Review, Vol. 53, 2000, 429.

[256] Gentili G., A Comparison of European Systems of Direct Access to Constitutional Judges: Exploring Advantages for The Italian Constitutional Court, Italian Journal of Public Law, Vol. 4, 2012, 169.

[257] იხ., Singer M., The Constitutional Court of The German Federal Republic: Jurisdiction Over Individual Complaints, 1982, 332.

3.1.2. ესპანური მოდელი

გენერალი ფრანკოს დიქტატორული რეჟიმის დასრულების შემდეგ, სახელმწიფო ხელისუფლების დემოკრატიზაციის სურვილმა წარმოშვა კონსტიტუციის დაცვის სისტემის ჩამოყალიბების საჭიროება ესპანეთში.[258] იტალიისა და გერმანიის სახელმწიფოების გავლენით,[259] ესპანეთში დაიწყო მსჯელობა საკონსტიტუციო კონტროლის კონცენტრირებული მოდელის ჩამოყალიბებაზე.[260] საკონსტიტუციო სასამართლოები, ამ სისტემის შესაბამისად, მოიაზრებოდნენ მომავალში, კონსტიტუციების პოლიტიკური სტაბილურობის გარანტად, რამდენადაც ისინი დიდწილად იყვნენ პასუხისმგებელნი კონსტიტუციის ტექსტის სოციალურ მიმღებლობაზე (ე.წ. „constitutional feeling“)[261] ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს წარმატებულმა პრაქტიკამ საბოლოოდ, ამ არჩევანის მართებულობა ნათელი გახადა.

ესპანეთის დღევანდელი საკონსტიტუციო სასამართლო მეორე ტალღის საკონსტიტუციო სასამართლოების ჯგუფს მიეკუთვნება,[262] თუმცა საკონსტიტუციო ტრიბუნალი ესპანეთში ჯერ კიდევ საკონსტიტუციო კონტროლის გარიჟრაჟზე, 1931-1936 წლებში ფუნქციონირებდა.[263] ამ დროს ესპანეთი, ლიხტენშტეინთან და ჩეხოსლოვაკიასთან ერთად ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც საკონსტიტუციო კონტროლის „ავსტრიული“ მოდელი დანერგა, თუმცა მისი საქმიანობა გენერალი ფრანკოს დიქტატორულმა რეჟიმმა იმსხვერპლა.[264]

ესპანეთში ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის საყოველთაოდ ცნობილ პროცესუალურ საშუალებას „recurso de amparo“ სახელწოდებით მოიხსენიებენ.[265] უფლების დაცვის ეს ინსტიტუტი ესპანეთის 1978 წლის კონსტიტუციაში დამკვიდრდა გერმანული მოდელის გავლენით და საბოლოოდ დაინერგა

---

[258] Guillen Lopez e., Judicial Review in Spain: The Constitutional Court, 2008, 562.

[259] Comella V. F., The Spanish Constitutional Court: Time for Reforms, Journal of Comparative Law, N3(2) 2008, 23.

[260] Guillen Lopez e., Judicial Review in Spain: The Constitutional Court, 2008, 530.

[261] იხ., იქვე.

[262] ზოგიერთი მეცნიერი საკონსტიტუციო კონტროლის ევროპაში დამკვიდრების პროცესს სამ ეტაპად ყოფს: საკონსტიტუციო ტრიბუნალების ჩამოყალიბების პირველი ეტაპი უკავშირდება ნაციზმის დასრულების შემდეგ, გერმანიასა და იტალიას, მეორე ეტაპი - ესპანეთსა და პორტუგალიას, ხოლო მესამე ეტაპი - პოსტკომუნისტურ ევროპას. იხ., Sólyom L., The Role of Constitutional Courts in the Transition to Democracy, With Special Reference to Hungary, International Sociology Vol. 18, N1, 2003, 135.

[263] Comella V. F., The Spanish Constitutional Court: Time for Reforms, Journal of Comparative Law, N3(2) 2008, 23.

[264] დაწვრ., იხ., იქვე.

[265] Fasone C., Constitutional Courts Facing the Euro Crisis. Italy, Portugal and Spain in a Comparative Perspective, EUI Working Papers, European University Institute, MWP N2014/25, 2014, 8.

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ 1979 წლის კანონით.[266] ესპანეთის კონსტიტუციის 53-ე მუხლის შესაბამისად, კონსტიტუციით აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს პატივი უნდა სცეს ყველა სახელმწიფო ორგანომ.[267] თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს დაიცვას კონსტიტუციით აღიარებული უფლებები და თავისუფლებები ნებისმიერი სასამართლოსადმი მიმართვის გზით, სადაც საქმე „განხილულ უნდა იქნეს სასწრაფოდ და პრიორიტეტულად, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის საშუალებით."[268] მიიჩნევა, რომ აღნიშნული უფლებამოსილება არსებითი მნიშვნელობისაა ესპანეთის „დემოკრატიული ინტეგრაციისა და კონსტიტუციის სიძლიერისათვის."[269]

ესპანეთის კონსტიტუციის შესაბამისად, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელსაც კანონიერი ინტერესი გააჩნია, შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს amparo-ს საშუალებით და მოითხოვოს ესპანეთის კონსტიტუციის მე-14-30-ე მუხლებით გარანტირებული ძირითადი უფლებების დაცვა,[270] რომელიც, მისი მოსაზრებით, ირღვევა ესპანეთის საჯარო ხელისუფლების უმოქმედობით (vía de hecho)[271] ან ქმედებით.[272] კონსტიტუციური სარჩელის წარდგენით (recurso de amparo) შესაძლებელია გასაჩივრდეს საჯარო ხელისუფლების და მისი წარმომადგენლების მიერ გამოცემული ადმინისტრაციული და ნორმატიული აქტები, ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებები,[273] გასაჩივრების სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის პირობით.[274] ნიშანდობლივია, რომ უფლების დაცვის აღნიშნული საშუალება არ გამოიყენება სოციალური უფლებების თაობაზე, განათლების უფლების გარდა.[275]

---

[266] Gentili G., A Comparison of European Systems of Direct Access to Constitutional Judges: Exploring Advantages for The Italian Constitutional Court, Italian Journal of Public Law, Vol. 4, 2012, 169.

[267] Constitution of Spain, 1978, Art. 53(1).

[268] იხ., იქვე.

[269] Guillen Lopez e., Judicial Review in Spain: The Constitutional Court, 2008, 540.

[270] აღსანიშნავია, რომ ესპანეთის კონსტიტუცია მოიცავს უამრავ უფლებას, თუმცა მე-14-30-ე მუხლებით განსაზღვრული უფლებები მიიჩნევა ფუნდამენტურად და კანონმდებელს არ შეუძლია მათი შეცვლა. იხ., Comella V. F., The Spanish Constitutional Court: Time for Reforms, Journal of Comparative Law, N3(2), 2008, 28.

[271] Organic Law on The Constitutional Court of Spain, N2/1979, Art. 41, p. 2.

[272] The Spanish Constitution, 1978, Art. 14-30.

[273] Organic Law on The Constitutional Court of Spain, N2/1979, Art. 47(1).

[274] Gentili G., A Comparison of European Systems of Direct Access to Constitutional Judges: Exploring Advantages for The Italian Constitutional Court, Italian Journal of Public Law, Vol. 4, 2012, 170. იხ., Comella V. F., The Spanish Constitutional Court: Time for Reforms, Journal of Comparative Law, N3(2), 2008, 28.

[275] Fasone C., Constitutional Courts Facing the Euro Crisis. Italy, Portugal and Spain in a Comparative Perspective, EUI Working Papers, European University Institute, MWP N2014/25, 2014, 8.

„amparo“-ს პროცედურით საქმის განხილვის შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ინდივიდუალურია და მხოლოდ მოსარჩელის მიმართ ვრცელდება.[276] თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გავლენას ახდენს საერთო სასამართლოების სამომავლო პრაქტიკაზე.

ესპანეთის კანონმდებლობა, საჯარო ხელისუფლების მიერ გამოცემული აქტის ბუნებიდან გამომდინარე ძირითადი უფლების დარღვევის თაობაზე სამი სახის „amparo“-ს იცნობს: ა) პარლამენტის აქტის თაობაზე, ბ) მთავრობისა და ადმინისტრაციული გადაწყვეტილების თაობაზე გ) სასამართლოს გადაწყვეტილების თაობაზე.[277] საარჩევნო სისტემის შესახებ ესპანეთის ორგანული კანონი ასევე ითვალისწინებს საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებულ „amparo“-ს, თუმცა იგი კონკრეტული კვლევის მიზნებისთვის ნაკლებად რელევანტურია.[278] აღსანიშნავია, რომ ამ კატეგორიის სარჩელები, რომელთა დიდი ნაწილი კონსტიტუციის 24-ე მუხლით განსაზღვრულ ეფექტიანი სასამართლო დაცვის უფლებას შეეხება,[279] ყველაზე მეტია გერმანიისა და ესპანეთის საკონსტიტუციო პრაქტიკაში.[280]

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას რაც შეეხება, ესპანეთში საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესი იმავე გამოწვევის წინაშე დადგა, რა სირთულეებიც მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის უფლების საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მინიჭებამ გამოიწვია სხვა სახელმწიფოებში,[281] თუმცა მოზღვავებული სარჩელების საპასუხოდ,[282] 2007 წელს, „amparo“-ს პროცედურის მიმართ განხორციელებული რეფორმის შედეგად, „საკონსტიტუ-

---

[276] შულაია ს., ევროპულ სახელმწიფოთა საკონსტიტუციო სასამართლოები - ეროვნულ დონეზე საქმის წარმოების ბოლო ინსტანცია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმის განხილვამდე, კრებულში: „ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები“, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2009, 266.

[277] Organic Law on The Constitutional Court of Spain, N2/1979, Art. 42, 43, 44.

[278] The Act of the Electoral System of Spain, Art. 49(3), Art. 114(2).

[279] Gentili G., A Comparison of European Systems of Direct Access to Constitutional Judges: Exploring Advantages for The Italian Constitutional Court, Italian Journal of Public Law, Vol. 4, 2012, 171.

[280] Stone Sweet A., Constitutional Courts and Parliamentary Democracy (Special Issue on Delegation), Yale Law School Legal Scholarship Repository, 2002, 87.

[281] მაგალითად, ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ 2009 წლის ესპანეთის ბიუჯეტი ნაწილობრივ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა, საპარლამენტო უმცირესობის მიმართვიდან 5 წლის თავზე. იხ., Fasone C., Constitutional Courts Facing the Euro Crisis. Italy, Portugal and Spain in a Comparative Perspective, EUI Working Papers, European University Institute, MWP N2014/25, 2014, 12; იხ., Клишас А. А. Конституционное Юстиция в Зарубежных Странах, Москва, 2004, 115.

[282] ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების საშუალო ხანგრძლივობა 2-დან 9 წლამდე მერყეობდა, იხ., Fasone C., Constitutional Courts Facing the Euro Crisis. Italy, Portugal and Spain in a Comparative Perspective, EUI Working Papers, European University Institute, MWP N2014/25, 2014, 11.

ციო სასამართლომ სარჩელების განხილის პროცესში ერთგვარი „ჩამორჩენა“ შეამცირა და ამჟამად კონტროლირებად ნიშნულზეა.“[283] დღეს ეს უფლებამოსილება განსაკუთრებული ყურადღებით გამოიყენება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ და დადგენილია მისი რეალიზაციის მკაფიო საზღვრები.[284]

amparo-ს პროცედურა, როგორც ადამიანის ძირითადი უფლების დაცვის საშუალება და მისი სახესხვაობები (“recurso de amparo“, „juicio de amparo“, „writ of amparo“), ასევე დამკვიდრებულია ცენტრალური აზიის ქვეყნებში, ფილიპინებზე,[285] ინდონეზიაში[286] და ლათინური ამერიკის ქვეყნებში - მექსიკაში,[287] კოსტა რიკაში,[288] ჩილეში,[289] კოლუმბიაში,[290] ეკვადორსა და ვენესუელაში[291] თუმცა, აღნიშნული სახელმწიფოების ნაწილში საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში არსებული საკონსტიტუციო პალატის (მაგ., კოსტა რიკა) მიერ, ხოლო უმეტეს შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლის ქვეშ ექცევა საჯარო ხელისუფლების მიერ გამოცემული აქტები - კანონები, ადმინისტრაციული აქტები, სტატუტები და არა უშუალოდ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები, (მაგ. ინდონეზია[292]), რის გამოც აღნიშნული მაგალითების დეტალური განხილვა კვლევით ნაშრომთან მიმართებით დეტალურად არ მოხდება. ზოგადად, კოლონიალური და დიქტატორული რეჟიმების დასრულებამ საკონსტიტუციო კონტროლის იდეის პოპულარიზაცია

---

[283] ამგვარი „შეფერხების“ (რეტროაქტიულ ეფექტთან დაკავშირებული პრობლემები) თავიდან აცილების მიზნით, ზოგადი წესისგან გამონაკლისის სახით, საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთარ თავს მიანიჭა გასაჩივრებული აქტების წინასწარი კონსტიტუციურობის შეფასების უფლება. იხ., Fasone C., Constitutional Courts Facing the Euro Crisis. Italy, Portugal and Spain in a Comparative Perspective, EUI Working Papers, European University Institute, MWP N2014/25, 2014, 11.

[284] იხ., Fasone C., Constitutional Courts Facing the Euro Crisis. Italy, Portugal and Spain in a Comparative Perspective, EUI Working Papers, European University Institute, MWP N2014/25, 2014, 11.

[285] Cardinal P., The Writ of Amparo, A New Lighthouse for The Rule of Law in the Philippines?, Philippine Law Journal, Vol.87, 2013; Loren Ramos A., The Writ of Amparo and Habeas Data: Judicial Approaches to Human Rights Implementation in the Philippines, LawAsia Journal, 87, 2011.

[286] Faiz P. M., A Prospect and Challenges fot Addopting Constitutional Complaint and Constitutional Question in the Indonesian Constitutional Court, Constitutional Review, Vol. 2, 2016.

[287] Zagaris B., The Amparo process in Mexico, Mexico Law Journal, Vol. 6, 1998; Constitution of Mexico, 1917; იხ., Клишас А. А. Конституционное Юстиция в Зарубежных Странах, Москва, 2004, 80.

[288] Benatuil E. J., The Amparo: Analysis of the Process for Adjudicating Constitutional Claims to Healthcare in the Republic of Costa Rica, Duquense Law Review, Vol. 56, 2018; Constitution of Costa Rica, 1949

[289] Constitution of Chile, 1980.

[290] Constitution of Columbia, 1991.

[291] Frosini J. O., Pegoraro L., Constitutional Courts in Latin America: A Testing Ground for New Parameters of Classification, Journal of Comparative Law, Vol 3, #2, 2008, 46; იხ., Faiz P. M., A Prospect and Challenges for Adopting Constitutional Complaint and Constitutional Question in the Indonesian Constitutional Court, Constitutional Review, Vol. 2, 2016, 108-109; Constitution of the Bolivarian Republic of Venezuela, 1999.

[292] Constitution of the Republic of Indonesia, 1945.

გამოიწვია აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, სადაც ერთი გამონაკლისის გარდა, მოქმედებს საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული მოდელი, თუმცა აღნიშნულ ქვეყნებში საკონსტიტუციო კონტროლი არ ვრცელდება საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე.[293]

ესპანეთის საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში დამკვიდრებულმა მოდელმა, რომელიც გერმანული გამოცდილების გათვალისწინებით დაინერგა ჯერ ესპანეთის, ხოლო მოგვიანებით, აღმოსავლეთ აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში, გამორჩეული კვალი დატოვა აღნიშნულ ქვეყნებში საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაზე. მოდელური თავისებურებების მიუხედავად, რაც amparo-ს პროცედურისგან თვისობრივ და არა არსობრივ განსხვავებაში გამოიხატება, ეს მექანიზმი ჩამოყალიბდა როგორც ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ეფექტიანი საშუალება. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის ესპანური მოდელის რეცეფცია დღესაც მიმდინარეობს ახალი დემოკრატიის ქვეყნებში და შთააგონებს მათ სამართლებრივ სისტემაში ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის უკეთესი სტანდარტის დანერგვას.

3.2. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლი აღმოსავლეთ ევროპაში

3.2.1. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში[294]

მეოცე საუკუნის დასასრული პოსტკომუნისტურ ევროპაში საკონსტიტუციო მართლმსაჯულების დამკვიდრებისათვის ბრძოლის ეპოქად მიიჩნევა,[295] როდესაც ევროპის ქვეყნებმა საკონსტიტუციო კონტროლის სისტემის შემოღებით, საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება მიანდეს ცენტრალიზებული მოდელის საკონსტიტუციო სასამართლოებს.[296] საკონსტიტუციო

[293] საკონსტიტუციო სასამართლო ფუნქციონირებს ტაივანში, მონღოლეთში, სამხრეთ კორეაში, ინდონეზიასა და ტაილანდში. ფილიპინებში საკონსტიტუციო კონტროლის ამერიკული დეცენტრალიზებული მოდელია დამკვიდრებული, ხოლო კამბოჯასა და აღმოსავლეთ ტიროლში ფრანგული მოდელის მსგავსი საკონსტიტუციო საბჭო. იხ., Croissant A., Provisions, Practices and Performances of Constitutional Review in Democratizing East Asia, The Pacific Review, vol. 23, N5, 2010, 550. იხ., Ginsburg, T., Constitutional Courts in East Asia: Understanding Variation. Journal of Comparative Law, N3(2), 2008, 80-99.

[294] ტერმინი „პოსტკომუნისტური ევროპა“ იხ., შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003.

[295] იხ., იქვე 149.

[296] Piqani D., Constitutional Courts in Central and Eastern Europe and Their Attitude towards European Integration, Vol.1, EJLS, N2, 2007, 1.

მართლმსაჯულების მძლავრი ტალღის გაჩენა ევროპის მასშტაბით მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა პერიოდმა განაპირობა,[297] როდესაც ევროპული ქვეყნები მთელი მონდომებით ცდილობდნენ დემოკრატიულ რეჟიმზე გადასვლას.[298] აღმოსავლეთ ევროპის განვითარებულმა დემოკრატიებმა საკონსტიტუციო სასამართლოები ჩამოაყალიბეს ავსტრიულ და გერმანულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომლებიც თავის მხრივ, აღნიშნული სისტემის ინტეგრაციას ავსტრიის კონსტიტუციის „მამას“ - ჰანს კელზენს უმადლიან.[299] აღნიშნული გავლენა, გეოგრაფიული და კულტურული სიახლოვის ფაქტორთან ერთად, განაპირობა ევროპის საბჭოს მტკიცე მხარდაჭერამ, რამაც საბოლოოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა „ევროპის ქვეყნებში პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელების თვალსაზრისით.“[300]

აღმოსავლეთ ევროპის ახალ დემოკრატიებში საკონსტიტუციო სასამართლოების საქმიანობამ ცხადყო, რომ მათ შეეძლოთ ევროპის ინტეგრაციის პროცესის მნიშვნელოვანი მონაწილეები ყოფილიყვნენ, რაც „უზრუნველყოფდა ეროვნული სამართლებრივი წესრიგის გარდაქმნას ევროპის ერთიან წესრიგად.“[301] საკონსტიტუციო ტრიბუნალები გახდნენ ეროვნულ დონეზე თანამედროვე დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ინსტიტუტები.[302]

საკონსტიტუციო მართლმსაჯულების დამკვიდრების პირველივე ეტაპზე დისკუსია გამოიწვია საკითხმა, საკონსტიტუციო კონტროლის რომელი მოდელი უზრუნველყოფდა დემოკრატიული მიზნების უკეთ რეალიზაციას და უნდა ითქვას, რომ პროცესები თითქმის მთელი ევროპის მასშტაბით ლიტვის მსგავსად წარიმართა.[303] ამ უკანასკნელმა საკონსტიტუციო კონტროლის ამერიკული

---

[297] ბეჟიტაშვილი ო., საკონსტიტუციო კონტროლი იტალიაში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, N2, 1997, 68.

[298] შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 144; იხ., Lach K., Sadurski W., Constitutional Courts of Central and Eastern Europe: Between Adolescence and Maturity, Journal of Comparative Law, Vol. 3, N2, 2008, 213.

[299] Hausmaninger H., Judicial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany and Russia, Tulane European and Civil Law Forum, 1997, 26; Stone Sweet A., Constitutional Courts and Parliamentary Democracy (Special Issue on Delegation), Yale Law School Legal Scholarship Repository, 2002, 79.

[300] Piqani D., Constitutional Courts in Central and Eastern Europe and Their Attitude towards European Integration, Vol. 1, EJLS, N2, 2007, 1. იხ., Lach K., Sadurski W., Constitutional Courts of Central and Eastern Europe: Between Adolescence and Maturity, Journal of Comparative Law, Vol. 3, N2, 2008, 214.

[301] Piqani D., Constitutional Courts in Central and Eastern Europe and Their Attitude towards European Integration, Vol.1, EJLS, N2, 2007, 1.

[302] Ganev V.I., The Rise of Constitutional Adjudication in Bulgaria, Constitutional Justice, East and West: Democratic Legitimacy and Constitutional Courts in Post-Communist Europe in a Comparative Perspective, 2003, 250.

[303] Sadurski W., Postcommunist Constitutional Courts in Search of Political Legitimacy, EUI Law, 2001/11, 12.

მოდელი იმ მოტივით უარყო, რომ სრულიად დამოუკიდებელი ინსტიტუტის არსებობა აუცილებელი იყო კონსტიტუციის განუხრელი შესრულებისა და სახელმწიფო ხელისუფლების შტოებს შორის ძალაუფლების გამიჯვნისა და დაბალანსებისთვის.[304] ამ მიდგომის ერთგვარი გაგრძელება და შედეგია ის გარემოება, რომ მაგალითად, უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლო, გარკვეული მოსაზრებით, განიხილეს, როგორც მსოფლიოში ყველაზე მძლავრი საკონსტიტუციო სასამართლო.[305]

აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიზაციის პირველივე ეტაპზე საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება მიენიჭათ ინდივიდებს ალბანეთში[306], სომხეთში,[307] ხორვატიაში,[308] ჩეხეთში,[309] ესტონეთში,[310] უნგრეთში,[311] ლატვიაში,[312] მონტენეგროში,[313] პოლონეთში,[314] სერბეთში[315], სლოვაკეთში,[316] სლოვენიაში,[317] რუსეთსა[318] და უკრაინაში.[319] თუმცა ჩამოთვლილი ქვეყნებიდან საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმი მხოლოდ ნაწილში მოქმედებს, რომელთაგან წარმატებულ მაგალითად მიჩნეული რამდენიმე ქვეყნის პრაქტიკის განხილვაა მიზანშეწონილი.

ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, სადაც მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლი დამკვიდრდა ჩეხეთის რესპუბლიკაა. ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის გერმანული მოდელითაა შთაგონებული ჩეხეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალიც, რომელმაც ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სრულყოფილი გერმანული მოდელი და გერმანული საკონსტიტუციო პრაქტიკა საფუძვლად დაუდო ჩეხეთის საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას.[320] ჩეხე-

---

[304] Gelazis N., Defending Order and Freedom: The Lithuanian Constitutional Court in its First Decade, Constitutional Justice, East and West, 2003, 395.

[305] Elster J., On Majoritarianism and Rights, East European Constitutional Review, 1992, N3, 22.

[306] Constitution of Republic of Albania, 1998.

[307] Constitution of Armenia, 1995.

[308] The Constitution of The Republic of Croatia, 1990.

[309] Constitution of Czech Republic, 1992.

[310] Constitution of Estonia, 1992.

[311] Constitution of Hungary, 2011.

[312] Constitution of Republic of Latvia, 1922.

[313] Constitution of Montenegro, 2007.

[314] Constitution of Poland, 1997.

[315] The Constitution of Serbia, 2006.

[316] Constitution of the Slovak Republic, 1992.

[317] Constitution of Slovenia, 1991.

[318] Constitution of Russia, 1993.

[319] Constitution of Ukraine, 1996.

[320] Lacchi C., Review by Constitutional Courts of the Obligation of National Courts of Last Instance to Refer a Preliminary Question to the Court of Justice of the EU, Special Issue - Preliminary References to the CJEU Part Five, German Law Journal, Vol. 16, N06, 2015, 1673.

თის კონსტიტუციის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართვის საფუძველზე განიხილავს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებების კონსტიტუციასთან შესაბამისობას, თუ ისინი არღვევენ კონსტიტუციით გარანტირებულ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.[321] ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ უფლებამოსილების ფარგლებში, ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დაცვა სუბსიდიური ბუნებისაა.[322]

საკონსტიტუციო კონტროლის ეფექტიანი მექანიზმების დანერგვის თვალსაზრისით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის აღსანიშნავია საკონსტიტუციო ცვლილებები უნგრეთში, სლოვენიასა და ხორვატიაში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კრიტიკული დამოკიდებულების გათვალისწინებით,[323] 2011 წელს უნგრეთის ეროვნულმა ასამბლეამ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ აქტი[324] და ქვეყნის ახალი ძირითადი კანონი მიიღო, რომელიც 2012 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა.[325] ახალი საკონსტიტუციო სინამდვილის ჩამოყალიბებამ სახელმწიფო ხელისუფლების სხვა სფეროებთან ერთად გავლენა მოახდინა საკონსტიტუციო კონტროლის არსებულ მოდელზე. საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციური ტრანსფორმაციის შედეგად, ძირითადი კანონით განისაზღვრა კონსტიტუციური სარჩელის სამი ფორმა[326] და გაუქმდა უნგრეთში საკონსტიტუციო კონტროლის მანამდე მოქმედი მოდელი actio popularis.[327] რომელიც, ვენეციის კომისიის შეფასებით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვას იწვევდა.[328] ახალი საკონსტიტუციო ცვლილებებით ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის

---

[321] Constitution of Czech Republic, 1992, Art. 87(1)(D); Constitutional Court Act, 1992, Art. 75(1).

[322] იხ., იქვე.

[323] Jyzsef Van v. Hungary, #21495/93, 1993.

[324] იხ., უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდი <https://hunconcourt.hu/general-information> [03.06.2022]

[325] Fundamental Law of Hungary, 2011, Art., 24.

[326] Gardos-Orosz F., The Hungarian Constitucional Court in Transition – from Actio Popularis to Constitutional Complaint, 2012, 308-311.

[327] საკონსტიტუციო ცვლილებამდე, არსებული საკონსტიტუციო კონტროლის აღნიშნული ფორმა იყო სამართლებრივი საშუალება, რომელიც ნებისმიერ პირს, მათ შორის, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, აგრეთვე უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს, საშუალებას აძლევდა სარჩელით მიემართათ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მხოლოდ კანონისა და ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის თაობაზე, ისე, რომ არ იყო ვალდებული დაესაბუთებინა, რომ გასაჩივრებული აქტი მის ძირითად უფლებას არღვევდა. უნგრეთში დამკვიდრებული აღნიშნული ფორმა მთელი 20 წლის განმავლობაში დისკუსიისა და განსხვავებული მოსაზრებების ჩამოყალიბების საფუძველი იყო.

[328] უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლო actio popularis ფარგლებში ყოველწლიურად 1600 სარჩელს იღებდა წარმოებაში, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვის სერიოზულ რისკს ქმნიდა. იხ., Opinion on Three Legal Questions Arising in The Process of Drafting the new Constitution of Hungary, Adopted by the Venice Commission at its 86th Plenary Session, 2011, CDL-AD (2011)001, Opinion N614/2011, 11.

მიმართვის უფლება მიეცათ იმ შემთხვევაში, როდესაც მათი ძირითადი უფლებების დარღვევა გამოწვეულია საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებით და მოითხოვს სასამართლოს გადაწყვეტილების ძირითად კანონთან შესაბამისობის დადგენას, სუბსიდიურობის პრინციპის დაცვით,[329] აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელეს არ აქვს შესაძლებლობა სარჩელით მიმართოს საერთო სასამართლოებს.[330] კონსტიტუციური სარჩელის აღნიშნული ფორმა სრულ კონსტიტუციურ სარჩელად მოიხსენიება.[331]

სრული კონსტიტუციური სარჩელის მექანიზმი სპეციფიკური ფორმით ასევე დამკვიდრებულია სლოვენიაში. კერძოდ, სლოვენიის კონსტიტუციისა[332] და საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ აქტის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს საჯარო ხელისუფლების მიერ გამოცემული ინდივიდუალური აქტის კონსტიტუციურობას, იმ შემთხვევაში, თუ ამოწურულია მისი გასაჩივრების ყველა სამართლებრივი საშუალება.[333] აღნიშნული გულისხმობს ირიბად, საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე. იდენტური ფორმულირება გვხვდება ხორვატიის კანონმდებლობაში, რომელიც ასევე აძლევს ინდივიდებს შესაძლებლობას, მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს თუ მიაჩნიათ, რომ საჯარო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო თანამდებობის პირის მიერ გამოცემული აქტით ირღვევა მათი ძირითადი უფლება.[334] ამ უფლების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ყველა სამართლებრივი საშუალების ამოწურვის პირობით.[335] აღნიშნულ ქვეყნებში ადმინისტრაციულ აქტებზე საკონსტიტუციო კონტროლის გავრცელების მიუხედავად, ნორმატიულ წყაროებში, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობაზე მითითების არარსებობის გამო, სლოვენიასა და ხორვატიაში დამკვიდრებული საკონსტიტუციო კონტროლის მოდელი, ფორმალური თვალსაზრისით, მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის არაკლასიკურ მოდელს მიეკუთვნება.

---

[329] Fundamental Law of Hungary, 2011, Art. 24(2)(D).

[330] Gardos-Orosz F., The Hungarian Constitucional Court in Transition – from Actio Popularis to Constitutional Complaint, 2012, 302.

[331] იხ., იქვე, 309.

[332] Constitution of Slovenia, 1991, Art. 160.

[333] Constitutional Court Act of Slovenia, 2007, Art. 50(1), Art. 51(1).

[334] The Constitution of The Republic of Croatia, 2014, Art. 125; The Constitutional Act on the Constitutional Court of The Republic of Croatia, 2002, Art. 62(1), Art. 62(2).

[335] ხორვატიაში დიდი ხნის განმავლობაში ასევე გამოიყენებოდა actio popularis, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვის სერიოზულ რისკს ქმნიდა. მაგალითაც, მხოლოდ ერთ-ერთმა გადამდგარმა მოსამართლემ სასამართლოს 700-მდე სარჩელი წარუდგინა. იხ., Durr S. R., Improving Human Rights Protection on the National and The European Levels - Individual Access to Constitutional Courts, Studii Si Anticole, 2015, 45.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც მუდმივად პოლიტიკური ანგარიშწორების სამიზნე იყო,[336] ვერ განვითარდა ადამიანის კონსტიტუციის დაცვის იმგვარ ეფექტიან მექანიზმად, როგორც ეს მოხდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის თვალსაზრისით, ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლით შემოიფარგლება.[337] კერძოდ, რუსეთის ფედერაციაში აპელანტებს არ გააჩნიათ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობა, არამედ კონსტიტუციურობის თვალსაზრისით, საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში ექცევა მხოლოდ კანონები, რომელთა საფუძველზეც გამოტანილია სასამართლოს გადაწყვეტილებები.[338] უფრო მეტიც, საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციული აქტების დიდი ნაწილიც.[339]

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო კონტროლის იდეა აღმოსავლეთ ევროპაში წარმატებული აღმოჩნდა, რაც განაპირობა იმ გარემოებამ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ტოტალიტარული რეჟიმის შემდგომ ინსტიტუტს, არ ამძიმებდა ბნელი პოლიტიკური წარსული[340] და მისი საქმიანობა დემოკრატიზაციის ახალი ტალღის პირობებში, ისტორიის სუფთა ფურცლიდან დაიწყო. როგორც ჩანს ამ ინსტიტუტის „ბედისწერა დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტის - კონსტიტუციის დაცვა იყო."[341] ამდენად, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრება ნაციონალურ დონეზე, ამ სახელმწიფოების მიზანი და თანამედროვე სინამდვილე გახდა, რომელმაც თავის მხრივ უბიძგა საკონსტიტუციო გარდაქმნებს სამხრეთ კავკასიაში.

---

[336] Hausmaninger H., Judicial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany and Russia, Tulane European and Civil Law Forum, 1997, 34.

[337] უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის უზენაესი სასამართლოს მიერ 1995 წლის 31 ოქტომბერს ქვემდგომი სასამართლოებისთვის მიცემული რეკომენდაციის შესაბამისად, საერთო სასამართლოებს შეეძლოთ მიემართათ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, თუ ისინი არ იყვნენ დარწმუნებული გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციურობაში, თუმცა აღნიშნული იყო უფლება და არა ვალდებულება. თუმცა მოგვიანებით საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა აღნიშნული „შესაძლებლობა განმარტა არა როგორც უფლება, არამედ როგორც ვალდებულება". იხ., Hausmaninger H., Juditial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany and Russia, Tulane European and Civil Law Forum, 1997, 335-36.

[338] The Constitution of Russian Federation, 1993, Art. 125(2); Federal Constitutional Law on The Constitutional Court of The Russian Federation, 1994, Art. 3.

[339] Hausmaninger H., Judicial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany and Russia, Tulane European and Civil Law Forum, 1997, 34.

[340] Reiner A., Constitutional Courts of Central and European Countries as a Dynamic Source of Modern Legal Ideas, Tulane European and Civil Law Forum, Vol. 18, 2003, 103.

[341] იხ., იქვე.

3.2.2. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლი სამხრეთ კავკასიაში[342]

სრული კონსტიტუციური სარჩელის მექანიზმი, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული ქმედებებისაგან დაცვის საშუალება, აქტიურად გამოიყენება არამხოლოდ ევროპის მასშტაბით, არამედ აზიასა და სამხრეთ კავკასიაშიც. აზიის სახელმწიფოების საკონსტიტუციო სასამართლოები და საკონსტიტუციო კონტროლის ექვივალენტი ორგანოები გაწევრიანებულნი არიან აზიის საკონსტიტუციო სასამართლოებისა და მისი ექვივალენტი ინსტიტუციების ასოციაციაში (AACC), რომლის 16 წევრი სახელმწიფოდან 4-ის საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში ფართოდ არის დანერგილი კონსტიტუციური სარჩელის მექანიზმი (აზერბაიჯანი, სამხრეთ კორეა, ტაილანდი და თურქეთი).[343] თუმცა ჩამოთვლილ სახელმწიფოებს შორისაც განსხვავებულია საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი, მაგ., თურქეთსა და აზერბაიჯანში საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლები ფართოა და მოიცავს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამოცემულ აქტებს და სასამართლო გადაწყვეტილებებსაც, მაშინ როცა ტაილანდსა და სამხრეთ კორეაში საკონსტიტუციო კონტროლი საერთო სასამართლოების მიერ გამოცემულ გადაწყვეტილებებზე არ ხორციელდება.[344] თუმცა აზიის ქვეყნებთან დაკავშირებით დეტალურად უკვე იყო მსჯელობა.

საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირება სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული მოდელის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით ხორციელდება. ამ სახელმწიფოებში არსებული პოლიტიკური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით, განსხვავებულია საკონსტიტუციო სამართალწარმოების აქტივიზმი. მიუხედავად ამისა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მსგავსად, ეს სახელმწიფოებიც ცდილობენ გაიზიარონ საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები და ნაციონალურ კანონმდებლობაში უზრუნველყონ ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მექანიზმები. აღნიშნულის მაგალითი აზერბაიჯანსა და თურქეთში დამკვიდრებული სრული კონსტიტუციური სარჩელის

---

[342] დაწვრ. იხ., ჯავახიშვილი პ., საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციო კონტროლი: სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების გამოცდილება და პერსპექტივები, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2016.

[343] Chakim M. L., A Comparative Perspective on Constitutional Complaint: Discussing Models, Procedures, and Decesions, Constitutional Review, Vol. 5, 2019, 96; Harding A., Leyland P., The Constitutional Courts of Thailand and Indonesia: Two Case Studies from South East Asia, Journal of Comparative Law Vol. 3(2), 2008, 123.

[344] Chakim M. L., A Comparative Perspective on Constitutional Complaint: Discussing Models, Procedures, and Decesions, Constitutional Review, Vol. 5, 2019, 96.

მექანიზმია. იმის გამო, რომ სომხეთის საკონსტიტუციო სასამართლო არ იცნობს მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტს,[345] სამეცნიერო კვლევის მიზნებიდან გამომდინარე მხოლოდ დანარჩენი ორი ქვეყნის საკონსტიტუციო გამოცდილება იქნება განხილული.

თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლო ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი უძველესია,[346] რომელიც 1961 წელს დაფუძნდა, როგორც პარლამენტის მიერ მიღებული კანონების კონსტიტუციურობის შემოწმებაზე პასუხისმგებელი ორგანო.[347] 2010 წელს თურქეთის კონსტიტუციაში მასშტაბური ცვლილებები განხორციელდა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოსაც შეეხო.[348] მათ შორის, აღნიშნული ცვლილებებით, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი ინდივიდუალური სარჩელით მიმართვის ინსტიტუტი დამკვიდრდა,[349] თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ პირველი კონსტიტუციური სარჩელი 2012 წლის 23 სექტემბერს მიიღო წარმოებაში.[350] თურქეთის კონსტიტუციის 148-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ნებისმიერ პირს, რომელსაც მიაჩნია, რომ დაირღვა „ევროპული კონვენციის საფუძველზე, თურქეთის კონსტიტუციით გარანტირებული მისი ფუნდამენტური უფლება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ, უფლება აქვს მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს.“[351] თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლო აქტიურად განიხილავს ინდივიდთა სარჩელებს,[352] სამართლებრივი

---

[345] ჯავახიშვილი პ., საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციო კონტროლი: სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების გამოცდილება და პერსპექტივები, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2016.

[346] Introductory Booklet of the Constitutional Court of Turkey, Constitutional Court of Turkey, 9, იხ., <https://www.anayasa.gov.tr/en/publications/introductory-booklet/> [03.06.2022]

[347] Cakmak C., Dinc C, Constitutional Court: Its Limits to Shape Turkish Politics, Insight Turkey, Vol 12, N4, 2010, 7. Örücü, E., The Constitutional Court of Turkey: The Anayasa Mahkemesi as the Protector of the System, Journal of Comparative Law, Vol. 3(2), 2008, 257.

[348] აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან ერთად გასათვალისწინებელია რეგიონში არსებული ძირითადი უფლებების დაცვის სისტემები, რის გამოც, ქვეთავში ასევე განხილულია თურქეთის საკონსტიტუციო გამოცდილება, რომელიც გეოგრაფიულად შესაძლოა კლასიკურად არ მივაკუთნოთ სამხრეთ კავკასიას.

[349] Constitutional Court of Turkey, Introductory Booklet of the Constitutional Court of Turkey, 2012, 23.

[350] Faiz P. M., A Prospect and Challenges for Adopting Constitutional Complaint and Constitutional Question in the Indonesian Constitutional Court, Constitutional Review, Vol. 2, 2016, 112; იხ., Üstün B., Protection of Human Rights by the Turkish Constitutional Court, Short History of the Turkish Constitutional Court, იხ., <http://www.constcourt.md/public/files/file/conferinta_20ani/programul_conferintei/Bur- han_Ustun.pdf> [03.06.2022]

[351] The Constitution of the Republic of Turkey, 1982, art. 148; Ekinci H., and Saglam M., Individual Application to the Turkish Constitutional Court, Ankara, 2015, 5.

[352] 2012-2016 წლებში თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლოში შესული ინდივიდუალური განაცხადების რაოდენობა 45 000-ს აღწევს, საიდანაც 85% სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციას უკავშირდებოდა იხ., Faiz P. M., A Prospect and Challenges fot Addopting Constitutional Complaint and Constitutional Question in the Indonesian Constitutional Court, Constitutional Review, Vol. 2, 2016, 113.

საშუალებების ამოწურვის პირობით,[353] რის გამოც 2013 წელს საქმეზე Hasan Uzun v. Turkey[354] ვენეციის კომისიამ კიდევ ერთხელ აღნიშნა თურქეთში დამკვიდრებული სრული კონსტიტუციური სარჩელის მექანიზმის ეფექტიანობა ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის თვალსაზრისით.[355]

აზერბაიჯანის საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც კონსტიტუციის უზენაესობისა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მცველი, 1998 წელს ჩამოყალიბდა.[356] აზერბაიჯანის საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებამოსილება ეფუძნება საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ აზერბაიჯანის კანონის 34-ე მუხლს, რომლის შესაბამისად, ნებისმიერ პირს, რომელსაც მიაჩნია, რომ მისი ძირითადი უფლებები დაირღვა საკანონმდებლო, აღმასრულებელი ან მუნიციპალური ორგანოს, ასევე სასამართლო დაწესებულების მიერ, შეუძლია საკუთარ უფლებათა და თავისუფლებათა აღდგენის მიზნით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს.[357] ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია განიხილოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციასთან შესაბამისობა, თუ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა ან არასწორი ინტერპრეტაცია მისცა კანონს და აღნიშნული ქმედებებით დაირღვა პირის კონსტიტუციური უფლებები.[358] აღნიშნული უფლებამოსილება აზერბაიჯანში საერთაშორისო ინსტიტუტების რეკომენდაციით დამკვიდრდა.[359] უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა არაპირდაპირია და პირველი საფეხური ომბუდსმენისათვის მიმართვაა.[360] ამასთან, აზერბაიჯანის საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს არამხოლოდ საერთო სასამართლოს (ამ შემთხვევაში - უზენაესი სასამართლოს) გადაწყვეტილების კონსტიტუციასთან შესაბამისობა, არამედ კანონშესაბამისობაც, რაც,

---

[353] Gonenc L., Proposed Constitutional Amendments to the 1982 Constitution of Turkey, 2010, 4-5.

[354] Hasan Uzun v. Turkey, [ECHR], App. N10755/13, 14 May, 2013.

[355] Buquicchio G., Review and Way Forward for the Individual Application System, Seven Years on Istanbul, Venice Commission, 2019, 4.

[356] Chakim M. L., A Comparative Perspective on Constitutional Complaint: Discussing Models, Procedures, and Decesions, Constitutional Review, Vol. 5, 2019, 113.

[357] Constitution of the Republic of Azerbaijan 1995, Art. 130; The Law on the Constitutional Court of Azerbaijan, Art. 34(1).

[358] The Law on Constitutional Court of Azerbaijan, Art. 34(1).

[359] Martin C. H., Comparative Human Rights Jurisprudence in Azerbaijan: Theory, Practice and Prospects, Journal of Transnational Law & Policy, College of Law The Florida State University, Tallahassee, 2005, 230.

[360] Chakim M. L., A Comparative Perspective on Constitutional Complaint: Discussing Models, Procedures, and Decesions, Constitutional Review, Vol. 5, 2019, 115.

გარკვეული მოსაზრებით, აზერბაიჯანის საკონსტიტუციო სასამართლოს მართლმსაჯულების კიდევ ერთ დამატებით საფეხურად აქცევს.[361] უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანის საკონსტიტუციო სინამდვილეში დამკვიდრებული სრული კონსტიტუციური სარჩელის მექანიზმი დაბალი სამართლებრივი აქტივიზმისა და პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით, არ მიიჩნევა წარმატებული ევროპული ქვეყნების შესაბამის მოდელად.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ევროპის ქვეყნების საკონსტიტუციო გამოცდილების შესაბამისად, საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სფეროში განხორციელებული ცვლილებების მიზანი ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის უკეთესი სტანდარტის დადგენა იყო. აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური ეპოქის დასასრულმა, დემოკრატიზაციის ახალი ტალღის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, რის ერთ-ერთ მთავარ განმაპირობებლად საკონსტიტუციო ტრიბუნალები იქცნენ. სრული კონსტიტუციური სარჩელის მექანიზმის ინტეგრაციამ კი აღნიშნული ქვეყნების სამართლებრივ სისტემაში, ხელი შეუწყო ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ეფექტიანი შიდაეროვნული სისტემის ჩამოყალიბებას, რამაც ასახვა ჰპოვა ასევე, სამხრეთ კავკასიაზეც. დღესდღეობით, საქართველოს მეზობელ ორ ქვეყანაში არსებული საკონსტიტუციო კონტროლის მოდელი, მათი ეფექტიანობისთვის ხელისშემშლელი მრავალი ფაქტორის მიუხედავად, გამოსადეგ მაგალითად შეიძლება იქნეს მიჩნეული საქართველოში ფუნდამენტური უფლებების დაცვის გაუმჯობესებისთვის.

[361] მენაბდე ვ., კონკრეტული კონტროლის პარადიგმა კონსტიტუციონალიზმში, კრებულში: „ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები“, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2010, 143.

III. საკონსტიტუციო კონტროლის ქართული მოდელი და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციური სტატუსი

1.1. საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც საკონსტიტუციო ორგანო

საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო სინამდვილეში საკონსტიტუციო სასამართლოები აქტიურ როლს ასრულებენ სახელმწიფოს დემოკრატიული გარდაქმნისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის პროცესში. საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც დემოკრატიის პირმშო,[362] უზრუნველყოფს ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.[363] საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო ორგანო, რომლის მიზანი საკონსტიტუციო სამართლის ნორმატიული უზენაესობის დაცვაა.[364] აღნიშნული ფუნქციის უზრუნველყოფისთვის, იგი აღჭურვილია ფართო უფლებამოსილებებით, რომელიც მოიცავს ფორმალური,[365] აბსტრაქტული და კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის ფართო არსენალს.[366]

---

[362] შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 45.

[363] ხეცურიანი ჯ., საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017 წ.) და საკონსტიტუციო სასამართლო, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი", სპეციალური გამოცემა, N1/2018 , 8.

[364] Stone Sweet A., Constitutional Courts, Yale Law School Legal Scholarship Repository, 2012, 817; იხ., ტუღუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, 11.

[365] 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონიდან ამოღებულ იქნა უფლებამოსილება, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმალური კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას ანიჭებდა, რის გამოც, მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მოკლებულია ფორმალური საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას. იხ., ხეცურიანი, ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2020, 15-16. თუმცა სხვა მოსაზრებით, საკონსტიტუციო კონტროლის საკონსტიტუციო საფუძველი არ ექვემდებარება მატერიალურ და ფორმალურ კონტროლად კლასიფიკაციას და საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს ფორმალური საკონსტიტუციო კონტროლიც.

[366] ზოგიერთი ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს, ნორმის არარსებობის კონსტიტუციურობის

„საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკური ნეიტრალურობა და მიუმხრობლობა სამართლებრივი სახელმწიფოს ფუძემდებლური პრინციპია“.[367] საკონსტიტუციო სასამართლოები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ „პოლიტიკური ლანდშაფტის ჩამოყალიბებაზე.»[368] თუმცა თავად საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი ბუნება გარკვეული სახის ეჭვებს წარმოშობს, მისი პოლიტიკური თუ სამართლებრივი კუთვნილების გამო. აღნიშნულის გამოვლინებაა დისკუსია, რომელიც თან ახლდა გერმანიაში, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბებას. კერძოდ, გაჟღერდა მოსაზრება საკონსტიტუციო კონტროლის ორი ორგანოს ჩამოყალიბების თაობაზე - ერთი განიხილავდა კანონთა კონსტიტუციასთან შესაბამისობას, ხოლო მეორე - უფრო პოლიტიკური უფლებებით იქნებოდა აღჭურვილი და ხელისუფლების შტოებსა და ორგანოებს შორის წარმოშობილ დავებს შეაფასებდა.[369] სწორედ ეს, ერთგვარი დუალიზმი განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოს ჭეშმარიტ ბუნებას,[370] რის გამოც, საკონსტიტუციო სასამართლო, მისი საქმიანობის პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით, პოლიტიკის ორგანოდაც შეგვიძლია მივიჩნიოთ და სამართლისადაც.[371]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული მოდელის მემკვიდრეა, რომელიც კელზენის ოთხი პოსტულატის შესაბამისად გამიჯნულია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებისგან.[372] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელსაც საკონსტიტუციო სტატუსი გააჩნია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოცაა და სასამართლოც,[373] თუმცა ზოგიერთი მეცნიერი, სამართლებრივი დავების განხილვის გამო, მას სასამარ-

---

შეფასების შესაძლებლობაც კი აქვს. იხ., გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012, 45.

[367] ხუბუა გ., საკონსტიტუციო სასამართლო სამართალსა და პოლიტიკას შორის, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N9, 2016, 3.

[368] Vanberg G., Constitutional Courts in Comparative Perspective: A Theoretical Assessment, Annual Review Political Scienses, 2015, 167.

[369] Kommers D. P., Miller R. A., Das Bundesverfassungsgericht: Procedure, Practice and Policy of the German Federal Constitutional Court, Journal of Comparative Law, N3(2), 2008, 196.

[370] აღსანიშნავია, რომ ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს საკუთარ პრეცედენტულ პრაქტიკაში არაერთხელ აქვს აღნიშნული, რომ იგი არ არის საერთო სასამართლო სისტემის ნაწილი, რამდენადაც მისი მიზანი არა კანონიერების, არამედ კონსტიტუციურობის დაცვაა. იხ., Antos M., Constitutional Complaint and Its Limits in The Czech Republic, 2012, 122.

[371] გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012, 25.

[372] Stone Sweet A., Constitutional Courts and Parliamentary Democracy (Special Issue on Delegation), Yale Law School Legal Scholarship Repository, 2002, 80.

[373] მელქაძე ო., დვალი ბ., სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქეყნებში, თბილისი, 2000, 238.

თლო ხელისუფლებას მიაკუთვნებს.[374] უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიკუთვნება ფორმალურია და რეალურად საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებელი ორგანოს სტატუსი უფრო შეესაბამება.

საქართველოს კონსტიტუცია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ნეგატიური კანონმდებლის სტატუსს ანიჭებს.[375] აღნიშნული განაპირობებს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვან გავლენას ნორმაშემოქმედებით საქმიანობაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული სტატუსი და მისი ფარგლები რეგლამენტირებულია არამხოლოდ საქართველოს კონსტიტუციაში, არამედ განმტკიცებულია საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკითაც. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლო ემსახურება არა ახალი წესრიგის დადგენას ქვეყანაში, არამედ „უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობას და ქმედითობას, ხელს უწყობს მის შესრულებას, როგორც სახელმწიფოს, ისე ხალხის მიერ,"[376] რითაც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ფუნქციას ასრულებს.[377] საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, მის მანდატს სცდება უფლებამოსილება, „ძალადაკარგული სამართლებრივი ნორმების ნაცვლად კანონმდებლობაში განსხვავებული, თუნდაც კონსტიტუციური წესები დაადგინოს".[378] თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ სამართლებრივი ნორმის განმარტება სამართალშემოქმედებითი პროცესია, რამდენადაც მხოლოდ აქტის განმარტების გზით დგინდება სოციალური სინამდვილე.[379] ამასთან, საქართველოს კონსტიტუცია ცალკე არ გამოყოფს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის კაზუალურად განმარტების უფლებამოსილებას, რაც იმის ნიშანია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მოკლებულია ნორმის აბსტრაქტული განმარტების შესაძლებლობას, რომლის დროსაც, ნორმის თაობაზე განმარტების გაცემა საკონსტიტუციო სასამართლოს ნებისმიერ დროს შეუძლია.[380]

---

[374] Stoichev K., Constitutional Justice: Functions and Relationship with the other public authorities, National report prepared for the XVth Congress of the Conference of European Constitutional Courts by The Constitutional Court of the Republic of Bulgaria,1-2, იხ., <https://www.confeuconstco.org/reports/rep-xv/BULGARIA%20eng.pdf> [03.06.2022]

[375] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის N3/6/642 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-20.

[376] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება N1/466 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-18.

[377] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის N3/6/642 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-20.

[378] იხ., იქვე, II-21.

[379] Вида И., Юридическая Сила Толкования Конституции, „Конституционное Правосудие", N2(28), 2005, 19.

[380] კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2008, 29.

ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, განიხილება კონსტიტუციურ ორგანოდ, რომელიც უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობას და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას. საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ფორმა საკონსტიტუციო კონტროლია, რომელიც ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის თვალსაზრისით შეესაბამება ევროპის საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში დამკვიდრებული ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის მოდელს. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მოდელის მიმართ საკონსტიტუციო დოქტრინასა და პრაქტიკაში რამდენჯერმე გამოითქვა კრიტიკული მოსაზრება და არაერთხელ გამოიკვეთა საკონსტიტუციო კონტროლის ქართული მოდელის გაუმჯობესების სურვილი, არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული აღნიშნული ინიციატივების განხილვა.

1.2. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის დანერგვის მცდელობა ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში

საკონსტიტუციო სასამართლო ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის განსაკუთრებული მექანიზმია საქართველოში. მისი უფლებამოსილებების არეალი საკმაოდ ფართოა და საკონსტიტუციო კონტროლის სხვადასხვა ფორმას მოიცავს. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც უფლების დაცვის ეფექტიანი საშუალების მიმართ არაერთხელ გამოითქვა მოსაზრება, როგორც ეროვნულ დონეზე, საკონსტიტუციო რეფორმების ფარგლებში, ისე საერთაშორისო ინსტიტუტების მხრიდანაც.[381] კრიტიკული შეფასების განმაპირობებელი გახდა ის გარემოება, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობა, ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით, თუმცა მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები, მათი კონსტიტუციურობის თვალსაზრისით და ინდივიდუალური აქტები, სუბსიდიურობის პრინციპის დაცვით. საკონსტიტუციო სასამართლოს ეს კომპეტენციური არასრულყოფილება სრული კონსტიტუციური სარჩელის საქართველოს საკონსტიტუციო კონტროლის სისტემაში დანერგვას უნდა შეევსო.[382]

---

[381] იხ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2020; იხ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, საჩივრის N40765/02.

[382] ჯავახიშვილი პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2017, 334.

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აღჭურვის თაობაზე მოსაზრებები არაერთხელ გამოითქვა, თუმცა მცდელობის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლოს დღემდე არ მინიჭებია აღნიშნული უფლებამოსილება.[383] საკონსტიტუციო სასამართლოს ამ მიმართულებით ინსტიტუციური გაძლიერების მცდელობა პრაქტიკულად ყველა საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში არსებობდა, თუმცა იგი ან პირველივე ეტაპზე, მიუღწეველ ფუფუნებად განიხილებოდა[384] ან საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებული წინადადება ვეღარ ჰპოვებდა ასახვას შესაბამის კონსტიტუციურ კანონში, რის მიზეზადაც, პარადოქსულია, მაგრამ, მაგალითად, 2012 წელს, საკონსტიტუციო უმრავლესობის არარსებობა დასახელდა.[385]

საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში, პირველად, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის დანერგვის თაობაზე ინიციატივა 2004 წელს გაჟღერდა. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი საკონსტიტუციო კონტროლის საკითხებსაც შეეხებოდა.[386] კონსტიტუციური კანონის პროექტით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ენიჭებოდა უფლება განეხილა საქართველოს საერთო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების, განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების კონსტიტუციურობის საკითხები საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავთან მიმართებით.[387] აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა, მართალია, წყვეტდა საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ პრობლემას, თუმცა საერთო სასამართლოებთან მიმართებით უკიდურესად აფართოებდა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებს და საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებას უქვემდებარებდა საერთო სასამართლოების ყველა ინსტანციის გადაწყვეტილებას.[388] აღნიშნულის გამო, საკონსტიტუციო ცვლილებამ კრიტიკა დაიმსახურა სამეცნიერო წრეებსა და მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა მხრიდანაც, რომელთა მოსაზრებით:

---

[383] იხ., ბაბეკი ვ., კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში, თბილისი, 2002, 262-266.

[384] ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 185-188.

[385] იხ., ფირცხალაშვილი ა., საკონსტიტუციო სასამართლოს რეალური კონტროლი კვლავ კონსტიტუციის გადასინჯვის მიღმა, ჟურნ. „აკადემიური მაცნე“, სპეციალური გამოცემა, 2017, 18.

[386] საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, N302/1, 17 დეკემბერი, 2004.

[387] იხ., იქვე.

[388] ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2020, 125.

„კონსტიტუციური მართლმსაჯულება არ იცნობს სასამართლო აქტების ასეთი ტოტალური გასაჩივრების შემთხვევებს... პროექტით გათვალისწინებული ნორმის მიღების შემთხვევაში დიდი ალბათობა იქმნება იმისა, რომ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა უმრავლესობა გასაჩივრდება საკონსტიტუციო სასამართლოში, რაც უეჭველად იმოქმედებს მისი საქმიანობის ხარისხზე. მეორე მხრივ კი, გაჩნდება პრობლემები საერთო სასამართლოში საქმეთა განხილვასთან დაკავშირებით.“[389] ეს შენიშვნა გაიზიარა ვენეციის კომისიამაც,[390] რის შედეგადაც, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის დანერგვის პირველი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის განხორციელებისას კვლავ დღის წესრიგში დადგა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციური ფარგლების საკითხი. კერძოდ, როგორც სასამართლო ხელისუფლებისა და ადამიანის ძირითადი უფლებების სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ი. ფუტკარაძე აღნიშნავდა „სამუშაო ჯგუფში გაიმართა მსჯელობა იმის თაობაზე, რომ გაფართოვდეს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება... ივარაუდება, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილოს და გადაწყვიტოს საერთო სასამართლოს მიერ კონკრეტულ საქმეზე მიღებული საბოლოო აქტის კონსტიტუციურობის საკითხი, როდესაც ამოწურულია შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო დაცვის ყველა საშუალება.“[391] შედეგობრივი თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო კომისიამ არ მიიჩნია მიზანშეწონილად საკონსტიტუციო სასამართლოს ამგვარი კომპეტენციური ტრანსფორმაცია, რისი გამოვლინებაცაა, ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო კომისიის მიერ დამტკიცებულ და 2009 წლის დეკემბერში გამოქვეყნებულ „საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში მომზადებული კონსტიტუციის ცვლილებათა სამუშაო ვარიანტის“ პროექტში არ მოხვდა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ამგვარი გაფართოების საკითხი.

2012 წლის ბოლოს მომზადდა კანონპროექტი „მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის თაობაზე“,[392] რომლის საბოლოო ვარიანტი მიზნად ისახავდა კომისიის ამოქმედებიდან არა უმეტეს ათი წლით ადრე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების გადახედვას, თუ ა) საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენი იყო აშკარად დაუსაბუთებელი; ბ) საპ-

---

[389] იხ., ხეცურიანი ჯ., დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ, თბილისი, 2006, 324.

[390] ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2020, 126.

[391] იხ., ფუტკარაძე ი., სასამართლო ხელისუფლება და ძირითადი უფლებები საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, 2009, N1, 71.

[392] იხ., საქართველოს კანონის პროექტი „მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის თაობაზე, იხ., <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1924705?publication=0>

როცესო შეთანხმების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას, მოსამართლემ დაარღვია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა; გ) საქმის არსებითი განხილვისას ადგილი ჰქონდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევას. პრაქტიკულად, აღნიშნული ინიციატივა ითვალისწინებდა კონკრეტული ინსტანციის მიუხედავად, განსაზღვრული კატეგორიის საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა გადახედვის შესაძლებლობას. თუმცა ეს მექანიზმი მიუღებლად იქნა მიჩნეული და კანონპროექტი ვერ გარდაიქმნა კანონად, სხვადასხვა სამართლებრივი ხარვეზის გამო და მათ შორის, სამართლებრივი სტაბილურობისთვის საფრთხის შემცველი და ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან შეუსაბამობის მიზეზით.[393]

2014-2016 წლებში მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში არაერთმა პირმა წარადგინა საკუთარი პროექტი/წინადადება,[394] რომელთა უმეტესობა ითვალისწინებდა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლების გაზრდას, თუმცა აღნიშნულმა საკანონმდებლო ინიციატივებმა იგივე ბედი გაიზიარა, რაც აღნიშნულმა საკონსტიტუციო რეფორმამ და პროცესი კვლავ უშედეგოდ დასრულდა.

ამ პერიოდში განხილულ ინიციატივებს შორის აღსანიშნავია სახალხო დამცველის მიერ შემუშავებული კონსტიტუციური კანონის პროექტი,[395] რომლის ერთ ერთი მიზანი საერთო სასამართლოების საქმიანობაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება უნდა ყოფილიყო.[396] თუმცა სახალხო დამცველის საკანონმდებლო ინიციატივა კიდევ უფრო აფართოებდა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებს, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის თვალსაზრისით და საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში, გარდა საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებისა, ინდივიდუალურსამართლებრივ აქტებსაც აქცევდა.[397] საკანონმდებლო წინადადება პარლამენტის ბიუროს მიერ განსახილველად გადაეცა შესაბამის კომიტეტებს, თუმცა მათ მიერ ინიციატივის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიღებულა.[398]

---

[393] იხ., Joint Opinion of the Venice Commission and the Directorate for Justice and Human Dignity of the Directorate General of Human Rights and Rule of Law (DG1) of the Council of Europe, On the Draft Law on the Temporary State Commission on Miscarriages of Justice, CDL-AD (2013)013, 17 June, 2013.

[394] დამოუკიდებლად წარადგინეს ორგანიზაციებმა OSGF, EMC, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი", ასევე დარგის ცალკეულმა სპეციალისტებმა.

[395] იხ., საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 22 იანვრის N980/8 საკანონმდებლო წინადადება „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ", [06.06.2022]

[396] იხ., <https://www.youtube.com/watch?v=hN1Wdo6szpw&t=3s> [06.06.2022]

[397] საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 22 იანვრის N980/8 საკანონმდებლო წინადადების განმარტებითი ბარათი, იხ.,<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/142517>

[398] საქართველოს პარლამენტის საიტზე არ იძებნება წამყვანი კომიტეტის დასკვნა, ადამიანის უფლებათა

საქართველოს კონსტიტუციაში ბოლო, 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებშიც საკონსტიტუციო კომისია განიხილავდა საკონსტიტუციო სასამართლოს, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ამ საშუალებით აღჭურვის შესაძლებლობას, თუმცა საბოლოოდ, საკონსტიტუციო კომისიის 9 წევრის მიერ დაყენებული საკითხი კენჭისყრაძე ჩავარდა[399] და ვერ მოხვდა კონსტიტუციის პროექტის საბოლოო ვერსიაში.[400] ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, დღემდე აქტუალურია საკითხი განხილულ კონტექსტში, საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტიანობის თაობაზე, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

1.3. საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართება საერთო სასამართლოებთან

1.3.1. გადაწყვეტილების სავალდებულობა და მბოჭავი ძალა

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას განსაკუთრებული ადგილი უკავია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიებს შორის.[401] აღნიშნულის გამო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულება გავლენას ახდენს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებზე. საქართველოს კონსტიტუცია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა სავალდებულო იურიდიული ძალის მთავარი გარანტია. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.[402] საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული დებულება საკონსტიტუციო სასამართლოს ანიჭებს „ქმედით მექანიზმს, უზრუნველყოს კონსტიტუციის უზენაესობის დაცვა ქვეყანაში“.[403]

დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2016 წლის პირველი მარტის N2172 წერილის შესაბამისად, „საკანონმდებლო წინადადების განხილვა კომიტეტმა დაიწყო მიმდინარე წლის 29 თებერვლის კომიტეტის სხდომაზე. განხილვის პროცესში გამოიკვეთა საკითხები, რომლებიც საჭიროებს დამატებით შესწავლას და ანალიზს, რაც მოითხოვს გარკვეულ დროს, წინადადების განხილვის დადგენილი ვადა კი ამოიწურა“. იხ., < https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/142517>

[399] იხ., ფირცხალაშვილი ა., საკონსტიტუციო სასამართლოს რეალური კონტროლი კვლავ კონსტიტუციის გადასინჯვის მიღმა, ჟურნ. „აკადემიური მაცნე“, სპეციალური გამოცემა, 2017, 18.

[400] იხ., <http://constitution.parliament.ge/uploads/masalebi/konstitucia-gadasinjva-cvlileba.pdf> [03.06.2022]

[401] გუჩმაზაშვილი დ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალა, წიგნში: „ლადო ჭანტურია 55“, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 101.

[402] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი, 1995.

[403] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის N3/6/642 გადაწყვეტილე-

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ზოგადად, პირდაპირი მოქმედების ძალა აქვს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიმართ. აღნიშნული გულისხმობს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და თანამდებობის პირები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტიდან იბოჭებიან მისი შინაარსით. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სავალდებულობის თაობაზე საკანონმდებლო საფუძვლების არსებობა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ, მისი შესრულების მთავარი წინაპირობაა.[404] საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ „ნორმის ძალადაკარგულად ცნობა და ახალი ნორმის მიღების მოტივირება (სტიმულირება) კონსტიტუციის უპირობოდ დაცვის უზრუნველყოფას ემსახურება და ზუსტად იმის დემონსტრირებაა, რომ ხელისუფლების არც ერთი შტო არ არის უფლებამოსილი, დაადგინოს კონსტიტუციით გათვალისწინებული წესრიგის საწინააღმდეგო წესები."[405] შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა, ხოლო მისი შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა ისჯება კანონით.[406] ამასთან, მბოჭავი ძალა აქვს არამხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, არამედ ზოგადად, საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებს, მათ შორის, განჩინებას, რომელიც შესაძლოა მნიშვნელოვან დასაბუთებას შეიცავდეს სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

ნორმაშემოქმედებით საქმიანობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სავალდებულო ბუნების გარდა, მნიშვნელოვანია მისი გავლენა სამართალშეფარდების პროცესზე. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად საერთო სასამართლოებისთვის. სამართალშემფარდებელი ვალდებულია კონსტიტუციის შესაბამისად განმარტოს ნორმა,[407] ხოლო განმარტებათა სიმრავლის შემთხვევაში, გამოიყენოს მხოლოდ

ბა საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-20.

[404] Papuashvili G., Problematic Aspects of Interrelationship between the Constitutional and Ordinary Courts, 2011, 3.

[405] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები - ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები - ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-11.

[406] საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის პირველი პუნქტი, 1995.

[407] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის N1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II, 17.

ის ინტერპრეტაცია, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება კონსტიტუციის სულისკვეთებას.[408] თუმცა საერთო სასამართლოს მოსამართლეს არ გააჩნია კანონის კონსტიტუციურობის დამოუკიდებლად შემოწმების უფლება.[409] თუ საერთო სასამართლოს მოსამართლეს მართლმსაჯულების განხორციელებისას გაუჩნდება ეჭვი, გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციურობის თაობაზე, იგი აჩერებს საქმის განხილვას და კონსტიტუციური წარდგინებით მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს, შესაბამისი ნორმის კონსტიტუციურობის დადგენის მიზნით.[410] ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციური მანდატი საერთო სასამართლოებთან მიმართებით შეზღუდულია და მისი გადაწყვეტილების მბოჭავი ძალა მხოლოდ მართლმსაჯულების პროცესში გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებას მოიცავს.

აღნიშნულის გარდა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები აყალიბებენ ერთგვაროვან პრაქტიკას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების და ზოგადად, კონსტიტუციური კანონიერების თვალსაზრისით.[411] საკონსტიტუციო სასამართლო, ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენით, ფაქტობრივად ახდენს ნორმის განმარტებას.[412] სწორედ გადაწყვეტილებაა სამართლებრივი საშუალება, სადაც ნორმის განმარტების რეალიზება ხდება. მხოლოდ ნორმის ამგვარი განმარტების პირობებში მიიღწევა ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა.[413] ამ თვალსაზრისით საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მოტივაციას, კონსტიტუციის ნორმის განმარტების პროცესს,[414] რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით საერთო სასამართლოები ხელმძღვანელობენ. სამოტივატიო ნაწილთან ერთად, პროცესუალური თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის

---

408 Garlicki L., Constitutional Courts versus Supreme Courts, 5 International Journal of Constitutional Law, Vol.5, 2007, 49.

409 Stone Sweet A., Constitutional Courts and Parliamentary Democracy (Special Issue on Delegation), Yale Law School Legal Scholarship Repository, 2002, 87.

410 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი, 1996.

411 Сравнительное Конституционное Право, Под. Ред. А. И. Ковлера, В. Е. Чиркина, Ю. А. Юдина, Москва, 1996, 195.

412 ცნობილაძე პ., ხუბუა გ., ხმალაძე ვ., მეტრეველი ნ., კაპანაძე ო., როგორ იქმნება კანონი, თბილისი, 2000, 195.

413 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2/389 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ".

414 გეგენავა დ., კონსტიტუციის განმარტება და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტი, ჟურნ. „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა", N1, 2013, 106.

განსაკუთრებული მნიშვნელობაც. გადაწყვეტილების ამ ნაწილში წარმოდგენილი ინფორმაცია, არამხოლოდ საქმესთან დაკავშირებულ ფაქტებს შეეხება, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ ფაქტების შეფასებასაც და მათი უდავო მნიშვნელობის აღიარებასაც.

მართლმსაჯულების განხორციელებისას საერთო სასამართლოების საქმიანობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გავლენის განსაკუთრებული მნიშვნელობის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ გააჩნია პირდაპირი მოქმედების ძალა საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების მიმართ. საკონსტიტუციო კონტროლის საქართველოში დამკვიდრებული მოდელი გულისხმობს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შეფასებას, თუმცა საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში არ ხვდებიან საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები. საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო არ არის უფლებამოსილი განიხილოს საერთო სასამართლების მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის საკითხი, თუმცა მისი საკონსტიტუციო სტატუსი სწორედ კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფაა, მასთან შეუსაბამო აქტების არაკონსტიტუციურად გამოცხადებით. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები კი ალბათობის მინიმუმ იმავე ხარისხით შეიცავენ არაკონსტიტუციურობის და შესაბამისად, ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევის რისკს, რამდენადაც ხელისუფლების სხვა შტოების მიერ გამოცემული აქტები.[415]

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა გავლენას ვერ მოახდენს საერთო სასამართლოების მიერ ამავე ნორმის საფუძველზე მიღებულ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებაზე, რამდენადაც კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენისა და გადაწყვეტილების გაუქმებას და იგი მხოლოდ ამ ნორმის აღსრულების შეჩერებას იწვევს.[416] უფრო მეტიც, ევროპული სასამართლოს შეფასებით, მსგავს ფორმულირებას შესაბამის ნორმასთან დაკავშირებული სააღსრულებლო წარმოების შეწყვეტაც კი არ შეუძლია, ის მხოლოდ მისი აღსრულების შეჩერებას იწვევს.[417] გარდა ამისა, სა-

[415] გეწაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, N1, 1998, 25.

[416] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლი, 1996.

[417] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, N40765/02, I-43.

კონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეფექტიანად აღსრულების შესაძლებლობასაა მოკლებული, საერთო სასამართლოს მიერ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით. გარდა იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ვერ შეაფასებს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონსტიტუციურობას, საპროცესო კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ განიხილავს „იმ გარემოებად"[418], რომელიც საშუალებას მისცემდა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსიდან გამომდინარე, საერთო სასამართლოებს განეხილათ საქმე, სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობით წარმოშობილი ახალი სამართლებივი სინამდვილის გათვალისწინებით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოს საერთო სასამართლოების მიმართ მხოლოდ არაპირდაპირი იურიდიული ძალის მქონეა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები გავლენას ახდენენ მხოლოდ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიერ სამართალგამოყენების პროცესზე. ასევე მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გავლენა სამართალგანვითარების პროცესზე, თუმცა საერთო სასამართლოების საქმიანობა კონსტიტუციურობის შეფასების ფარგლებს მიღმაა დარჩენილი. აღნიშნულის გამო საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში დღემდე კონსტიტუციური მართლწესრიგისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის არასაკმარის, არასრულყოფილ ფორმად განიხილება.[419]

1.3.2. კონსტიტუციური წარდგინება

კონსტიტუციური წარდგინება კონსტიტუციის უზენაესობისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი საპროცესო საშუალებაა, რომელიც ევროპული სამართლის წიაღში ჩამოყალიბდა. ესპანეთში მიიჩნეოდა, რომ საერთო სასამართლოების მოსამართლეებს მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშათ კონსტიტუციის დაცვის საკითხში, მიმდინარე კანონების კონსტიტუციურობის თაობაზე, საკითხის აღძვრის თვალსაზრისით.[420] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში Richtervorlage დღე-

---

[418] საქართველოს კანონმდებლობა, აღნიშნულ ტერმინთან მიმართებით მრავალფეროვნებას იჩენს: სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი იყენებენ ტერმინს „ახლად აღმოჩენილი", ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოცემულია ტერმინი „ახლად გამოვლენილი", თუმცა კვლევის მიზნებისთვის ისინი სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება.

[419] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ", N40765/02, I-43.

[420] Comella V. F., The Spanish Constitutional Court: Time for Reforms, Journal of Comparative Law, N3(2). 2008, 29.

საც მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი და გავრცელებული სამართალწარმოების საფუძველია,[421] თუმცა აღნიშნული გარემოება, ბოლო პერიოდში სულ უფრო იცვლება, რისი მიზეზიც, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ „საკონსტიტუციო ცნობიერების ამაღლება და საკონსტიტუციო სასამართლოსადმი ინდივიდთა მიმართვის ფართო შესაძლებლობის არსებობაა."[422] მიუხედავად ამისა, მოსამართლეთა მიერ გამოსაყენებელი ნორმის საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგენა, საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული სისტემის მახასიათებელია, რომელიც კონსტიტუციური კანონიერების უზრუნველყოფის შესაძლებლობას იძლევა.[423]

კონსტიტუციური წარდგინება საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის ურთიერთობის მნიშვნელოვანი ფორმაა. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, კი ერთადერთი რაც საერთო სასამართლოებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს ერთმანეთთან აკავშირებს, კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტია.[424] კონსტიტუციური წარდგინება, საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას საერთო სასამართლოების განსაკუთრებული უფლებამოსილებაა, რომლებიც ნორმათა კონკრეტული კონტროლის[425] ფარგლებში მიმართავენ საკონსტიტუციო სასამართლოს იმ ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმების თაობაზე, რომლის საფუძველზეც კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილება უნდა მიიღონ.[426]

კონსტიტუციური წარდგინება მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს საკონსტიტუციო სინამდვილეშიც. თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას გაჩნდება საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მართლმსაჯულების პროცესში გამოსაყენებელი ნორმა, მთლიანად ან ნაწილობრივ შესაძლოა კონსტიტუციის შეუსაბამოდ იქნეს მიჩნეული, ჩერდება საქმის განხილვა და გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციურობის საკითხს საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს. საქმის განხილვა საერთო სასამართლოში განახლდება ამ უკანასკნელის მიერ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.[427] დაუსა-

---

[421] Hausmaninger H., Judicial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany and Russia, Tulane European and Civil Law Forum, 1997, 37.

[422] იხ., იქვე 36.

[423] აღსანიშნავია, რომ გერმანიაში კონსტიტუციური წარდგინებების ორი მესამედი ქვედა ინსტანციის სასამართლოებისგან მოდის, თუმცა მათ ნახევარზე მეტი არ კმაყოფილდება. იხ., Hausmaninger H., Juditial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany and Russia, Tulane European and Civil Law Forum, 1997, 31.

[424] ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 188.

[425] ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, თბილისი, 2016, 54.

[426] ,,საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის მე-19 მუხლის, მე-2 პუნქტი, 1996.

[427] იხ., იქვე.

ბუთებელი კონსტიტუციური წარდგინება არსებითად განსახილველად არ მიიღება,[428] თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია შესაბამისი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობა დაადგინოს წარდგინებაში მითითებულისგან განსხვავებულ კონსტიტუციის ნორმასთან მიმართებით.[429]

კონსტიტუციური წარდგინების საკანონმდებლო საფუძვლებიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე განიხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას. ამ თვალსაზრისით, კონსტიტუციური წარდგინება იძლევა საშუალებას უზრუნველყოფილ იქნეს კონსტიტუციის დაცულობა არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტებისაგან. მათ შორის, კონსტიტუციური წარდგინებით ხდება არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტებისგან ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა, თუმცა კონსტიტუციური წარდგინება ვერ უზრუნველყოფს ამ მიზნის მიღწევას თავად საერთო სასამართლოების არაკონსტიტუციური გადაწყვეტილებისგან. ამასთან, კონსტიტუციური წარდგინებების გამოყენების პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის სამართლებრივი დიალოგი არ წარმოებს და იგი ქართული სამართლებრივი სინამდვილისთვის უცნობი ფენომენია.[430]

ამ გარემოების გამო, კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინდივიდის კონსტიტუციური უფლებების დაცვის ირიბი ფორმა. იგი უზრუნველყოფს ფუნდამენტური უფლებების დაცვას ნორმატიული კონტროლის განხორციელებისას, თუმცა ფაკულტატურად, საერთო სასამართლოს მოსამართლის ინიციატივის საფუძველზე. გარდა ამისა, კონსტიტუციური წარდგინება არ იძლევა შესაძლებლობას საკონსტიტუციო კონტროლი განხორციელდეს იმ შემთხვევაში, როცა ნორმა კონსტიტუციასთან

---

[428] იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 სექტემბრის განჩინება N1/6/115 საქმეზე „ხაშურის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“.

[429] ეს მიდგომა სავარაუდოა, რომ გამოიყენება წარდგინების განხილვის შეფერხების შემთხვევაში, საერთო სასამართლოების მიერ არაკონსტიტუციური ნორმის გამოყენების საფრთხის არსებობის გამო. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“.

[430] 1996-2017 წლამდელ პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლოს წარედგინა მხოლოდ 75 წარდგინება, საიდანაც არ დაკმაყოფილდა - 4, ხოლო 21 წარდგინება არ იქნა არსებითად განსახილველად წარმოებაში მიღებული. დაწვრ. იხ., ერქვანია თ., კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის ხარვეზები საქართველოში - ე.წ. „რეალური“ კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სისტემაში ინტეგრაციის შესახებ, კრებულში: „ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში“, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 46.

შესაბამისია, თუმცა საერთო სასამართლოები მას არაკონსტიტუციური მნიშვნელობით განმარტავენ. აღნიშნულის გამო, ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში, კონსტიტუციური წარდგინების მნიშვნელოვანი როლის მიუხედავად, კონსტიტუციის უზენაესობისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვისათვის, კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტი ძირითადი უფლებების დაცვის სისტემის სრულყოფის საშუალებად ვერ იქნება მიჩნეული.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლი

2.1. ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლის არსი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოა საქართველოში.[431] საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილია საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ნეგატიური კანონმდებლის სტატუსი,[432] თუმცა 2011 წელს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გააფართოვა საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლები და საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის ახალი პრაქტიკის ჩამოყალიბებას დაუდო სათავე.[433] უფრო მეტიც, ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის დადგენით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საფუძველი ჩაუყარა მართლმსაჯულებაზე ფაქტობრივი საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას.[434] სადავო ნორმის ნორმატიულ შინაარსზე საკონსტიტუციო კონტროლის პრაქტიკის ჩამოყალიბება დოქტრინაში აიხსნება იმ გარემოებით, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა ემოქმედა ეფექტიანად, საკუთარი კონ-

---

[431] საქართველოს კონსტიტუცია, 1995, მე-60 მუხლის მე-2 პუნქტი.

[432] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის N1/1/811 გადაწყვეტილება საქმეზე „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია“, სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“, სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში“ და სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-30; იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის N3/6/642 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-20.

[433] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის N1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[434] დაწვრ. იხ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2017. სადოქტორო ნაშრომში გამოყენებულია აღნიშნული სტატიის ნაწილები.

სტიტუციური მანდატის მაქსიმალურად გამოყენებით და ამ გზით უნდა შეექმნა ფუნდამენტური უფლებების უკეთ დაცვის მეტი გარანტიები."[435]

ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციასთან შესაბამისობის კონტროლი გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმის კონკრეტული მნიშვნელობით გამოყენების შესაბამისობის შემოწმებას საქართველოს კონსტიტუციის ნორმებთან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ამ უფლებამოსილების ფარგლებში გამოიყენებს ნორმის განმარტების სხვადასხვა მეთოდს, განსაზღვრავს ნორმის ნორმატიულ ბუნებას, მის გრამატიკულ მნიშვნელობას, ითვალისწინებს ნორმის გამოყენების პრაქტიკას[436] და ადგენს კონსტიტუციით განსაზღვრული ძირითადი უფლებების შინაარსთან მის თავსებადობას. ამ უფლებამოსილების ფარგლებში მოწმდება არამხოლოდ ნორმატიული აქტის ტექსტუალური მხარე, გრამატიკული მნიშვნელობა, არამედ საჯარო ხელისუფლების მიერ ნორმის კონკრეტული შინაარსით გამოყენების კონსტიტუციურობა.

ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლის მიზანი საჯარო ხელისუფლების მიერ ნორმის არაკონსტიტუციური მნიშვნელობით გამოყენების პრევენციაა.[437] საკონსტიტუციო სასამართლო, საკუთარი გადაწყვეტილებით გამორიცხავს ნორმის იმგვარად განმარტების შესაძლებლობას, რომელიც არღვევს და სამომავლოდაც შელახავს ადამიანის ძირითად უფლებებს, რითაც წინააღმდეგობაში იქნება საკონსტიტუციო ნორმის არსთან. შედეგად, იკრძალება და ძალადაკარგულად ცხადდება სადავო ნორმის არაკონსტიტუციური მნიშვნელობით გამოყენება და არა თავად ნორმა. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ნორმის საკანონმდებლო ფორმულირება ინარჩუნებს იურიდიულ ძალას, იმ დათქმით, რომ იგი არ იქნება ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოყენებული საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი შინაარსით.[438]

ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შეკავება-გაწონასწორების საკონსტიტუციო პრინციპის ეფექტი-

---

[435] ერემაძე ქ., თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, საკონსტიტუციო კონტროლის 20 წელი საქართველოში, თბილისი, 2018, 389.

[436] სადავო ნორმის განმარტებისას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად მხედველობაში იღებს საერთო სასამართლოების მიერ ნორმის გამოყენებისა და განმარტების პრაქტიკას. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის N3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-75.

[437] ჯავახიშვილი პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი, „სამართლის ჟურნალი", N1, 2017, 336.

[438] იხ., იქვე.

ანობის უზრუნველყოფისთვის. ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის განსაზღვრით, საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლს უწევს არამხოლოდ კანონის კონსტიტუციურობას, არამედ მკაფიო მინიშნებას აძლევს კანონმდებელს, ნათლად განსაზღვროს საკანონმდებლო ნორმის შინაარსი და გამორიცხოს ნორმის ბუნდოვანი ფორმულირებით გამოწვეული მისი არაკონსტიტუციური ინტერპრეტაცია: „ვინაიდან კანონმდებელი შეზღუდულია კონსტიტუციით, ივარაუდება რომ იგი შეზღუდულია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებითაც".[439] აღნიშნულის გარდა, ნორმის ნორმატიულ შინაარსზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებით, საკონსტიტუციო სასამართლო ფაქტობრივად ემსგავსება ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც ზედამხედველობას უწევს სასამართლო ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობას.[440] თუმცა ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობა. ამ გარემოების გათვალისწინებით, განსაკუთრებით იზრდება ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლის მნიშვნელობა და როლი ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

2.2. საკანონმდებლო საფუძვლები

ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საფუძველი 2011 წელს ჩაეყარა.[441] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე განახორციელა, რომლის შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პირის სარჩელის საფუძველზე იხილავდა ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით. საკანონმდებლო ჩანაწერი იდენტური ფორმულირებით იყო მოცემული საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ". როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებადამდგენი ნორმების შეფასებით იკვეთება, ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლისთვის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

---

[439] გეგენავა დ., საკონსტიტუციო იდენტობის გაგებისთვის, კრებულში: „სერგო ჯორბენაძე 90", ს. ჯორბენაძის რედაქტორობით, თბილისი, 2019, 63.

[440] გერმანიის ძირითადი კანონის 93-ე მუხლი, 1949.

[441] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის N1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

ცალკე არსებული, სპეციალური სამართლებრივი საფუძველი არ ჰქონია და იგი იმავე საკანონმდებლო ნორმას ეყრდნობოდა, რომლის შესაბამისადაც ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდებოდა საქართველოში.

2017 წელს საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებებით, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები მე-60 მუხლით განისაზღვრა, რომლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი, კონსტიტუციის ძველი რედაქციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის იდენტური რედაქციით ჩამოყალიბდა. ამასთან, გაუქმდა „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონი და შესაბამისი ნორმები „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში აისახა. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლს დღესაც, 2017 წლამდე არსებული ნორმის იდენტური ფორმულირების საფუძველზე ახორციელებს, რომელიც შემდეგი შინაარსითაა ჩამოყალიბებული საქართველოს კონსტიტუციის დღეს მოქმედ რედაქციაში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო „ფიზიკური პირის, იურიდიული პირის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით."[442]

ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლის განხორციელებისას ასევე მნიშვნელოვანია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვითაც: „ნორმატიული აქტის შემოწმებისას საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში იღებს სადავო ნორმის არამარტო სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, არამედ მასში გამოხატულ ნამდვილ აზრსა და მისი გამოყენების პრაქტიკას, აგრეთვე, შესაბამისი კონსტიტუციური ნორმის არსს."[443] აღნიშნული ნორმა უფრო მკაფიოს ხდის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის კონტროლის უფლებამოსილების სამართლებრივ საფუძველს.

საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების მიმართ საკონსტიტუციო სასამართლოს თავდაპირველი დამოკიდებულება ერთგვარად ფორმალიზებული იყო. საკუთარი კომპეტენციის განხორციელებისას იგი ამოდიოდა საკონსტიტუციო მანდატის ფორმალური, ტექსტუალური მნიშვნელობიდან და მკაცრად იცავდა მის სიტყვასიტყვით ფარგლებს. მაგალითად, 2004 წლის 23 ივლისის განჩინე-

---

[442] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის, მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი, 1995.

[443] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი, 1996.

ბით, სასამართლომ უარი თქვა ნორმატიული შინაარსის კონტროლზე და არ მიიღო სარჩელი წარმოებაში, რაც იმით დაასაბუთა, რომ „ნორმის არასწორ გამოყენებაზე საკონსტიტუციო სასამართლო ვერ იმსჯელებდა, ვინაიდან მისი ფუნქცია მხოლოდ ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შესახებ დავების განხილვა იყო.“[444] სასამართლოს მოსაზრებით, „ამ შემთხვევაზე უნდა ემსჯელა საკანონმდებლო ორგანოს, სადავო ნორმით მანიპულირებისა და მისი ორაზროვანი გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, ნათლად განესაზღვრა ნორმის შინაარსი და აღმოეფხვრა არსებული საკანონმდებლო ხარვეზი.“[445] თუმცა 2011 წლიდან საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული პრაქტიკა შეცვალა და ნორმისა და მისი ნორმატიული შინაარსის გამიჯვნის საჭიროება განსხვავებულ მიდგომას დააფუძნა.

2.3. საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცდილება და პრაქტიკის ანალიზი

2.3.1. ნორმისა და მისი ნორმატიული შინაარსის გამიჯვნის საჭიროება

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, რომელიც თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია, სხვა ელემენტებთან ერთად მოიცავს კანონის განჭვრეტადობის პრინციპს. აღნიშნული გულისხმობს კანონის იმგვარ გრამატიკულ ფორმულირებას, რომელიც მისი ერთგვაროვნად ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა. მათ შორის, კანონი, საჯარო ხელისუფლების უფლებამოსილებას, მკაფიოდ და ნათლად უნდა განსაზღვრავდეს და არ იძლეოდეს შესაძლებლობას, რომ „სასამართლო და აღმასრულებელმა ხელისუფლების ორგანოებმა დამოუკიდებლად დაადგინონ საკუთარ ქმედებათა დიაპაზონი.“[446] ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ კონსტიტუციას შეესაბამებოდეს არამხოლოდ სამართლის ნორმები, არამედ მათი განმარტებებიც.[447] კანონის კონსტიტუციურობის დასადგენად აუცილებელია მისი „კეთილსინდისიერი, გონივრული განმარტება და ამ გზით მისი ნამდვილი არსის დადგენა.“[448]

---

[444] ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 64.

[445] იხ., იქვე.

[446] ბეჟაშვილი ლ., საკანონმდებლო ტექნიკა, სამართალშემოქმედების მეთოდური სახელმძღვანელო, თბილისი, 2012, 206.

[447] ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 63.

[448] ერემაძე ქ., ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, თბილისი, 2013, 139.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ნორმისა და მისი ნორმატიული შინაარსის გამიჯვნის საჭიროების წინაშე 2011 წელს დადგა, როდესაც იმსჯელა სავალდებულო სამხედრო სარეზერვო სამსახურის კონსტიტუციურობის შეფასების თაობაზე კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლებასთან მიმართებით.[449] აღნიშნულ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციურად მიიჩნია სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოხდის ზოგადი ვალდებულება, თუმცა კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ მიიჩნია კანონის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ნებისმიერი მოქალაქის ვალდებულებას ადგენდა, სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოხდაზე და არ ითვალისწინებდა მოქალაქეთა რწმენის გათვალისწინებით, ე.წ. „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის" უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას.[450] საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ნეიტრალური კანონები, ზოგადი ვალდებულებების დადგენით, შესაძლოა ყველა მოქალაქის ინტერესებს ერთნაირად ვერ ითვალისწინებდეს, თუმცა ეს გარემოება არ ნიშნავს, რომ ზოგადი ვალდებულებების შემოღება არ უნდა ხდებოდეს, ან ვინაიდან, ისინი ცალკეული ადამიანების კონკრეტული უფლების დარღვევას იწვევენ, ისინი თავისი არსით სრულად ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას."[451] აღნიშნული გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ გამონაკლისი დაადგინა კანონით განსაზღვრული აბსოლუტური ვალდებულებისგან და ხაზი გაუსვა ნორმის მხოლოდ პრაქტიკული ინტერპრეტაციის პრობლემას.[452] აღნიშნული გადაწყვეტილებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ პირველად გამიჯნა ნორმა და მისი ნორმატიული შინაარსი.

მართალია, სადავო ნორმის ნორმატიულ შინაარსზე მსჯელობა საკონსტიტუციო სასამართლოს დასჭირდა მაშინ, როდესაც „სადავო ნორმაში მხოლოდ მისი ნაწილი იყო მოსარჩელისთვის უფლების დარღვევის რისკის შემქმნელი"[453],

---

[449] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის N1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[450] იხ., იქვე, II-80.

[451] იხ., იქვე, II-81.

[452] მსგავსი გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წელსაც მიიღო, სადაც სადავო ნორმა სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობის არმქონე მამაკაცებს სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ვალდებულებას აკისრებდა, იმ პირობებში როცა სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობის არმქონე ქალები გათავისუფლებულნი იყვნენ სამხედრო ვალდებულების მოხდისგან. სასამართლომ ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა, კონსტიტუციური ვალდებულების ერთ-ერთ ფორმად განიხილა და ამ ვალდებულების მოხდის ფორმის შერჩევა და გასაწევ პირთა წრის განსაზღვრა, სახელმწიფოს დისკრეციულ უფლებამოსილებად განიხილა. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/7/580 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი კეკენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-29.

[453] ერემაძე ქ., თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, საკონსტიტუციო კონტროლის 20 წელი საქართველოში, თბილისი, 2018, 389.

თუმცა ამ მექანიზმის ჩამოყალიბება გარკვეულწილად განაპირობა იმ გარემოებამაც, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ამ ფორმის გარეშე ნორმის კონსტიტუციურობის კონტროლი, ვერ უზრუნველყოფდა მაღალი სტანდარტით ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას.[454] საქართველოს კონსტიტუციის 2017 წლამდელი რედაქციის 89-ე მუხლის შესაბამისად, ნებისმიერ პირს, რომელსაც მიაჩნდა, რომ ნორმატიული აქტის საფუძველზე ირღვეოდა კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებული მისი ძირითადი უფლება, შესაძლებლობა ჰქონდა სარჩელით მიემართა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, შესაბამისი ნორმის კონსტიტუციურობის დადგენის მოთხოვნით.[455] ეს შესაძლებლობა ძირითადი უფლების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას ქმნიდა საქართველოში, თუმცა მისი მოქმედების არეალი მხოლოდ ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის დადგენით შემოიფარგლებოდა და საკონსტიტუციო კონტროლის არეალში არ ექცეოდა ნორმატიული აქტების ინტერპრეტაცია და მათი გამოყენება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, მათ შორის, საერთო სასამართლოების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევის ალბათობა ისეთივე მაღალი იყო აღნიშნული აქტებით, როგორც ნორმატიული აქტების შემთხვევაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ პირის ძირითადი უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლი სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფდა ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მიზანს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ძირითადი უფლებების დაცვის საშუალება ეფექტიანად რომ ჩაითვალოს, მან „მხოლოდ ირიბად კი არ უნდა დაიცვას კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები, არამედ უნდა უზრუნველყოს სასარჩელო პრეტენზიების პირდაპირი და სწრაფი დაკმაყოფილება.“[456] 2015 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლის განხორციელების აუცილებლობა საკონსტიტუციო კონტროლის ვიწრო ფარგლებით და იმ ერთგვარი „სისუსტით“ ახსნა, რაც საკონსტიტუციო კონტროლის ქართულ მოდელს ახასიათებდა. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლობა

---

[454] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, N40765/02.

[455] საქართველოს კონსტიტუციის 2017 წლამდელი რედაქციის 89-ე მუხლის, პირველი პუნქტის, „ვ“ ქვეპუნქტი, 1995.

[456] შეად. შარაშიძე მ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის „რეალური“ საკონსტიტუციო სარჩელების განხილვის უფლებამოსილების მინიჭების პერსპექტივები, წიგნში: „ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები“, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2010, 210, იხ. ციტირება: დევერი ბელგიის წინააღმდეგ, 1980, 29-ე და 59-ე პუნქტები.

უნდა ჰქონდეს შეაფასოს არამხოლოდ სადავო ნორმის ფორმალური შესაბამისობა საკონსტიტუციო დანაწესთან, არამედ უნდა დაადგინოს, სადავო ნორმა, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, რამდენად უზრუნველყოფს კონსტიტუციური უფლების არსის დაცვას."[457]

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ინსტიტუციურ დონეზე, საკონსტიტუციო კონტროლის დამახასიათებელ ხარვეზებზე ყურადღება თავად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გაამახვილა, რომელმაც თავად მიიჩნია იგი ადამიანის ძირითადი უფლების დაცვის არასაკმარისად ეფექტიან საშუალებად. გამომდინარე იქიდან, რომ საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც ნეგატიური კანონმდებელი, თავად ვერ მოახდენდა საკუთარი საკონსტიტუციო უფლებამოსილებების არეალის საკანონმდებლო ჩარჩოების გაფართოებას, რაც საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციაში შეჭრას გამოიწვევა, გამოსავალი მისი კონსტიტუციური მანდატისა და იმ უფლებამოსილებების შემოქმედებით განმარტებაში უნდა ეძებნა, რომელსაც მას კონსტიტუცია ანიჭებდა. შედეგად, თანამედროვე ქართულ საკონსტიტუციო სინამდვილეში, ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულ სამართალწარმოების ფორმად ჩამოყალიბდა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ძირითადი უფლებების უფრო ეფექტიან დაცვას, ვიდრე მხოლოდ ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შეფასებაა, კლასიკური გაგებით.

2.3.2. ნორმისა და მისი ნორმატიული შინაარსის გამიჯვნის სტანდარტი

ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლის განხორციელებისას ერთ-ერთი საინტერესო და აქტუალური საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების სტანდარტია. აღნიშნული გულისხმობს მიდგომების ჩამოყალიბებას, რომელთა საფუძველზეც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ამ უფლებისა და შესაბამისად, საკუთარი პროცესუალური შესაძლებლობების ფარგლების ინტერპრეტაციას ახდენს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც უმაღლეს სახელისუფლებო ინსტიტუტთა კატეგორიას მიკუთვნებული ორგანო,[458] ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლის განხორციელებისას მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამართალგანვითარების პროცესზე.[459] ამ მხრივ, საქართველოს

[457] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის N3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-2.

[458] კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში - თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბილისი, 2011, 59.

[459] ჯავახიშვილი პ., თვითინიციატივასა და შეჯიბრებითობას შორის: ერთი გადაწყვეტილება საქა-

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, ამ უფლებამოსილების გამოყენების ხანმოკლე დროის მიუხედავად, მდიდარი და მრავალფეროვანი მიდგომებით ხასიათდება.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლს კიდევ უფრო მეტი სიმძაფრე შეაქვს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საკანონმდებლო ორგანოს შორის ურთიერთობაში. საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობით, საკანონმდებლო ორგანოს უბიძგებს კანონშემოქმედებითი ნების გამოჩენისკენ.[460] საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განავრცოს ნორმის შინაარსი და დაადგინოს სადავო ქმედებაზე კანონმდებლის უფლებამოსილების ფარგლები. საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საკონსტიტუციო სასამართლომ არამხოლოდ გააუქმა 70 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება - გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შეძენისა და შენახვისათვის განსაზღვრული სანქცია - შვიდიდან თოთხმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთა, არამედ ზოგადად, აღნიშნული ქმედებისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება.[461] ამ გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ ჩამოაყალიბა იმგვარი სავალდებულო რეგულაცია, რომელმაც პოზიტიური ნორმაშემოქმედების იდენტური სამართლებრივი შედეგები წარმოშვა.

საკონსტიტუციო სასამართლო ნორმატიული შინაარსის დადგენის დროს, გამორიცხავს სადავო სამართლებრივი აქტის არაკონსტიტუციურ განმარტებას. მაგალითად, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო აქტის ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობის მიზანი, არა ზოგადად, წინასწარი პატიმრობის 9-თვიანი ვადის გამოყენების აკრძალვა იყო, არამედ იგი დაუშვებლად მიიჩნევდა საპროცესო ვადით მანიპულირებას და წინასწარი პატიმრობის მოთხოვნის ხელოვნურად გაჭიანურებას, რადგან „ამგვარი ინტერპრეტაცია წინააღმდეგობაში მოვიდოდა კონსტიტუციის შესაბამისი მუხლით დაცულ სიკეთესთან.“[462] ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლომ შესაძლოა განსაზღვროს კონკრეტული შემ-

---

რთველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან, კრებული: „ავთანდილ დემეტრაშვილი 75“ დ. გეგენავას და მ. ჯიქიას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 93.

[460] შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 144.

[461] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[462] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის N3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-35.

თხვევები, რა დროსაც ნორმის სადავო განმარტება არ ჩაითვლება კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ. ასე მაგალითად, „მიუხედავად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ნორმის ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურობისა, საკონსტიტუციო სასამართლომ არ გამორიცხა და კონსტიტუციურად მიაჩნია 9-თვიანი ვადის გამოყენების შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, როცა პატიმრობამდე ჩადენილ დანაშაულზე პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველი ბრალდების მხარისათვის ცნობილი გახდება მხოლოდ პირველ საქმეზე, წინასწარი პატიმრობის შეფარდების შემდეგ".[463]

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივ ბუნებასთან მიმართებით აღსანიშნავია ორი მნიშვნელოვანი ნიუანსი: თუ კონსტიტუციურ სარჩელში წამოჭრილი პრობლემა მატერიალური თვალსაზრისით უკვე გადაწყვეტილია და ახალი ფაქტობრივი გარემოება არ ახდენს გავლენას საკონსტიტუციო სასამართლოს ძველი გადაწყვეტილების არსზე, საკონსტიტუციო სასამართლო არ იღებს სარჩელს არსებითად განსახილველად, მაგრამ ძველ გადაწყვეტილებაზე მითითებით, არაკონსტიტუციურად ცნობს ნორმის ნორმატიულ შინაარსს.[464] ხოლო თუ კონსტიტუციური სარჩელით განსაზღვრულ საკითხზე, საკონსტიტუციო სასამართლოს უკვე აქვს ადრე მიღებული გადაწყვეტილება, სასამართლო აღარ მსჯელობს საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე და ძველ გადაწყვეტილებაზე მითითებით, უარს ამბობს საქმის არსებითად განსახილველად მიღებაზე.[465] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4[1] პუნქტი არის „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთარი გადაწყვეტილების შესრულების ზედამხედველობისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის პრევენციის მექანიზმი", რომელიც ასევე უზრუნველყოფს პროცესის ეკონომიურობას.[466] ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლო

---

[463] იხ. იქვე, II-34.

[464] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის N3/1/855 განჩინება საქმეზე „ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალება „ნედლი მარიხუანის" პირადი მოხმარების მიზნებისთვის შეძენისა და შენახვის გამო"; იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის N2/15/1214 განჩინება საქმეზე „ააიპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[465] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/3/601 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე.

[466] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის N1/2/563 განჩინება საქმეზე „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II- 8.

ნორმის ნორმატიული შინაარსის განსაზღვრისას თავისუფალია მსჯელობასა და არგუმენტირებაში, თუმცა სასამართლოსათვის „მბოჭავი ძალა აქვს კონსტიტუციის ნორმებსა და ტერმინებს, რომლებიც ავტონომიური სამართლებრივი მნიშვნელობით განიმარტებიან.“[467]

ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის დადგენისას, საკონსტიტუციო სასამართლო შესაძლებელია საერთოდ გასცდეს სადავო ნორმის გრამატიკულ ფორმულირებას და სრულიად ახლებური მოწესრიგება დაადგინოს. მათ შორის, გასცდეს კანონის ნორმატიულ, სიტყვასიტყვით მნიშვნელობას. საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად მიიჩნია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ N601 კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნული საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უგულებელყოფდა გამართლებულის მიერ განაჩენის სააპელაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობას.[468] სადავო ნორმის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის წარმდგენ პირთა წრე ამომწურავად იყო განსაზღვრული, რომელთა შორის არ იყო სისხლის სამართლის საქმეზე გამართლებული პირი. არადა, სასამართლოს განმარტებით, გამართლებულ პირებსაც შესაძლოა ჰქონოდათ გამამართლებელი განაჩენის გასაჩივრების კანონიერი ინტერესი.[469] ამ გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ იხელმძღვანელა უფრო მაღალი საკონსტიტუციო სტანდარტით და ტელეოლოგიური განმარტების მეთოდის გამოყენებით, სადავო ნორმით დაცული სამართლებრივი სიკეთე იმ პირებზეც გაავრცელა, რომლებიც ნორმის გრამატიკულ ფორმულირებაში, ამ სიკეთის დაცვის ობიექტებად არ მოიაზრებოდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ამ გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ პოზიტიური კანონმდებლის ნიშნები შეიძინა.[470]

მსგავსი შინაარსის გადაწყვეტილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წელსაც მიიღო, როდესაც უფრო მაღალი სამართლებრივი სიკეთის დაცვის ინტერესით, არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის

---

[467] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-63.

[468] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/3/601 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-27.

[469] იხ., იქვე.

[470] გეგენავა დ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც პოზიტიური კანონმდებელი, წიგნში: „სერგო ჯორბენაძე 90“, ს. ჯორბენაძის რედაქტორობით, თბილისი, 2017.

საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის ნორმატიული შინაარსი, რომელიც საკასაციო სასამართლოს ართმევდა შესაძლებლობას, გასცდენოდა საკასაციო საჩივრის ფარგლებს და პასუხისმგებლობისგან გაეთავისუფლებინა პირი, იმ შემთხვევაში, როდესაც ქმედების ჩადენის შემდგომ მიღებული კანონი აუქმებდა ქმედების დანაშაულებრიობას.[471] აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო, აღნიშნული პრაქტიკის პარალელურად ერთგვარად დოგმატურ მიდგომას იჩენს საკუთარი უფლებამოსილებების საკონსტიტუციო ფარგლების მიმართ.[472]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის ნორმატიული შინაარსის განსაზღვრისას ეყრდნობა საერთო სასამართლოების მიერ ნორმის განმარტებისა და გამოყენების პრაქტიკას. საკონსტიტუციო სასამართლოს ეს უფლებამოსილება ორგანული კანონის საფუძველზე აქვს მინიჭებული, რომლის შესაბამისადაც, „ნორმატიული აქტის შემოწმებისას, საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში იღებს სადავო ნორმის არა მარტო სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, არამედ მასში გამოხატულ ნამდვილ აზრსა და მისი გამოყენების პრაქტიკას, აგრეთვე შესაბამისი კონსტიტუციური ნორმის არსს.“[473] საკონსტიტუციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ საერთო სასამართლოების პრაქტიკის გამოყენების მიზანი, სადავო ნორმის ნამდვილი შინაარსის დადგენაა: „საერთო სასამართლოები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას კანონის ნორმატიულ შინაარსთან, მის პრაქტიკულ გამოყენებასთან და შესაბამისად, მის აღსრულებასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთო სასამართლოების მიერ გაკეთებულ განმარტებას აქვს დიდი მნიშვნელობა კანონის რეალური შინაარსის განსაზღვრისას. საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც წესი, იღებს და იხილავს საკანონმდებლო ნორმას სწორედ იმ ნორმატიული შინაარსით, რომ-

---

[471] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“.

[472] საკონსტიტუციო სასამართლო სიფრთხილეს იჩენს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლების მიმართ, მაგალითად, 2012 განჩინებაში საკონსტიტუციო სასამართლომ უარი თქვა ფაქტობრივად საკუთარი უფლებამოსილების გაფართოებაზე, როდესაც არ განიხილა საკონსტიტუციო ცვლილებების კონსტიტუციურობა. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/3/523 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გერონტი აშორდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; იხ., ერემაძე ქ., კონსტიტუციური კანონის კონსტიტუციურობის შეფასების პერსპექტივები, კრებულში „ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა“, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2013.

[473] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი, 1996.

ლითაც იგი საერთო სასამართლომ გამოიყენა."[474] ეს მექანიზმი საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო იურისდიქციის სასამართლოებს შორის ურთიერთობისა და დიალოგის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობას არამხოლოდ სარჩელის, არამედ კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზეც განიხილავს. ამ მხრივ აღსანიშნავია საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის გადაწყვეტილება, სადაც საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა კონსტიტუციური სარჩელისა და კონსტიტუციური წარდგინების გამიჯვნის თაობაზე, პროცესში მონაწილე მხარეთა თანასწორობისა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების შეჯიბრებითობის პრინციპთან მიმართებით.[475] სამართლებრივი სტაბილურობისა და საჯარო წესრიგის მიზნებისთვის, კონსტიტუციური წარდგინების მნიშვნელობის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთარი ინიციატივით შეცვალა წარდგინებაში მითითებული საკონსტიტუციო ნორმა, რომელთან მიმართებითაც მოთხოვნილი იყო საკანონმდებლო ნორმის კონსტიტუციურობის შეფასება.[476] საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „კონსტიტუციური ნორმის არასწორად იდენტიფიკაციის ფორმალური მიზეზით" ვერ უგულებელყოფდა წარდგინებაში დასმულ პრობლემას, რასაც გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციურობის ეჭქვეშ დაყენება, მართლმსაჯულების პროცესის გაჭიანურება და უფლების დარღვევის დამატებითი რისკი შეეძლო შეექმნა.[477]

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლოა არამხოლოდ კონკრეტული ნორმატიული შინაარსი დაეკარგოს ნორმას, არამედ დადგინდეს ახალი ნორმა-პრინციპი და იგი ასევე გავრცელდეს, მაგალითად, სისხლის სა-

---

[474] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის N1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ლიბერთი ბანკი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-16; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის N2/2/656 გადაწყვეტილება საქმეზე „სს სილქ როუდ ბანკი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-4.

[475] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე".

[476] ჯავახიშვილი პ., თვითინიციატივასა და შეჯიბრებითობას შორის: ერთი გადაწყვეტილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან, კრებული „ავთანდილ დემეტრაშვილი 75" დ. გეგენავას და მ. ჯიქიას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 100.

[477] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე".

მართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლებში გაფანტული, ინკრიმინირებული კონკრეტული ქმედებების მიმართ. 2015 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური საქმე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სადაც მოსარჩელისთვის პრობლემას წარმოადგენდა არა ზოგადად ნარკოტიკული საშუალებების, არამედ გამომშრალი მარიხუანის მხოლოდ შეძენა/შენახვისთვის, პასუხისმგებლობის სახით 7-დან 14 წლამდე თავისუფლების აღკვეთა.[478] აღნიშნულ საქმეზე, საკონსტიტუციო სასამართლომ არამხოლოდ გააუქმა 70 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება - გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შეძენისა და შენახვისათვის განსაზღვრული სანქცია - 7-დან 14 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, არამედ ზოგადად, არაკონსტიტუციურად მიიჩნია აღნიშნული ქმედებისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება.[479] იგივე მიდგომა განმტკიცდა მოგვიანებით მიღებული განჩინებითაც.[480]

ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის დადგენისას საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება: საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, იგი უფლებამოსილია დაადგინოს სადავო ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა მაშინ, როცა თავად მოსარჩელე კონსტიტუციური სარჩელით ამ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვდა სარჩელში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოსარჩელის ინტერესი, ნორმა არაკონსტიტუციურად გამოცხადდეს, შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან მოდიფიცირდეს და მხოლოდ მისი ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა შეფასდეს, რაც სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებად უნდა შეფასდეს.[481] საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში დამკვიდრებული შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას მთლიანად ნორმის კონსტიტუციურობაზე იმ-

---

[478] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[479] იხ., იქვე.

[480] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის N3/1/708,709,710 განჩინება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის და 260-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება - გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნისთვის უკანონო შეძენა-შენახვის გამო“.

[481] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის N3/3/1526 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრი“, ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

სჯელოს იმ შემთხვევაში, როცა მოსარჩელე მხოლოდ სადავო ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობაზე დავობს. აღნიშნული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის დადგენას საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს, როგორც ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის ერთ-ერთ ქვეტიპად, მიღებული გადაწყვეტილება ექცევა ნორმატიული კონტროლის ფარგლებში, რის გამოც, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნული გარემოება დამატებით ახსნას არ ექვემდებარება.[482]

და ბოლოს, ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის დადგენისას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მბოჭავი ხასიათისაა ნორმის გამოყენების პროცესში. იგი სავალდებულო იურიდიულ ძალას იძენს, როგორც სამართალწარმოების მონაწილე მხარეების, ისე ყველას მიმართ. „საკონსტიტუციო სასამართლო მსჯელობს კონკრეტული საკითხის ნორმატიულ შინაარსზე და იღებს გადაწყვეტილებას გასაჩივრებული დებულებით განპირობებული სავარაუდო პრობლემის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე“.[483] შესაბამისად, ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობილი შინაარსით გამოყენების შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამგვარი ინტერპრეტაციის უგულებელმყოფელ და დამძლევ აქტად მიიჩნევა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებისას ყალიბდება, როგორც ნორმატიულ აქტებსა და მათ ინტერპრეტაციაზე საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო. სადავო სამართლებრივი აქტის შინაარსიდან არაკონსტიტუციური ინტერპრეტაციის გამორიცხვით ან ნორმის კონსტიტუციასთან თავსებადი იმგვარი განმარტების დადგენით, რომლის განუხრელად დაუცველობაც ნორმის არაკონსტიტუციურობას გამოიწვევს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმატიული აქტების განმარტებაზე ფაქტობრივ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოდ აქცევს, რაც კონსტიტუციის დაცვის მიზანს ემსახურება. ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვისათვის ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლის განსაკუთრებული მნიშვნელობის მიუხედავად, სამართალწარმოების აღნიშნულ ფორმას გარკვეული რისკებისა და საფრთხეების არსებობაც უკავშირდება, რომელთა უგულებელყოფა საკონსტიტუციო სამართალწარმოებისთვის სისტემური პრობლემების წინაპირობა შეიძლება გახდეს.

---

[482] იხ., იქვე.

[483] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-34.

2.3.3. საფრთხეები და გამოწვევები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლით საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის (ძვ. რედაქციით 89-ე მუხლი) ფარგლებში, საკონსტიტუციო კონტროლის ახალ მიმართულებას დაუდო სათავე და განსხვავებული პრაქტიკა ჩამოაყალიბა. ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის დადგენით საკონსტიტუციო სასამართლომ ფაქტობრივად „ერთმანეთისგან გამიჯნა სადავო ნორმა და მისი ნორმატიული შინაარსი."[484] ნორმატიული აქტების შინაარსის კონსტიტუციურობის დადგენა ძირითადი უფლებების დაცვის თვალსაზრისით დადებით მოვლენად შეიძლება შეფასდეს, თუმცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ეს „უაღრესად თამამი და ამავე დროს კონსტიტუციური კანონიერების თვალსაზრისით ერთობ საეჭვო ხერხი"[485] საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესისთვის გარკვეულ საფრთხეებსაც უკავშირდება. დისკუსიას იწვევს უფლებამოსილების სამართლებრივი ბუნება, მისი თავსებადობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საკონსტიტუციო სტატუსთან, ამ ტიპის სასარჩელო წარმოების გავლენა სამართლებრივ სტაბილურობაზე და სხვა ფაქტორები.

ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლი, პირველ რიგში, პრობლემურია მისი ჩამოყალიბების სამართლებრივი საფუძვლების გამო. სამართალწარმოების აღნიშნული ფორმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თვითშემოქმედების შედეგია. საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებითი საკანონმდებლო საფუძვლების შექმნის გარეშე, ფართოდ განმარტა კონსტიტუციით განსაზღვრული მისი უფლებამოსილების დამდგენი ნორმა და ამ უფლებამოსილების გრამატიკული მნიშვნელობის მიღმა შეძლო საკუთარი კომპეტენციური ტრანსფორმაცია. ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლი არ შეიძლება მივაკუთნოთ საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილების ძირითად ფორმას, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს, კომპეტენციური შესაძლებლობების ინსტიტუციური გაძლიერებით მიენიჭა კანონმდებლის მიერ, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთარი გადაწყვეტილებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლი, შესაძლებელია არ ეწინააღმდეგება აღნიშნული უფლებამოსილების საკონსტიტუციო საფუძვლებს, მისი გრამატიკული მნიშვნელობით, თუმცა უფლებამოსილების ამგვარი კორექტირების განზოგადება

---

[484] იხ., გეგენავა დ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც პოზიტიური კანონმდებელი, მოხსენება კონფერენციისთვის: „სერგო ჯორბენაძე 90", თბილისი, 2017.

[485] ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2020, 129.

საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს თავად საკონსტიტუციო სასამართლოსა და კონსტიტუციური კანონიერებისთვის.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღჭურვილია ნეგატიური კანონმდებლის სტატუსით.[486] თუმცა ნორმის ნორმატიული კონტროლის პირობებში, საკონსტიტუციო სასამართლო ემსგავსება იმ ევროპულ სასამართლოებს, რომელთაც განმარტებითი გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება გააჩნიათ. ზოგიერთი მეცნიერის შეფასებით, ამგვარი უფლებამოსილება უფრო მეტად შეესაბამება საკონსტიტუციო სასამართლოს, არა როგორც ნეგატიური კანონმდებლის, არამედ როგორც „პოზიტიური კანონმდებლის" ან „პოზიტიური თანაკანონმდებლის" სტატუსს.[487] აღნიშნულის მიზეზი, ისაა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კანონის გარკვეული შინაარსით ინტერპრეტაციის არაკონსტიტუციურად გამოცხადებით, იურიდიულ ძალას ინარჩუნებს კანონის ის მნიშვნელობა, რომელიც კონსტიტუციის სულისკვეთებას შეესაბამება. ნორმის ცალკეული მნიშვნელობის არაკონსტიტუციურად გამოცხადებით და შესაბამისად, მისი კონსტიტუციური მნიშვნელობის დადგენით კი, საკონსტიტუციო სასამართლო ხორცს ასხამს კონკრეტულ მომენტში კანონმდებლის ნებას[488], რითაც საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა ემსგავსება კანონმდებლისას.[489]

ამ უფლებამოსილების ფარგლებში განხილულ მთელ რიგ საქმეებთან მიმართებით, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად გამოცხადებით ძალადაკარგულად ცნო არამხოლოდ სადავო ნორმის არაკონსტიტუციური მნიშვნელობა, არამედ შინაარსობრივი თვალსაზრისით ნორმა სამართლებრივ სიცარიელედ აქცია. უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლომ ნორმის ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობით პოზიტიური შინაარსის ვალდებულებები დაადგინა კანონმდებლისა და საერთო სასამართლოებისთვის,[490]

---

[486] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის N3/6/642 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-20.

[487] Safta M., Developments in the Constitutional Review. Constitutional Court Between the Status of Negative Legislator and the Status of Positive Co-Legislator, Perspectives of Business Law Journal, Vol. 1, Iss. 1, 2012, 14.

[488] იხ., იქვე.

[489] იხ., იქვე.

[490] აღნიშნულ საქმეზე, საკონსტიტუციო სასამართლომ არამხოლოდ არაპროპორციულად მიიჩნია სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სანქცია, არამედ ზოგადად, არაკონსტიტუციურად გამოაცხადა შესაბამისი ქმედებისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

რითაც, გარკვეული მოსაზრებით, გასცდა ნეგატიური კანონმდებლის უფლებამოსილების ფარგლებს და ახალი ნორმების ჩამოყალიბებით, პოზიტიური კანონმდებლის ფუნქცია შეიძინა.[491]

ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლი გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის განმარტებისა და გამოყენების პრაქტიკის შესაბამისობის განსაზღვრას კონსტიტუციურ ნორმასთან მიმართებით. ნორმის კონსტიტუციურობის დადგენის პროცესისგან განსხვავებით, ნორმის ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობა არ იწვევს კონკრეტული ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადებას, არამედ არაკონსტიტუციურად ცხადდება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ ნორმის კონკრეტული შინაარსით ინტერპრეტაცია. ამ გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლო გამორიცხავს ნორმის განმარტებისა და მისი გამოყენების კონსტიტუციის ნორმასთან შეუსაბამო პრაქტიკას. თუმცა იურიდიულ ძალაში დატოვებული ნორმა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა არაკონსტიტუციური მნიშნელობითაც. აღნიშნული კი პრობლემურია სამართლებრივი სტაბილურობის, პროცესის ეკონომიურობისა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვის თვალსაზრისით.

გასათვალისწინებელია ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის პრაქტიკაც, რომელიც კიდევ უფრო დაშორდა ამ უფლებამოსილების მიზანს და საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებით მანიპულირების შესაძლებლობა შექმნა. საქმე იმაშია, რომ ცალკეულ შემთხვევებში მოსარჩელე, იმ ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის კონტროლს ითხოვს, რომელიც საერთო სასამართლოების მიერ იქნა გამოყენებული.[492] უფრო კონკრეტულად, მოსარჩელე ითხოვს იმ ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის დადგენას, რომელიც სადავო მნიშვნელობით საერთო სასამართლომ განმარტა. წარმოდგენილი მაგალითი უნდა შეფასდეს როგორც საერთო სასამართლოების მიერ კონკრეტულ საქმეზე გაკეთებული განმარტების კონსტიტუციურობის დადგენის მცდელობა. აღნიშნული კი, გარდა იმისა, რომ შესაძლოა მოსაჩელის მხრიდან ემსახურებოდეს პროცესის გაჭიანურებას ან საერთო სასამართლოების გადაწყვეტილების აღსრულებისთვის ხელის შეშლის მიზანს, ფაქტობრივად, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილების საკონსტიტუციო

---

[491] იხ., გეგენავა დ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც პოზიტიური კანონმდებელი, მოხსენება კონფერენციისთვის: „სერგო ჯორბენაძე 90“, თბილისი, 2017.

[492] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის N3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

კონტროლია, რისი უფლებამოსილებაც კონსტიტუციით საქართველოს საკონ-სტიტუციო სასამართლოს არ გააჩნია.[493]

მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ამგვარი აქტიუ-რობა უფლების დაცვის უფრო მყარ და სანდო დამატებით გარანტიებს ქმნის ქვეყანაში, იგი ერთგვარი საფრთხეცაა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, რადგან „თუ იგი აღიქვეს როგორც მეორე საკანონმდებლო პალატა, საკონსტი-ტუციო სასამართლო „პოლიტიკურობის" მოტივით დავდასხმის ობიექტი გახ-დება, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი, გადაწყვეტილებას მხოლოდ სამა-რთლებრივ საფუძველზე მიიღებს".[494] ამიტომ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთარი კომპეტენციური ფარგლების გაზრდა მისი დამოუკიდებლო-ბისა და ლეგიტიმურობის ზღვარზე გადის. აღნიშნულის გარდა, ბატონი ჯონი ხეცურიანის მოსაზრებით, „ადამიანის უფლებების ეფექტიანად დაცვის ინტე-რესები ვერ გამოდგება საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული პრაქტი-კის გამამართლებელ არგუმენტად, რადგან ადამიანის უფლებების დაცვის მოვალეობა დაკისრებული აქვს სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა ორ-განოს, ოღონდ კონსტიტუციითა და კანონით მათთვის დადგენილი კომპეტენ-ციის ფარგლებში," ზემოაღნიშნულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება კი, მისივე მოსაზრებით, სცდება საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსი-ლების ფარგლებს.[495]

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთარი უფლებამოსილებების გაფართოება ნორმის ნორმატიული შინა-არსის დადგენით, იმ პირობებში, როდესაც ადრინდელი პრაქტიკით საკონსტი-ტუციო სასამართლო ერთი მხრივ, მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა საკუთარი უფლებამოსილებების გაფართოებას[496] და მეორე მხრივ, თავს იკავებდა ნორ-მატიული შინაარსის კონსტიტუციურობის განხილვისაგან,[497] შეიძლება შეფა-სდეს როგორც, სრული კონსტიტუციური სარჩელის არარსებობის პირობებში, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის თვალსაზრისით, საკონსტიტუციო

---

[493] საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის, ბატონი ჯონი ხეცურიანის მოსაზრე-ბით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ამ გადაწყვეტილებით ახალი ნორმა შექმნა, „პოზიტიურ კანონმდებლად" იქცა და უზენაესი სასამართლოს ფუნქციის შესრულება შეითავსა. იხ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მეორე გა-დამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2020, 132.

[494] შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 63.

[495] იხ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მეორე გა-დამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2020, 132.

[496] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/3/523 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გერონტი აშორდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[497] ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 64.

სასამართლოს კომპეტენციური არსენალის „ნორმატიული შიმშილი“,[498] ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლოდროინდელი პრაქტიკა, ამ ნორმატიული ხარვეზის პრაქტიკული ღონისძიებით აღმოფხვრის მცდელობა. აღნიშნული კი უნდა შეფასდეს, როგორც მინიშნება, არსებულ მოდელთან შედარებით უფრო ძლიერი საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების საჭიროებაზე.

3. საკონსტიტუციო კონტროლის არსებული მოდელის ეფექტიანობა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა

3.1. ძირითადი უფლებების დაცვა მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის არარსებობის პირობებში

ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში არაერთხელ გამოთქმულა მოსაზრება, ძირითადი უფლებების დაცვის თვალსაზრისით, საკონსტიტუციო კონტროლის ქართული მოდელის ეფექტიანობის თაობაზე.[499] ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის, როგორც ადამიანის ძირითადი უფლების დაცვის არასრულყოფილი ფორმის შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც შენიშნა,[500] თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციური სრულყოფისთვის რაიმე ქმედითი საკანონმდებლო ნაბიჯები დღემდე არ გადადგმულა. ხარვეზები, რომლებზეც საქართველოში დამკვიდრებულ საკონსტიტუციო კონტროლის ფორმასთან მიმართებით მიანიშნებენ,[501] მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას შეეძლო შეევსო, თუმცა არაერთი მცდელობის მიუხედავად, ძირითადი უფლების და-

---

[498] ტერმინის შესახებ იხ. გეგენავა ა., გეგენავა დ., დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და კანონმდებლობის ნორმატიული შიმშილი, კრებულში: „ბესარიონ ზოიძე 60“, დ. გეგენავას და ს. ჯორბენაძის რედაქტორობით, 2016.

[499] ერქვანია თ., ნორმატიული საკონსტიტუციო სარჩელი, როგორც კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის არასრულყოფილი ფორმა საქართველოში, 2014, იხ. <http://emc.org.ge/2014/10/27/tinatin-erkvania/> [03.06.2022]

[500] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, საჩივრის N40765/02.

[501] ერქვანია თ., კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის ხარვეზები საქართველოში - ე.წ. „რეალური“ კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სისტემაში ინტეგრაციის შესახებ, კრებულში: „ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში“, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2017.

ცვის ამ ეფექტიანი საშუალების საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მინიჭება დღემდე არ მომხდარა.[502]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოა,[503] რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხელისუფლების დანაწილებისა და კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპების რეალიზებასა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვაში.[504] საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივ ბუნებას ყველაზე მკაფიოდ სწორედ კონსტიტუციისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა წარმოაჩენს.[505] რომელთა ეფექტიანად განხორციელებაში ვლინდება საკონსტიტუციო ტრიბუნალის ისტორიული, პოლიტიკური, სამართლებრივი ბუნება. სწორედ ამ მნიშვნელობის გათვალისწინებით აუცილებელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები შესაბამისობაში იყოს მის საკონსტიტუციო მანდატთან.

2017 წელს საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად დასრულდა საქართველოს პოლიტიკური სისტემის გარდაქმნა საპარლამენტო რესპუბლიკად. აღნიშნული ცვლილებები, ვენეციის კომისიის შეფასებით, დაეფუძნა დემოკრატიის პრინციპებს, კანონის უზენაესობასა და ძირითადი უფლებების დაცვას".[506] თუმცა საქართველოს კონსტიტუციაში შესული მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, შეიზღუდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები,[507] აღნიშნულის გამო 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმა საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციური სრულყოფის მხრივ ერთმნიშვნელოვნად წინგადადგმულ ნაბიჯად არ მიიჩნევა.[508] ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ

---

[502] იხ., ფირცხალაშვილი ა., საკონსტიტუციო სასამართლოს რეალური კონტროლი კვლავ კონსტიტუციის გადასინჯვის მიღმა, ჟურნ. „აკადემიური მაცნე", სპეციალური გამოცემა, 2017.

[503] საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის, მე-2 პუნქტი, 1995.

[504] ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, თბილისი, 2016, 8-9.

[505] საკონსტიტუციო სამართლის თეორიაში, საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების უფლებამოსილებების ოთხი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა: 1. უფლებამოსილებები, რომლებიც ეროვნული სამართლის წყაროების სისტემაში კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფასთანაა დაკავშირებული, 2. უფლებამოსილებები, რომლებიც დაკავშირებულია ხელისუფლების დანაწილების პრინციპის უზრუნველყოფასთან; 3. უფლებამოსილებები, რომლებიც ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას უკავშირდება; 4. უფლებამოსილებები, რომელთა საშუალებით უზრუნველყოფილია კონსტიტუციური ნორმების დაცვა უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ დარღვევებისგან იხ., Сравнительное конституционное право, отв. ред. В. Е. Чиркин, Москва, 2002, 107.

[506] CDL – AD (2017)023. European Commission for Democracy through Law (Venice Commission), „Opinion on the Draft revised Constitution as adopted by the Parliament of Georgia at the second reading on 23 June 2017". Adopted by the Venice Commission at its 112th Plenary Session (Venice, 6-7 October 2017). Para 51.

[507] იხ., ხეცურიანი, ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2020, 15-16

[508] ხეცურიანი ჯ., საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017 წ.) და საკონსტიტუციო სასამა-

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის უფლების მინიჭების მცდელობა კვლავ წარუმატებელი აღმოჩნდა.[509]

ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოა, რომელიც ფიზიკური პირის, იურიდიული პირის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით.[510] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ იღებს კანონს, ფორმალური გაგებით, რადგან არ გააჩნია კანონშემოქმედებითი საქმიანობის საკონსტიტუციო მანდატი, თუმცა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კანონმდებლობის სრულყოფას, დახვეწას[511] და „თავისი გადაწყვეტილებებით ქმნის მტკიცე სამართლებრივ ნორმებს, მატერიალური გაგებით“.[512]

საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნულ უფლებამოსილებას საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე ახორციელებს, რომლითაც „ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“.[513] აღნიშნული ნორმა ფორმალურად, სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას იძლევა, ხოლო შინაარსობრივად - ადამიანის სრულყოფილი, ყოვლისმომცველი სამართლებრივი დაცვის წინაპირობას ქმნის.[514] თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები არ იძლევა ადამიანის ძირითადი უფლებების სრულყოფილად დაცვის შესაძლებლობას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პირის მიმართვის საფუძველზე განიხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხს ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით, თუმცა იგი მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობა. სწორედ აღნიშნული გა-

---

რთლო, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი“, N1/2018 , 27.

[509] ფირცხალაშვილი ა., საკონსტიტუციო სასამართლოს რეალური კონტროლი კვლავ კონსტიტუციის გადასინჯვის მიღმა, ჟურნ. „აკადემიური მაცნე“, სპეციალური გამოცემა, 2017, 11.

[510] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, 1995.

[511] კვერენჩხილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა და საკონსტიტუციო იუსტიციის მოდელები (ზოგიერთი თეორიული საკითხი), ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, N3, 2006, 41.

[512] გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012, 49.

[513] საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი, 1995.

[514] შულაია ს., ევროპულ სახელმწიფოთა საკონსტიტუციო სასამართლოები - ეროვნულ დონეზე საქმის წარმოების ბოლო ინსტანცია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმის განხილვამდე, კრებულში: „ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები“, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2009, 234.

რემოება აქცევს საკონსტიტუციო კონტროლის ქართულ მოდელს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის არასრულყოფილ საშუალებად. ამ უფლებამოსილების ფარგლებში ინდივიდები აღიჭურვებიან „არარეალური" კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგენის უფლებამოსილებით და საკონსტიტუციო კონტროლის მიღმა რჩება საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც, მათი შინაარსის გათვალისწინებით, შესაძლებელია ნორმატიულ აქტებთან შედარებით, არანაკლებ იწვევდნენ პირის კონსტიტუციური უფლებების დარღვევას.[515] ამ თვალსაზრისით საკონსტიტუციო კონტროლის ქართული მოდელი არასრულყოფილია.[516]

3.2. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის ეფექტიანობა ევროსასამართლოსადმი მიმართვიანობის კონტექსტში

კონსტიტუციური უფლებების დაცვის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, რომელიც ცდება შიდაეროვნულ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხთა წრეს და საერთაშორისო მნიშვნელობას იძენს. საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები აქტიურად სწავლობენ სახელმწიფოში არსებულ პიროვნების თავისუფლების ხარისხს, ადამიანის ძირითადი უფლებების კატალოგს, მათი დაცვის მექანიზმებს და სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხს განსაზღვრავენ. ამ ფუნქციის განხორციელებისას გამოიყენება როგორც შიდაეროვნული, ისე საერთაშორისო ინდიკატორები. ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის საშუალებების ეფექტიანობის შეფასების მნიშვნელოვანი საერთაშორისოსამართლებრივი ინსტრუმენტი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოა (შემდგომში - ევროპული სასამართლო), რომლისადმი ინდივიდთა მიმართვიანობის ანალიზი გარკვეული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ქვეყნის ეროვნული სამართლებრივი სისტემის თაობაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ძირითადი პრაქტიკული ინსტრუმენტია. კონვენცია განსაზღვრავს უფლებრივ გარანტიებს ხელშემკვრელი სახელმწიფოების მოქალაქეთათვის, ევროპული სასამართლოსადმი მიმართვით, დაიცვან მათი ძირითადი უფლებები, რაც იძლევა ეროვნული სამართლებრივი სისტემის ევროპული კანონმდებლობის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის შესაძ-

[515] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ", N40765/02, I-43.

[516] იხ., <https://www.radiotavisupleba.ge/a/patara-strasburgis-idea/27518532.html>

ლებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საჩივრების განხილვისას ხშირად ეხება კონკრეტული ქვეყნის სამართლებრივ სისტემას და აფასებს მაგალითად, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის თაობაზე სახელმწიფოში მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ საშუალებებს. ეს მიდგომა, ევროპული სასამართლოს მიერ გამოიყენება როგორც ერთგვარი მეთოდი, ადამიანის ძირითადი უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტის იდენტიფიცირებისათვის, რაშიც ხშირად იკვეთება უფლების დაცვის თვალსაზრისით, სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის ეფექტიანობის ხარისხი.

საქართველოში ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სამართლებრივი საშუალებების შესახებ ევროპულმა სასამართლომ ყველაზე მკაფიო შეფასება საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ" გააკეთა, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საკონსტიტუციო სასამართლოზე, როგორც ძირითადი უფლების დაცვის ეფექტიან საშუალებაზე. საქართველოს კონსტიტუციის 2017 წლამდე არსებული რედაქციის 89-ე მუხლის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილი იყო პირის სარჩელის საფუძველზე განეხილა ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობა, კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით.[517] ძირითადი უფლებების დაცვის აღნიშნული საკონსტიტუციო მექანიზმი, ევროპული სასამართლოს შეფასებით, ინდივიდს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი „აბსტრაქტული" სარჩელით მიმართვის შესაძლებლობას აძლევდა და გამორიცხავდა სასამართლოების ან სხვა საჯარო უწყებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობას, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენდნენ ინდივიდის პირად მდგომარეობაზე."[518]

ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მიმართვის ფორმის ეფექტიანობის მნიშვნელობაზე და მისი შეფასების მთავარ კრიტერიუმად მიუთითა, რომ სარჩელი „უნდა იძლეოდეს გასაჩივრებული დარღვევის პირდაპირი და სწრაფი გამოსწორების საშუალებას", ამასთან, მოსარჩელეს არ უნდა სთავაზობდეს „კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული უფლებების უბრალო, ირიბ დაცვას."[519] ევროპული სასამართლოს შეფასებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება გააუქმოს სასამართლოების და საჯარო უწყებების მიერ გამოტანილი ის ინდივიდუალური გადაწყვეტილებები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ მოსარჩელის

[517] საქართველოს კონსტიტუციის 1995-2017 წლების რედაქციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი.

[518] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ", N40765/02, I-40.

[519] იხ., იქვე, I-44.

უფლებებზე,[520] რის გამოც, უფლების დაცვის ეს საშუალება კონვენციის 35-ე მუხლის მიზნებისათვის არაეფექტიან საშუალებად მიიჩნია.[521] მისივე შეფასებით, საკონსტიტუციო კონტროლის ქართული მოდელი უნგრეთში მაშინ დამკვიდრებულ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ფორმას ემსგავსებოდა, რომელიც ინდივიდებს მხოლოდ კანონის აბსტრაქტული კონტროლის საშუალებას აძლევდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საქმე საქართველოს კონსტიტუციის ძველი რედაქციის ნორმებს უკავშირდება, საკანონმდებლო სინამდვილე დღესაც უცვლელია და საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით, უფლების დაცვის იმავე სტანდარტს სთავაზობს პირებს, რასაც ამ გადაწყვეტილების მიღების დროს მოქმედი კანონმდებლობა განსაზღვრავდა.

საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ძირითადი უფლებების დაცვის საშუალების შესახებ საკუთარი მოსაზრებები აქვს გამოქვეყნებული ვენეციის კომისიასაც. საკუთარ დასკვნაში, რომელიც საქართველოში 2005 წელს განხორციელებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს შეეხებოდა, ვენეციის კომისია საკონსტიტუციო კონტროლის საქართველოში დამკვიდრებულ ფორმას, ევროპის მასშტაბით ერთ-ერთ გავრცელებულ მოდელს მიაკუთვნებს, რომელიც ინდივიდს ე.წ. „არარეალური" კონსტიტუციური სარჩელის აღძვრის უფლებას ანიჭებს, იმ ნორმატიული აქტის თაობაზე, რომელიც მის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს შეეხება.[522] ვენეციის კომისიამ დადებითად შეაფასა 2004 წლის კონსტიტუციური კანონის პროექტით განსაზღვრული ინიციატივა, რომლის შესაბამისადაც, კონსტიტუციით განსაზღვრულ სარჩელის ფორმას ემატებოდა გერმანიასა და ჩეხეთში მოქმედი საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმი, ე.წ. „რეალური" საკონსტიტუციო სარჩელის ფორმით, რომელიც, მათ შორის, ინდივიდუალური აქტების - სასამართლოების საბოლოო გადაწყვეტილებების საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას იძლეოდა.[523] საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ამგვარ გაფართოებას, აღნიშნული ორგანიზაცია კონსტიტუციის მე-2 თავით გარანტირებული, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ძლიერ ინსტრუმენტად განიხილავდა.[524] თუმცა აღნიშნული ცვლილებების საკანონმდებლო რეგლამენტაცია არ მომხდარა.

---

[520] იხ., იქვე, I-43.

[521] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1993 წლის 30 ივნისის განჩინება „ვენი უნგრეთის წინააღმდეგ, N21495/93.

[522] Opinion of Draft Constitutional Amendments Relating to The Reform of The Judiciary in Georgia, CDL-AD (2005)005, Opinion N328/2004, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 14 March 2005, 22.

[523] იხ., იქვე, 23.

[524] იხ., იქვე, 24.

ვენეციის კომისია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სრული კონსტიტუციური სარჩელის მექანიზმს, რომელიც საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის შესაძლებლობას იძლევა, ფუნდამენტური უფლებების დაცვის ეფექტიან შიდასამართლებრივ მექანიზმად განიხილავენ.[525] ევროპული სასამართლოს შეფასებით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლი იმ დარღვევათა გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, რომელთა „მყისიერი და პირდაპირი საფუძველი სასამართლო ორგანოს ქმედებაში ან უმოქმედობაში მდგომარეობს, იმ ფაქტებისგან დამოუკიდებლად, რომლებიც საფუძვლად დაედო საქმის წარმოებას".[526] სრული კონსტიტუციური სარჩელის მექანიზმის დანერგვა სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში განაპირობებს ქვეყნის ეროვნული მასშტაბით ადამიანის ძირითადი უფლების სრულყოფილი დაცვის ინსტრუმენტის ამოქმედებას და ევროპული სასამართლოსადმი მიმართვიანობის კლებას.[527]

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოში მოქმედი საკონსტიტუციო კონტროლის მოდელი, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის თვალსაზრისით „ქმნის ნორმატიული კონსტიტუციური სარჩელის კლასიკურ ვერსიას და არის ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის ერთ-ერთი სუსტი მოდელი რეგიონში."[528] ძირითადი უფლებების დაცვის ეროვნული სამართლებრივი სისტემის სრულყოფის საშუალებად, სრული კონსტიტუციური სარჩელის საქართველოს საკონსტიტუციო კონტროლის სისტემაში დანერგვა მოიაზრება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სტანდარტის გაძლიერებას ქვეყანაში, ხელს შეუწყობს ქვეყნის ეროვნულ დონეზე დავის აღმოფხვრას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმართვიანობის კლებას განაპირობებს. ამგვარი საშუალების არარსებობის პირობებში კი საქართველოს სამართლებრივი სისტემა მოკლებულია შესაძლებლობას უზრუნველყოს ადამიანის კონსტიტუციური უფლებების სრულყოფილად დაცვა უმაღლესი სტანდარტით და თავიდან აიცილოს ამ გარემოებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები.

---

[525] Study on Individual Access to Constitutional Justice, CDL-AD (2010) 039rev, N538/2009, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 27 January, 2011.

[526] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ", N40765/02, I-42.

[527] Study on Individual Access to Constitutional Justice, CDL-AD (2010) 039rev, N538/2009, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 27 January, 2011.

[528] ერქვანია თ., კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის ხარვეზები საქართველოში - ე.წ. „რეალური" კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სისტემაში ინტეგრაციის შესახებ, კრებულში: „ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში", კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 49.

IV. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრების პერსპექტივა ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში

1. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრების მიზანშეწონილობა

თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფო აღიარებს ადამიანის ძირითადი უფლებების განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ზრუნავს მათი დაცვის ეფექტიანი მექანიზმების დანერგვაზე. ამ მიზნით მნიშვნელოვანია, რომ უფლების დაცვის საშუალება ქმნიდეს უფლების დაცვის არა ფორმალურ, არამედ ეფექტიან, სრულყოფილ სამართლებრივ შესაძლებლობას, გარანტირებული სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით.[529] საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო პრაქტიკაში უფლების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა საკონსტიტუციო კონტროლი, ამ უკანასკნელის პროცესუალური ინსტრუმენტი კი კონსტიტუციური სარჩელია.

საქართველოში დამკვიდრებული ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის მოდელი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ უკვე შეფასებულია, როგორც ძირითადი უფლების დაცვის არაეფექტიანი შიდაეროვნული საშუალება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 35-ე მუხლის მიზნებისთვის.[530] ადამიანის უფლებათა ევროპული ინსტიტუტების მიერ აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების მექანიზმად ასევე შემოთავაზებულია საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის დანერგვა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტი[531] და ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებათა ევრო-

---

[529] Zerk A. J, Multinationals and Corporate Social Responsibility: Limitations and Opportunities in International Law, Cambridge University Press, 2006, 35.

[530] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, N40765/02.

[531] იხ., Buquicchio G., Review and Way Forward for the Individual Application System, Seven Years on Istanbul, Venice Commission, 2019, 3; Lacchi C., Review by Constitutional Courts of the Obligation of National Courts of Last Instance to Refer a Preliminary Question to the Court of Justice of the EU, Special Issue - Preliminary References to the CJEU Part Five, German Law Journal, Vol. 16, N06, 2015, 1670.

პული სასამართლოსადმი მიმართვიანობის კლებას.[532] ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ყოველწლიურად წარდგენილ განაცხადთა სტატისტიკური მონაცემების პოზიტიური დინამიკის მიუხედავად,[533] საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებს მიღმა კვლავ რჩება სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებები. აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია შეფასდეს ის დადებითი შედეგები, რასაც სრული კონსტიტუციური სარჩელის დანერგვა გამოიწვევს საქართველოში.

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის საქართველოს სამართლებრივ სისტემაში დანერგვა უზრუნველყოფს ქვეყნის შიდაეროვნულ დონეზე, ადამიანის ძირითადი უფლების დაცვის უნივერსალური სტანდარტის დადგენას.[534] სარჩელის აღნიშნული ფორმა შესაძლებლობას მისცემს პირს, დაიცვას მისი კონსტიტუციური უფლებები, საერთო სასამართლოს არაკონსტიტუციური გადაწყვეტილებისგან. ამასთან, სრული კონსტიტუციური სარჩელის საქართველოს ეროვნულ სისტემაში ინტეგრაცია უზრუნველყოფს დამატებით საშუალებას, კონსტიტუციის უზენაესობისა და კონსტიტუციური კანონიერების დაცვის თვალსაზრისით.

მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმი დადებითად აისახება საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს საერთაშორისო იმიჯზე. ეროვნულ დონეზე ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სტანდარტის გაუმჯობესება, დადებით გავლენას მოახდენს საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს აღქმაზე, რისი ერთ-ერთი გამოხატულება შეიძლება იყოს საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ეროვნული სისტემის მიმართ პოზიტიური შეფასების ჩამოყალიბება.[535] აღნიშნულის გარდა, სრული კონსტიტუციური სარჩელის გამოყენებით შემცირდება მიმართვიანობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი, რადგან ეროვნულ დონეზე უფლების დაცვის დამატები-

---

[532] Buquicchio G., Review and Way Forward for the Individual Application System, Seven Years on Istanbul, Venice Commission, 2019, 3.

[533] ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსადმი საქართველოს მოქალაქეების მიერ წარდგენილ განაცხადთა რაოდენობა კლებადია იხ., <https://www.echr.coe.int/sites/search_eng/pages/search.aspx#{%22sort%22:[%22createdAsDate%20Descending%22],%22Title%22:[%22\%22analysis%20of%20statistics\%22%22],%22contentlanguage%22:[%22ENG%22]> [10.12.2021]

[534] Speech of Mr. Haşim K., President of the Turkish Constitutional Court, Conference - The Best Practices of Individual Complaint to the Constitutional Courts in Europe, Paris, Strasbourg, 2014, 2.

[535] ადამიანის თავისუფლების ინდექსით, 2020 წლის მდგომარეობით საქართველო რეგიონში ლიდერია და მე-40 ადგილს იკავებს. თუმცა მას წინ უსწრებენ ის ქვეყნები, სადაც საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება (გერმანია - მე-9, ჩეხეთი - 24-ე, ესპანეთი - 29-ე ადგილზეა, გამონაკლისია თურქეთი - 119-ე და უნგრეთი - 49 ადგილი), დაწვრ., იხ., The Human Freedom Index 2020, A Global Measurement of Personal, Civil and Economic Freedom, CATO Institute and The Fraser Institute, 2020, 5.

თი საშუალების დაწესებით შეიქმნება პირის ინტერესის დაკმაყოფილების დამატებითი საშუალება, რითაც მოხდება სარჩელთა ერთგვარი ფილტრაცია.[536] ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის ძირითად საშუალებებს შორის ყველაზე ეფექტიანი, მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლია და ქვეყნები, სადაც საკონსტიტუციო სასამართლო ამ საშუალებით არის აღჭურვილი შედარებით ნაკლებად ექცევა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კრიტიკის ქვეშ.[537]

მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლი ხელს შეუწყობს ზოგადად, სასამართლო სისტემის ეფექტიანობისა და თვითკონტროლის ზრდას. საერთო სასამართლოები, მათი გადაწყვეტილებების გასაჩივრების ეფექტიანი და ხელმისაწვდომი საშუალების არსებობის პირობებში, უზრუნველყოფენ მართლმსაჯულების პროცესში, საკუთარი საქმიანობისადმი თვითკონტროლის გაუმჯობესებას, რაც საბოლოო ჯამში, გამოიწვევს სასამართლო სისტემის ეფექტიანობის ზრდას. აღნიშნული, თავის მხრივ, განაპირობებს საზოგადოების მხრიდან ნდობის გაღრმავებას სასამართლო სისტემისადმი, რასაც არანაკლები მნიშვნელობა ექნება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ეფექტიანი საქმიანობისთვის. ამასთან, შიდაეროვნულ დონეზე უფლების დაცვის ეფექტიანი და ხელმისაწვდომი საშუალების დანერგვა, ინდივიდთა სოციალურ ხელმისაწვდომობას გაზრდის ზოგადად, უფლების დაცვის სამართლებრივ სისტემაზე, რაც სოციალური სახელმწიფოს ერთ-ერთი მიზანია.

საბოლოოდ, სრული კონსტიტუციური სარჩელის საქართველოს სამართლებრივ სისტემაში ინტეგრაცია სრულყოფილს გახდის საკონსტიტუციო კონტროლის ქართულ მოდელს. ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა შესაძლებელი იქნება თანამედროვე სახელმწიფოებში საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში ყველაზე ეფექტიანი საშუალებით. საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლების გაზრდა და მისი გავრცელება საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე დადებით გავლენას მოახდენს მთლიანად საქართველოს სამართლებრივ სისტემაზე და ხელს შეუწყობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის რეალიზაციას. აღნიშნულის გათვალისწინებით, მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის დანერგვის და მისი უხარვეზო განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ამ ინსტიტუტის ჩამოყალიბება დაეფუძნოს ევროპული სახელმწიფოების საკონსტიტუციო გამოცდილებას, რის შესახებაც ქვემოთ ვიმსჯელებთ.

---

[536] Buquicchio G., Review and Way Forward for the Individual Application System, Seven Years on Istanbul, Venice Commission, 2019, 3.

[537] დიური შ. რ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ევროპული სისტემების შედარებითი მიმოხილვა, პ. ჯავახიშვილის თარგმანი, „სამართლის ჟურნალი“, N2, 2017, 351.

2. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის მიზანშეწონილი მოდელი საქართველოსთვის

2.1. საკონსტიტუციო სამართალწარმოება საქართველოში მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის არსებობის პირობებში

2.1.1. საკონსტიტუციო სამართალწარმოების დაწყება

2.1.1.1. საკონსტიტუციო სამართალწარმოების დაწყების წინაპირობები

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლი საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივ სინამდვილეში ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობის ხარისხს არსებითად განსაზღვრავს კონკრეტულ სამართლებრივ სისტემაში ჩამოყალიბებული საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესი. მნიშვნელოვან გარანტიებს შორის, რომელთაც აღნიშნული პროცესის შეუფერხებელი განხორციელება უნდა უზრუნველყონ, მიეკუთვნება სასარჩელო წარმოებისათვის დაწესებული მატერიალური და ფორმალური წინაპირობების დაცვა. საკონსტიტუციო კონტროლის კონკრეტული ფორმა, საკონსტიტუციო სამართალწარმოების დაწყებისთვის განსხვავებულ წინაპირობებს ადგენს, თუმცა საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას, აღნიშნული წინაპირობები ძირითადად მსგავსია.

2.1.1.1.1. საკონსტიტუციო სამართალწარმოების დაწყების ფორმალური წინაპირობები

2.1.1.1.1.1. სარჩელის ფორმა

იურისპრუდენციაში მიღებულია აზრი, რომ ფორმა არ არსებობს მხოლოდ ფორმისათვის და „ნებისმიერი ფორმის უკან დგას კონკრეტული შინაარსი, რომლის განხორციელება ამოსავალი დებულებაა მართლწესრიგის უზრუნველყოფისათვის.“[538] თუმცა საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ფორმალური წინაპირობების დაცვასაც. საკონსტიტუციო სამართალწარმოების დაწყების წინაპირობა სარჩელის სა-

[538] ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 76-77.

კონსტიტუციო სასამართლოში წარდგენაა. იგი, როგორც წესი, ყალიბდება წერილობითი ფორმით და შეიცავს შესაბამის დასაბუთებას და მტკიცებულებებს.[539] ესპანეთის კანონმდებლობით, სარჩელში მკაფიოდ უნდა მიეთითოს გარემოებების შესახებ, რომლებიც სარჩელს დაედო საფუძვლად, კონსტიტუციის ნორმა, რომელიც მოსარჩელის აზრით დაირღვა და უფლების აღდგენის, მათ შორის, ზიანის ანაზღაურების ფორმა და მოცულობა.[540] სწორედ სარჩელის წერილობითი ფორმა უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონკრეტული საქმის გაცნობას და განაპირობებს იურიდიულ შედეგს - სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებას, რის გამოც, საზღვარგარეთის ქვეყნები საკონსტიტუციო სასამართალწარმოების დაწყების წინაპირობად სწორედ სარჩელის წერილობით ფორმას ადგენენ.

კონსტიტუციური სარჩელის დანიშნულება მოსარჩელის სამართლებრივი პოზიციის აღწერაა მისი კონსტიტუციური უფლებრივი მდგომარეობის თაობაზე. სარჩელი განსაზღვრავს უფლების დარღვევის არსს, სადავო აქტის შინაარსს, მის მოსარჩელისეულ ინტერპრეტაციას, კონსტიტუციასთან მიმართებით და ზიანის ანაზღაურების საშუალებას. ამ თვალსაზრისით, სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგადად კონსტიტუციური სარჩელის 4 ნიშანს გამოყოფენ: კონსტიტუციური სარჩელი: ა) უზრუნველყოფს კონსტიტუციური უფლებების სასამართლოს საშუალებით დაცვას, ბ) უზრუნველყოფს სპეციალურ სამართალწარმოებას, რომელიც აქტის კონსტიტუციურობას შეეხება, და არა კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებულ სხვა საკითხს. გ) საკონსტიტუციო სასამართლოში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ იმ პირის მიერ, რომლის უფლებაც ირღვევა კონკრეტული ქმედებით დ) კონსტიტუციური სარჩელის განმხილველი სასამართლო აღჭურვილია უფლებით აღადგინოს პირი საკუთარ უფლებებში.[541]

სრული კონსტიტუციური სარჩელის ინსტიტუტი, როგორც ძირითადი უფლებების დაცვის თანამედროვე, ეტალონური მოდელი, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა. ეს ინსტიტუტი პირველად გათვალისწინებული იყო ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს კანონში, ხოლო 1969 წლიდან განმტკიცდა ასევე გერმანიის ძირითად კანონშიც.[542] გერმანიის საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში კონსტიტუციურ სარჩელს verfassungsbeschwerde საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სხვა საშუალებებს შორის დღესაც ყველაზე დიდი ადგილი უკავია.[543] ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში

---

[539] The Act on the Federal Constitutional Court of Germany, 1951, Art. 23.

[540] Organic Law on The Constitutional Court of Spain, N2/1979, Art. 49(1).

[541] Dannemann G., Constitutional Complaints: The European Perspective, The international and Comparative Law Quarterly 43, N1, 1994, 142.

[542] ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, 25.

[543] Wittig C. E., Ideological Values and their Impact on the Voting Behavior of Justices of the Federal Constitutional Court of Germany, Thesis Master of Public Administration, 2009, 27.

ყოველწლიურად 6 000-მდე კონსტიტუციური სარჩელი შედის, რის შედეგადაც „1951 წლის 7 სექტემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე 238 048 პროცედურა განხორციელდა ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.“[544] ამდენად, უფლების დაცვის აღნიშნული პროცესუალური საშუალება გვევლინება არამხოლოდ ძირითადი კანონით გარანტირებული უფლებების დაცვის, არამედ, მთლიანად კონსტიტუციური სამართლის დაცვის სპეციფიკურ საშუალებად.[545]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საკონსტიტუციო სამართალწარმოების დაწყების საფუძველი კონსტიტუციური სარჩელის (კონსტიტუციური წარდგინების) წერილობითი ფორმით შეტანაა.[546] კონსტიტუციური სარჩელი დასაბუთებული უნდა იყოს და მასში მოყვანილი უნდა იყოს ის მტკიცებულებები, რომლებიც მოსარჩელის აზრით ადასტურებენ სარჩელის საფუძვლიანობას.[547] საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულად მიჩნევისთვის სხვა მოთხოვნებთან ერთად, აუცილებელია, რომ დასაბუთება შინაარსობრივად შეეხებოდეს სადავო ნორმას.[548] ასევე, „მასში გამოკვეთილი უნდა იყოს „აშკარა და ცხადი შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და კონსტიტუციის იმ დებულებას შორის, რომელთან დაკავშირებითაც მოსარჩელე მოითხოვს სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას.“[549] ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო სარჩელს არსებითად განსახილველად მიიღებს, თუ იგი საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული მოთხოვნების დაცვით წარედგინება და არ არსებობს სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები.[550] აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკაში კონსტიტუციური სარჩელის ფორმის ნიმუში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსარჩელის პოზიციის მკაფიოდ ჩამოყალიბებასა და სარჩელის დასაბუთებულობის განსაზღვრისთვის.

ზემოაღნიშნული პრაქტიკის გათვალისწინებით, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის უფლების საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მინიჭება განაპირობებს საქართვე-

---

[544] German Federal Constitutional Court, Annual Statistic 2018, published 2019, იხ., <https://www.bundesverfassungsgericht.de> [03.06.2021]

[545] ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, 25.

[546] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი, 1996.

[547] იხ., იქვე მე-2 პუნქტი.

[548] ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2019, 7.

[549] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/469 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახაბერ კობერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

[550] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 313 მუხლის პირველი პუნქტი, 1996.

ლოში საკონსტიტუციო სამართალწარმოების ახალი ფორმის ჩამოყალიბების საჭიროებას. აღნიშნული გამოწვეულია სრული კონსტიტუციური სარჩელის თაობაზე სასარჩელო წარმოების თავისებურებით, რაც განასხვავებს ამ პროცესს ნორმატიული საკონსტიტუციო სამართალწარმოებისგან. სარჩელის ამ ორ ფორმას შორის ყველაზე არსებითი განსხვავება დასაბუთებულობის სხვადასხვა პირობებს უკავშირდება. მაგალითად, მოსარჩელემ სრულ კონსტიტუციურ სარჩელში უნდა დაასაბუთოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მიმართვის ფაქტი, მაშინ როცა ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის განსახორციელებლად, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის რაიმე ვადას. ასევე, მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის პროცესის სუბსიდიური ბუნების გათვალისწინებით, მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვამდე, გამოიყენა თუ არა უფლების დაცვის ყველა სამართლებრივი საშუალება, მაგალითად, მიმართა თუ არა ყველა ინსტანციის სასამართლოს, ხოლო თუ არ მიუმართავს, რა ხელისშემშლელმა გარემოებებმა განაპირობა აღნიშნული. განსხვავებულია სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებიც და ა.შ. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის დანერგვა ასევე უზრუნველყოფილ იქნეს პროცესუალური ინსტუმენტით და კონსტიტუციური სარჩელის ახალი ნიმუშის შემუშავება და დამტკიცება მოხდეს.

2.1.1.1.1.2. უფლებამოსილი მოსარჩელე

საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო სინამდვილეში საკონსტიტუციო სამართალწარმოების დაწყების ერთ-ერთი წინაპირობა უფლებამოსილი მოსარჩელის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის წარდგენაა. მოსარჩელეთა წრე არსებითად დამოკიდებულია საკონსტიტუციო კონტროლის სახეზე, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება საკონსტიტუციო სამართალწარმოება. საკონსტიტუციო სასამართლოები განსაკუთრებული ყურადღებით ამოწმებენ უფლებამოსილი სუბიექტის მიერ სარჩელის წარდგენის ფაქტს, რამდენადაც არაუფლებამოსილი პირის მიერ სარჩელის წარდგენის ფორმალური პროცედურის დაუცველობა, უფლების დარღვევის სავარაუდო ფაქტის არსებობის პირობებშიც კი, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სარჩელის არსებითად განსახილველად წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება გახდეს.

საზღვარგარეთის ქვეყნებში, იმ პირთა წრე, რომელთაც შეუძლიათ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართონ, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა კონსტიტუციურობის შემოწმების მიზნით, საკმაოდ ფართოა და

განსხვავებული. მაგალითად, ესპანეთის კანონმდებლობით, სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია ომბუდსმენსა და სახალხო პროკურორს, ასევე პროცესის მონაწილე მხარეებს.[551] ეს პირები კი ფიზიკური და იურიდიული პირები არიან.[552] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ დაირღვა მისი ძირითადი უფლება ან ძირითადი კანონის მე-20 მუხლის მე-4 აბზაცით, აგრეთვე 33-ე, 38-ე, 101-ე და 104-ე მუხლებით მინიჭებული უფლებები.[553] უნგრეთში სარჩელის წარდგენის უფლება გააჩნია ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, თუ საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებით დარღვეულია მოსარჩელის ძირითადი უფლება და ამ უკანასკნელს ამოწურული აქვს დაცვის ყველა ხელმისაწვდომი სამართლებრივი საშუალება.[554]

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის კონტროლს ახორციელებს ფიზიკური პირის, იურიდიული პირისა და სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე.[555] საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებს შორის, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციო კონტროლი, საკონსტიტუციო სამართალწარმოების ფორმათაგან თვისობრივად, ყველაზე მეტ მსგავსებას ნორმატიულ საკონსტიტუციო კონტროლთან ამჟღავნებს. აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია, რომ სრული კონსტიტუციური სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის მსგავსად, ფიზიკურ პირებთან ერთად, იურიდიულ პირებსაც გააჩნდეთ, იმ უფლებებთან მიმართებით, რომლებზეც არ არსებობს ამ პირებს შორის დიფერენცირების ლეგიტიმური საჯარო მიზანი.[556] რაც შეეხება სახალხო დამცველს, გამომდინარე იქიდან, რომ მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლი ინციდენტური საკონსტიტუციო კონტროლის ფორმაა და გასაჩივრებული აქტი უშუალო და პირდაპირ ზიანს უნდა აყენებდეს მოსარჩელეს, მიზანშეწონილია, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არ გააჩნდეს საქართველოს სახალხო დამცველს.

---

[551] The Spanish Constitution, 1978, Art. 162; Organic Law on The Constitutional Court of Spain, N2/1979, Art. 46.

[552] Gentili G., A Comparison of European Systems of Direct Access to Constitutional Judges: Exploring Advantages for The Italian Constitutional Court, Italian Journal of Public Law, Vol. 4, 2012, 161.

[553] The Basic Law of Germany, 1949, Art. 93.1.

[554] Gardos-Orosz F., The Hungarian Constitucional Court in Transition – from Actio Popularis to Constitutional Complaint, 2012, 309.

[555] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის, მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, 1995.

[556] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის N1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: ახალი მემარჯვენეები და საქართველოს კონსერვატიული პარტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5.

2.1.1.1.1.3. კანონიერი ინტერესების დამცველი

საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსარჩელის ინტერესების წარმოდგენას სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ. კანონიერი ინტერესების დამცველი - ადვოკატი მოსარჩელეს ეხმარება საკუთარი მოთხოვნების სწორად ფორმულირებაში, პროცესის სტრატეგიის ჩამოყალიბებასა და საკუთარი ინტერესების კვალიფიციურად წარმოდგენაში. ზოგადად, კანონიერი ინტერესების დამცველი უზრუნველყოფს სარჩელის უკეთესი ხარისხით შედგენის შესაძლებლობას.[557] თუმცა გასათვალისწინებელია ის რისკიც, რომელიც ამ პირის ქმედებებს ახლავს თან: კანონიერი ინტერესების დამცველის მხრიდან დაშვებული შეცდომა, მოსარჩელის შეცდომას უთანაბრდება.[558] ამდენად, კანონიერი ინტერესების დამცველი საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესის მნიშვნელოვანი მონაწილეა, რომელიც საქმეში მოსარჩელის ინტერესების წარმოდგენით, დიდწილად განაპირობებს სამართალწარმოების შედეგს.

ზოგადად, კანონიერი ინტერესების დამცველის დანიშვნის სავალდებულობის მიმართ, საზღვარგარეთის ქვეყნების მიდგომა არაერთგვაროვანია. ნაწილი მიიჩნევს რომ კანონიერი ინტერესების დამცველი, თავად მოსარჩელის გადაწყვეტილებით უნდა დაინიშნოს, და შესაბამისად, მისი აყვანა ნებაყოფლობითია (ბელგია, ხორვატია, პოლონეთი, ლატვია).[559] სახელმწიფოების მეორე ჯგუფი კი მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოების სპეციფიკური ბუნება მოითხოვს პროცესში კვალიფიციური პირის მიერ მოსარჩელის ინტერესების დაცვას და მის პროცესში ჩართვას. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნების ჩამონათვალში გვხვდება იმ სახელმწიფოთა დიდი ნაწილი, სადაც საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება.[560] გამონაკლისია, გერმანია, სადაც კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მოსარჩელე შესაძლებელია მონაწილეობდეს იურიდიული დახმარების გარეშე,[561] თუმცა საქმის არსებითად განსახილველად მიღების თაობაზე, ზეპირი მოსმენის ჩანიშვნის შემთხვევაში, იგი სავალდებულო ხდება.[562]

---

[557] იხ., იქვე, 32.

[558] The Act on the Federal Constitutional Court of Germany, 1951, Art. 93(2).

[559] Study on Individual Access to Constitutional Justice, CDL-AD (2010) 039rev, N538/2009, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 27 January, 2011, 32.

[560] ესპანეთი, ჩეხეთი, აზერბაიჯანი. იხ., Study on Individual Access to Constitutional Justice, CDL-AD (2010) 039rev, N°538/2009, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 27 January, 2011, 32.

[561] Kommers D. P., Miller R. A., Das Bundesverfassungsgericht: Procedure, Practice and Policy of the German Federal Constitutional Court, Journal of Comparative Law, N3(2), 2008, 202.

[562] იხ., <https://www.bundesverfassungsgericht.de/EN/Verfahren/Wichtige-Verfahrensarten/Verfassungsbeschwerde/verfassungsbeschwerde_node.html> [03.06.2022]

კანონიერი ინტერესების დამცველის დანიშვნის სავალდებულობის საკითხი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსარჩელის ფინანსურ მდგომარეობაზე, რასაც შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს ძირითადი უფლებების დაცვის თვალსაზრისით. იმ პირობებში, როცა საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში სავალდებულოა წარმომადგენლის ჩართვა და სამართლებრივი სისტემა არ იძლევა მოსარჩელის მდგომარეობის გათვალისწინებით, მისი ფინანსური თანადგომის ან უფასო კანონიერი ინტერესების დამცველის დანიშვნის შესაძლებლობას, ეჭვქვეშ შესაძლოა დადგეს სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება.[563] ამიტომ, ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი შეუფერხებლად მიმართვის ინტერესის გათვალისწინებით, უნდა არსებობდეს უფასო იურიდიული დახმარების შესაძლებლობა, თუ მოსარჩელის ფინანსური მდგომარეობა ამას მოითხოვს.[564] გერმანიის კანონმდებლობით, საკონსტიტუციო სამართალწარმოება უფასოა. იურიდიული დახმარების გაწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელეები ვერ შეძლებენ კვალიფიციური წარმომადგენლის აყვანის გარეშე, საკუთარი უფლებების ეფექტიანად დაცვას, „იმ პირობით, რომ სარჩელი საფუძვლიანია და მათ არ აქვთ ადვოკატის დაქირავების უფლება.“[565]

საქართველოს კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართალწარმოების მონაწილე პირებს, გარდა მოსარჩელეებისა და მოპასუხეებისა, ასევე მიაკუთვნებს მხარეთა წარმომადგენლებსა და მხარეთა ინტერესების დამცველებს.[566] საკონსტიტუციო სამართალწარმოების განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, მხარეებს უფლება აქვთ საკუთარი ინტერესების დაცვა მიანდონ ადვოკატებსა და უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სხვა პირებს, ხოლო საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება, ნდობით აღჭურვილ პირს, წარმომადგენელს.[567] აღსანიშნავია, რომ საქართველო მიეკუთვნება იმ ქვეყნების ჯგუფს, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოში მხარეთა კანონიერი ინტერესების დამცველისა და მხარეთა წარმომადგენლის დანიშვნა ნებაყოფლობითია, გარდა ორგანული კანონით განსაზღვრული გამონაკლისისა.[568] ამასთან, საქართვე-

---

563 The use of international instruments for protecting individual rights, freedoms and legitimate interests through national legislation and the right to legal defence in Belarus: challenges and outlook, CDL-JU(2008)012, CCS 2008/003, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 16 May, 2008, 4.

564 Study on Individual Access to Constitutional Justice, CDL-AD (2010) 039rev, N538/2009, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 27 January, 2011, 32.

565 იხ., <https://www.bundesverfassungsgericht.de/EN/Verfahren/Wichtige-Verfahrensarten/Verfassungsbeschwerde/verfassungsbeschwerde_node.html> [03.06.2022]

566 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 273 მუხლის პირველი პუნქტი, 1996.

567 იხ., იქვე, 30-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, 1996.

568 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 273

ლოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე ფინანსური შესაძლებლობებით უზრუნველყოფის შესაძლებლობას საკონსტიტუციო სამართალწარმოების განხორციელებისათვის იმ პირთათვის, რომელთა ფინანსური მდგომარეობა ინტერესების დამცველის აყვანის შესაძლებლობას არ იძლევა და არც მისი დანიშვნის შესაძლებლობაა გათვალისწინებული სახელმწიფოს ხარჯზე.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მხარეთა ინტერესების დამცველის დანიშვნა მნიშვნელოვან სირთულეებს უკავშირდება, ფინანსური ფაქტორების გარდა, უნდა აღინიშნოს, სპეციალიზაციასთან დაკავშირებული საკითხიც. კერძოდ, საერთო სასამართლოების სისტემაში მართლმსაჯულება ხორციელდება სამართლის კონკრეტული სპეციალიზაციით. სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირები უზრუნველყოფენ პირთა წარმომადგენლობას სასამართლოში და სახელმწიფოც იღებს სამართლებრივ და სოციალურ პასუხისმგებლობას, სათანადო კვალიფიკაციის მქონე წარმომადგენლით უზრუნველყოს ფინანსურად მოწყვლადი ჯგუფები. საკონსტიტუციო კონტროლის სფეროში კი მხარეთა ინტერესების დამცველთა ამგვარი პროფესიული სპეციალიზაცია არ ხდება, რის გამოც, სირთულეს უკავშირდება სახელმწიფოს მხრიდან მოსარჩელეთა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირით უზრუნველყოფის საკითხი.

საქართველოში მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრება მნიშვნელოვან გამოწვევებს უკავშირდება. მოსარჩელის კონსტიტუციური უფლებების ეფექტიანად დაცვის მიზნით მხარეთა ინტერესების დამცველის საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში ჩართვა ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფას ემსახურება. თუმცა გასათვალისწინებელია ფინანსურ და სპეციალიზაციასთან დაკავშირებული სირთულეებიც, რომლებსაც ხშირად ძლიერი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებიც კი ვერ უმკლავდებიან. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებაზე საკონსტიტუციო კონტროლის პირობებში შენარჩუნდეს ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას დღეს არსებული მიდგომები, მხარეთა წარმომადგენლისა და მხარეთა ინტერესების დამცველთა პროცესში ჩართვასთვან დაკავშირებით და მოსარჩელემ თავად განსაზღვროს საკუთარი ინტერესების წარმოდგენის ფორმა, კვალიფიციური ადვოკატის მეშვეობით ან მის გარეშე.

მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოში წარმომადგენლის დანიშვნა სავალდებულოა, თუ კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების შემტან პირთა რაოდენობა ორზე მეტია, აგრეთვე თუ კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების შემტანი პირი პენიტენციურ დაწესებულებაშია მოთავსებული.

2.1.1.1.1.4. სამართალწარმოების საფასური

საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესი მნიშვნელოვანი ადამიანური და ფინანსური რესურსების დანახარჯებს უკავშირდება. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ რესურსების რაციონალურად გამოყენება მისი საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფის წინაპირობაა. სარჩელის წარმოებაში არსებითად განსახილველად მიღებისთვის, მკაფიო წინაპირობების რეგლამენტირებაც საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მაღალი სტანდარტით განხორციელებას ისახავს მიზნად. აღნიშნულიდან გამომდინარე საკონსტიტუციო სამართალწარმოების განხორციელებისათვის, საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით, ხშირად განისაზღვრება სახელმწიფო ბაჟი საკონსტიტუციო სამართალწარმოებისთვის, ხოლო იშვიათ შემთხვევებში, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენების პრევენციისთვის, შესაბამისი ფინანსური პასუხისმგებლობის მოსარჩელისათვის დაკისრება ხდება.

ზოგადად, საზღვარგარეთის ქვეყნებში კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის პროცედურა მარტივი და იაფია, ან საერთოდ გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.[569] მაგალითად, გერმანიაში ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსადმი სრული კონსტიტუციური სარჩელით მიმართვა, სახელმწიფოს წინაშე არ აკისრებს მოსარჩელეს ბაჟის გადახდის ვალდებულებას.[570] მიიჩნევა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა ხორციელდება საზოგადოებისა და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე,[571] ამიტომ, იგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის. ამ მიდგომამ ხელი უნდა შეუწყოს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას სახელმწიფოში და ხელოვნული ბარიერი არ შექმნას ქვეყანაში ფინანსურად მოწყვლადი ჯგუფებისთვის. ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მნიშვნელობის გათვალისწინებით, სასამართლოში სამართალწარმოებისთვის დადგენილი გადასახდელი ინდივიდებისათვის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შედარებით დაბალი უნდა იყოს და მოსარჩელის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, უნდა არსებობდეს მისი კიდევ უფრო შემცირების შესაძლებლობა.[572] ამ ტიპის ფინანსური

---

[569] Kommers D.,P., Miller R. A., Das Bundesverfassungsgericht: Procedure, Practice and Policy of the German Federal Constitutional Court, Journal of Comparative Law, N3(2), 2008, 202.

[570] Gentili G., A Comparison of European Systems of Direct Access to Constitutional Judges: Exploring Advantages for The Italian Constitutional Court, Italian Journal of Public Law, Vol. 4, 2012, 167.

[571] ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, 20.

[572] Opinion on the draft laws amending and supplementing the law on constitutional proceedings of Kyrgyzstan and the law on the Constitutional Court of Kyrgyzstan, CDL-AD (2008)029, Opinion N481/2008 European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 24 October, 2008, 8.

ვალდებულების არსებობის უმთავრესი მიზანი მხოლოდ უფლების ბოროტად გამოყენების პრევენცია უნდა იყოს.[573]

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა საკონსტიტუციო სამართალწარმოების უმთავრესი მიზანია, გასათვალისწინებელია საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობის შენარჩუნების ინტერესი. მოჭარბებული და არარელევანტური სარჩელების გამო საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა გააჩნდეს დაუსაბუთებელ და შეუსაბამო სარჩელებზე სამართლებრივი რეაგირების შესაძლებლობა. მოსარჩელე საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა მიმართავდეს იმ განცდით, რომ მისი დარღვეული უფლების აღდგენა სწორედ ამ ინსტიტუტს შეუძლია და უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში მოსალოდნელია ფინანსური დანაკარგი, სახელმწიფო ბაჟის ან კანონით განსაზღვრული ფინანსური სანქციის სახით.[574] მაგალითად, გერმანიაში ამგვარი დაცვის საშუალებად მიიჩნევა მოსარჩელისთვის ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრება იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე ბოროტად იყენებს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას.[575]

საქართველო მიეკუთვნება იმ ქვეყნების ჯგუფს, რომლებიც საკონსტიტუციო სამართალწარმოებისთვის განსაზღვრავენ სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებას. კერძოდ, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველ საქმეებზე გადაიხდევინება სახელმწიფო ბაჟი.[576] ბაჟის ოდენობა შეადგენს 10 ლარს,[577] რაც მოწყვლადი ჯგუფებისთვისაც ფინანსურად ხელმისაწვდომს ხდის საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცედურას.[578] თუმცა გასათ-

---

[573] იხ., იქვე.

[574] ესპანეთის კანონმდებლობით, საკონსტიტუციო სამართალწარმოებისათვის არ არის დაწესებული რაიმე სახის გადასახადი, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია დააჯარიმოს პროცესის მონაწილე მხარე 600-დან 3000 ევრომდე ოდენობით, უფლების ბოროტად გამოყენების გამო. იხ., Organic Law on The Constitutional Court of Spain, No.2/1979, Art. 95.

[575] მაგალითად, თუ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი სასარჩელით მიმართვის მიზანი მართლმსაჯულების აღსრულების გაჭიანურებაა. იხ., Gentili G., A Comparison of European Systems of Direct Access to Constitutional Judges: Exploring Advantages for The Italian Constitutional Court, Italian Journal of Public Law, Vol. 4, 2012, 167.

[576] „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, 1998.

[577] იხ., იქვე, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

[578] აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის N2/15/1214 განჩინების საფუძველზე, ძალადაკარგულად გამოცხადდა „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის საფუძველზეც იურიდიული პირები, ფიზიკურ პირებთან შედარებით დიფერენცირებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობას იხდიდნენ. იმის გამო, რომ 2017 წელს, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლას შედეგად, იურიდიულ პირთა სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან სრულად გათავისუფლება მოჰყვებოდა, საკონსტიტუციო სასამართლომ ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვალისწინებელია ის ლეგიტიმური საჯარო მიზანი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოში საქმეთა განხილვისთვის სახელმწიფო ბაჟის დაწესებას აქვს. კერძოდ, საზღვარგარეთის ქვეყნებში, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ამ ინსტიტუტის პირობებში, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი გაზრდილი მიმართვიანობა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვის რისკს ქმნის. აღნიშნულის გარდა, შესაბამისი სამართლებრივი პასუხისმგებლობის არარსებობის ან მცირე მატერიალური რისკის პირობებში, იზრდება საკონსტიტუციო სასამართლოსადმი დაუსაბუთებელი სარჩელებით მიმართვის ალბათობაც. აღნიშნული საფრთხეების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის წარდგენა მოსარჩელისთვის გონივრულ ფარგლებში, ფინანსური პასუხისმგებლობის რისკს ქმნიდეს. აღნიშნული რისკების პრევენციისთვის მნიშვნელოვანი იქნება, რომ გადაიხედოს საკონსტიტუციო სამართალწარმოებისთვის დაწესებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობა და განისაზღვროს იმ მოცულობით, რომელიც ორ მნიშვნელოვან სამართლებრივ ინტერესს - საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვის პრევენციასა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების ფინანსურ ხელმისაწვდომობას შორის გონივრულ ზღვარს უზრუნველყოფს. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნდეს უფლება, მოსარჩელის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან ან შეამციროს მისი ოდენობა.

აღნიშნულ საკითხზე გასათვალისწინებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაც, რომელიც საშუალებას იძლევა საკითხის გადაწყვეტა ალტერნატიული გზითაც მოხდეს.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში, სამართალწარმოებისთვის ფინანსური გადასახდელების დანიშნულებად და შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის დაწესების ლეგიტიმურ საჯარო მიზნად განიხილა სამართალწარმოების დაცვა თვითმიზნური და დაუსაბუთებელი სარჩელებისგან.[579] მისივე განმარტებით, იგი არ იზიარებს მოსაზრებას, რომ „სახელმწიფო ბაჟის დაწე-

2018 წლის 31 მარტამდე გადაავადა, თუმცა პარლამენტს 2021 წლის ივლისამდე არ განუხორციელებია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები. აღნიშნულის გამო „სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონი ამ პერიოდში მხოლოდ ფიზიკური პირებისთვის განსაზღვრავდა საკონსტიტუციო სამართალწარმოებისთვის სახელმწიფო ბაჟს, ხოლო იურიდიული პირები სახელმწიფო ბაჟს არ იხდიდნენ, რაც არღვევდა თანასწორობის პრინციპს ამჯერად, ფიზიკურ პირებთან მიმართებით. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N2/6/623 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „სადაზღვევო კომპანია უნისონი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-7. დღეის მდგომარეობით „სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონში შესულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიხედვითაც კონსტიტუციურ სარჩელზე (წარმდგენი პირის მიუხედავად) გადაიხდევინება სახელმწიფო ბაჟი 10 ლარის ოდენობით.

[579] იხ., იქვე, II-15.

სების მიზანი სასამართლოს მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურებაა ... რამდენადაც აშკარაა, რომ კანონმდებლის მიერ დაწესებული სახელმწიფო ბაჟი არ არის სასამართლოს მიერ გაწეული მომსახურების ექვივალენტური და სასამართლოს მიერ ამა თუ იმ საქმეზე გაწეული შრომის მოცულობა საერთოდ არ აისახება გადასახდელი ბაჟის ოდენობაზე."[580] საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ბაჟის დაწესებით სახელმწიფო ახალისებს სამართალწარმოების მხარეებს, იდავონ მხოლოდ მაშინ, როდესაც სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება რეალურად სჭირდებათ."[581] მართალია, საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა აღნიშნულ საქმეზე ძირითადად, სამოქალაქო სამართალურთიერთობებს მიემართებოდა, თუმცა დაუსაბუთებელი სარჩელის რისკები თანაბრად უკავშირდება საკონსტიტუციო სამართალწარმოებასაც და ლოგიკა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას დაედო საფუძვლად, ასევე შეეხება საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესს. ამდენად, საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის დაწესების ლეგიტიმური საჯარო მიზნები იდენტურია და უზრუნველყოფს სასამართლოს ეფექტიანობის დაცვას მსგავსი გამოწვევებისგან. ამ თვალსაზრისით საქართველოში, საკონსტიტუციო სამართალწარმოებისთვის დაწესებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობა მოსარჩელისთვის ნაკლები ფინანსური რისკის გათვალისწინებით, უნდა შეფასდეს როგორც აღნიშნული მიზნის მიღწევის არასათანადო და არაეფექტიანი საშუალება. აღნიშნულიდან გამომდინარე, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების დიდ ნაწილში საკონსტიტუციო სამართალწარმოებისთვის სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდევინება, სახელმწიფო ბაჟის სახით, მოსარჩელისთვის დღეს არსებული მინიმალური ფინანსური რისკის პირობებში, შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველი საქმეები სრულად გათავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან, ხოლო რისკები, რომელთა პრევენციასაც მიზნად ისახავს საკონსტიტუციო სამართალწარმოებისათვის ბაჟის დაწესება, შეიძლება ამ ტიპის სასარჩელო წარმოებისთვის სხვა პირობების არსებობით განეიტრალდეს.

2.1.1.1.2. საკონსტიტუციო სამართალწარმოების დაწყების მატერიალური წინაპირობები

2.1.1.1.2.1. სასარჩელო მოთხოვნის ფარგლები

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების მნიშვნელოვანი წინაპირობა საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლების მკაფიო რეგლამენტირებაა. მართლმსაჯულებაზე საკო-

[580] იხ., იქვე, II-14.

[581] იხ იქვე, II-15.

ნსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას საკონსტიტუციო სასამართლო მოქმედებს როგორც ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მანდატით აღ-ჭურვილი საკონსტიტუციო ორგანო. მოსარჩელე მხარეს არ შეუძლია მიმართოს მას, იმ მოთხოვნით, რომ კიდევ ერთხელ გადამოწმდეს საერთო სასამართლოს გადაწყვეტილების მართებულობა, კანონშესაბამისობა ან მიზანშეწონილობა, რამდენადაც კონსტიტუციაზე უფრო დაბალი რანგის ნორმების განმარტება და მათი შეფარდება, ასევე ცალკეულ ფაქტობრივ გარემოებათა შეფასება, განე-კუთვნება სათანადოდ უფლებამოსილი სასამართლოს კომპეტენციას.[582] საკონ-სტიტუციო სასამართლო ვერ განიხილავს საქმეს ზოგადად, ის ვერ განიხილავს საკითხს - სწორად შეაფასა თუ არა სასამართლომ საქმესთან დაკავშირებული კონკრეტული ფაქტები. ის მხოლოდ შეეცდება დაადგინოს კონსტიტუციური უფლების დარღვევა.[583] საკონსტიტუციო სასამართლო არ არის „სუპერ-სარე-ვიზიო ინსტანცია“, ვინაიდან იგი ამოწმებს „მოსამართლეთა მიერ დაშვებულ იმ ტიპის შეცდომებს, რომლებიც იწვევენ ადამიანის ძირითადი უფლებების დარ-ღვევას“.[584] მისი ინტერესი გადაწყვეტილების „კონსტიტუციურობის შესწავლაა და არა კანონიერებისა“.[585] სწორედ ამ მიზეზით საკონსტიტუციო სასამართლო განსახილველად არ იღებს სარჩელების უმეტეს ნაწილს.[586]

გარდა იმ გარემოებისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ ადა-მიანის ძირითადი უფლების დაცვის საკონსტიტუციო გარანტის მანდატით განიხილავს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებს, მნიშვნელოვანია, რომ წარდგენილ სარჩელს ფუნდამენტური კონსტიტუციური მნიშვნელობა ჰქონდეს.[587] ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლო „amparo“ პროცედურის ფარგლებში ამოწმებს დარღვევა, რომელზეც მოსარჩელე მიუთითებს, საკონ-სტიტუციო მნიშვნელობისაა თუ საკანონმდებლო, გამომდინარე იქიდან, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის სფერო მხოლოდ კონსტიტუციის პირდაპირი დარღვევებია, ადამიანის ძირითადი უფლებების თვალსაზრისით.[588]

---

[582] ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, 27; Steinberger H., Models of Constitutional Jurisdiction, CDL-STD (1993)002, 28.

[583] Rupp G. H., Judicial Review in The Federal Republic of Germany, 1960, 42; Rupp G. H., The Federal Constitutional Court and The Constitution of The Federal Republic of Germany, 1972, 362.

[584] ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, 28.

[585] Barnet R. J., The Protection of Constitutional Rights in Germany, Virginia Law Review, Vol. 45, 1155.

[586] ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, 28.

[587] Gentili G., A Comparison of European Systems of Direct Access to Constitutional Judges: Exploring Advantages for The Italian Constitutional Court, Italian Journal of Public Law, Vol. 4, 2012, 168. იხ., Kommers D. P., Miller R. A., Das Bundesverfassungsgericht: Procedure, Practice and Policy of the German Federal Constitutional Court, Journal of Comparative Law, N3(2), 2008, 202.

[588] Comella V. F., The Spanish Constitutional Court: Time for Reforms, Journal of Comparative Law, N3(2). 2008, 30.

უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლო სარჩელს წარმოებაში მიიღებს, თუ „სასამართლოს გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად არღვევს კონსტიტუციას ან სარჩელი აღძრავს განსაკუთრებული კონსტიტუციური მნიშვნელობის მქონე საკითხს.“[589] ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო გერმანიაში სარჩელს წარმოებაში მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის „ფუნდამენტური კონსტიტუციური მნიშვნელობისაა.“[590] აზერბაიჯანის საკონსტიტუციო სასამართლო სარჩელს არ მიიღებს წარმოებაში, თუ „იგი უსაფუძვლოა ან წარდგენილია სათანადო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.“[591]

მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუციურ სისტემაში, საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლები, მართალია, გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული აქტით კონსტიტუციური უფლებების დარღვევის ფაქტის დადგენას, თუმცა არსებითად მნიშვნელოვანია იმის იდენტიფიცირება, თუ როგორ შეიძლება გამოვლინდეს სადავო აქტით ძირითადი უფლების დარღვევა. საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებით ირღვევა კონსტიტუციური უფლებები თუ: სასამართლო არღვევს პროცესში მონაწილე პირის კონსტიტუციით გათვალისწინებულ საპროცესო უფლებას (მაგალითად, სასამართლო მოსმენის უფლებას), სასამართლო იყენებს კანონს, რომლის გამოყენებაც არღვევს პირის ძირითად უფლებას, კანონის განმარტებისას ან მისი გამოყენებისას სასამართლო არღვევს ძირითად უფლებებს, სასამართლო მოქმედებს თვითნებურად, რითაც ირღვევა პირის კონსტიტუციური უფლება.[592] ამდენად. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა კონსტიტუციურობის შემოწმებისას არსებითი მნიშვნელობისაა ზემოაღნიშნული ოთხი შემთხვევის იდენტიფიცირება.

საკონსტიტუციო კონტროლის გავრცელებულ მოდელებს შორის, სადავო აქტის რეგლამენტირების თვალსაზრისით ორი სისტემა გამოიყოფა: სახელმწიფოები, რომელთა კანონმდებლობითაც საკონსტიტუციო სასამართლოში საჩივრდება, ზოგადად, საჯარო ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სახელმწიფოთა მეორე ჯგუფი, რომელთა კანონმდებლობაშიც პირდაპირაა მითითება საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საკო-

---

589 Act on the Constitutional Court of Hungary, 2011, Art. 29.

590 Gentili G., A Comparison of European Systems of Direct Access to Constitutional Judges: Exploring Advantages for The Italian Constitutional Court, Italian Journal of Public Law, Vol. 4, 2012, 168. იხ., Kommers D. P., Miller R. A., Das Bundesverfassungsgericht: Procedure, Practice and Policy of the German Federal Constitutional Court, Journal of Comparative Law, N3(2), 2008, 202.

591 The Constitutional Court of Azerbaijan, „AACC Member Fact File: Constitutional Court of Azerbaijan,“ in The Jurisdictions and Organization of AACC members, ed. AACC SRD (Seoul: AACC SRD, 2018), 40.

592 ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007,
187.

ნსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების თაობაზე. მაგალითად, უნგრეთის ძირითადი კანონი საკანონმდებლო აქტების კონსტიტუციურობის კონტროლისგან ცალკე გამოყოფს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობას.[593] ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სრული კონსტიტუციური სარჩელი საშუალებას იძლევა საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრდეს ინდივიდუალური აქტები, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლისთვის დადგენილი წინაპირობების დაცვით. მაგალითად ინდივიდუალური აქტი სრული კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებას ექვემდებარება, თუ ამოწურულია მისი გასაჩივრების ყველა სხვა საშუალება. თუმცა სწორედ იმის გამო, რომ ამ ტიპის სასარჩელო წარმოება სუბსიდიური ბუნებისაა, საკონსტიტუციო სასამართლოში ძირითადად საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები აღწევს.

საკონსტიტუციო კონტროლის ქართულ სისტემაში სრული კონსტიტუციური სარჩელის დანერგვა მნიშვნელოვანია, რომ სასარჩელო წარმოების ფარგლებთან მიმართებით, მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის ევროპულ გამოცდილებას დაეფუძნოს. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილი უნდა იყოს განიხილოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა კონსტიტუციურობა და არა კანონშესაბამისობა. მისი მიზანი საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებაში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტის იდენტიფიცირება უნდა იყოს და ყურადღების მიღმა უნდა დარჩეს იმ ტიპის შესაძლო პროცესუალური დარღვევები, რომლებიც არ იწვევენ კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებული, ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევას. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ჩამოყალიბდება როგორც კიდევ ერთი, დამატებითი ინსტანცია მართლმსაჯულების სისტემაში, რაც საფუძველს გამოაცლის სამართლებრივი სტაბილურობის პრინციპს, ხელს შეუწყობს სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური ავტორიტეტის დაკნინებას, საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის წინაამდეგობრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა მხოლოდ კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა და საკონსტიტუციო სასამართლოს ამგვარი კომპეტენციური კონკრეტირება კი უზრუნველყოფს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას, საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფას და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებისაგან მისი ინსტიტუციური როლის მკაფიო გამიჯვნას.

---

[593] The Fundamental Law of Hungary, 2011, Art. 24(2)(D).

2.1.1.1.2.2. პირდაპირი და მყისიერი ზიანი

კონსტიტუციური სარჩელი, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის მატერიალური წინაპირობაა, მრავალფეროვნებით გამოირჩევა მთელ მსოფლიოში. აბსტრაქტული კონტროლიდან დაწყებული, უნგრეთსა და ხორვატიაში არსებული ე.წ. „actio popularis" სარჩელის ფორმით დასრულებული, ყველა მათგანის მიზანი კონსტიტუციის უზენაესობისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვაა.[594] თუმცა სარჩელის ყველა ფორმა, არ ითვალისწინებს სავალდებულო წინაპირობას მოსარჩელესა და სადავო აქტს შორის ურთიერთმიმართების თაობაზე. აბსტრაქტული კონსტიტუციური სარჩელისაგან განსხვავებით, რომელიც გულისხმობს საჯარო ხელისუფლების მიერ გამოცემული აქტის გასაჩივრების შესაძლებლობას, იმის მიუხედავად, იკვეთება თუ არა პირის ძირითადი უფლების დარღვევა (მაგ., „actio popularis"), კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას ერთ-ერთი მთავარი პირობა მოსარჩელის მიერ, მისი კონსტიტუციური უფლების დარღვევაზე აპელირებაა. უფრო მეტიც, გასაჩივრებული აქტი არამხოლოდ უნდა არღვევდეს მოსარჩელის ძირითად უფლებებს[595], არამედ იგი უნდა იწვევდეს მოსარჩელისთვის პირდაპირ და მყისიერ ზიანს.[596]

საზღვარგარეთის ქვეყნებში, სადაც საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებაზე საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება, კიდევ უფრო აქტუალური ხდება კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების წინაპირობად მოსარჩელესა და გასაჩივრებულ აქტს შორის უშუალო კავშირის არსებობის აუცილებლობა. მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს, რომ გასაჩივრებული აქტი უშუალო და პირდაპირ ზიანს აყენებს მას და არღვევს მის კონსტიტუციურ უფლებას. ამგვარი წინაპირობის არსებობა მიზნად ისახავს სარჩელის დასაბუთებულობას და საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის განტვირთვას, მისადმი მხოლოდ იმგვარი სარჩელების წარდგენით, რომელთა მიზანიც, მოსარჩელის ნამდვილი ინტერესების დაცვაა.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე, კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეებს, სხვა ფიზიკურ პირებს და იურიდიულ პირებს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ და-

---

[594] Arnold R., Constitutional Courts of Central and European Countries as a Dynamic Source of Modern Legal Ideas, Tulane European and Civil Law Forum, Vol 18, 2003, 110.

[595] ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, 25.

[596] Barnet R. J., The Protection of Constitutional Rights in Germany, Virginia Law Review, Vol. 45, 1158.

ირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი."[597] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნულ ნორმას განიხილავს, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის პროცესუალურ გარანტიას, რომელიც ამავდროულად საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში გამორიცხავს „actio popularis" მოხვედრას.[598] ფიზიკური პირი არის აღჭურვილი უფლებით, ეჭვქვეშ დააყენოს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობა, თუ მიიჩნევს, რომ „ასეთი აქტის მოქმედებით, მან უშუალოდ განიცადა ზიანი ან ზიანის მიღების საფრთხე, უშუალოდ მისთვის არის რეალური".[599] საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელე უფლებამოსილია, იდავოს ნორმატიული აქტების საფუძველზე, უშუალოდ მისი უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით,"[600] ხოლო თუ სარჩელი შეეხება არა მოსარჩელეს, არამედ სხვა პირებს, ასეთი სარჩელი ემსგავსება „actio popularis" და იგი დაუშვებელია საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში.[601]

აღსანიშნავია, რომ ძირითადი უფლების დარღვევის ფაქტი შესაძლოა საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის წარდგენის მომენტისთვის არ იყოს დამდგარი, თუმცა სადავო აქტი შესაძლოა იწვევდეს მოსარჩელის ძირითადი უფლებების ახლო მომავალში გარდაუვალ დარღვევას. თუ საკონსტიტუციო სასამართლო დარწმუნდება აღნიშნული საფრთხის რეალურობაში, იგი არსებითად განსახილველად მიიღებს სარჩელს წარმოებაში. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მოსარჩელის მითითება სადავო აქტისგან მომდინარე სამომავლო ზიანზე გონივრულ ვადას უკავშირდებოდეს. სასამართლო შეისწავლის მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებენ, რომ „მოსარჩელე, სადავო ნორმით გათვალისწინებული ურთიერთობის მონაწილე განჭვრეტად მომავალში აუცილებლად გახდება."[602] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ

---

[597] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტი, 1996.

[598] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის N2/7/1258 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ვაშაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-4.

[599] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის N2/2/508 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გევორქ ბაბაიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-1.

[600] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 29 დეკემბრის N2/4/507 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი თარგამაძე, გიორგი ლეკიშვილი, ინგა გრიგოლია და ჯაბა სამუშია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" II-3.

[601] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის N2/7/1258 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ვაშაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-4.

[602] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 1 მარტის N1/1/413 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე ბარამიძე, ირაკლი ყანდაშვილი და კომანდიტური საზოგადოება „ანდრონიკაშვილი, საქსენ-ალტენბურგი, ბარამიძე და პარტნიორები" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-2.

2018 წელს მიღებულ განჩინებაში აღნიშნა, რომ „წინასწარ, ზუსტი დამაჯერებლობით შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ 24 წლის შემდეგ, სადავო ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობის შინაარსისა და მისი საკანონმდებლო მოწესრიგების შესაძლო ცვლილების გათვალისწინებით, მას (სადავო ნორმას) კვლავ ექნება იგივე შინაარსი, რაც დღეს აქვს... და შედეგად მოსარჩელე, მაღალი ალბათობით, გახდება დადგენილი დიფერენციაციის სუბიექტი. ამგვარი ხანგრძლივი პერიოდი არ წარმოადგენს ისეთ განჭვრეტად მომავალს, რომლის პირობებშიც შესაძლებელი იქნება უფლების დარღვევის საფრთხის რეალურობის შეფასება."[603]

სავალდებულო წინაპირობებს, შორის, რომელთა დაწესების აუცილებლობასაც საქართველოში სრული კონსტიტუციური სარჩელის დანერგვა გამოიწვევს, მოსარჩელისთვის პირდაპირი და იმწუთიერი ზიანის მიყენების მოთხოვნაცაა. ამგვარი რეგულაცია ხელს შეუწყობს საკონსტიტუციო სასამართლოში მხოლოდ იმ ტიპის სარჩელების წარდგენას, რომელთა განხილვაც უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ადამიანის ძირითადი უფლების დაცვის მთავარ გარანტს საქართველოში. ამგვარი წინაპირობის არსებობა, ასევე დაეხმარება საკონსტიტუციო სასამართლოს რეალურად დაინახოს ადამიანის ძირითადი უფლების დარღვევა და კონკრეტული შემთხვევის მაგალითზე, განსაზღვროს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გავლენა ადამიანის ძირითად უფლებებზე. მოსარჩელისთვის პირდაპირი და მყისიერი ზიანის მიყენების ფაქტის დასაბუთების ვალდებულება გამოიწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელთა ფილტრაციას და სათანადოდ დასაბუთებული სარჩელების წარდგენას.

2.1.1.1.2.3. სამართლებრივი საშუალებების ამოწურვა

სრული კონსტიტუციური სარჩელი ადამიანის კონსტიტუციური უფლების დაცვის სუბსიდიური საშუალებაა.[604] აღნიშნული გულისხმობს, რომ მოსარჩელემ უნდა ამოწუროს ქვეყნის ეროვნული სამართლებრივი სისტემით გათვალისწინებული უფლების დაცვის ყველა სხვა სამართლებრივი საშუალება და მხოლოდ ამის შემდგომ მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. ამ უკანასკნელისთვის სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის გარეშე მიმართვის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო სარჩელს არ მიიღებს წარმოებაში. ამგვარი პრაქტიკაა დამკვიდრებული გერმანიაში, სადაც ფედერალური სა-

[603] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის N2/7/1258 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ვაშაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-3.

[604] Gentili G., A Comparison of European Systems of Direct Access to Constitutional Judges: Exploring Advantages for The Italian Constitutional Court, Italian Journal of Public Law, Vol. 4, 2012, 163.

კონსტიტუციო სასამართლო სარჩელს წარმოებაში მიიღებს, თუ მოსარჩელეს ამოწურული აქვს უფლების დაცვის ყველა სამართლებრივი საშუალება.[605] აღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც წესი, საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურ სარჩელს არსებითად განსახილველად იღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მიღებულია ბოლო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.[606]

სრული კონსტიტუციური სარჩელის მექანიზმი გერმანიის მსგავსად მოქმედებს აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნებში, სადაც მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება. კერძოდ, უნგრეთის კანონმდებლობით, აღნიშნული პროცესუალური საშუალება სუბსიდიური ბუნებით ხასიათდება და მისი რეალიზება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მოსარჩელეს ამოწურული აქვს უფლების დაცვის ყველა სხვა სამართლებრივი საშუალება, „ან მათთვის სამართლებრივი დაცვის საშუალება არ არსებობს."[607] იგივე რეგულაციას ადგენს აგრეთვე ჩეხეთის კანონმდებლობაც.[608] აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვამდე, აღნიშნული ვალდებულება არამხოლოდ მოსარჩელე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს გააჩნიათ, არამედ ყველა იმ პირს, ვისაც საკონსტიტუციო სასამართლოსადმი სრული კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის უფლება აქვს. ესპანეთის კონსტიტუციის შესაბამისად, „სამართლებრივი ინტერესის მქონე ნებისმიერ პირს და ორგანიზაციას, ასევე სახალხო დამცველსა და სახალხო პროკურორის ოფისს, შეუძლიათ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს, იმ პირობით, რომ ამოწურული აქვთ უფლების დაცვის ყველა სხვა სამართლებრივი საშუალება."[609]

სრული კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე შესაძლოა მხოლოდ კონსტიტუციური უფლებების დარღვევა დაფიქსირდეს.[610] შემზღუდავი პრო-

---

[605] Steinberger H., Models of Constitutional Jurisdiction, CDL-STD (1993)002, 27; Stone Sweet A., Constitutional Courts, Yale Law School Legal Scholarship Repository, 2012, 824; იხ., Lacchi C., Review by Constitutional Courts of the Obligation of National Courts of Last Instance to Refer a Preliminary Question to the Court of Justice of the EU, Special Issue - Preliminary References to the CJEU Part Five, German Law Journal, Vol. 16, N06, 2015, 1665. იხ., Arnold R., Constitutional Courts of Central and European Countries as a Dynamic Source of Modern Legal Ideas, Tulane European and Civil Law Forum, Vol 18, 2003, 110.

[606] ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, 26. იხ., Kommers D. P., Miller R. A., Das Bundesverfassungsgericht: Procedure, Practice and Policy of the German Federal Constitutional Court, Journal of Comparative Law, N3(2), 2008, 202.

[607] იხ., უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდი <https://hunconcourt.hu/general-information> [03.06.2022]

[608] Constitution of Czech Republic, 1992, Art. 87(1)(D); Constitutional Court Act, 1992, Art. 75(1).

[609] The Spanish Constitution, 1978, Art. 162(1).

[610] ჰაფელინი უ., ჰალერი ვ., კელერი ჰ., ტურნჰერი დ., შვეიცარიის ფედერალური სახელმწიფო სამართალი, მე-9 გამოცემა, გ. ჯიმშელეიშვილის თარგმანი, 2016, 75.

ცედურული წესის დადგენა, რომელიც პირს არ მისცემს სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის მოთხოვნის უგულებელყოფით საკონსტიტუციო სასამართლოსადმი პირდაპირი მიმართვის შესაძლებლობას,[611] მიზნად ისახავს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც უფლების დაცვის მხოლოდ დამატებითი საშუალების გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობას, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას და საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობის შენარჩენებას მოჭარბებული სარჩელებისგან. შესაძლოა, საერთო სამართლომ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, პირის მიერ წარდგენილი სარჩელი არ მიიღოს წარმოებაში. ასეთ შემთხვევაში სარჩელი შეიძლება წარედგინოს საკონსტიტუციო სასამართლოს, სათანადო მოთხოვნების დაკმაყოფილების პირობით.[612]

მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლი, სუბსიდიურობის გამო სხვა არაფერია თუ არა საკონსტიტუციო კონტროლი საერთო სასამართლოების სისტემის, და განსაკუთრებით, ბოლო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებებზე. იგი გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, სრული კონსტიტუციური სარჩელის წარმოებაში მიღებას და განხილვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე ამოწურავს უფლების დაცვის ყველა სამართლებრივ საშუალებას. ამ მოთხოვნის აღსრულებაში კი ცენტრალური ადგილი საერთო სასამართლოებს უკავიათ, სადაც პირველადად ხდება საჯარო ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება. ეს უკანასკნელნი კი ინსტანციური სისტემით უზრუნველყოფენ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას. სწორედ აღნიშნულის გამო ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა დიდი ნაწილი, სასამართლოს აქტებია,[613] მათ შორის, ყველაზე ხშირად, უზენაესი სასამართლოს აქტები. თუმცა შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი არსებითად განსახილველად მიიღოს იმ შემთხვევაში, თუ უზენაესი სასამართლო სარჩელს წარმოებაში არ მიიღებს ან გასაჩივრება შეუძლებელია სხვა რაიმე მიზეზით.

სრული კონსტიტუციური სარჩელის სუბსიდიური ბუნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის მიმართვის იდენტურია, სადაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 35-ე მუხლის შესაბამისად, განმცხადებელ-

---

[611] Lacchi C., Review by Constitutional Courts of the Obligation of National Courts of Last Instance to Refer a Preliminary Question to the Court of Justice of the EU, Special Issue - Preliminary References to the CJEU Part Five, German Law Journal, Vol. 16, N06, 2015, 1665; Faiz P. M., A Prospect and Challenges for Adopting Constitutional Complaint and Constitutional Question in the Indonesian Constitutional Court, Constitutional Review, Vol. 2, 2016, 106.

[612] Rupp G. H., Judicial Review in The Federal Republic of Germany, 1960, 40.

[613] Rupp G. H., The Federal Constitutional Court and The Constitution of The Federal Republic of Germany, 1972, 360.

მა უნდა ამოწუროს უფლების დაცვის ყველა შიდასამართლებრივი საშუალება, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების გაგებით.[614] თუმცა ევროპული კონვენციისგან განსხვავებით, რომლის შესაბამისადაც, სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის თაობაზე მტკიცების ტვირთი ეკისრება მთავრობას, მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის დროს, აღნიშნული ვალდებულება თავად მოსარჩელეს აკისრია.[615]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმართვის მსგავსად სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის ვალდებულება არც სრული კონსტიტუციური სარჩელის შემთხვევაშია უნივერსალური და შეფასებითია ინდივიდუალური შემთხვევების გათვალისწინებით.[616] როგორც ევროპულმა სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, არამხოლოდ სამართლებრივი საშუალებების ფორმალური არსებობა, კონკრეტული სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში, არამედ „ზოგადი სამართლებრივი და პოლიტიკური კონტექსტი",[617] მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას, საკონსტიტუციო სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის ფორმალური საპროცესო წინაპირობის მიღმა არსებული ალბათობა, რომ ასეთი მოთხოვნის შესრულებამ შესაძლოა პირის ძირითადი უფლებების პირდაპირი და გამოუსწორებელი დარღვევა გამოიწვიოს. ორივე შემთხვევაში გასათვალისწინებელია მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები.[618] ამასთან, სრული კონსტიტუციური სარჩელი, რომლის ფარგლებშიც „გადასინჯვადია უკანასკნელი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები, არის სავალდებულო სასარჩელო ინსტრუმენტი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 35-ე მუხლის მიზნებისათვის, რომელიც სუბსიდიურობის პრინციპზე დაყრდნობით, აუცილებლად უნდა გამოიყენოს მომჩივანმა, ვიდრე მიმართავს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს."[619]

---

[614] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტი, 1950.

[615] ამ შემთხვევაში საინტერესოა საკითხი მტკიცების ტვირთის შესახებ: ევროპულ სასამართლოში ჯერ მთავრობა წარმოადგენს არგუმენტებს აღნიშნული საშუალებების ეფექტიანობისა და მის თეორიულ და პრაქტიკულ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, რომლის შემდეგაც განმცხადებელს ეკისრება ვალდებულება წარმოადგინოს აღნიშნული საშუალებების გამოყენების არაეფექტიანობის თაობაზე შესაბამისი მტკიცებულებები. იხ., Sejdovic v. Italy [ECHR], App. N56581/00, 2006; Vernillo v. France, [ECHR], App. N198, 1991; Merit v. Ukraine, [ECHR], App. N66561/01, 2004.

[616] Van Oosterwijck v. Belgium, [ECHR], 1980.

[617] შულაია ს., ევროპულ სახელმწიფოთა საკონსტიტუციო სასამართლოები - ეროვნულ დონეზე საქმის წარმოების ბოლო ინსტანცია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმის განხილვამდე, კრებულში: „ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები", კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2009, 243.

[618] იხ. იქვე.

[619] იხ., ერქვანია თ., კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის ხარვეზები საქართველოში - ე.წ. „რეალური" კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სისტემაში ინტე-

სრული კონსტიტუციური სარჩელის ინტეგრაცია საქართველოს ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში მნიშვნელოვანია, რომ დაეფუძნოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სუბსიდიურ წესს და საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა შესაძლებელი იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი უფლების დაცვის ყველა სხვა სამართლებრივი საშუალების ამოწურვის შემთხვევაში. საკითხის ამგვარი მოწესრიგება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საკონსტიტუციო სასამართლოს სამომავლო საქმიანობის ეფექტიანობაზე და გაცხრილავს იმ სარჩელთა რაოდენობას, რომელთა გადაწყვეტაც შესაძლებელია უფლების დაცვის სხვა სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით. თუმცა ფორმალური წინაპირობის დაცვა არ შეიძლება „ამოეფაროს" საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვის საფრთხეს და ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დაცვა, როგორც უმთავრესი მიზანი, უზრუნველყოფილი უნდა იყოს, იმ შემთხვევაშიც, როცა შეუძლებელია პირის მიერ სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის პირობის ზედმიწევნით შესრულება.

ბოლო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, სრული კონსტიტუციური სარჩელის მიზნებისთვის, არის საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში ის ბოლო ინსტანცია, რომელიც კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით იღებს საბოლოო, შემაჯამებელ გადაწყვეტილებას, რომლის გასაჩივრების სამართლებრივი მექანიზმი ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში აღარ არსებობს. ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო, როგორც საკასაციო ინსტანცია, როგორც წესი, განსახილველ საქმეებზე ბოლო ინსტანციის სასამართლოა, თუმცა არა ყველა შემთხვევაში. მაგალითად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინება ერთჯერადად საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ გამოტანილი განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.[620] შესაბამისად, ამ ტიპის სასარჩელო წარმოებისთვის ბოლო ინსტანცია სააპელაციო სასამართლო იქნება.

ასევე გასათვალისწინებელია ტერმინოლოგიური საკითხიც, რომელიც ბოლო ინსტანციის სასამართლოს „გადაწყვეტილების" ცნებას უკავშირდება. საქართველოს უზენაეს სასამართლოს, როგორც საკასაციო სასამართლოს და საერთო სასამართლოების სისტემაში უმაღლეს ინსტანციას, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ გამოაქვს დასაბუთებული განჩინება, ხოლო

გრაციის შესახებ, კრებულში: „ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში", კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 44-45.

[620] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-7 ნაწილი, 2009.

საქმის არსებითად განხილვის შემდეგ, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე შემაჯამებელ პოზიციას აყალიბებს გადაწყვეტილების, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებზე - განაჩენის სახით, რომელიც საბოლოოა და არ საჩივრდება.[621] ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სრული კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება წარმოიშობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილების/განჩინების ან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან, ხოლო თუ საქართველოს კანონმდებლობა კონკრეტული საქმის უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს, შესაბამისი საერთო სასამართლოს, როგორც განსახილველ საქმეზე ბოლო ინსტანციის გადაწყვეტილების/განჩინების ან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. ბუნებრივია, საკონსტიტუციო სასამართლო საქმეს არსებითად განსახილველად არ მიიღებს, თუ არსებობდა უზენაესი სასამართლოსთვის მიმართვის სამართლებრივი შესაძლებლობა და მოსარჩელემ არ გამოიყენა იგი.

2.1.1.1.2.4. სარჩელის წარმოებაში მიღების საგამონაკლისო შემთხვევები

სრული კონსტიტუციური სარჩელის სუბსიდიური ბუნებიდან გამომდინარე, როგორც ზემოთ აღინიშნა, საკონსტიტუციო სასამართლო სარჩელს არსებითად განსახილველად მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ დარღვეულია პირის კონსტიტუციური უფლებები და იგი ასაბუთებს, რომ სადავო აქტი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მის საკონსტიტუციოსამართლებრივ ინტერესს. თუმცა საკონსტიტუციო სამართალწარმოების განხორციელებისთვის დადგენილი ეს პროცედურული წინაპირობა თავად არ უნდა გახდეს პირის ფუნდამენტური უფლების დარღვევის ხელშემწყობი, მაშინ, როცა საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან საჭიროა სწრაფი რეაგირება ადამიანის ძირითადი უფლების დარღვევის ფაქტზე.

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის მქონე ქვეყნები, ადამიანის ძირითადი უფლებების ეფექტიანი დაცვის ინტერესიდან გამომდინარე, განსაზღვრავენ გამონაკლისს პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენების პირობიდან. სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის ვალდებულება არ გამოიყენება გამონაკლის შემთხვევაში, თუ სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის პირობის დაცვამ შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს პირის უფლებრივ მდგომარეობას.[622] ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ სამართლებრივი საშუალებების ამოწურვას შესაძლოა შედეგად მოჰყვეს უფლე-

[621] იხ., იქვე, 303-ე მუხლის 33 და მე-4 ნაწილები.

[622] Palguna G. D., Constitutional Complaint and the Protection of Citizens Constitutional Rights, Constitutional Review, 2017, 9.

ბის გამოუსწორებელი და მნიშვნელოვანი დარღვევა.[623] ამ ტიპის გამონაკლისს ადგენს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის მე-13 პარაგრაფის მე-8 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისადაც, „ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია სამართლებრივი საშუალებების ამოწურვამდე მიიღოს სარჩელი წარმოებაში, თუ მას აქვს საერთო მნიშვნელობა და მოსარჩელეს შეიძლება მიადგეს მძიმე და გამოუსწორებელი ზიანი, თუ ის დადგება აუცილებლობის წინაშე, თავდაპირველად გამოიყენოს სამართლებრივი დაცვის ჩვეულებრივი საშუალებები.“[624]

სრული კონსტიტუციური სარჩელის სუბსიდიური ბუნების განსაკუთრებული მნიშვნელობის მიუხედავად, ინსტიტუტის უმთავრესი მიზანი ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვაა. იმ შემთხვევაში კი, თუ შეიქმნა ღირებულებითი კოლიზია ფორმალური წინაპირობის დაცვასა და ადამიანის კონსტიტუციური უფლების დაცვას შორის, უპირატესობა ამ უკანასკნელს უნდა მიენიჭოს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სადოქტორო ნაშრომისთვის რელევანტური ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს საერთო წესიდან გამონაკლისს: მიიჩნევა, რომ კონსტიტუციური სარჩელის მიზანი არამხოლოდ მოქალაქის უფლებათა დაცვაა, არამედ მან უნდა დაიცვას მთლიანად კონსტიტუციური სამართალი.[625] აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გამონაკლისის სახით წარმოებაში მიიღოს სარჩელი სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის ვალდებულების შესრულების გარეშე, თუ მას საყოველთაო მნიშვნელობა აქვს და არსებობს მოსარჩელისადმი გამოუსწორებელი ზიანის მიყენების რისკი.[626] ასევე იმ შემთხვევაში, თუ სხვა სამართლებრივი საშუალებების გამოყენება, არსებული სამართლებრივი მდგომარეობიდან და უმაღლესი სასამართლო ინსტანციების პრაქტიკიდან გამომდინარე, უპერსპექტივოა.[627]

მეორე მხრივ ასეთი რეგულაციის არსებობამ, შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობაზე. ამგვარ გამონაკლისზე მოსარჩელეთა მზარდი აპელირების პირობებში საკონსტიტუციო სასამართლო შესაძლოა დილემის წინაშე აღმოჩნდეს: მკაცრად დაიცვას სადავო აქტით ზიანის მიყენების დასაბუთების ფორმალური წინაპირობა ან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეაფასოს, რამდენად გარდაუვალი იქნება სადავო აქტიდან პირისათვის მოსალოდნელი ზიანი. აღნიშნუ-

---

[623] Barnet R. J., The Protection of Constitutional Rights in Germany, Virginia Law Review, Vol. 45, 1156.

[624] გერმანიის ძირითადი კანონის მე-13 პარაგრაფის, მე-8 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, 1949.

[625] ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, 27.

[626] იხ., იქვე.

[627] იხ., იქვე.

ლის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებდეს საკონსტიტუციო სასამართლოს დისკრეციას, მოქნილი მექანიზმის გამოყენებით სწრაფად შეაფასოს ადამიანის უფლების სავარაუდო დარღვევა და მოსარჩელის მიერ პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენების ფაქტის დასაბუთებამდე, წარმოებაში მიიღოს სარჩელი, თუკი დარწმუნდება, რომ სადავო აქტი გამოუსწორებელ და გარდაუვალ ზიანს მიაყენებს პირს, სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის გამო. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული შესაძლებლობა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, სათანადო დასაბუთების არსებობისას იქნეს გამოყენებული და აბსოლუტური ხასიათი არ მიიღოს ამ გამონაკლისით სარგებლობამ.

2.1.1.1.3. სამართალწარმოების ვადა

სამართალწარმოების ვადების დადგენა საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორ უფლების დაცვის ეფექტიანი საშუალების არსებობას უკავშირდება. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება დაგვიანებით ან გაჭიანურებული სამართალწარმოების პროცესი, სამართლიანი სასამართლოს და ეფექტიანი მართლმსაჯულების პრინციპს ეჭქვეშ აყენებს. მეორე მხრივ, არაპროპორციულად შეზღუდული ვადების დაწესებამ საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ხარისხი შეიძლება დაამცროს და რისკი შეუქმნას საქმის ყოველმხრივი განხილვის პერსპექტივას. ამდენად, აუცილებელია გონივრული ვადების დადგენა, რომლებიც ოქროს შუალედს დაიცავს ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების გარანტიასა და საქმის ყოველმხრივი განხილვის ინტერესს შორის. საკონსტიტუციო სამართალწარმოების ვადებთან მიმართებით მნიშვნელოვანია გამოვყოთ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის, სარჩელის არსებითად განსახილველად წარმოებაში მიღებისა და გადაწყვეტილების მიღების ვადები, რომელთა შესახებაც ქვემოთ ვიმსჯელებთ.

2.1.1.1.3.1. საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ვადა

საკონსტიტუციო სამართალწარმოების ვადები განსაკუთრებულ როლს ასრულებენ სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების თვალსაზრისით.[628] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტიანობა ხშირად სწორედ ვადების გონივრულ ზღვრულ ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული. საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ვადა მოსარჩელეს სათანადოდ მომზადების შესაძლებლობას უნდა აძლევდეს

[628] Fasone C., Constitutional Courts Facing the Euro Crisis. Italy, Portugal and Spain in a Comparative Perspective, EUI Working Papers, European University Institute, MWP 2014/25, 2014, 10.

და არ უნდა არღვევდეს სამართლებრივი სტაბილურობის პრინციპს.[629] სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ ვადებთან მიმართებით სასამართლოსადმი მიმართვის ვადას ყველაზე პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. ზოგადად, ევროპის მასშტაბით, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის ვადა მერყეობს 30 დღიდან 2 წლამდე ხანგრძლივობით.[630] ხშირ შემთხვევაში კი კანონმდებლობით საერთოდ არ განისაზღვრება საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ვადა. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის შემთხვევაში კი სამართლებრივი სტაბილურობის ინტერესიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ვადა შემჭიდროვებულია და როგორც წესი, ერთ წლამდე პერიოდით განისაზღვრება.

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ვადა განსხვავებული ხანგრძლივობით დგინდება სადავო აქტის შინაარსიდან გამომდინარე. მაგალითად, ესპანეთში მიღებული კანონის გასაჩივრების ვადა, მისი ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებიდან სამ თვეს შეადგენს,[631] გერმანიიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის წარდგენა შესაძლებელია სადავო აქტის ძალაში შესვლიდან 1 წლის განმავლობაში,[632] რაც შეეხება საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა კონსტიტუციურობის კონტროლს, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა უნდა მოხდეს „ბოლო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში,“[633] ესპანეთში ეს ვადა „გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30 დღეა“,[634] ჩეხეთში - „გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 2 თვე“,[635] უნგრეთში - „სადავო გადაწყვეტილების მიღებიდან 60 დღე“,[636] თურქეთში, „სამართლებ-

---

[629] Study on Individual Access to Constitutional Justice, CDL-AD (2010) 039rev, N538/2009, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 27 January, 2011, 32.

[630] Gentili G., A Comparison of European Systems of Direct Access to Constitutional Judges: Exploring Advantages for The Italian Constitutional Court, Italian Journal of Public Law, Vol. 4, 2012, 182. შეად., Fremuth, L. M., Patchwork Constitutionalism: Constitutionalism and Constitutional Litigation in Germany and beyond the Nation State - A European Perspective, Dunquesne law Review, Vol. 49, Issue 2, 2011, 379.

[631] Fasone C., Constitutional Courts Facing the Euro Crisis. Italy, Portugal and Spain in a Comparative Perspective, EUI Working Papers, European University Institute, MWP 2014/25, 2014, 8.

[632] Palguna G. D., Constitutional Complaint and The Protection of Citizens The Constitutional Rights, Constitutional Review, 2017, 11; The Act on the Federal Constitutional Court, 1951, Art. 93(3).

[633] The Act on the Federal Constitutional Court, 1951, Art. 93(3).

[634] Comella V. F., The Spanish Constitutional Court: Time for Reforms, 2008, 193; Organic Law on The Constitutional Court of Spain, N2/1979, art. 44(2).

[635] Constitution of Czech Republic, 1992, Art. 87(1)(D); Constitutional Court Act, 1992, Art. 75(1).

[636] Act on the Constitutional Court of Hungary, 2011, Art. 31(1).

რივი საშუალებების ამოწურვიდან 60 დღე",[637] აზერბაიჯანში „ბოლო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვე"[638] და ა. შ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ მიიღებს საქმეს არსებითად განსახილველად, თუ არასაპატიო მიზეზით დარღვეულია მისი შეტანის კანონით დადგენილი ვადა.[639] თუმცა ნორმატიული კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებისას პირის მიერ სადავო აქტის თაობაზე სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენის ვადა არ არის დადგენილი, რაც გამომდინარეობს ნორმატიული სასარჩელო წარმოების ბუნებიდან და ევროპული საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკაში საკითხისადმი დამკვიდრებული მიდგომაა. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას კი სამართლებრივი სტაბილურობის უზრუნველყოფისა და საკონსტიტუციო სასამართლოში ჭარბი რაოდენობის სარჩელების წარდგენის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია, განისაზღვროს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის ვადა.

მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ვადასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია რამდენიმე საკითხის შეფასება, რომლებიც უკავშირდება საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ვადის ხანგრძლივობას და ამ ვადის ათვლის მომენტის განსაზღვრას. აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა უნდა მოხდეს ევროპული საუკეთესო პრაქტიკისა და საქართველოს კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე, სრული კონსტიტუციური სარჩელის საქართველოს სამართლებრივ სისტემაში უმტკივნეულო დანერგვის ინტერესიდან გამომდინარე.

მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული გამოცდილების ანალიზით, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა შესაძლებელია სადავო აქტის იურიდიულ ძალაში შესვლიდან განსაზღვრული დროის განმავლობაში. „სადავო აქტი" სადოქტორო თემის ფარგლებში განსახილველი ინსტიტუტისადმი დამახასიათებელი სუბსიდიურობის პრინციპის გათვალისწინებით, გულისხმობს საერთო სასამართლოების მიერ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებას, რომლითაც ამოიწურება ეროვნული მასშტაბით საერთო სასამართლოებში გასაჩივრების შესაძლებლობა. ამდენად, „ბოლო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება", როგორც წესი, გულისხმობს უზენაესი

---

[637] Code on Establishment and Rules of Procedures of the Constitutional Court, N6216, 2011, Art. 47(5).

[638] Law of the Constitutional Court of Azerbaijan, Art. 34(4).

[639] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 313-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი, 1996.

სასამართლოს გადაწყვეტილებას, თუმცა მასში შესაძლოა იგულისხმებოდეს საერთო სასამართლოების იმ ინსტანციის გადაწყვეტილება, რომლის საერთო სასამართლოების სისტემაში გასაჩივრების შესაძლებლობა აღარ არსებობს. ამდენად, მიზანშეწონილია და სუბსიდიურობის პრინციპიდან გამომდინარე - აუცილებელიც კი, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ვადის ათვლა ბოლო ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან მოხდეს.

მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას სადავო აქტის გამომცემი ორგანოს იდენტიფიცირებასთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, თუ რა მიიჩნევა აღნიშნული აქტის „კანონიერ ძალაში შესვლის" მომენტად. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, „განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა სასამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე."[640] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი კი მიჯნავს პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტს.[641] მაგალითად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება), თუ იგი არ გასაჩივრებულა, კანონიერ ძალაში შედის მისი საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო თუ იყო გასაჩივრებული – საკასაციო წესით საქმის განხილვის შემდეგ, თუკი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) არ გაუქმებულა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში ასევე შედის, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის საკასაციო წესით გასაჩივრებაზე. ხოლო საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე.[642] გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მიმართ, როგორც წესი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსითაც იგივე მოწესრიგებაა განსაზღვრული.[643] ამდენად, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შესაძლებლობას, ყველა ინსტანციის მიერ საქმის განხილვის გარეშე, რაც არ შეესაბამება საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის არსს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სრული კონსტიტუციური სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ვადის ათვლა,

---

[640] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის პირველი ნაწილი, 2009.

[641] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლი, 1997.

[642] იხ., იქვე, მე-2 და მე-3 ნაწილები.

[643] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 1999.

ზემოაღნიშნული წესით, საერთო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან უნდა მოხდეს, ოღონდ სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის პირობით. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო საქმეს არ მიიღებს არსებითად განსახილველად, თუ მოსარჩელე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ გაასაჩივრებს საკასაციო წესით, რისი სამართლებრივი შესაძლებლობაც მას აქვს, კანონით დადგენილი წესით.

და ბოლოს, მნიშვნელოვანია განისაზღვროს უშუალოდ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ვადის ხანგრძლივობა. ევროპის ქვეყნების გამოცდილებით სრული კონსტიტუციური სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის ვადა ყველაზე ხშირად 60 დღის (ორი თვის) ხანგრძლივობით განისაზღვრება, ზოგადად კი, მისი ხანგრძლივობა 30 დღიდან 6 თვემდე მერყეობს. ამ თვალსაზრისით საქართველოს საერთო სასამართლოს გადაწყვეტილების/განჩინების (განაჩენის) კანონიერ ძალაში შესვლასთან ერთად, გასათვალისწინებელია საერთო სასამართლოების დასაბუთებული გადაწყვეტილების საკონსტიტუციო სასამართლოში პოტენციური მოსარჩელისათვის ჩაბარების ვადა. მაგალითად, განაჩენის ასლი მსჯავრდებულს ან გამართლებულს გადაეცემა განაჩენის გამოცხადებიდან 5 დღის ვადაში, ხოლო რთულ, მრავალტომიან და მრავალი პირის ბრალდების საქმეზე, არაუგვიანეს 14 დღის ვადაში.[644] სამოქალაქო საპროცესო კოდექსით ეს ვადა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღეს შეადგენს.[645] ამდენად, დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლასთან შედარებით გვიან ხდება, პირს კი მხოლოდ დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან ეძლევა ფაქტობრივი შესაძლებლობა მოამზადოს კონსტიტუციური სარჩელი. პირის მიერ საკონსტიტუციო სამართალწარმოებისთვის სათანადოდ მომზადების მიზნით, აღნიშნული სამართლებრივი გარემოებაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ვადის განსაზღვრისას.

სათანადო მიდგომის ჩამოყალიბებისა და შესაბამისი ფორმულირების განსაზღვრის მიზნით, ასევე საინტერესოა, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ანალოგიური ვადების ანალიზი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ვადას, საქართველოს კანონმდებლობა მის რამდენიმე უფლებამოსილებასთან მიმართებით იცნობს. მაგალითად, კონსტიტუციური სარჩელი შეიტანება მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულების ან მის ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციურობის შესახებ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულების ან მის ცალკეულ დებულებათა დენონსირება-

[644] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 278-ე მუხლი, 2009.

[645] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2591 მუხლი, 1997.

ზე ან გაუქმებაზე საქართველოს პარლამენტის მიერ უარის თქმიდან 30 დღის ვადაში.[646] ასევე, განსაზღვრულია არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის ვადა და იგი შეადგენს არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 3 დღეს.[647] ასევე, საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ორ კვირას, საქართველოს პარლამენტის შესაბამისი გადაწყვეტილების ამოქმედების მომენტიდან.[648]

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგიერთი უფლებამოსილების ფარგლებში კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის ვადა არ არის განსაზღვრული (მაგალითად, ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლი), თუმცა ცალკეულ უფლებამოსილებებთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის კონკრეტული ვადებია დადგენილი. აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი სრული კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის ვადა განისაზღვროს საერთო სასამართლოების სისტემის ბოლო ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 60 დღის ხანგრძლივობით. რაც ერთი მხრივ, სამართლებრივ სტაბილურობას უზრუნველყოფს, ხოლო მეორე მხრივ, საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესისთვის მოსარჩელის სრულყოფილად მომზადების შესაძლებლობას შექმნის.

აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების საკანონმდებლო აქტები ითვალისწინებენ საპატიო მიზეზით გაშვებული საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ვადის აღდგენის შესაძლებლობას. მაგალითად, გერმანიაში, თუ მოსარჩელემ ვერ შეძლო, მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის პროცედურული ვადის დაცვა, შესაბამისი განცხადების საფუძველზე შეიძლება აღუდგეს აღნიშნული ვადა.[649] საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა უნდა მოხდეს ხელისშემშლელი გარემოებების აღმოფხვრიდან 2 კვირის ვადაში. მოთხოვნის მიზეზები მითითე-

---

[646] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 38-ე მუხლის 21 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, 1996.

[647] იხ., იქვე, 37-ე მუხლი.

[648] იხ., იქვე, მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი.

[649] German Federal Constitutional Court, „How to Lodge the Constitutional Complaint.“ 2018, 2. იხ., <https://www.bundesverfassungsgericht.de/EN/Homepage/_zielgruppeneinstieg/Merkblatt/Merkblatt_node.html> [03.06.2022]

ბული იყოს სარჩელში და დადასტურებული შესაბამისი მტკიცებულებებით.[650] აღსანიშნავია, რომ ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა შეეძლოს ვადის გახანგრძლივება, როცა მოსარჩელეს მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო არ შეუძლია დაიცვას აღნიშნული ვადა.[651]

ამ საკითხთან მიმართებით საინტერესოა საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი, რომლის შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი/კონსტიტუციური წარდგინება განსახილველად არ მიიღება თუ სარჩელი ფორმით ან შინაარსით არ შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს, შეტანილია არაუფლებამოსილი პირის ან ორგანოს მიერ, მასში მითითებული არცერთი სადავო საკითხი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი და კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.[652] მათ შორის, იმ შემთხვევაში თუ არასაპატიო მიზეზით დარღვეულია მისი შეტანის კანონით დადგენილი ვადა.[653] ამდენად, „არასაპატიო მიზეზზე" მითითებით, კანონმდებლობა ითვალისწინებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების შეტანის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელე/წარდგინების ავტორი, აღნიშნულ ვადას საპატიო მიზეზით გაუშვებს. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსაც გააჩნდეს შესაძლებლობა სრული კონსტიტუციური სარჩელი მიიღოს წარმოებაში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ხელისშემშლელი გარემოების აღმოფხვრიდან 2 კვირის ვადაში, თუ საპატიო მიზეზით დარღვეულია მისი შეტანის კანონით დადგენილი ვადა, რის თაობაზეც, უნდა გადაწყდეს საქმის არსებითად განსახილველად მიღების ეტაპზე.

2.1.1.1.3.2. საქმის არსებითად განსახილველად მიღების ვადა

საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო სინამდვილეში ფართოდ გამოიყენება საქმის არსებითად განსახილველად მიღებასთან დაკავშირებული ვადების რეგლამენტირების პრაქტიკა. საკითხი კიდევ უფრო მეტ აქტუალურობას იძენს, სრული კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას, ადამიანის ძირითადი უფლების დაცვის უზრუნველყოფისათვის სწრაფი და ეფექტიანი სამართალწარმოების განხორციელების აუცილებლობის გამო. კონსტიტუციური სარჩელის წარმოებაში მიღების პროცედურები გარკვეულ დროით ფარგლებშია მოქცეული. კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განხილვის მიზნით

---

[650] იხ., იქვე.

[651] Study on Individual Access to Constitutional Justice, CDL-AD (2010) 039rev, N538/2009, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 27 January, 2011, 32.

[652] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 313 მუხლის პირველი პუნქტი, 1996.

[653] იხ., იქვე.

წარმოებაში მიღების პროცედურისა და შესაბამისი ვადების განსაზღვრისას სახელმწიფოები, მათი სამართლებრივი სისტემის გათვალისწინებით, ინდივიდუალურ მიდგომას იყენებენ, თუმცა ზოგადად, აღნიშნული პროცედურები მსგავსია. კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად წარმოებაში მიღება მოიცავს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის რეგისტრაციას, სარჩელში არსებული ხარვეზების გამოსწორებას (არსებობის შემთხვევაში) და სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტას.

სრული კონსტიტუციური სარჩელის წარმოებაში მიღების მიმართ, როგორც წესი, კონკრეტულ სახელმწიფოებს უნივერსალური მიდგომა არ აქვთ და კონსტიტუციური სარჩელის ფორმის მიუხედავად, სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების ერთიანი ვადები განისაზღვრება. განსაკუთრებით ეს შეეხება ნორმატიულ კონსტიტუციური კონტროლისა და მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შეფასება და სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების პროცედურის განხილვა.

ესპანეთის კანონმდებლობით, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის წარდგენილი სარჩელი, რომელსაც საკონსტიტუციო მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს[654] და თან ახლდეს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაცია, გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს სამდივნოს, რომელიც ამოწმებს სარჩელს და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მიუთითებს მოსარჩელეს 10 დღის ვადაში ხარვეზის გამოსწორების თაობაზე.[655] სარჩელის დასაშვებად ცნობის მიზნით, კონსტიტუციური სარჩელი გადაეცემა კოლეგიას, ხოლო საჭიროებისამებრ, თუ კოლეგიის გადაწყვეტილება არაერთსულოვანია (providencia) - პალატას. თუ კოლეგია სარჩელს დაუსაბუთებლად მიიჩნევს, ამის თაობაზე ეცნობება მოსარჩელეს, სახალხო პროკურორსა და სახალხო დამცველს, რომელთაგან მხოლოდ ორ უკანასკნელს აქვს უფლება მომდევნო სამი დღის ვადაში გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება[656] სარჩელი, მისი დასაშვებად ცნობიდან 10 დღის ვადაში გადაეცემა ორგანოს, რომელმაც გამოსცა სადავო სამართლებრივი აქტი და განესაზღვრება 10 დღიანი ვადა, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის მიზნით.[657] სარჩელი ასევე ეგზავნება მოპასუხე მხარეს და ინიშნება არსებითი განხილვის თარიღი მხარეთათვის მისაღებ დროს, მაგარამ არაუგვიანეს სარჩელის მოპასუხისთვის გაგზავნიდან 20 დღის განმავლობაში. კოლეგიას გადაწყვეტილება გამოაქვს განხილვიდან 10 დღის ვადაში.[658]

---

[654] Organic Law on The Constitutional Court of Spain, N2/1979, Art. 49.

[655] იხ., იქვე.

[656] იხ., იქვე, მუხლი 50.

[657] იხ., იქვე, მუხლი 51.

[658] იხ., იქვე, მუხლი 52.

სარჩელის წარმოებაში მიღების პროცედურის თაობაზე გერმანიის საკონსტიტუციო პრაქტიკაც მსგავსია. კონსტიტუციური სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანება 1 თვის ვადაში.[659] კონსტიტუციური სარჩელი, არსებითად განსახილველად მიღების მიზნით წარედგინება კოლეგიას, თუმცა ესპანეთისგან განსხვავებით, კოლეგიის გადაწყვეტილება, სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ, არ საჩივრდება. მსგავსია უნგრეთის კანონმდებლობაც, რომლის შესაბამისადაც, სარჩელი წარედგინება გენერალურ სამდივნოს, რომელიც ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, 30 დღიანი ვადის წარმატებით ამოწურვის შემდეგ, საქმეს უგზავნის პალატას, რომელიც წყვეტს საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხს.[660] მოსარჩელის მიერ ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში სარჩელს დაუშვებლად ცნობს საკონსტიტუციო სასამართლოს ინდივიდუალური მოსამართლე, გენერალური სამდივნოს წინადადების საფუძველზე.[661]

მსგავსი პროცედურით ხასიათდება საქართველოს მეზობელი ქვეყნების გამოცდილებაც. თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელი წარედგინება სამართლებრივი საშუალებების ამოწურვიდან 30 დღის ვადაში. მოსარჩელე, რომელიც საპატიო მიზეზით ვერ მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნულ ვადაში, შეუძლია მიმართოს მას ხელშემშლელი საპატიო მიზეზის აღმოფხვრიდან 5 დღის განმავლობაში, სათანადო საპატიო მიზეზებზე მითითებით. საკონსტიტუციო სასამართლო პირველ რიგში ამგვარი კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხზე იმსჯელებს.[662] აზერბაიჯანში საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგენილი სარჩელები ეგზავნება პალატის კონკრეტულ განყოფილებას, რომელიც 30 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას სარჩელის წარმოებაში მიღების ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ. თუ საკონსტიტუციო სასამართლო სარჩელს წარმოებაში არ მიიღებს, კონსტიტუციური სარჩელი მოსარჩელეს 7 დღის ვადაში უბრუნდება უკან, მიღების შემთხვევაში კი 60 დღის ვადაში იწყება საქმის არსებითად განხილვა. [663]

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოებში სარჩელის წარმოებაში მიღების ვადების ხანგრძლივობა განისაზღვრება სამართლებრივი სტაბილურობისა და პირის კონსტიტუციური უფლებების ეფექტიანად დაცვის ინტერესით. სამართალწარმოების ვადების განსაზღვრამ ერთი მხრივ, კონსტიტუციური უფლებების სწრაფი და ეფექტიანი დაცვა უნდა განაპირობოს, ხოლო მეორე მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს საქმია-

---

[659] The Act on the Federal Constitutional Court, 1951, Art. 93.

[660] Act of Constitutional Court of Hungary, 2011, Art 55.

[661] იხ., იქვე.

[662] The Turkish Constitutional Court Act, 2011, Art. 47(5).

[663] The Law on the Constitutional Court of Azerbaijan, Art. 52.

ნობის ხარისხის შენარჩუნება. ევროპის ქვეყნებში დამკვიდრებული სარჩელის წარმოებაში მიღების პროცედურა არ არის რთული, ხოლო - ვადები არ არის ხანგრძლივი, რის გამოც, შეიძლება ითქვას, რომ ისინი უზრუნველყოფენ უფლების ეფექტიანად დაცვის შესაძლებლობას. თუმცა სარჩელთა სიმრავლის შემთხვევაში ასევე საყურადღებოა, საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ხარისხის შენარჩუნების ინტერესი. საკონსტიტუციო სასამართლოების წარმატებული სამართალწარმოება მიანიშნებს იმაზე, რომ ამგვარი ვადები, სამართალწარმოების სხვა მექანიზმებთან ერთად, ეფექტიანად უზრუნველყოფენ, ამ თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლოს დაცულობას.

საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს სარჩელის წარმოებაში მიღების პროცედურასა და ვადებს, რომლებიც ბუნებრივია, სრულ კონსტიტუციურ სარჩელს არ შეეხება, თუმცა ნორმატიულ საკონსტიტუციო კონტროლთან განსახილველი ინსტიტუტის მსგავსების გამო მნიშვნელოვანია, აღნიშნული პროცედურისა და ვადების განხილვა სამომავლოდ, სრული კონსტიტუციური სარჩელის მიმართ მისი გავრცელების შესაძლებლობის შეფასების მიზნით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგენილ კონსტიტუციურ სარჩელს, საქმის მასალების ფორმალური მხარის შემოწმების შემდეგ, რეგისტრაციაში ატარებს საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის უფლებამოსილი თანამშრომელი. აღნიშნულ დოკუმენტაციაში არაარსებითი, ფორმალური უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში კონსტიტუციური სარჩელი და კონსტიტუციური წარდგინება რეგისტრაციაში ტარდება საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის თანხმობით და მოსარჩელეს, წარდგინების ავტორს ან მათ წარმომადგენლებს ეძლევათ 15 დღე უზუსტობის გამოსასწორებლად. ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ საქმე გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო ეს უკანასკნელი 7 დღის ვადაში სარჩელს გადასცემს კოლეგიას, თუ საქმე კოლეგიის განსახილველია, ან პირდაპირ ნიშნავს მომხსენებელ მოსამართლეს, თუ საქმე პლენუმის განსახილველია. კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მომხსენებელი მოსამართლე განმწესრიგებელი სხდომისთვის ამზადებს განჩინების ან საოქმო ჩანაწერის პროექტს. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი/კოლეგია კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხს, წყვეტს განმწესრიგებელ სხდომაზე, როგორც წესი, ზეპირი მოსმენის გარეშე. თუმცა კანონმდებლობა ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის/პლენუმის მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხზე განმწესრიგებელი სხდომის ზეპირი მოსმენით ჩატარების შესაძლებლობას. კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო მოპასუხეს, საოქმო ჩანაწერის მიღებიდან 3 დღის ვადაში უგზავნის

საქმის არსებითად განსახილველად მიღების თაობაზე შეტყობინებას, საქმის მასალებს და იწყება საქმის არსებითი განხილვისთვის მომზადება.[664]

აღნიშნულის გათვალისწინებით, კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების პროცედურა ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას არ არის კომპლექსური და იზიარებს ევროპულ სახელმწიფოებში დამკვიდრებულ პრაქტიკას. თუმცა პრობლემურია სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანის დროითი ფარგლები. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის ვადას და მოქმედი საკანონმდებლო რეგულაცია საშუალებას იძლევა აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება სარჩელის განხილვისთვის დადგენილი ვადის ამოწურვის პერიოდამდე გაგრძელდეს.[665] ეს გარემოება განუჭვრეტადს ხდის საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესის მიმდინარეობას, ვინაიდან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურება მოსარჩელისთვის ბუნდოვანს ტოვებს უფლების დაცვის პერსპექტივას, რაც უარყოფითად აისახება საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ეფექტიანობაზე.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, საქართველოში სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების პროცედურა სრულად გავრცელდეს სრული კონსტიტუციური სარჩელის მიმართ, თუმცა პირის კონსტიტუციური უფლებების ეფექტიანად დაცვის მიზნიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სრული კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანის ვადის დადგენა მოხდეს და მისი მაქსიმალური ხანგრძლივობა კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 45 დღით განისაზღვროს.[666] აღნიშნული ვადის დადგენა უზრუნველყოფს ძირითადი უფლებების ეფექტიანად დაცვას, ხელს შეუწყობს საქმის ყოველმხრივ შესწავლას და საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვის თავიდან აცილებას.

---

[664] აბზაცში მოცემული ინფორმაცია სრულად ეფუძნება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 312 მუხლს.

[665] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელის განხილვის 9 თვიანი ვადის ათვლა მისი რეგისტრაციის მომენტიდან იწყება.

[666] აღსანიშნავია, რომ „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 1996-2006 წლების რედაქცია ითვალისწინებდა კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების პლენუმისათვის/კოლეგიისათვის გადაცემიდან 7 დღის ვადაში, მისი არსებითად განსახილველად მიღების თაობაზე საკითხის განმწესრიგებელ სხდომაზე განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვალდებულებას, იხ., „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის 1996-2006 წლების რედაქცია, 1996, [ძალადაკარგულია 21.07.17, N3265 ორგანული კანონით]

2.1.1.1.3.3. გადაწყვეტილების მიღების ვადა

სამართალწარმოების ვადებს ზოგადად, დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ ურთიერთობაში წესრიგის შეტანისთვის.[667] საკონსტიტუციო სამართალწარმოების შედეგი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვლინდება, რომლის ეფექტიანობა დიდწილად გონივრულ ვადაში მის მიღებას უკავშირდება. ძირითადი უფლების დარღვევის ფაქტზე ეფექტიან რეაგირებას ხშირად სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დროული გადაწყვეტილების მიღება განაპირობებს. ამიტომ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გონივრულ ვადაში მიღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბების თვალსაზრისითაც. ამდენად, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება უნდა განხორციელდეს დროულად, გაჭიანურების, „ისეთი დაყოვნების გარეშე, რომელიც ადამიანს დაუკარგავს მისადმი ნდობას".[668] აღნიშნულის გამო საკონსტიტუციო სამართალწარმოების ერთ-ერთი საკვანძო საკითხი სწორედ გადაწყვეტილების მიღების ვადაა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადისგან უნდა გავმიჯნოთ კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განხილვის ვადა. საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა ამ მხრივ არაერთგვაროვანია როგორც ზოგადად ვადების რეგლამენტაციის სავალდებულობის, ისე ვადების ხანგრძლივობისა და მათი კონკრეტული პროცედურის მიმართ დადგენის თვალსაზრისით. ვენეციის კომისია ზოგადად, გადაწყვეტილების მიღების ვადის რეგლამენტაციას ეროვნული სამართლებრივი სისტემის ნაწილად განიხილავს და ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებას ეროვნული საკანონმდებლო ორგანოების კომპეტენციას მიაკუთვნებს.[669] შესაბამისად, ის გარემოება, რომ სახელმწიფოთა ნაწილი საერთოდ არ განსაზღვრავს მაგალითად, გადაწყვეტილების მიღების ვადას, ამ საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ, არ აღიქმება როგორც ძირითადი უფლების ეფექტიანად დაცვისთვის საფრთხის შემცველი გარემოება.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების ვადების დადგენის თვალსაზრისით სახელმწიფოთა სამი ჯგუფი შეიძლება გამოიყოს. პირველი ჯგუფი თავს არიდებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადის

---

[667] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის N3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-16,17.

[668] შულაია ს., ევროპულ სახელმწიფოთა საკონსტიტუციო სასამართლოები - ეროვნულ დონეზე საქმის წარმოების ბოლო ინსტანცია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმის განხილვამდე, კრებულში „ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები", კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2009, 234.

[669] Study on Individual Access to Constitutional Justice, CDL-AD (2010) 039rev, N538/2009, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 27 January, 2011, 32.

დადგენას, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ერთგვარი გაგებითაა ნაკარნახევი. სახელმწიფოთა მეორე ჯგუფი, მართალია, არ განსაზღვრავს კონკრეტულ ვადას, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს ვადების მიმართ ზოგად დამოკიდებულებას აყალიბებს. მაგალითად, უნგრეთის კანონმდებლობაში მითითებულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის თაობაზე გადაწყვეტილებას გონივრულ ვადაში იღებს.[670] ხოლო, მესამე ჯგუფი, ახდენს გადაწყვეტილების მიღების ვადის რეგლამენტაციას.[671] აღსანიშნავია, რომ საქმის არსებითად განხილვის ვადის განსაზღვრის პრაქტიკა გადაწყვეტილების მიღების ვადის დადგენასთან შედარებით უფრო ხშირია, თუმცა მათზე, ვენეციის კომისიის შეფასებით, საერთო რეკომენდაციები ვრცელდება. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა იქ, სადაც ის დადგენილია, გონივრული ხანგრძლივობით უნდა განისაზღვრებოდეს. იგი არ უნდა იყოს ზედმეტად ხანმოკლე, იმისათვის რომ სასამართლომ შეძლოს საქმის სრულად შესწავლა და არ უნდა იყოს ზედმეტად ხანგრძლივი, რაც ხელს შეუშლის საკონსტიტუციო კონტროლის, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის საშუალების ეფექტიანობას.[672]

საკონსტიტუციო სასამართალწარმოების პროცესში საქართველოს კანონმდებლობა ერთმანეთისგან მიჯნავს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვის ვადას და გადაწყვეტილების მიღების (გამოტანის) ვადას. „კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების რეგისტრაციის მომენტიდან 9 თვეს.“[673] აღნიშნული ვადის გაგრძლების შესაძლებლობა არსებობს მხოლოდ 2 თვით და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.[674] რაც შეეხება, გადაწყვეტილების მიღებას, კანონმდებლობა ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას სათათბირო ოთახში გასული სასამართლოს შემადგენლობისთვის გადაწყვეტილების მიღებისა და გამოცხადების თვალსაზრისით არ ითვალისწინებს შეზღუდვას რაიმე ვადით.

---

[670] Act of Constitutional Court of Hungary, 2011, Art. 31(5).

[671] იხ., Study on Individual Access to Constitutional Justice, CDL-AD (2010) 039rev, N538/2009, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 27 January, 2011, 41.

[672] იხ., იქვე, 32.

[673] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლი, 1996.

[674] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონის 212 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში ითვალისწინებს საქმის განხილვის ვალდებულებას არაუგვიანეს 6 თვის ვადაში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადასთან მიმართებით აღსანიშნავია საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის გადაწყვეტილება, რომელიც შეეხებოდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის მე-4[1] პუნქტს.[675] აღნიშნული ნორმის შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელის განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის ვადა, სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედების შეჩერების შემთხვევაში, შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღით განისაზღვრებოდა, განსაკუთრებულ შემთხვევაში ამ ვადის 15 კალენდარული დღის ხანგრძლივობით გაგრძელების შესაძლებლობით.[676] სადავო ნორმის შეჩერების საკითხი ორგანული კანონის 25-ე მუხლით განისაზღვრებოდა და იგი ასევე უკავშირდებოდა ზემოაღნიშნულ ვადაში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიუღებლობის სამართლებრივ შედეგებს. კერძოდ, თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევდა, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეეძლო გამოეწვია ერთ-ერთი მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგები, მას შეეძლო, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეეჩერებინა სადავო აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება.[677] თუ საკონსტიტუციო სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილებას არ მიიღებდა ზემოაღნიშნულ ვადაში, სადავო აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილება ძალას კარგავდა შესაბამისი ვადის ამოწურვის მომდევნო დღიდან.[678] ამდენად, საქართველოს კანონმდებლობით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო აქტის მოქმედების შეჩერების შემთხვევაში განსაზღვრული იყო სარჩელის განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების (გამოტანის) ვადა და სამართლებრივი შედეგები, რომელიც მოსდევდა აღნიშნულ ვადაში გადაწყვეტილების მიუღებლობას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას, საქმეზე სწრაფი, დაყოვნების გარეშე, გონივრულ ვადებში გადაწყვეტილების მიღება, სასამართლო დაცვის ეფექტიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტად განიხილა. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, თუ საქმის განხილვის ვადა იქნებოდა არაგონივრულად ხანგრძლივი, უფლების დაცვა გაჭიანურდებოდა და დაკარგავდა ეფექტიანო-

---

[675] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ «ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)" და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[676] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის მე-41 პუნქტის 2014 წლამდელი რედაქცია, 1996.

[677] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის 2014 წლის რედაქცია, 1996.

[678] იხ., იქვე.

ბას.[679] „არაგონივრულად ხანმოკლე ვადის პირობებში კი მხარეებს ერთმეოდათ შესაძლებლობა, სასამართლოში წარმოედგინათ საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, სრულყოფილად გამოეკვლიათ საქმის გარემოებები და განეხორციელებინათ საჭირო საპროცესო მოქმედებები, რაც უარყოფითად აისახებოდა საქმის განხილვის ხარისხზე, საფრთხეს შეუქმნიდა იმ კონსტიტუციური უფლებების და თავისუფლებების დაცვას, რომელთა დასაცავად პირი მიმართავს სასამართლოს, გააჩენდა დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღებისა და ზოგადად, სამართლიანი სასამართლოს უფლების ხელყოფის საფრთხეს.“[680] ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ „სწრაფი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლების შეზღუდვის ხარჯზე“ გაუმართლებლად მიიჩნია და არაკონსტიტუციურად ცნო ორგანული კანონის 22-ე მუხლის მე-4[1] პუნქტი.[681]

აღსანიშნავია, რომ არაკონსტიტუციურად გამოცხადებული ნორმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადას, არა ზოგადად, არამედ მხოლოდ სადავო აქტის შეჩერების შემთხვევაში განსაზღვრავდა, რისი გათვალისწინებითაც საკონსტიტუციო სასამართლომ საკონსტიტუციო სამართალწარმოების ვადა მხოლოდ აღნიშნულ ინსტიტუტთან მიმართებით განიხილა. მიუხედავად ამისა, საყურადღებოა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადის რეგლამენტირებასთან დაკავშირებული მსჯელობა, რომელიც შეეხებოდა სამართლიანი სასამართლოს, გადაწყვეტილების დასაბუთების, საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციური დამოუკიდებლობისა და მათი დაუცველობიდან მომდინარე საფრთხეების ანალიზს. ამ საფრთხეების უგულებელყოფამ რისკის ქვეშ შეიძლება დააყენოს სასამართლოს ეფექტიანი დაცვის პრინციპი, არამხოლოდ ნორმის შეჩერებისას, არაგონივრული ვადების დადგენის, არამედ ზოგადად, გადაწყვეტილების მიღების ვადების რეგლამენტირების შემთხვევაშიც. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა შეეხებოდა არა ზოგადად ამგვარი ვადის დადგენის ლეგიტიმურობას, არამედ მისი გონივრული ხანგრძლივობით განსაზღვრის აუცილებლობას. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა საყურადღებო და მნიშვნელოვანია ზოგადად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადის დადგენასთან მიმართებითაც.

---

[679] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9, 10.

[680] იხ., იქვე.

[681] იხ., იქვე, II-13.

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების შემთხვევაში კიდევ უფრო აქტუალური ხდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სარჩელის არსებითად განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადასთან დაკავშირებული საკითხი. მიუხედავად ამ ტიპის სასარჩელო წარმოების შედეგად გადაწყვეტილების სწრაფად, გონივრულ ვადაში მიღების განსაკუთრებული მნიშნელობის გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ ვადის თვალსაზრისით არსებობდეს მხარეთა და სასამართლოს მიერ საქმის ყოველმხრივი შესწავლისა და შესაბამისი საპროცესო მოქმედებების სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობა, რაც აუცილებელი პირობაა, ძირითადი უფლებების სასამართლო დაცვის ეფექტიანობის და გადაწყვეტილების დასაბუთებულობის უზრუნველყოფისთვის.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, რომ სრული კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადებთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტა დაეფუძნოს ევროპაში დამკვიდრებულ საუკეთესო გამოცდილებას. ამ თვალსაზრისით, საზღვარგარეთის ქვეყნებში, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის შენარჩუნების ინტერესიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვის ვადა, როგორც წესი, არ არის რეგლამენტირებული. იგი სრულად სასამართლოს დისკრეციას მიკუთვნებული საკითხია. თუმცა აუცილებელია, რომ თავად საკონსტიტუციო სასამართლო მოქმედებდეს ადამიანის ძირითადი უფლებების ინტერესიდან გამომდინარე და არამხოლოდ დავის შინაარსობრივი განხილვით ცდილობდეს ფუნდამენტური უფლებების დაცვას, არამედ სწრაფი და ეფექტიანი სამართალწარმოებით ახდენდეს მოსარჩელის უფლებების გონივრულ ვადაში რეალიზების შესაძლებლობას. საკონსტიტუციო სამართალწარმოების გონივრულ ვადებში, გაუჭიანურებლად განხორციელება, უკვე ქმნის, ცალკე აღებული, ძირითადი უფლების - სასამართლოს ეფექტიანი დაცვის უზრუნველყოფის წინაპირობას, რისი დარღვევაც გამოიწვევს მოსარჩელის მხრიდან უფლების დაცვის საერთაშორისოსამართლებრივი საშუალებებისთვის მიმართვას.

რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების (გამოტანის) ვადის განსაზღვრას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკა ცალსახად პრობლემატურია: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოებაშია არაერთი საქმე, რომლებზეც არსებითი განხილვა 2015-2016 წლებში დასრულდა, თუმცა გადაწყვეტილების გამოტანა დღემდე ჭიანურდება.[682] კონკრეტული საქმის

[682] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოებაშია არაერთი საქმე, რომელთა არსებითი განხილვა კანონით დადგენილ ვადაში მოხდა, თუმცა სასამართლოს სათათბირო ოთახში გას-

კომპლექსურობის მიუხედავად, რომელიც შესაძლოა სათათბირო ოთახში მოსამართლეებს შორის განსხვავებულ პოზიციებს განაპირობებდეს და მსჯელობისთვის დამატებით დროს მოითხოვდეს, საკონსტიტუციო სამართალწარმოების ამგვარი დაყოვნება სცდება ყოველგვარი „გონივრული ვადების“ ცნების ფარგლებს და არღვევს მოსარჩელის უფლებას ეფექტიან სასამართლო დაცვაზე. ამგვარ „გაჭიანურებულ საქმეებზე“ მიღებული გადაწყვეტილების მიმართ შესაძლოა აღარც კი არსებობდეს მოსარჩელის სამართლებრივი ინტერესი. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების (გამოტანის) ვადის რეგლამენტირება და ამ ვადის ხანგრძლივობა საქმის არსებითად განხილვის დასრულებისა და სათათბირო ოთახში გასვლიდან არაუგვიანეს 3 თვით განისაზღვროს, განსაკუთრებულ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით ამ ვადის 1 თვით გაგრძელების შესაძლებლობით.

საკითხის ამგვარად მოწესრიგების აუცილებლობას სხვა სამართლებრივი გარემოებაც განაპირობებს: საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადის რეგლამენტირება არსებით გავლენას ახდენს პირის კონსტიტუციური უფლებების დაცვაზე არამხოლოდ ქვეყნის ეროვნული სამართლებრივი სისტემის დონეზე, არამედ იგი პირდაპირ უკავშირდება უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივ საშუალებებზე ხელმისაწვდომობის საკითხს. კერძოდ, იმ ქვეყნებში, სადაც საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება, საკონსტიტუციო სასამართლო განიხილება უფლების დაცვის ბოლო შიდასამართლებრივ ინსტანციად, რომლის გამოყენებაც სუბსიდიურობის პრინციპის გამო სავალდებულოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმართვამდე. შესაბამისად, ვიდრე საკონსტიტუციო სასამართლო არ გამოიტანს გადაწყვეტილებას, უფლების დაცვის ეს საერთაშორისო მექანიზმი მოსარჩელისთვის მიუწვდომელი რჩება. აღნიშნულის გამო მნიშვნელოვანია, რომ სრული კონსტიტუტიური სარჩელის თაობაზე საკონსტიტუციო სამართალწარმოება და გადაწყვეტილე-

---

ვლიდან რამდენიმე წელია გასული. აღნიშნულ საქმეებზე ფორმალური თვალსაზრისით არსებითი განხილვა ჩატარებულია კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, თუმცა იმის გამო, რომ სათათბირო ოთახში გასული სასამართლო არ არის შეზღუდული დროითი თვალსაზრისით, გონივრულ ვადებში სასარჩელო წარმოების შედეგი მიუღწეველი რჩება მოსარჩელისათვის. მაგ., იხ., 2015 წლის 30 ოქტომბრის კონსტიტუციური სარჩელი N678 „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; იხ., 2016 წლის 3 ივნისის N764 კონსტიტუციური სარჩელი „საქართველოს მოქალაქეები - ნუგზარ კაიშაური, დავით წიფურია, გიზო ღლონტი, გიორგი ლობჟანიძე, არჩილ ალავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და სხვა. [27.01.2021] ზოგიერთ საქმესთან მიმართებით კი საჭირო საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელებულია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ, იხ., ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების შესახებ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2019, 94.

ბის გამოცხადება გონივრულ ვადებში ხდებოდეს, რათა მოსარჩელისთვის უზრუნველყოფილ იქნეს უფლების ეფექტიანად დაცვის ეროვნული სისტემა, და ამავდროულად, მისთვის ხელმისაწვდომი გახდეს უფლების დაცვის ზემოაღნიშნული საერთაშორისოსამართლებრივი მექანიზმი.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვის მიმართ არ მოხდეს ახალი დროითი ფარგლების დადგენა და მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას სრული კონსტიტუციური სარჩელის განხილვა ზოგადად, კონსტიტუციური სარჩელის მიმართ არსებულ დროით ფარგლებში მოხდეს. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების (გამოტანის) ვადას, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას გადაწყვეტილების გონივრულ ვადაში მიღება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე უფლების ეფექტიანად დაცვის კრიტიკულად აუცილებელი წინაპირობაა, რის გამოც, მიზანშეწონილია, აღნიშნული ვადის ხანგრძლივობა განისაზღვროს კოლეგიის/პლენუმის მიერ საქმის არსებითად განხილვის დასრულებისა და სათათბირო ოთახში გასვლიდან არაუგვიანეს 3 თვით, განსაკუთრებულ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ, ამ ვადის 1 თვით გაგრძელების შესაძლებლობით.[683]

2.1.1.1.4. უფლების ბოროტად გამოყენება

სრული კონსტიტუციური სარჩელი, რომელიც მნიშვნელოვანი პროცესუალური ინსტრუმენტია ევროპის საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში, საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისგან პირის კონსტიტუციური უფლებების ეფექტიანად დაცვის შესაძლებლობას იძლევა.[684] მიუხედავად იმისა, რომ მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას, საკონსტიტუციო სასამართლო ვიწრო კომპეტენციური მანდატის ფარგლებში მოქმედებს და საერთო სასამართლოების გადაწყვეტი-

[683] უნდა აღინიშნოს, რომ აღწერილ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის ვადის რეგლამენტირებას და არა თავად ამ ვადის ხანგრძლივობას. მიმაჩნია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადა გონივრულია და უპასუხებს უფლების ეფექტიანად დაცვისა და საკონსტიტუციო სასამართლოს შეუფერხებელი საქმიანობის მიზნებს, თუმცა გადაწყვეტილების მიღების ვადის ხანგრძლივობის საკითხზე შესაძლებელია დამატებითი დისკუსია წარიმართოს. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოში საკასაციო საჩივარზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიიღება საკასაციო სასამართლოში საქმისა და საჩივრის შესვლიდან არა უგვიანეს 6 თვისა.

[684] Arnold R., Constitutional Courts of Central and European Countries as a Dynamic Source of Modern Legal Ideas, Tulane European and Civil Law Forum, Vol. 18, 2003, 109.

ლებებს მხოლოდ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის თვალსაზრისით ამოწმებს, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი ჭარბი მიმართვიანობა საკონსტიტუციო კონტროლის ეფექტიანად განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამ პირობებში პარადოქსია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სარჩელთა მხოლოდ მინიმალური რაოდენობა - საშუალოდ 2-3% მიიღება არსებითად განსახილველად,[685] რაც სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის, უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევების სიმრავლითაა გამოწვეული.

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, სრული კონსტიტუციური სარჩელი დასაშვებია თუ პირის კონსტიტუციური უფლებების დარღვევა გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით: ა) სასამართლოს გადაწყვეტილება ეყრდნობა ნორმატიულ დებულებას, რომელიც თავად ზღუდავს დაინტერესებული პირის კონსტიტუციურ უფლებას; ბ) სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება კონსტიტუციასთან შესაბამისი ნორმის არაკონსტიტუციური მნიშვნელობით განმარტებას; გ) სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოცემული ნორმა და მისი ინტერპრეტაცია კონსტიტუციასთან შესაბამისია, თუმცა დარღვეულია საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცედურა (მაგ., დარღვეულია სამართლიანი სასამართლოს უფლება).[686] თუ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი წარდგენილი სარჩელი მიზნად არ ისახავს საკონსტიტუციო მნიშვნელობის დარღვევების გამოსწორებას, რაც უფლების ბოროტად გამოყენებად მიიჩნევა.[687]

საზღვარგარეთის ქვეყნები ცდილობენ ეფექტიანი ღონისძიებები გაატარონ უფლების ბოროტად გამოყენების პრევენციისთვის, ვინაიდან იგი საფრთხეს უქმნის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობას და იწვევს ადამიანური და ფინანსური რესურსის გაუმართლებელ დანახარჯს. ამგვარი მცდელობის მაგალითად შეიძლება დასახელდეს 2007 წელს ესპანეთში განხორციელებული სამართლებრივი რეფორმა, რომელიც მნიშვნელოვანწილად „ამპაროს“ პროცედურას უკავშირდებოდა და მიზნად ისახავდა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი ინდივიდების მიმართვის უფლების შეზღუდვის რეგულირებას. აღნიშნული რეფორმის ფარგლებში შემოღებულ იქნა დამატებითი მოთხოვნა აპლიკანტის მიერ სარჩელის განსაკუთრებული კონსტიტუციური მნიშვნელობის დასაბუთების თაობაზე (სარჩელი უნდა უკავშირდებოდეს მნიშ-

---

[685] ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, 28.

[686] Rupp G. H., The Federal Constitutional Court and The Constitution of The Federal Republic of Germany, 1972, 361-362.

[687] მოცემულ შემთხვევებში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო დააკმაყოფილებს სარჩელს, პირველ შემთხვევაში შეცვლის გადაწყვეტილებას და ბათილად ცნობს ნორმატიულ დებულებას, მე-2 და მე-3 შემთხვევებში კი შეცვლის სასამართლოს გადაწყვეტილებას ახალი გადაწყვეტილების მიღებით, იხ., იქვე.

ვნელოვან კონსტიტუციურ საკითხს, კონსტიტუციის ინტერპრეტაციას, გამოყენებას, მისი შინაარსის გავლენას ძირითად უფლებებზე).[688] ამ ცვლილებების დამსახურებით დღეს სასამართლოში შეტანილი სარჩელების დიდი უმრავლესობა დაუშვებლად ცხადდება, სავარაუდო დარღვევის კონსტიტუციური ხასიათის არარსებობის გამო.[689] აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით ეს მიდგომა განმტკიცდა ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაშიც.[690]

სახელმწიფოთა ნაწილი კიდევ უფრო მკაცრ ღონისძიებებს ატარებს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, რაც ძირითადად ფინანსური სანქციების დაწესებაში გამოიხატება. აღნიშნულის თაობაზე შესაბამის ქვეთავში უკვე იყო მსჯელობა, რის გამოც, აქ მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის ღონისძიებების ეფექტიანობის ხარისხი სრულად ვერ უზრუნველყოფს უფლების ბოროტად გამოყენების პრევენციას. აღნიშნულის მიზეზი არის არა ზოგადად, ამ ტიპის რეგულაციის არაეფექტიანობა ან დაწესებული ფინანსური სანქციის ოდენობა, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვიანობის მაღალი ხარისხი უმეტესად უკავშირდება „მოსარჩელის სურვილს, გამოიყენოს მაქსიმალურად ყველა სამართლებრივი მექანიზმი, უფლების დაცვის ყველა საშუალების ამოწურვის თვალსაზრისით და მიმართოს ყველა შესაძლო კომპეტენტურ დაწესებულებას.“[691]

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თუ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი წარდგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ, საკითხი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი, დარღვეულია საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ვადა და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური სარჩელი არ მიიღება არსებითად განსახილველად და წყდება აღნიშნულ საქმეზე საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესი.[692] ამასთან, საქართველოს კანონმდებლობა საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში არ იცნობს უფლების ბოროტად გამოყენების ცნებას და შესაბამისად, არც რაიმე სანქციას ითვალისწინებს ამ შემთხვევაში. აღნიშნულის გათვალისწინებით სირთულეს უკავშირდება უფლების ბოროტად გამოყენების ცნების შემოღება

---

[688] Gentili G., A Comparison of European Systems of Direct Access to Constitutional Judges: Exploring Advantages for The Italian Constitutional Court, Italian Journal of Public Law, Vol. 4, 2012, 172.

[689] Comella V. F., The Spanish Constitutional Court: Time for Reforms, Journal of Comparative Law, N3(2), 2008, 23.

[690] ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის N155 გადაწყვეტილება.

[691] ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 76-77.

[692] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 313-ე მუხლის პირველი პუნქტი, 1996.

და შესაბამისი ფინანსური ან სხვა სახის პასუხისმგებლობის დადგენა მხოლოდ სრული კონსტიტუციური სარჩელისთვის, იმ პირობებში, როცა საქართველოს კანონმდებლობა არ ადგენს უფლების ბოროტად გამოყენების ცნებას და არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას, თუნდაც ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში წარმოდგენილი დაუსაბუთებელი სარჩელებისთვის. უფლების ბოროტად გამოყენების ცნების შემოღება საკონსტიტუციო სასამართლოში ყველა სასარჩელი წარმოების მიმართ კი სცდება სადოქტორო კვლევის ფარგლებს.

აღნიშნულის მიუხედავად, მნიშვნელოვანია შეფასდეს უფლების ბოროტად გამოყენების ცნების დადგენის კრიტიკული აუცილებლობა მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას. უფლების ბოროტად გამოყენებისთვის შესაბამისი პასუხისმგებლობის განსაზღვრა, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტიანობის შენარჩუნების საშუალება, არ უნდა იქნეს განხილული განცალკევებულად, არამედ სისტემურ კავშირში უნდა შეფასდეს იმ მექანიზმებთან მიმართებით, რომლებიც ასევე ემსახურებიან საკონსტიტუციო სასამართლოში მხოლოდ დასაბუთებული სარჩელების წარდგენას. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია განხილული საკითხები, რომლებიც უკავშირდება სარჩელის არსებითად განსახილველად მიმღები სტრუქტურული ერთეულის, როგორც სარჩელთა ეფექტიანი ფილტრაციის მექანიზმის ჩამოყალიბებას, საკონსტიტუციო სამართალწარმოების ვადებს, სასარჩელო წარმოების ფარგლებს და საკონსტიტუციო სამართალწარმოების სხვა წინაპირობებს, რომლებიც მთლიანობაში უფლების ბოროტად გამოყენების ცნების ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში ინტეგრაციის გარეშეც ქმნიან საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვის პრევენციის წინაპირობას.

და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ სრული კონსტიტუციური სარჩელის საქართველოს საკონსტიტუციო კონტროლის სისტემაში ინტეგრაცია გამოიწვევს სარჩელთა რაოდენობის გაზრდას, გასათვალისწინებელია მოსარჩელეთა ფინანსური მდგომარეობა და სრული კონსტიტუციური სარჩელის თაობაზე სასარჩელო წარმოების განვითარების ინტერესი. აღნიშნულის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, რომ ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას დაუსაბუთებელ სარჩელებზე დღეს მოქმედი სამართლებრივი რეაგირების მექანიზმი გავრცელდეს სრული კონსტიტუციური სარჩელის მიმართაც და უფლების ბოროტად გამოყენებაზე რეპრესიული სისტემის ჩამოყალიბების ნაცვლად წახალისდეს ამ ტიპის საკონსტიტუციო სამართალწარმოება, რაც მეტ ნდობას და პოზიტიურ დამოკიდებულებას ჩამოაყალიბებს საზოგადოების მხრიდან საკონსტიტუციო სასამართლოს და ზოგადად, უფლების დაცვის ეროვნული სისტემის მიმართ. დაუსაბუთებელი სარჩელების პრევენციის მიზ-

ნით უმჯობესია კანონმდებლობით განისაზღვროს სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების წინაპირობები, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ჩამოყალიბდეს სარჩელის დასაბუთებულობის მკაფიო კრიტერიუმები და ისინი ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებისთვის, რაც ხელს შეუწყობს საკონსტიტუციო სამართალწარმოების განვითარებას და საკონსტიტუციო სასამართლოში რეალურ სამართლებრივ მოთხოვნაზე დაფუძნებული სარჩელების წარდგენას, რაც საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის, როგორც ძირითადი უფლებების დაცვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებას.[693]

2.1.1.2. სარჩელის წარმოებაში მიმღები სტრუქტურული ერთეული

მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვიანობის რაოდენობის ზრდა გავლენას ახდენს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობაზე. სრული კონსტიტუციური კონტროლის მექანიზმი „სასარგებლოა სახელმწიფოსა და საზოგადოების ტრანსფორმაციის პროცესში, პიროვნების პროგრესული ემანსიპაციისთვის,“[694] თუმცა სარჩელთა ეფექტიანი ფილტრაციის გარეშე, რისკის ქვეშ დგება საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობა, რის გამოც, სახელმწიფოებში, სადაც აღნიშნული ინსტიტუტი დაინერგა, სარჩელთა არსებითად განსახილველად მიღების საკითხის საკანონმდებლო რეგულირება მოხდა. ამგვარი რეგლამენტაცია გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვის თავიდან აცილების მიზნით, სარჩელთა ძლიერი ფილტრის ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფს განსახილველ საქმეთა დახარისხებას და მხოლოდ დასაბუთებული სარჩელების წარმოებაში მიღებას არსებითად განხილვის მიზნით. კონსტიტუციური სარჩელის ამგვარი წინასწარი კონტროლის მექანიზმი ჩამოყალიბებულია ევროპის ქვეყნებში - გერმანიაში, ჩეხეთში, ესპანეთსა და უნგრეთში.[695]

საკონსტიტუციო სასამართლოში დაუსაბუთებელი სარჩელების წარმოებაში მიღების თავიდან აცილების მიზნით სახელმწიფოები მიმართავენ საკონსტიტუციო სასამართლოს შედარებით მცირე ერთეულებად სტრუქტურირების პრაქტიკას.[696] ვენეციის კომისიის რეკომენდაციის შესაბამისადაც, კონსტიტუ-

---

[693] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N2/6/623 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15.

[694] Arnold R., Constitutional Courts of Central and European Countries as a Dynamic Source of Modern Legal Ideas, Tulane European and Civil Law Forum, Vol 18, 2003, 110.

[695] Study on Individual Access to Constitutional Justice, CDL-AD (2010) 039rev, N538/2009, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 27 January, 2011, 58.

[696] Steinberger H., Models of Constitutional Jurisdiction, CDL-STD (1993)002, 28.

ციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების თაობაზე სამსჯელოდ მიზანშეწონილია საკონსტიტუციო სასამართლოში უფრო მცირე რაოდენობის მოსამართლეთაგან დაკომპლექტებული კოლეგიების ჩამოყალიბება, რომლებიც განიხილავენ ერთგვაროვან, სტანდარტულ სარჩელებს, ხოლო შედარებით დიდი სტრუქტურული ერთეულები - პალატები საქმის განხილვაში ერთვებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უფრო მნიშვნელოვანი კონსტიტუციური საკითხი დადგება დღის წესრიგში.[697] ამგვარი მიდგომა აუცილებელია საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვის პრევენციისა და მისი საქმიანობის ეფექტიანობის შენარჩუნების მიზნით.[698]

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია გერმანია, სადაც ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის დასაშვებად ცნობას უზრუნველყოფს სპეციალური პალატა (“Kammer“) , რომელიც სარჩელის დასაშვებად ცნობის თაობაზე გადაწყვეტილებას ზეპირი მოსმენის გარეშე იღებს. იგი შედგება სამი მოსამართლისგან, რომელიც წყვეტს არსებობს თუ არა საფუძვლები სარჩელის წარმოებაში მიღებისთვის.[699] სარჩელი წარმოებაში არ მიიღება თუ სამივე მოსამართლეს მიაჩნია, რომ სარჩელი დაუშვებელია ან უპერსპექტივოა სხვა მიზეზის გამო.[700] თუ სამიდან ერთ-ერთი მოსამართლე მაინც ფიქრობს რომ სარჩელი დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული, იგი ეგზავნება სენატს.[701] თუ სენატი მიიჩნევს რომ, სარჩელი წამოწევს საკონსტიტუციო საკითხებს, რომლებიც საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში უნდა გადაწყდეს ან სარჩელის მიუღებლობით მოსარჩელეს შესაძლებლელია მიადგეს გამოუსწორებელი ზიანი, სარჩელი დასაშვებად იქნება მიჩნეული.[702] წინააღმდეგ შემთხვევაში საკონსტი-

---

[697] Study on Individual Access to Constitutional Justice, CDL-AD (2010) 039rev, N538/2009, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 27 January, 2011, 59.

[698] Opinion on the draft constitutional amendments with regard to the Constitutional Court of Turkey. CDL-AD (2004)024, Opinion N296/2004, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 29 June, 2004, იხ., The Limits of Constitutional Review of The Ordinary Court’s Decisions in Constitutional Complaint Proceedings, Report Limits of Fact, Law and Remedies: Myths and Realities of Constitutional Court of Spain Experience, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission in Co-operation With The Constitutional Court of the Czech Republic, CDL-JU(2005)068, CCS 2005/11, Strasbourg, 20 December, 2005, 4.

[699] Fernandes de Andrade G., Comparative Constitutional Law: Judicial Review, Journal of Constitutional Law, 2001, 982. იხ., Gentili G., A Comparison of European Systems of Direct Access to Constitutional Judges: Exploring Advantages for The Italian Constitutional Court, Italian Journal of Public Law, Vol. 4, 2012, 168.

[700] Kommers D. P., Miller R. A., Das Bundesverfassungsgericht: Procedure, Practice and Policy of the German Federal Constitutional Court, Journal of Comparative Law, N3(2), 2008, 198.

[701] Palguna G. D., Constitutional Complaint and The Protection of Citizens The Constitutional Rights, Constitutional Review, 2017, 13.

[702] Kommers D. P., Miller R. A., Das Bundesverfassungsgericht: Procedure, Practice and Policy of the German Federal Constitutional Court, Journal of Comparative Law, N3(2), 2008, 198.

ტუციო სასამართლოს უარი, სარჩელის წარმოებაში მიღებაზე არ საჩივრდება და არ საჭიროებს დასაბუთებას.[703]

აღსანიშნავია, რომ გერმანიაში მოქმედი წესის შესაბამისად, სარჩელები, რომლებიც ერთი შეხედვით ვერ აკმაყოფილებენ არსებითად განსახილველად მიღების წინაპირობებს რეგისტრირდებიან საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგად რეესტრში და არა საქმისწარმოების რეესტრში, რის თაობაზეც ეცნობება მოსარჩელეს და განემარტება სარჩელის გამოთხოვის შესაძლებლობის თაობაზე, თუ იგი დაჟინებით მოითხოვს სასამართლოს გადაწყვეტილებას, საქმე, დასაშვებად ცნობის მიზნით გადაეცემა სამი მოსამართლისგან შექმნილ კოლეგიას და შეიტანება საქმისწარმოების რეესტრში, სხვა შემთხვევაში კი საქმე ზოგად რეესტრში რჩება და აღარ განიხილება.[704]

ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლო 12 მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს კანონებისა და სხვადასხვა საკანონმდებლო აქტების კონსტიტუციურობას, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის საკითხებს.[705] საკონსტიტუციო სასამართლო შედგება პლენუმის (12 მოსამართლე), პალატების (6-6 მოსამართლე) და კოლეგიებისგან (3-3 მოსამართლე)[706] კონსტიტუციური სარჩელი, დასაშვებად ცნობის თაობაზე, წარედგინება კოლეგიას, რომელიც ფარული კენჭისყრით იღებს გადაწყვეტილებას სარჩელის დასაშვებად ცნობის თაობაზე,[707] თუ კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების თაობაზე კოლეგიის გადაწყვეტილება არაერთსულოვანია, საკითხი განსახილველად გადაეცემა პალატას.[708] სარჩელის დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში ეცნობება მოსარჩელეს და სახალხო პროკურორის ოფისს, რომლის გასაჩივრების უფლება მხოლოდ ამ უკანასკნელს სამი დღის განმავლობაში აქვს.[709] თუ კონსტიტუციური სარჩელი წარდგენილია ფორმალური წინაპირობების დარღვევით და მოსარჩელე 10 დღის ვადაში არ აღმოფხვრის ხარვეზს, კოლეგია უარს ამბობს სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე.[710]

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მაღალი მიმართვიანობა გავლენას ახდენს არამხოლოდ ეროვნულ დონეზე არსებულ საკონსტი-

---

[703] The Act on the Federal Constitutional Court of Germany, 1951, Art. 93.

[704] Study on Individual Access to Constitutional Justice, CDL-AD (2010) 039rev, N538/2009, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 27 January, 2011, 59.

[705] Organic Law on The Constitutional Court of Spain, N2/1979, Art. 6.

[706] იხ., იქვე.

[707] Organic Law on The Constitutional Court of Spain, N2/1979, Art. 50.

[708] იხ., იქვე.

[709] იხ., იქვე.

[710] იხ., იქვე.

ტუციო სასამართლოებზე, არამედ ევროპულ სასამართლო ინსტიტუციებზეც. ევროსაბჭო და სტრასბურგის სასამართლო, რომლებიც წევრ სახელმწიფოებს მუდმივად აძლევდნენ ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში სრული კონსტიტუციური სარჩელის ინტეგრაციის რეკომენდაციას, სარჩელთა მზარდი ნაკადის გამო თავად გახდნენ იძულებულნი ევროპული სასამართლოს სტრუქტურული ცვლილებები განეხორციელებინათ.[711] აღნიშნული პრობლემის თავიდან აცილების მიზნით შემუშავდა მე-14 დამატებითი ოქმი, რომლის შესაბამისადაც, სარჩელის არსებითად განსახილველად მიმღები 3 მოსამართლის შემადგენლობა შემცირდა 1 მოსამართლემდე, რაც ეფექტიანი აღმოჩნდა და ამ ცვლილების გამო ევროპულ სასამართლოში მიმდინარე საქმეთა რაოდენობა სამი წლის განმავლობაში 160 000-დან 70 000-მდე შემცირდა.[712] ასევე აღსანიშნავია მე-15 ოქმი, რომელიც სუბსიდიურობის პრინციპს შეეხება, და რომელმაც ევროსასამართლოსადმი მიმართვის ვადა ეროვნულ დონეზე ბოლო სამართლებრივი საშუალების მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 6-დან 4 თვემდე შეამცირა.[713]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხი, როგორც წესი, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილება. თუ სარჩელთან დაკავშირებით დასაზუსტებელია ცალკეული საკითხი, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია ჩანიშნოს ზეპირი მოსმენა. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია საქმე ზეპირი მოსმენით განიხილოს, თუ საქმის არსებითად განსახილველად მიღებასთან დაკავშირებული გარემოებების გამორკვევა სხვაგვარად შეუძლებელია. კონსტიტუციური სარჩელი რეგისტრაციის მიზნით წარედგინება საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილ თანამშრომელს, რომელიც სარჩელს გადასცემს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო ეს უკანასკნელი 7 დღის ვადაში სარჩელს გადასცემს კოლეგიას, თუ საქმე კოლეგიის განსახილველია, ან პირდაპირ ნიშნავს მომხსენებელ მოსამართლეს, თუ საკითხი პლენუმის განსახილველია. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი/კოლეგია კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხს წყვეტს ზეპირი მოსმენის გარეშე. აღსანიშნავია, რომ საქმის არსებითად მიღების თაობაზე ინიშნება მომხსენებელი მოსამართლე, რომელიც არკვევს, ხომ არ არსებობს სარჩე-

---

[711] Dürr, S. R., Improving Human Rights Protection on the National and The European Levels - Individual Access to Constitutional Courts, Studii Si Anticole, 2015, 37.

[712] აღსანიშნავია, რომ მე-14 ოქმი დიდი ხნის გამო ვერ იძენდა იურიდიულ ძალას რუსეთის მიერ მისი რატიფიკაციაზე უარის თქმის გამო, საბოლოოდ იგი ერთადერთი სახელმწიფოა, რომელთან მიმართებითაც სარჩელთა არსებითად განსახილველად მიღების საკითხს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კვლავ სამი მოსამართლის შემადგენლობით იღებს, იხ., Dürr, S. R., Improving Human Rights Protection on the National and The European Levels - Individual Access to Constitutional Courts, Studii Si Anticole, 2015, 37.

[713] იხ., იქვე.

ლის ან მასში მითითებული რომელიმე საკითხის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველი და შესაბამისი აქტის პროექტს წარუდგენს კოლეგიას/პლენუმს.[714]

ევროპული და ქართული საკონსტიტუციო გამოცდილების ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მოდელური მრავალფეროვნების მიუხედავად სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების თაობაზე გადაწყვეტილება ყველაზე ხშირად საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიებს აქვთ მინიჭებული. აღნიშნულის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, რომ მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის სისტემის დანერგვა საქართველოში ევროპულ გამოცდილებას დაეფუძნოს და საკონტიტუციო სასამართლოში სარჩელის დასაშვებად ცნობის თაობაზე მოქნილი სისტემა შემუშავდეს. ასეთად კი სარჩელთა არსებითად განსახილველად მიღების თაობაზე ესპანეთსა და უნგრეთში არსებული სისტემა შეიძლება იქნეს მიჩნეული, სადაც სარჩელის წარმოებაში მიღების თაობაზე გადაწყვეტილებას კოლეგია იღებს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის, როგორც ახალი უფლებამოსილების მინიჭებამ და სარჩელთა რაოდენობის ზრდამ უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაზე და სრული კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღება არსებული ნორმატიული სინამდვილისგან რადიკალურად განსხვავებული სისტემით არ მოხდეს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, გაზიარებულ იქნეს უნგრეთის საკონსტიტუციო გამოცდილება,[715] საქართველოს კანონმდებლობა და სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტა სრულ კონსტიტუციურ სარჩელთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიას გააჩნდეს, გამონაკლის შემთხვევაში კი პლენუმსაც. კერძოდ, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია მიიჩნევს, რომ მისი პოზიცია, რომელიც გამომდინარეობს განსახილველი საქმიდან, განსხვავდება სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებაში (გადაწყვეტილებებში) გამოხატული სამართლებრივი პოზიციისაგან, ან თუ განსახილველი საქმე თავისი შინაარსით წარმოშობს საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათ ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ

[714] აბზაცში მოცემული ინფორმაცია სრულად ეფუძნება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 271, 312 და 313 მუხლებს.

[715] უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც შედგება 15 მოსამართლისგან, დაყოფილია სამ კოლეგიად, რომლებიც განიხილავენ, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხებს, იხ., The Constitutional Court's Rules and Procedures, 2017, Art. 5.

პრობლემას, საქმე განსახილველად გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს. ამდენად, სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანის უფლება ექნება კოლეგიას, ხოლო კანონით დადგენილ შემთხვევაში - ასევე პლენუმს.

2.1.2. ძირითადი უფლების დაცვის დროებითი ღონისძიებები

საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც უფლების დაცვის ეფექტიანი საშუალების უზრუნველყოფისთვის, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საკონსტიტუციო სასამართლოს აღჭურვას შესაბამისი პროცესუალური უფლებამოსილებებით. კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენა პირის კონსტიტუციური უფლების გამოხატულება და ამავე დროს, ამ უფლების დაცვის წინაპირობა, თუმცა შესაძლოა სასარჩელო წარმოების განხორციელების პროცესმა, თუნდაც იგი დროულად და გაჭიანურების გარეშე წარიმართოს, ადამიანის ძირითადი უფლებების იმგვარი დარღვევა გამოიწვიოს, რომლის გამოსწორებისა და კომპენსირების შესაძლებლობა აღარ არსებობდეს. აღნიშნული საფრთხის გათვალისწინებით, აუცილებელია, საკონსტიტუციო სასამართლოს ჰქონდეს ძირითადი უფლების დაცვის დროებითი ღონისძიებების გამოყენების უფლებამოსილება, რომელიც საკონსტიტუციო სამართალწარმოების განხორციელების პერიოდში უზრუნვეყლოფს მოსარჩელის უფლებების დარღევევისგან დაცვას.

საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოები აქტიურად იყენებენ საჯარო ხელისუფლების მიერ გამოცემული აქტის, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებების პოტენციური დარღვევის საშუალების მოქმედების დროებითი შეჩერების უფლებამოსილებას. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია დროებითი ღონისძიების სახით, განკარგულებით, წინასწარ, საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე მოაწესრიგოს საკითხი, თუ აღნიშნული აუცილებელია პირისათვის ზიანის თავიდან აცილების ან სხვა მნიშვნელოვანი მიზეზით, რომელიც საერთო ინტერესებიდან გამომდინარეობს.[716] ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს დროებითი ღონისძიება იმისთვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება აღსრულების შეჩერების თაობაზე.[717] აღსანიშნავია, რომ დასახელებული მაგალითების შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოსათვის კონსტიტუ-

[716] Act of the Federal Constitutional Caurt, 1951, Art. 93;

[717] Organic Law on The Constitutional Court of Spain, N2/1979, Art. 56.

ციური სარჩელის წარდგენა სადავო აქტის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთებას მოითხოვს და სარჩელის წარდგენა ავტომატურად არ იწვევს გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერებას,[718] რაც სამართლებრივი სტაბილურობის ინტერესიდან გამომდინარეობს.

ვენეციის კომისია მხარს უჭერს სადავო აქტების მოქმედების შეჩერების უფლებამოსილების საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მინიჭების საკითხს, იმ შემთხვევაში, როცა სამართლებრივი აქტის აღსრულებამ შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს პირის კონსტიტუციურ უფლებებს.[719] ამასთან, ვენეციის კომისიას მიაჩნია, რომ შეჩერების მექანიზმი არ უნდა იყოს ზედმეტად ხისტი[720] და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის შედეგები, რომელსაც აქტის შეჩერება გამოიწვევს, მათ შორის, გასათვალისწინებელია სხვა პირთათვის შესაძლო ზიანის მიყენების რისკი.[721] იგივე მიდგომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას.

საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო პრაქტიკა სადავო აქტის შეჩერების პროცესუალური ინსტრუმენტის გარდა, ითვალისწინებს საერთო სასამართლოებში მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის შეჩერების შესაძლებლობას. აღნიშნული პროცედურა ძირითადად შეეხება საერთო სასამართლოების მიერ იმ ნორმატიული და ინდივიდუალური აქტების გამოყენების შემთხვევას, რომელთა კონსტიტუციურობასაც საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს. ზოგიერთ ქვეყანაში საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს მითითებაც კი მისცეს, ინდივიდის უფლებების დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, განახორციელონ შესაბამისი ქმედებები.[722]

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონი ითვალისწინებს სადავო აქტის შეჩერების შესაძლებლობას. კერძოდ, „თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია ერთ-ერთი მხარისთვის გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, შეუძლია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ან უფრო ნაკლები

---

[718] იხ., იქვე.

[719] Opinion on the draft constitutional amendments with regard to the Constitutional Court of Turkey. CDL-AD (2004)024, Opinion N296/2004, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 29 June, 2004, 9.

[720] Comments on The Draft Law on The Constitutional Court of The Republic of Serbia, Endorsed by the Commission at It's 72th plenary session, CDL-AD (2007)039, Opinion N445/2007, Strasbourg, 7 November 2007, 5-6.

[721] Study on Individual Access to Constitutional Justice, CDL-AD (2010) 039rev, N538/2009, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 27 January, 2011, 39.

[722] იხ., იქვე, 40.

ვადით შეაჩეროს სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედება."[723] აღსანიშნავია, რომ ქართულ საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ეს მექანიზმი საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, არამხოლოდ შეაჩეროს სადავო აქტი, არამედ მიიღოს ამ დროებითი ღონისძიების სრული ან ნაწილობრივი გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება, შეცვლილი გარემოებების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ სადავო აქტის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას, 2016 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი იღებს,[724] რაც აღნიშნული პროცესუალური საშუალების გამოყენებას მოქნილობას უკარგავს და სარჩელთა სიმრავლის შემთხვევაში საკონსტიტუციო სამართალწარმოების გადატვირთვის და უფლების ეფექტიანად დაცვისათვის რისკს ზრდის.

სრული კონსტიტუციური სარჩელის ქართულ კანონმდებლობაში დანერგვის პირობებში, მიზანშეწონილია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიენიჭოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილების შეჩერების, ასევე ამ გადაწყვეტილების საფუძველზე მიმდინარე აღსრულების პროცესის შეჩერების შესაძლებლობა. აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელება შესაძლებელი უნდა იყოს იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლოში პროცესის მიმდინარეობისას შესაძლოა დაირღვეს პირის კონსტიტუციური უფლებები. ამასთან, უფლების დაცვის აღნიშნული ღონისძიების თაობაზე გადაწყვეტილება სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილება უნდა იყოს და მისი რეალიზაცია კონკრეტული საქმის ინდივიდუალურ შეფასებას ეფუძნებოდეს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია საკითხი, თუ ვინ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება უფლების დაცვის დროებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე. საკვლევი ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით მიზანშეწონილია, დროებითი ღონისძიების სახით, სადავო აქტის მოქმედების შეჩერების უფლება მიენიჭოს იმავე სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც განიხილავს სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხს. აღნიშნული ხელს შეუწყობს სწრაფი და ეფექტიანი სამართალწარმოების განხორციელებას და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას.

---

[723] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი, 1996.

[724] აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები ფართო დისკუსიისა და ცხარე კამათის ფონზე წარიმართა და გამოყენებულ იქნა პრეზიდენტის ვეტოს უფლებაც. იხ., საქართველოს 2016 წლის 3 ივნისის N5161-რს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"; იხ., საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", 2016 წლის 26 მაისი, N7256.

2.1.3. სარჩელის განხილვა და მტკიცების ტვირთი

ერთ-ერთი საკვანძო საკითხი, რომელიც საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტს უკავშირდება სრული კონსტიტუციური სარჩელის არსებითი განხილვის პროცესია. საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვის პრევენციისა და მისი საქმიანობის ეფექტიანობის შენარჩუნების ინტერესიდან გამომდინარე, სრული კონსტიტუციური სარჩელის არსებითი განხილვა, როგორც წესი, ზეპირი მოსმენის გარეშე ხორციელდება. მაგალითად, გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში, ზოგადად, კონსტიტუციური სარჩელის განხილვა, როგორც წესი, ზეპირი მოსმენის გარეშე ხდება. შესაბამისად, საკონსტიტუციო სამართლაწარმოების პროცესში არ ერთვებიან მოსარჩელე და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, როგორც მოპასუხეები. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მხრიდან შესაბამისი პოზიციის წარმოდგენა მოითხოვოს, თუმცა ამ გარემოების გამო ისინი მხარედ არ მიიჩნევიან, სამართალწარმოების პროცესში მხოლოდ საკუთარ პოზიციას აფიქსირებენ და მოკლებული არიან ისეთ საპროცესო უფლებამოსილებებს, როგორიცაა პაექრობაში მონაწილეობა, მოსარჩელისთვის კითხვის დასმა და ა.შ. საკონსტიტუციო სამართალწარმოების ეს თავისებურება განაპირობებს პროცესის ეკონომიურობას და გონივრულ ვადებში გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. რაც შეეხება საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა კონსტიტუციურობის შეფასებას, აქ პირდაპირ გამოირიცხება საერთო სასამართლოების ჩართულობა სამართალწარმოების პროცესში, ვინაიდან ამ ტიპის მონაწილეობა შესაძლოა წინააღმდეგობაში იყოს საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობის პრინციპთან.[725]

ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის არსებითი განხილვის პროცედურა არც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკისთვისაა უცხო და მსგავსი საკონსტიტუციო სამართალწარმოება საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების განხილვის დროს ხორციელდება. კერძოდ, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 42-ე მუხლის შესაბამისად, საერთო სასამართლოების წარდგინებას საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს წარდგინების ავტორისა და იმ ორგანოს დაუსწრებლად, რომლის აქტიც გახდა დავის საგანი. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობაც ითვალისწინებს მსგავს მიდგომას, როდესაც

[725] იხ., <https://www.bundesverfassungsgericht.de/EN/Verfahren/Wichtige-Verfahrensarten/Verfassungsbeschwerde/verfassungsbeschwerde_node.html;jsessionid=AC674F59F72DEC2606343E72DD9E4449.2_cid377> [09.06.2022]

საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოების პროცესი საერთო სასამართლოების მიმართვის საფუძველზე ხორციელდება.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, სრული კონსტიტუციური სარჩელის განხილვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ზეპირი მოსმენის გარეშე წარიმართებოდეს. აღნიშნული განაპირობებს პროცესის ეკონომიურობას, საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესის გონივრულ ვადებში წარმართვას, რაც გაზრდის ძირითადი უფლების ამ საშუალების ეფექტიანობას, უზრუნველყოფს საერთო სასამართლოების ინსტიტუციური რეპუტაციის დაცვას და საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში მათ შესაძლო ჩართულობასთან დაკავშირებული სირთულეების პრევენციას. გარდა ამისა, დადგენილი პრაქტიკით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, უფლებამოსილია საკითხის კონსტიტუციურობა შეაფასოს კონსტიტუციურ წარდგინებაში მითითებულისგან განსხვავებულ ნორმასთან მიმართებით,[726] საკონსტიტუციო სასამართლოს ამგვარი მიდგომა სრული კონსტიტუციური სარჩელის განხილვის შემთხვევაში, ხელს უწყობს საკონსტიტუციო სასამართლოში მოსარჩელეზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის შემსუბუქებას, უფლების დაცვაზე ორიენტირებული სამართალწარმოების პროცესის წარმართვას და კონსტიტუციური კანონიერების უზრუნველყოფას.[727]

2.1.4. სარჩელის განხილვის შეწყვეტა

2.1.4.1. სარჩელის განხილვის შეწყვეტის საფუძვლები

საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო პრაქტიკაში საკონსტიტუციო სამართალწარმოების შეწყვეტის სხვადასხვა საფუძველი განისაზღვრება. მათი იურიდიული ბუნება უკავშირდება კონკრეტული ქვეყნის სამართლებრივ სისტემასა და საკონსტიტუციო კონტროლის ფორმას. ზოგიერთ შემთხვევაში კი საკონსტიტუციო სასამართლოს კონკრეტულ უფლებამოსილებას. ამდენად, მნიშვნელოვანია მათი განხილვა და სრული კონსტიტუციური სარჩელის საქართველოში უხარვეზო დანერგვისთვის შესაბამისი რეკომენდაციების მომზა-

[726] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“.

[727] ჯავახიშვილი პ., თვითინიციატივასა და შეჯიბრებითობას შორის: ერთი გადაწყვეტილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან, კრებულში: „ავთანდილ დემეტრაშვილი 75“, დ. გეგენავას და მ. ჯიქიას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 93.

დება. წინამდებარე კვლევის მიზნებისთვის განხილული იქნება საკონსტიტუციო სამართალწარმოების შეწყვეტის ორი ძირითადი საფუძველი.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების შეწყვეტის ყველაზე გავრცელებული საფუძველი კონსტიტუციურ სარჩელზე უარის თქმაა. აღნიშნული უფლება მოსარჩელეს ეკუთვნის. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, წყდება საკონსტიტუციო სამართალწარმოება, თუმცა არა ყოველთვის. განსაკუთრებული საჯარო ინტერესის გათვალისწინებით საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების გაგრძელების შესაძლებლობას. ვენეციის კომისიის შეფასებით, ამგვარი მიდგომა საკონსტიტუციო სასამართლოს ავტონომიურობისა და საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციის მცველის იდეის გამოხატულებაა.[728] აღნიშნული შეეხება არამხოლოდ კანონებსა და სხვა ნორმატიულ აქტებს, არამედ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებსაც, სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის პირობით.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ნორმას, რომლის შესაბამისადაც, მოსარჩელე უფლებამოსილია შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა ან უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე. ასეთ შემთხვვაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას. თუმცა არსებობს გამონაკლისი: საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ სადავო აქტის გაუქმებისას ან ძალადაკარგულად ცნობისას, თუ საქმე ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გააგრძელოს სამართალწარმოება და გადაწყვიტოს გაუქმებული ან ძალადაკარგულად ცნობილი სადავო აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი, იმ შემთხვევაში, თუ მისი გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად.[729] ამდენად, სასარჩელო წარმოება შეიძლება შეწყდეს მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის, სადავო აქტის გაუქმების ან ძალადაკარგულად გამოცხადებისას. აქედან, საკონსტიტუციო სამართალწარმოების გაგრძელების წინაპირობა შესაძლოა იყოს მხოლოდ ბოლო ორი შემთხვევა. რაც შეეხება მოსარჩელის მიერ მოთხოვნაზე უარის თქმას, ასეთ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სამართალწარმოება წყდება.

ნორმატიული აქტების კონსტიტუციური კონტროლისაგან განსხვავებით, სრული კონსტიტუციური სარჩელის ინსტიტუტის პირობებში სასარჩელო

---

[728] Study on Individual Access to Constitutional Justice, CDL-AD (2010) 039rev, N538/2009, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 27 January, 2011, 40.

[729] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 და მე-7 პუნქტები, 1996.

მოთხოვნის საკითხი ინდივიდუალიზებულია. ნორმატიული კონტროლის განხორციელების შედეგი შესაძლებელია სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა იყოს და ეს შედეგი გავლენას ახდენს არამხოლოდ პროცესის მხარეებზე, არამედ მას erga omnes გავლენა აქვს. სრული კონსტიტუციური სარჩელის განხილვა კი უკავშირდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთო სასამართლოების კონკრეტული გადაწყვეტილების კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენას, რომლის შედეგებიც კონკრეტული საქმის მხარეებს უკავშირდება და შესაბამისად, მიღებული გადაწყვეტილება მბოჭავია მხოლოდ inter pares.[730] გამონაკლისია ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტები, რომლებთან მიმართებითაც გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე სავალდებულოა და მბოჭავი ყველა სახელმწიფო ორგანოსათვის.[731]

ამდენად, სრული კონსტიტუციური საჩელის განხილვის შედეგი ვრცელდება მხოლოდ სამართალწარმოების მხარეებზე და იგი პირდაპირ გავლენას არ ახდენს სხვათა უფლებებზე.[732] შესაბამისად, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებშიც შესაძლოა გამოიკვეთოს განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხები, რომელთაც გავლენა ექნება არამხოლოდ ადამიანის ძირითადი უფლებების პირდაპირი დაცვისათვის, არამედ, სწორი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, თუმცა სრული კონსტიტუციური სარჩელის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების მხოლოდ მხარეთა მიმართ მოქმედების გავრცელებისა და იმის გამო, რომ მხოლოდ მოსარჩელეა უფლებამოსილი უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობაში არსებული მიდგომის გათვალისწინებით, რომელიც მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის შემთხვევაში, არ ითვალისწინებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების გაგრძელების შესაძლებლობას, მიზანშეწონილია, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას, სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმა აღარ იძლეოდეს საკონსტიტუციო სამართალწარმოების გაგრძლებელის შესაძლებლობას. რაც შეეხება სარჩელის გა-

---

[730] იხ., General Report, The Relations Between the Constitutional Courts and the Other National Courts Including the Interference Int This Area of the Action of the European Courts, Conference of European Constitutional Courts XIIth Congress Brussels, 14-16 May, 2002, 7.

[731] Study on Individual Access to Constitutional Justice, CDL-AD (2010) 039rev, N538/2009, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 27 January, 2011, 49, Cit. 200; Decisions of constitutional courts and equivalent bodies and their execution, Report Adopted by the Commission at the 46th Plenary Meeting, CDL-INF (2001)009, Strasbourg, 17 May, 2001.

[732] გასათვალისწინებელია, რომ სრული კონსტიტუციური სარჩელის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მართალია, უშუალოდ მოსარჩელეს უკავშირდება, თუმცა მას მაინც აქვს არაპირდაპირი ეფექტი და მბოჭავი ძალა საერთო სასამართლოების სამომავლო საქმიანობის მიმართ.

ნხილვის შეწყვეტის საფუძვლებს, ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევიდან, სრული კონსტიტუციური სარჩელის განხილვის შეწყვეტის მიმართ მხოლოდ მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნაზე უარი შეიძლება იქნეს გამოყენებული.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე სარჩელის მთლიანად ან ნაწილობრივი ცნობის შესაძლებლობას. თუმცა მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა არ იწვევს საკონსტიტუციო სამართალწარმოების შეწყვეტას.[733] მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმისგან განსხვავებით, მოპასუხის მიერ სარჩელის სრული ან ნაწილობრივი აღიარება, არ შეიძლება გახდეს საფუძველი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებისას. საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს საქმის ყოველმხრივი შესწავლის, ობიექტური შეფასებისა და შესაბამისი არგუმენტების საფუძველზე, მოპასუხის მიერ სარჩელის აღიარების შემთხვევაში, სარჩელის უპირობო დაკმაყოფილება, აქტის არაკონსტიტუციურობის მხოლოდ მოსარჩელისეულ არგუმენტებზე დაფუძნებას და მათ ობიექტურ სინამდვილედ აღიარებას გამოიწვევდა. გარდა ამისა, მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმა, ნორმატიული აქტის იურიდიული ძალას და ერთგვარად status quo-ს ინარჩუნებს, მაშინ, როცა მოპასუხის მიერ სარჩელის აღიარებისას, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, სადავო აქტის უპირობო ძალადაკარგულად აღიარებას გამოიწვევდა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკითხზე შინაარობრივი და არგუმენტირებული მსჯელობის შესაძლებლობას შეზღუდავდა. აღნიშნულის გამო საქართველოს კანონმდებლობა სამართლიანად მიჯნავს ერთმანეთისგან ზემოაღნიშნულ ორ შემთხვევას.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველი ასევე შეიძლება იყოს გასაჩივრებული აქტის გაუქმება. აქ იგულისხმება საკონსტიტუციო სამართალწარმოების განხორციელებისას სადავო აქტის იურიდიული ძალის დაკარგვა. აღნიშნული პროცესუალური შესაძლებლობა აქტიურად გამოიყენება ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის განხოციელებისას საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო პრაქტიკაში, თუმცა არ არსებობს ერთიანი მიდგომა. ევროპის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს სადავო აქტის იურიდიული ძალის დაკარგვის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სამართალწარმოების ავტომატური შეწყვეტის შესაძლებლობას (ავსტრია, ჩეხეთი, საფრანგეთი, პორტუგალია), სხვა შემთხვევებში კი საკონსტიტუციო

[733] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-6 პუნქტი, 1996.

სასამართლო აგრძელებს საქმის განხილვას და სადავო აქტს არაკონსტიტუციურად აცხადებს (ლიხტენშტეინი, სერბეთი, პოლონეთი რუსეთი), ასეთი კონტროლი შეიძლება დამოკიდებული იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებაზე ან განსაზღვრულ გარემოებებზე (მაგალითად, თუ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება მნიშვნელოვანია ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის თვალსაზრისით.[734]

ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლისაგან განსხვავებით გასაჩივრებული აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა, როგორც საკონსტიტუციო სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველი, ვერ იქნება გამოყენებული საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას. აღნიშნულის მიზეზი ამ ტიპის სასარჩელო წარმოების სამართლებრივი ბუნებაა: სრული კონსტიტუციური სარჩელის განხილვა სუბსიდიური ხასიათისაა და საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ ყველა სამართლებრივი საშუალების ამოწურვის პირობით იღებს კონსტიტუციურ სარჩელს წარმოებაში. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილების გასაჩივრება საკონსტიტუციო სასამართლოში გულისხმობს, რომ მიღებულია ძირითადი უფლების დაცვის უკანასკნელი სამართლებრივი საშუალების საბოლოო გადაწყვეტილება, რომლის გადასინჯვაც - შეცვლა ან გაუქმება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას მიეკუთვნება, კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში. შესაბამისად, მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოა უფლებამოსილი გააუქმოს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება და სრული კონსტიტუციური სარჩელის განხილვის თაობაზე საკონსტიტუციო სამართალწარმოების შეწყვეტა ვერ მოხდება საერთო სასამართლოს განსახილველი გადაწყვეტილების გაუქმების ან ძალადაკარგულად ცნობის გამო.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სრული კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას, ნორმატიული კონსტიტუციური კონტროლისგან განსხვავებით კიდევ უფრო შეზღუდულია სრული კონსტიტუციური სარჩელის თაობაზე საკონსტიტუციო სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძვლები. აღნიშნულის მიზეზი საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის ბუნებაა. საუკეთესო ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ საქართველოში სრული კონსტიტუციური სარჩელის თაობაზე საკონსტიტუციო სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველი მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმა იყოს, რაც შეეხება ზემოაღნიშნულ ორ საფუძველს, მნიშვნელოვანია, რომ ისინი მხოლოდ ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას შენარჩუნდეს.

---

[734] იხ., იქვე, 40.

2.1.4.2. სარჩელის განხილვის შეწყვეტის შედეგები

საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლებზე მსჯელობისას დიდწილად უკვე იქნა განხილული საკონსტიტუციო სამართალწარმოების შეწყვეტის პროცესუალური თავისებურებები, სარჩელის განხილვის შეწყვეტის შედეგებთან მიმართებით ორი მნიშვნელოვანი გარემოება უნდა აღინიშნოს: საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო სამართალწარმოების შეწყვეტა გამოიწვევს სასარჩელო მოთხოვნის განუხილველად დატოვებას. ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც ამ დროს იჩენს თავს, გულისხმობს, აქვს თუ არა მოსარჩელეს უფლება იმავე სასარჩელო მოთხოვნით ხელახლა მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვოს სადავო აქტის კონსტიტუციურობის შემოწმება. ამ კითხვას დადებითად უნდა გაეცეს პასუხი იმ პირობით, თუ მოსარჩელე სარჩელის ხელმეორედ წარდგენის მომენტისთვის დააკმაყოფილებს სარჩელის წარმოებაში მიღების ზოგად წინაპირობებს, მაგალითად, თუ დაცული იქნება საკონსტიტუციო სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვის კანონით დადგენილი ვადა.

საკონსტიტუციო სასამართლოში სრული კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას საქმის წარმოების შეწყვეტა აქტუალურს ხდის საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ურთიერთმიმართების საკითხს. კერძოდ, ამ დროს მნიშვნელოვანია გაირკვეს, უფლებამოსილ მოსარჩელეს შეუძლია თუ არა მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლოში უარი თქვა მის სასარჩელო მოთხოვნაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებისგან წარდგენილ სარჩელებს სუბსიდიურობის პრინციპის დაცვით განიხილავს. აღნიშნული გულისხმობს განმცხადებლის მიერ, სახელმწიფოს შიდაეროვნულ დონეზე ყველა სამართლებრივი საშუალების ამოწურვის საჭიროებას. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია შეფასდეს რამდენად შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხორციელებული სამართალწარმოება მივაკუთვნოთ ეროვნული სამართლებრივი სისტემის ნაწილს, მიმართვისათვის სავალდებულო ინსტიტუციას და რა სამართლებრივ შედეგებს გამოიწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმა.

მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას საკონსტიტუციო სასამართლო ყალიბდება, როგორც ეროვნულ დონეზე კონსტიტუციური უფლებების დაცვის მთავარი საშუალება, რომელიც საქმიანობას სუბსიდიური წესით ახორციელებს და მხოლოდ ყველა სამართლებრივი საშუალების ამოწურვის შემდეგ განიხილავს სარჩელს არსებითად. ამავე დროს, მისი

შეფასების საგანი კონსტიტუციურ სარჩელში ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევა ანუ საკონსტიტუციო საკითხია და არა ფაქტობრივი გარემოებების შეფასება, ანუ კანონიერების საკითხი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმიანობის პრინციპიც სუბსიდიურობაა, რომლისთვისაც საკონსტიტუციო სასამართლო უნდა განვიხილოთ უფლების დაცვის შიდაეროვნულ სამართლებრივ საშუალებად, თუ მოსარჩელე დავობს მისი კონსტიტუციური უფლების დარღვევის თაობაზე საერთო სასამართლოების გადაწყვეტილების საფუძველზე. შესაბამისად, მოსარჩელემ, რომელსაც შეუძლია საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შემოწმების მიზნით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, პირველ რიგში, უნდა გამოიყენოს ეს საშუალება, და მხოლოდ ამ პირობით მიმართოს ევროპულ სასამართლოს. ამასთან, ძალაში რჩება ევროპული კონვენციის დებულება, რომელიც ევროპულ სასამართლოს ანიჭებს სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის გარეშე სარჩელის წარმოებაში მიღების შესაძლებლობას, კონვენციით დადგენილი პირობების არსებობისას.

2.1.5. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

2.1.5.1. გადაწყვეტილების სამართლებრივი ბუნება

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას უმაღლესი იურიდიული ძალა აქვს. საკონსტიტუციო კონტროლის ამერიკული მოდელისაგან განსხვავებით, სადაც არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა კანონმდებლის გადაწყვეტილების შემდეგ უქმდება, ევროპული მოდელის შესაბამისად, საკონსტიტუციო კონტროლს აბსტრაქტული ხასიათი აქვს და მსგავსი ნორმა სამართლებრივი აქტების სისტემიდან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლისთანავე ქრება, რაც ასევე მთავარი მიზეზია კელზენის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, ნეგატიური კანონმდებლის სტატუსის განსაზღვრისთვის.[735] სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტიდან, არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი კარგავს მბოჭავ იურიდიულ ძალას და ანულირდება.[736]

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მბოჭავი იურიდიული ძალა აქვს ნებისმიერი ორგანოსა და თანამდებობის პირის მიმართ, რაც მისი აღ-

---

[735] Fernandes de Andrade G., Comparative Constitutional Law: Judicial Review, Journal of Constitutional Law, 2001, 983. იხ., ასევე, Stone Sweet A., Constitutional Courts and Parliamentary Democracy (Special Issue on Delegation), Yale Law School Legal Scholarship Repository, 2002, 81.

[736] Kantorowiez J., Garoupa N., An Empirical Analysis of Constitutional Review Voting in the Polish Constitutional Tribunal, 2003-2014, 2015, 70.

სრულების სავალდებულობას გულისხმობს.[737] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღნიშნული ნიშანი, თუ ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის პირობებში, პირდაპირ, მხოლოდ აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებზე ვრცელდება, ხოლო საერთო სასამართლოების მიმართ მხოლოდ არაპირდაპირი ეფექტი აქვს, მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხოციელებისას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული ძალა, საერთო სასამართლოების სისტემასაც ფარავს.[738] მაგალითად, გერმანიაში ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა ფედერაციისა და მიწის საკონსტიტუციო ორგანოებისთვის, აგრეთვე ყველა სასამართლოსა და უწყებისთვის.[739] გადაწყვეტილებას, რომლითაც კანონი ცხადდება ძირითადი კანონის შესაბამისად, ან შეუსაბამოდ და ძალადაკარგულად, აქვს კანონის იურიდიული ძალა.[740]

უნგრეთისა[741] და ესპანეთის კონსტიტუციებიც იმეორებენ გერმანულ მიდგომას და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სავალდებულო ხასიათზე მიუთითებენ.[742] კერძოდ, ესპანეთის კანონმდებლობით, საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი კოლეგია ან პლენუმი, რომელიც არსებითად განიხილავს საქმეს, იღებს გადაწყვეტილებას უფლების დაცვის (otorgamiento de amparo) ან უფლების დაცვაზე უარის თქმის შესახებ (denegación de amparo).[743] უფლების დაცვის თაობაზე გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს ჩამოთვლილთაგან ერთ ან რამდენიმე დებულებას:

ა) მითითება იმ გადაწყვეტილების, აქტის ან ქმედების არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე, რომელიც არღვევდა დაცული უფლებებითა და თავისუფლებებით სრულყოფილად სარგებლობის შესაძლებლობას;

ბ) უფლების ან თავისუფლების აღიარება, კონსტიტუციური დებულების არსთან მიმართებით;

გ) მოსარჩელის უფლებებისა და თავისუფლებების სრულად აღდგენა, მათ შორის, მითითება, აღნიშნული მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.[744]

---

[737] Buquicchio G., Review and Way Forward for the Individual Application System, Seven Years on Istanbul, Venice Commission, 2019, 5., იხ., Stone Sweet A., Constitutional Courts and Parliamentary Democracy (Special Issue on Delegation), Yale Law School Legal Scholarship Repository, 2002, 80.

[738] იხ., გეწაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 1998, 25.

[739] The Act on the Federal Constitutional Court, Art. 31(3); ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, 52.

[740] ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, 53.

[741] Act on the Constitutional Court of Hungary, 2011, Art. 39.

[742] The Spanish Constitution, Art. 164(1).

[743] Organic Law on The Constitutional Court of Spain, N2/1979, Art. 53.

[744] იხ., იქვე, მუხლი 55.

აღნიშნული ქვეყნების გარდა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სავალდებულო ძალის თაობაზე მითითება საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული მოდელის ქვეყნების ზოგადი დამახასიათებელი ელემენტია. გამონაკლისის სახით აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის საბოლოო და მისი გაუქმება შესაძლებელია საკანონმდებლო ორგანოს მიერ. თუმცა აღნიშნული უფრო გამონაკლისი და მოდელური თავისებურებაა, ვიდრე გავრცელებული კანონზომიერება. მაგალითად, ხორვატიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება დაიძლიოს პარლამენტის ორივე პალატის ორი მესამედის უმრავლესობის გადაწყვეტილებით.[745] იმის გამო, რომ მსგავსი რეგულაცია ამცრობს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციურობაზე უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს ავტორიტეტს, ეს მექანიზმი იშვიათ შემთხვევებში გამოიყენება.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა, არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი კარგავს ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.[746] აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული ძალის შეძენის მიმართ ერთგვარი ნოვაცია შემოიტანა საქართველოს 2017 წელს განხორციელებულმა რეფორმამ, რომლის შესაბამისადაც, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლებელია ამოქმედდეს არა გამოქვეყნებისთანავე, არამედ თავად ადგენდეს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას.[747] უნდა ითქვას, რომ აღნიშნული სიახლე იურიდიული მოცემულობის ნორმატივიზაცია უფრო იყო, ვიდრე ახალი პრაქტიკის ჩამოყალიბების საფუძველი, რამდენადაც, საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის სამომავლოდ ძალადაკარგულად გამოცხადების მომენტი, მანამდეც არაერთხელ განუსაზღვრავს საკუთარი შეხედულებით.

საქართველოში მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მბოჭავი იურიდიული ძალა ექნება არამხოლოდ საერთო სასამართლოების ნორმატიული აქტის განმარტებაზე, არამედ პირდაპირ იმოქმედებს მთლიანად საერთო სასამართლოების სისტემაზე. განსხვავებით დღევანდელი სინამდვილისგან, როცა საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებას მხოლოდ ირიბი

---

[745] Lach K., Sadurski W., Constitutional Courts of Central and Eastern Europe: Between Adolescence and Maturity, Journal of Comparative Law, Vol. 3, N2, 224.

[746] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი, 1995.

[747] იხ., იქვე.

გავლენა აქვს სასამართლოების საქმიანობაზე და მხოლოდ მისი განმარტებების გამოყენების სავალდებულობით შემოიფარგლება. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლი კიდევ უფრო გაზრდის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისა და თავად საკონსტიტუციო სასამართლოს იურიდიულ მნიშვნელობას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაზე და ზოგადად, სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაზე, რაც ხელს შეუწყობს კანონის უზენაესობისა და ადამიანის ძირითადი უფლებების ეფექტიანი დაცვის საკონსტიტუციო სტანდარტის დამკვიდრებას საერთო სასამართლოების საქმიანობაში.

2.1.5.2. გადაწყვეტილების ფორმა და შინაარსი

საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის გარანტს, თავად უნდა შეეძლოს კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე გააუქმოს საჯარო ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ლახავს ადამიანის ძირითად უფლებებს.[748] სრული კონსტიტუციური სარჩელის განხილვის შედეგად საკონსტიტუციო სასამართლო აუქმებს ბოლო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას.[749] ასეთ შემთხვევაში საერთო სასამართლოები ხელახლა განიხილავენ საქმეს და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსის გათვალისწინებით იღებენ ახალ გადაწყვეტილებას.

უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლო, რომლის გადაწყვეტილებებსაც „მბოჭავი იურიდიული ძალა აქვს ყველას მიმართ და საბოლოოა“, უფლებამოსილია თავად დაადგინოს სამართლებრივი შედეგები ძირითადი კანონის ფარგლებში.[750] თუ საკონსტიტუციო სასამართლო, კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე დაადგენს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ძირითად კანონს, ძალადაკარგულად გამოაცხადებს მას.[751] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივ შედეგებთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ, რომლითაც არაკონსტიტუციურად გამოცხადდა საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეს ხელახლა განიხილავენ საერთო სასამართლოები, სადაც მართლმსაჯულების პროცესი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსის გათვალისწინებით უნდა წარიმართოს.[752]

---

[748] Steinberger H., Models of Constitutional Jurisdiction, CDL-STD (1993)002, 29.

[749] Rupp G. H., Judicial Review in The Federal Republic of Germany, 1960, 42.

[750] Act on the Constitutional Court of Hungary, 2011, Art. 39.

[751] იხ., იქვე, მუხლი 43.

[752] იხ., იქვე.

ჩეხეთის კანონმდებლობაც ანალოგიურ რეგულაციებს ადგენს სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შეფასებისას. თუ საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს ადამიანის ძირითადი უფლების დარღვევას, აუქმებს საერთო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და საქმე უბრუნდება საერთო სასამართლოებს ხელახალი განხილვის მიზნით, ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილებაში აღნიშნოს, შესაძლებლობის ფარგლებში, პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.[753] იგივე მოდელი გამოიყენება გერმანიაშიც, სადაც ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში აუქმებს სადავო გადაწყვეტილებას და საქმე კომპეტენტურ სასამართლოს გადაეცემა განმეორებითი განხილვისთვის.[754]

აღსანიშნავია, რომ მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს საქმის განხილვის პროცესუალურ ნაწილზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობასაც ანიჭებს. მაგალითად, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია შეაფასოს საერთო სასამართლოების მიერ საქმის განხილვის ხანგრძლივობა. კერძოდ, ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში დაადგინა კონსტიტუციის დარღვევა, საერთო სასამართლოებში მართლმსაჯულების გაჭიანურებული პროცესის გამო და მოუწოდა საერთო სასამართლოებს ეფექტიანი ღონისძიებების გატარებისკენ, სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.[755]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილი მოსარჩელის მიმართვის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას, კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით.[756] საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოყვეყნების მომენტიდან.[757] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოქვეყნების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა ამოქმედდეს, თუ ამ აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი.[758] ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მისი გამოცხადების მომენტი-

---

[753] Constitutional Court Act of Czech Republic, 1993, para. 82(2).

[754] The Basic Law for the Federal Republic of Germany, 1949, Art. 93.

[755] იხ., N1 BvR 1708/99; იხ., N1 BvR 352/00

[756] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის, მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, 1995.

[757] იხ., იქვე, მე-5 პუნქტი.

[758] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი, 1996.

დან სავალდებულოა და მიექცევა აღსასრულებლად, რისთვისაც დამატებითი სააღსრულებო ღონისძიებების განხორციელება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან არ არის საჭირო.

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საერთო სასამართლოების მხრიდან, საქმის ხელახლა განხილვის საფუძველი გახდება. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქართველოს კანონმდებლობაში დღეს არსებული სინამდვილის შეფასება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც არაკონსტიტუციურად გამოცხადდა სისხლის სამართლის კანონი, ახლად გამოვლენილ გარემოებად მიიჩნევს.[759] აღნიშნული რეგულაცია შეესაბამება საქართველოში დანერგილი ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის მოდელს, თუმცა მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის დანერგვა, ბუნებრივია გამოიწვევს ამ მიმართულებით სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ახლად გამოვლენილი გარემოებების ჩამონათვალის განვრცობას იმგვარად, რომ აღნიშნულ გარემოებად ასევე მიიჩნეოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არამხოლოდ შესაბამისი ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად გამოცხადება, არამედ, ამ უკანასკნელის მიერ საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების არაკონსტიტუციურად ცნობაც. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება შექმნის შესაძლებლობას, რომ დაცულ იქნეს სისხლის სამართლის პროცესში ადამიანის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები.

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისგან განსხვავებით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, როგორც ახლადაღმოჩენილ გარემოებას სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, თუმცა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, თუ საქმეზე ვერ ხერხდება ზიანის დადგენა და სათანადო ანაზღაურება მოსარჩელისთვის, სამართალწარმოება არაეფექტიანად მიიჩნევა.[760] კანონმდებლობის აღნიშნული სიცარიელე გავლენას ახდენს საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული უფლების ეფექტიანად დაცვის პრინციპზე, რადგან ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას, სარჩელის დაკმაყოფილების მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ უზრუნველყოფს მოსარჩელის მიზნის მიღწევას და უფლების ეფექტიან დაცვას სამოქა-

[759] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 310-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტი, 2009.
[760] Hartman v. Czech Republic, [ECHR], App. N53341/99, 10 July, 2003.

ლაქო პროცესში.[761] გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ახლად აღმოჩენილ გარემოებად განიხილება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონცენციის ან მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან მიმართებით.[762] ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის განსაკუთრებული ინტერესიდან გამომდინარე სამოქალაქო საპროცესო კოდექსი უნდა ითვალისწინებდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, როგორც ახლად აღმოჩენილ გარემოებას, რომლითაც საერთო სასამართლოების გადაწყვეტილების არაკონსტიტუციურად ცნობა მოხდა, რაც ასევე გავლენას მოახდენს ამ თვალსაზრისით, ადმინისტრაციულსამართლებრივ ურთიერთობებზე.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის ეფექტიანობის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია, რომ საერთო სასამართლოებს გააჩნდეთ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი მათი გადაწყვეტილების ხელახალი განხილვის შესახებ, შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაცია. აღნიშნული გულისხმობს საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში,[763] სადაც ახლად აღმოჩენილ (ახლად გამოვლენილ) გარემოებათა ჩამონათვალს უნდა დაემატოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად გამოცხადდა საერთო სასამართლოების შესაბამისი გადაწყვეტილება.

2.1.5.3. გადაწყვეტილების ძალაში შესვლა

2.1.5.3.1. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლა კონკრეტული ქვეყნის სამართლებრივი სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე

---

[761] სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში არსებული აღნიშნული ნორმის თაობაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში 2015 წელს წარდგენილია კონსტიტუციური სარჩელი ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის დადგენის მიზნით, თუმცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება დღემდე არ მიუღია. იხ., ²015 წლის 30 ოქტომბრის კონსტიტუციური სარჩელი N678 „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. [25.01.2021]

[762] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლი, 1997.

[763] იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილება გავლენას მოახდენს ადმინისტრაციულსამართლებრივ ურთიერთობებზეც.

განსხვავებულია. გერმანიაში ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც წერილობითი სახით იღებს გადაწყვეტილებას,[764] ცხადდება საჯაროდ, რის შემდეგაც იძენს სავალდებულო იურიდიულ ძალას.[765] გადაწყვეტილების სავალდებულო იურიდიული ძალის შეძენა, მოდელური თავისებურების გათვალისწინებით შეიძლება უკავშირდებოდეს გადაწყვეტილების მხარეთათვის გაცნობას, გამოქვეყნებას, ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში ან ელექტრონული სახით და ა.შ. თუმცა ყველა შემთხვევაში იურიდიული შედეგი იდენტურია და არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი კარგავს იურიდიულ ძალას.

ამ თვალსაზრისით უკვე ვისაუბრეთ წინა თავში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღთან მიმართებით, ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას. აქ მხოლოდ იმ თავისებურებაზე უნდა აღინიშნოს, რაც სრული საკონსტიტუციო კონტროლის საქართველოს კანონმდებლობაში ინტეგრაციას მოჰყვება შედეგად. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების მომენტიდან. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებად ითვლება გადაწყვეტილების სრული ტექსტის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნება.[766] თუმცა საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია საკუთარ გადაწყვეტილებაში განსაზღვროს სადავო აქტის ძალაში შესვლის უფრო გვიანდელი თარიღი, რისი საჭიროებაც საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას არ იარსებებს, გამომდინარე იქიდან, რომ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასების საგანი ადამიანის ძირითადი უფლების დაცვაა, დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში კი, მისი გამოცხადების გადავადების ინტერესი არ იარსებებს. პირიქით, ადამიანის ძირითადი უფლების დარღვევის ინტენსივობის გათვალისწინებით, აუცილებელიც კი შეიძლება იყოს გადაწყვეტილების დროულად გამოქვეყნება და აღსასრულებლად მიქცევა, რათა საერთო სასამართლოებმა ხელახლა იმსჯელონ აღნიშნულ საკითხზე და აღმოფხვრან ძირითადი უფლების დარღვევის ფაქტი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციო კონტროლის უფლების მინიჭების გამო, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტის ნორმატიული საკონსტიტუციო კო-

---

[764] The Act on the Federal Constitutional Court, 1951, Art. 30(1).

[765] იხ., იქვე, მუხლი 17.

[766] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-6 პუნქტი, 1996.

ნტროლისგან განსხვავებული რეგულირების აუცილებლობა არ არსებობს და ამ ტიპის სასარჩელო წარმოების შედეგად მიღებული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის არსებული წესის შესაბამისად უნდა მოხდეს.

2.1.5.3.2. გადაწყვეტილების უკუძალა

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალას უკავშირდება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების საკითხი. ამ მნიშვნელობით, საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება იყოს ex tunc დ ex nunc.[767] საკონსტიტუციო კონტროლის უკანასკნელი ფორმის შესაბამისად, არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი იურიდიულ ძალას კარგავს ამ აქტის ძალაში შესვლის, ამოქმედების მომენტიდან.[768] ასეთი უკუძალა, „როგორც წესი, აკრძალულია და არ გამოიყენება,[769] ვინაიდან იგი ახალი უსამართლობის წყარო შეიძლება გახდეს.[770] რაც შეეხება საკონსტიტუციო კონტროლის ფორმას - ex tunc, იგი გულისხმობს სადავო აქტის იურიდიული ძალის დაკარგვას, მისი არაკონსტიტუციურად გამოცხადების მომენტიდან. სამართლებრივი სტაბილურობის თვალსაზრისით უპირატესობა სწორედ ამ ფორმას ენიჭება.[771] მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლთან მიმართებით მნიშვნელოვანია, დეტალურად იქნეს განხილული აღნიშნული საკითხი.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება გავლენას ახდენს სამართალურთიერთობის მონაწილე პირებზე და განსაზღვრავს მათ უფლებრივ

---

[767] კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2008, 31.

[768] კაპანაძე მ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიული ეფექტი, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, 2016, 42.

[769] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის N1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის N1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე – „სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II–5; იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 13 აპრილის N3/1/633, 634 გადაწყვეტილება საქმეზე – „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II–15.

[770] ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 178; იხ., სულაქველიძე დ., სისხლის სამართლის კანონის უკუძალის შესახებ – კომენტარი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, 2010, 151.

[771] Cvetkovski C., The Constitutional-Judicial Control of the Legislative and Executive Powers in Central and Eastern Europe Countries, 1999, 14.

მდგომარეობას. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სადავო აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება გადაწყვეტილების აღსრულების წინაპირობაა, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტი ყოველთვის სამომავლო ურთიერთობებს არ შეეხება და შესაძლებელია იგი წარსულში არსებულ, ან წარსულიდან აწმყოში განგრძობად ურთიერთობებზე გავრცელდეს, რაც კიდევ უფრო კომპლექსურ ბუნებას სძენს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. ამ გავლენის გამო მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალასთან დაკავშირებული რამდენიმე კონცეპტუალური საკითხის განხილვა.

იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ უკუძალის ორ ძირითად ფორმას: რეტროსპექტიულ და რექტოაქტიულ უკუძალას.[772] პირველი მათგანი არანამდვილი უკუძალის სახელითაცაა ცნობილი, რამდენადაც იგი ეხება აწმყოში მიმდინარე და ჯერ კიდევ დაუსრულებელ სამართლებრივ ურთიერთობებსა და ფაქტებს.[773] რეტროსპექტიული უკუძალა, რომლის დროსაც მიმდინარე სამართალურთიერთობაში ჩარევა ხდება, კონსტიტუციურად დასაშვებია.[774] მიიჩნევა, რომ ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას, რეტროსპექტიული უკუძალა, კანონის დროში მოქმედების ბუნებრივი და აუცილებელი ფორმაა.[775] ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას „კანონის არანამდვილი უკუძალა გულისხმობს კანონის მოქმედების გავრცელებას იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობიან ახალი კანონის მიღებამდე, მაგრამ არსებობას აგრძელებენ მისი მოქმედების პერიოდშიც. კანონის არანამდვილი უკუძალა არ იწვევს ახალი კანონის ამოქმედებამდე წარმოშობილი და დასრულებული სამართლებრივი შედეგების შეცვლას.“[776]

არანამდვილი უკუძალის საკითხი კიდევ უფრო აქტუალური ხდება სრული კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას, ვინაიდან მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროსპექტიული უკუძალა გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გავრცელების შესაძლებლობას

---

[772] ლოლაძე ბ., უკუძალის საკითხის მართებული განმარტების მნიშვნელობა ძირითადი უფლებების სფეროში, კრებული: „ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში“, კ. კორკელიას რედაქტორობით, 2017, 119.

[773] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 146.

[774] <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2015/07/Artikel-6_edited.pdf> [03.06.2022]

[775] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის N1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[776] იხ., იქვე, II-6.

საერთო სასამართლოების იმ გადაწყვეტილებებზე, რომელთა აღსრულებაც ჯერ არ მომხდარა. მართალია საკონსტიტუციო სასამართლო სრული კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას, ვერ შეაფასებს საერთო სასამართლოების განხილვის პროცესში არსებულ საქმეს, ვინაიდან აღნიშნული სასარჩელო წარმოებისთვის მოქმედებს სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის წინაპირობა, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას უკუძალა შეიძლება ჰქონდეს როგორც აღსრულების პროცესში მყოფი გადაწყვეტილების მიმართ, ასევე იმ შემთხვევაში, როცა გამოყენებულია უფლების დაცვის დროებითი ღონისძიება, სადავო აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე.

საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის სწორედ აღნიშნული ფორმა მოქმედებს, ვინაიდან ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ იწვევს, ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი განაჩენის ან გადაწყვეტილების გაუქმებას, იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას.[777] რაც შეეხება საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების მიმართ უკუძალის საკითხს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში დანერგილი მექანიზმის, ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლის ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ასევე შეიძლება ჰქონდეს არანამდვილი უკუძალა. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებას არანამდვილი უკუძალა ექნება იმ პირობით, თუ საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ აღსრულებულა, რის გამოც, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება გავლენას ახდენს მოსარჩელეზე.

რეტროსპექტიული უკუძალის საკითხი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პირის უფლებრივ მდგომარეობაზე, რომლის დაუცველობის შემთხვევაში საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებოდა არამარტო ცალკეული ადამიანის უფლებები, არამედ სამართლებრივი უსაფრთხოება და ღირებულებითი წესრიგი, რომელიც თავად არის ფუნდამენტური უფლებების არსებობის საფუძველი.[778] ასეთი წესრიგის პირობებში, ადამიანებს აქვთ გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელმწიფო იმოქმედებს სამართლით დადგენილ ფარგლებში და მის მიერ ჩადენილ მოქმედებას არსებული ნორმატიული სინამდვილის პირობებში შეაფასებს.[779] ამ მნიშვნელობის გათვალისწინებით, არანამდვილი უკუძალის გამოყენება თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით უნდა მოხდეს, როდესაც საჭიროა „ინდივიდის

---

[777] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლი, 1996.

[778] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის N1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[779] იხ., იქვე.

უფლებრივ მდგომარეობასა და უკუძალით გამოწვეულ ცვლილებების სარგებელს შორის არჩევანის გაკეთება.“[780]

რაც შეეხება ნამდვილ უკუძალას, „კანონის ასეთი უკუძალა, ესაა კლასიკური, ინსტიტუციური ხასიათის უკუძალა, რაც, როგორც წესი, გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ახალი კანონი უკეთეს პირობებში აყენებს უფლების სუბიექტს“.[781] უკუძალის აღნიშნული ფორმა, გულისხმობს იმას, რომ „კანონი მოგვიანებით ანუ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ახორციელებს წარსულში მოწესრიგებული, ამოწურული და რეალიზებული ფაქტობრივი ელემენტების ცვლილებას და ამით იჭრება მათ სფეროში.“[782] საკონსტიტუციო კონტროლის აღნიშნული ფორმა დღის წესრიგში შესაძლოა აყენებდეს საკითხს „არაკონსტიტუციური აქტის მოქმედების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების თავდაპირველ მდგომარეობაში აღდგენის თაობაზე ან აქტის მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ, რაც ხშირ შემთხვევაში შეუძლებელიც კი არის“.[783]

მართალია, საკონსტიტუციო კონტროლის აღნიშნული ფორმის შეზღუდვა უზრუნველყოფს სამართლებრივ სტაბილურობასა და კანონის განჭვრეტადობის პრინციპის დაცვას, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში „გამონაკლისის დაუშვებლობა ეჭვქვეშ დააყენებდა ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებზე ორიენტირებული სახელმწიფოს არსებობას“.[784] აპოსტოლის საქმეზე, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ კრიტიკულად შეაფასა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გავლენა, რომლის შესაბამისადაც, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა არ იწვევს, ამ ნორმის საფუძველზე ადრე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას, არამედ იწვევს მისი აღსრულების შეჩერებას.[785] აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა იცნობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, როგო-

---

[780] <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2015/07/Artikel-6_edited.pdf> [10.12.2020]

[781] ლოლაძე ბ., უკუძალის საკითხის მართებული განმარტების მნიშვნელობა ძირითადი უფლებების სფეროში, კრებული: ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში, კ. კორკელიას რედაქტორობით, 2017, 124.

[782] შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, კ. კუბლაშვილის, თ. ნინიძის, ბ. ლოლაძის და ქ. ერემაძის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 335.

[783] კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები ქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2008, 31

[784] გუჩმაზაშვილი დ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალა, წიგნში: „ლადო ჭანტურია 55“, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 111.

[785] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ, N40765/02.

რც ახლადაღმოჩენილ გარემოებას, რომელიც საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის წინაპირობაა.[786]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილების მინიჭება ბუნებრივია გამოიწვევს აღნიშნული საკითხის აქტუალიზებას. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლისას, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ვერ ექნება ნამდვილი უკუძალა, ვინაიდან ეს უკანასკნელი გულისხმობს, მოცემულ შემთხვევაში, ძალაში შესული გადაწყვეტილებით ჩამოყალიბებულ სამართლებრივ ურთიერთობაზე, გადაწყვეტილების გავრცელების შესაძლებლობას, რასაც სულ მცირე, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ვადა გამორიცხავს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სრული კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ შესაძლოა მოაწესრიგოს გადაწყვეტილების მიღებამდე ჩამოყალიბებული სამართლებრივი ურთიერთობები, რომელთაც გადაწყვეტილების მიღების მომენტისთვის განგრძნობადი ხასიათი გააჩნიათ (არანამდვილი უკუძალა). აღნიშნული გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შეფასებას, რომელიც ჯერ კიდევ არ აღსრულებულა. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ გავრცელდება საერთო სასამართლოების იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიქცეულია აღსასრულებლად და დამდგარია კონკრეტული სამართლებრივი შედეგი (ნამდვილი უკუძალა).

2.1.5.4. გადაწყვეტილების აღსრულება და ეფექტი

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება წინააღმდეგობრივი ასპექტებით ხასიათდება თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში.[787] საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც კონსტიტუციის დაცვის უზრუნველყოფის უმთავრესი ინსტიტუტი, ხშირად ხდება ხელისუფლების შტოების მხრიდან პოლიტიკური ანგარიშსწორების სამიზნე.[788] პოლიტიკური ზეწოლა იგრძნობა მაშინ, როცა „ხელისუფლება ანგარიშს არ უწევს სასამართლოს გადაწყვეტილებებს და მოქმედებს კონსტიტუციით დადგენილი წესრიგის სა-

[786] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, 2009.

[787] ნაკაშიძე მ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემები, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, N1, 2009, 136.

[788] შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 135.

წინააღმდეგოდ."[789] აღნიშნული განპირობებულია საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური მანდატით, შეაფასოს განსაკუთრებით მგრძნობიარე სამართლებრივი საკითხები, რომელთაც შესაძლოა ასევე პოლიტიკური მნიშვნელობაც გააჩნდეთ. ამგვარი დამოკიდებულება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის კონკურენციული ურთიერთობებისა და ინსტიტუციური წინააღმდეგობის შედეგია.

თანამედროვე სახელმწიფოებში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან კანონის უზენაესობისა და ინსტიტუციური პატივისცემის გამოხატულებაა. დემოკრატიულ სახელმწიფოში, სადაც უზრუნველყოფილია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, იმისათვის, რომ რეგულაცია ეფექტიანი იყოს, არ არის სავალდებულო, რომ ის სამართლებრივად მბოჭავი იყოს.[790] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება შეიძლება პრობლემური იყოს თვით ევროპულ დემოკრატიებშიც. აღნიშნულის მაგალითად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები - ჩეხეთი და პოლონეთი შეიძლება დასახელდეს, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოს უპირატესი როლის მიუხედავად, უზენაესი სასამართლოები, „სიფრთხილეს იჩენენ" საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების მათ საქმიანობაში გამოყენებისას.[791]

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას სირთულეები ახასიათებს სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებითაც. პარადოქსია, მაგრამ აღსრულების თვალსაზრისით პრობლემურია საკონსტიტუციო კონტროლის ისეთი განვითარებული ქვეყნებიც, როგორებიც გერმანია და ჩეხეთი არიან. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიისა და ჩეხეთის საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოებისადმი მიმართვის საშუალება ზოგადად, აკმაყოფილებს კონვენციის 35-ე მუხლის მოთხოვნებს, ისინი მაინც არაეფექტიან მიმართვის საშუალებად განიხილებიან „ხანგრძლივი სამართალწარმოების" საქმეებში, „რადგან თუკი აღნიშნულ სასამართლოებს შეუძლიათ დაადგინონ კონსტიტუციური დებულებების დარღვევა, რომელიც ეხება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას, მათ არ აქვთ კომპეტენცია, ზუსტი მითითებები გასცენ გაჭიანურებული პროცედურის დაჩქარების შესახებ, და არც იმის შესაძლებლობა, მიაკუთვნონ კომპენსაცია გაჭიანურებული სამართალწარმოებიდან გამომდი-

---

[789] ნაკაშიძე მ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემები, ჟურნ. „მართლმსაჯულება", N1, 2009, 137.

[790] Zerk A. J., Multinationals and Corporate Social Responsibility: Limitations and Opportunities in International Law, Cambridge University Press, 2006, 35.

[791] Reiner A., Constitutional Courts of Central and European Countries as a Dynamic Source of Modern Legal Ideas, Tulane European and Civil Law Forum, Vol. 18, 2003, 105.

ნარე ზიანისთვის".[792] თუმცა ეს გარემოება სულაც არ მეტყველებს, აღნიშნულ ქვეყნებში, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სისტემის არაეფექტიან სამართლებრივ ბუნებაზე.

ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა და მბოჭავი ყველა სახელმწიფო ორგანოსა და თანამდებობის პირისათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება თვითაღსრულებადია და აღსრულებისთვის არ საჭიროებს ხელისუფლების სხვა შტოების ინსტიტუციურ მხარდაჭერას.[793] უფრო მეტიც, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია თავად განსაზღვროს აღსრულებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანო და მიუთითოს აღსრულების მეთოდიც.[794] პროფესორი შტაინბერგერის აზრით, „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ისევე მოქმედებს, როგორც საყოველთაოდ სავალდებულო აბსტრაქტული ნორმა".[795] ამ მხრივ, იდენტური პრაქტიკაა დამკვიდრებული საქართველოს საკონსტიტუციო სინამდვილეშიც.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა[796] და მისი შეუსრულებლობა ისჯება კანონით.[797] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობისთვის კანონით დადგენილ პასუხისმგებლობაზე მითითება, გადაწყვეტილების შესრულების საკანონმდებლო გარანტიაა, რომლის რეალიზების საშუალებად სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლი უნდა მოვიაზროთ, რომლის შესაბამისადაც, კრიმინალიზებულია „ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ანდა მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა"[798] თუმცა აღნიშნული მუხლის სანქციის შინაარსის გათვალისწინებით, პრობლემური შეიძლება იყოს მისი მიქცევა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიმართ.[799]

---

[792] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ, N40765/02, I-45.

[793] ნაკაშიძე მ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემები, ჟურნ. „მართლმსაჯულება", N1, 2009, 136.

[794] Study on Individual Access to Constitutional Justice, CDL-AD (2010) 039rev, N538/2009, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 27 January, 2011, 51.

[795] ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 171.

[796] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი, 1995.

[797] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი, 1996.

[798] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლი, 1999.

[799] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის სანქციის სახით დადგენილია ჯარიმა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ან თავისუფლების აღკვეთა. პრობლემურია თავად ამ მუხლის შენიშვნის ფორმულირებაც, რომლის

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესი სირთულეებით ხასიათდება. ევროპული სასამართლოს შეფასებით, საქართველოში ამჟამად „არსებული მიმართვის ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის სისტემა დამაჯერებლობის საკმარისი მოცულობით ვერ ჩაითვლება გადაწყვეტილების აღუსრულებლობის საფუძველზე წამოყენებული საჩივრის დაკმაყოფილების სათანადო საშუალებად."[800] აღნიშნულის გარდა, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა იცნობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობის[801] და გადაწყვეტილების დამძლევი ნორმების მიღების შემთხვევებსაც კი.[802]

ცალკეულ შემთხვევაში, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სახელმწიფოს ბიუჯეტზე ან ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან დიდი ფინანსური ვალდებულების შესრულებას, საკონსტიტუციო სასამართლო დროებითი ღონისძიების სახით აღსრულების გადავადების შესახებ იღებს გადაწყვეტილებას.[803] ამ თვალსაზრისით საინტერესოა საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლი, რომლის შესაბამისადაც, „არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი იურიდიულ ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას."[804] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უფრო გვიანდელ ვადაზე მითითების რეგლამენტაცია 2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში განხორციელდა, რომლითაც საკონსტიტუციო სასამართლოს პროცესუალური

შესაბამისადაც, „ამ კარით დადგენილი სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ასევე გულისხმობს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს." გაუგებარია, რა იგულისხმება სასამართლოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში, თუმცა ამ უკანასკნელის სიღრმისეული შეფასება საკვლევი თემის ფარგლებს სცილდება.

[800] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ, საჩივრის N40765/02, I-46.

[801] ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 171.

[802] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ არ შეიძლება ისეთი სამართლებრივი აქტის მიღება/გამოცემა, რომელიც შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი, თუმცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ყოფილა მსგავსი პრეცედენტებიც. იხ., ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 175-176; იხ., ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2019, 32-36.

[803] Kantorowiez J., Garoupa N., An Empirical Analysis of Constitutional Review Voting in the Polish Constitutional Tribunal, 2003-2014, Springer Publishing, 2015, 70.

[804] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი, 1995.

უფლებამოსილების კონსტიტუციონალიზება მოხდა. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი, გამოქვეყნების შემდეგ, დაუყოვნებლივ აღსრულებას ექვემდებარება, თუ ამ აქტით სხვა, უფრო გვიანდელი ვადა არ არის განსაზღვრული.

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილების საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში აღსანიშნავია მის აღსრულებასთან დაკავშირებული ერთი სამართლებრივი გარემოების თაობაზე. ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლისგან განსხვავებით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისთვის აუცილებელია, რომ მოსარჩელე პირმა უზრუნველყოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების წარდგენა შესაბამის სასამართლო ორგანოში, რომელიც მას განიხილავს როგორც ახლად გამოვლენილ (ახლად აღმოჩენილ) გარემოებას. ანალოგიური პრაქტიკაა დადგენილი სისხლის სამართლის პროცესში, სადაც შესაბამისი სასამართლო, შუამდგომლობას, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, სისხლის სამართლის კანონის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე, ახლად გამოვლენილ გარემოებად განიხილავს და გადასინჯავს განაჩენს. აღნიშნული საფუძვლით განაჩენის გადასინჯვის ვადა შეუზღუდავია.[805] იდენტური პრაქტიკაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებასთან მიმართებითაც, რომლის თაობაზე შუამდგომლობით მიმართვის ვადა, აღნიშნული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 წელია, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების, როგორც ახლად აღმოჩენილი გარემოების საფუძველზე, საქმის წარმოების განახლების განცხადება, შესაბამის სასამართლოს, ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 3 თვეში უნდა წარედგინოს.[806] ყველა სხვა საფუძვლით სამოქალაქო საქმეზე სასამართლოსთვის მიმართვის ვადა, ახლად აღმოჩენილი გარემოების თაობაზე, 1 თვეა და მისი გაგრძელება არ დაიშვება.[807]

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის დანერგვა ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში კიდევ უფრო აქტუალურს ხდის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხს. ვინაიდან საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში, სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებთან ერთად სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაც მოექცევა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება სასამართლო ორგანოების

[805] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლი, 2009.

[806] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის 21 ნაწილი, 1997.

[807] იხ., იქვე, მე-2 ნაწილი.

მხრიდან საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ ინსტიტუციურ დამოკიდებულებას. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის გავრცელების წინაპირობა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი საერთო სასამართლოების ინსტიტუციურ პატივისცემასა და საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციურობის კონტროლის განმახორციელებელ, უმაღლეს ორგანოდ აღქმაზე გადის. აღნიშნული ინსტიტუტის ინტეგრაციის შემთხვევაში საქართველოს საერთო სასამართლოებისთვის მბოჭავი ძალა ექნება არამხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს და მის სამოტივაციო ნაწილს, არამედ მისი გადაწყვეტილებები პირდაპირ და სავალდებულო ძალას შეიძენენ საერთო სასამართლოების მიმართ, რითაც განხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლი საერთო სასამართლოების მიერ არამხოლოდ ნორმათა ახსნა-განმარტებაზე, არამედ მისი გადაწყვეტილებები მბოჭავი და სავალდებულო ძალისა იქნება საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების მიმართ ზოგადად.

2.2. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოს კანონმდებლობაში

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი, როგორც უკვე აღინიშნა, განსაკუთრებულ როლს ასრულებს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების რეალიზების თვალსაზრისით. ამ გარემოების გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ საქართველოს კანონმდებლობაში მისი იმპლემენტაცია დაეფუძნოს იმ ქვეყნების სამართლებრივ გამოცდილებას, რომლეთაც საკონსტიტუციო კონტროლის წარმატებული პრაქტიკა გააჩნიათ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული მოდელის განმახორციელებელი უმაღლესი ორგანოა. სწორედ ამ ინსტიტუციური სიახლოვის გამო სრული კონსტიტუციური სარჩელის ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში ინტეგრაცია არ მოითხოვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნდამენტურ სისტემურ ტრანსფორმაციას.

დღესდღეობით გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ყველაზე წარმატებულად მიიჩნევა მსოფლიოში, რისი მიზეზიც დიდწილად, სრული კონსტიტუციური სარჩელის მექანიზმია. ამ გარემოების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში განსახილველი ინსტიტუტის დამკვიდრება ძირითადად გერმანულ გამოცდილებას დაეფუძნოს. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს უფრო ახალი გა-

მოცდილებაც ესპანეთის, აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიიის ქვეყნების სახით. განსახილველი ინსტიტუტის დანერგვისას ამ უკანასკნელთა სისტემური გამოწვევები განსაკუთრებით საყურადღებოა, ვინაიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭების პირობებში, იმავე სირთულეების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს, რისი პრევენციაც ფრთხილი საკანონმდებლო ცვლილებებით უნდა განხორციელდეს.

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის დანერგვა შესაბამის სამართლებრივ საფუძვლებზე უნდა მოხდეს. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით.[808] საქართველოს კონსტიტუციის დღევანდელი რედაქციის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო ფიზიკური პირის, იურიდიული პირისა და სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას, ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით.[809] საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების მიზნით საჭიროა კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს დაემატოს „ა¹“ პუნქტი, რომლის შესაბამისადაც, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება ექნება ფიზიკური პირისა და იურიდიული პირის მიმართვის საფუძველზე განიხილოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა კონსტიტუციურობა, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით. ამასთან, აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები დეტალურად ორგანული კანონით განისაზღვრება, რის შესაძლებლობასაც საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის რედაქცია ითვალისწინებს.[810] ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები მოცემულია ასევე საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, საჭიროა იდენტური მითითება გაკეთდეს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების განმსაზღვრელ ორგანული კანონის შესაბამის მუხლში.

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლი საკონსტიტუციო სამართალწარმოების განსაკუთრებული ფორმაა, რომლის განხორციელების წესს სპეციფიკური თავისებურებები ახასიათებს.

---

[808] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, 1995.

[809] იხ., იქვე.

[810] იხ., იქვე, მე-4 პუნქტი.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იქნება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განსახორციელებელი ცვლილებები, რომლებიც შეეხება საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების წინაპირობების განსაზღვრას. აღნიშნულ პირობათა დაცვამ უნდა უზრუნველყოს საკონსტიტუციო სასამართლოში მხოლოდ დასაბუთებული სარჩელების წარდგენა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების ეფექტიანობა. აღნიშნული წინაპირობები პირობითად შეიძლება დავყოთ ფორმალურ და მატერიალურ წინაპირობებად. პირველი მათგანი მოიცავს სარჩელის ფორმის მიმართ დადგენილ მოთხოვნებს, ასევე წინაპირობებს, რომლებიც უკავშირდება სარჩელის ფორმას, უფლებამოსილ მოსარჩელე სუბიექტს, კანონიერ წარმომადგენელს, სამართალწარმოების საფასურს. რაც შეეხება მატერიალურ წინაპირობებს, იგი მოიცავს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, სადავო აქტის პირდაპირ გავლენას მოსარჩელის უფლებრივ მდგომარეობაზე, სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის ვალდებულებას და ა.შ.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული სამართალწარმოების ვადები დადგენილია საკონსტიტუციო სასამართლოს ამჟამად მოქმედ უფლებამოსილებებთან მიმართებით. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას ეფექტიანი მართლმსაჯულების პრინციპი მოითხოვს, აღნიშნული ინსტიტუტის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაბამისი ვადების დაზუსტება-დადგენას, გადაწყვეტილების მიმართ წარდგენილი მოთხოვნების რეგლამენტირებას და მისი ძალაში შესვლისა და აღსრულებისთვის საჭირო თავისებურებების განსაზღვრას.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, დღევანდელი რეგულაციის მიხედვით, არ იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმებას, არამედ მისი აღსრულების შეჩერებას.[811] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სავალდებულობის უზრუნველყოფა, საერთო სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისთვის მოითხოვს შესაბამისი მითითების დადგენას საპროცესო კანონმდებლობაში, რისი გავალისწინებითაც, საჭირო იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა კონსტიტუციურობის თაობაზე, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ახლად აღმოჩენილ (ახლად გამოვლენილ) გარემოებად იქნეს მიჩნეული.

---

[811] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-20 მუხლი, 1996.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის საქართველოს სამართლებრივ სისტემაში უხარვეზო ინტეგრაცია და შეუფერხებელი ფუნქციონირება კომპლექსურ საკანონმდებლო ცვლილებებს უნდა ეფუძნებოდეს. აღნიშნულის გათვალისწინებით აუცილებელია იმ სახელმწიფოთა მიდგომების და გამოცდილების გაზიარება, რომელთაც აღნიშნული ინსტიტუტი დანერგეს. წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებები სწორედ აღნიშნულ გამოცდილებას ეფუძნება და მიზნად ისახავს როგორც ადამიანის ძირითადი უფლების დაცვის უმაღლესი სტანდარტის დანერგვას საქართველოში, ისე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფას.

2.3. ინსტიტუციური ცვლილებები საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრებისათვის

საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო სინამდვილეში საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლი უფლების დაცვის შიდაეროვნული ეფექტიანი საშუალებაა. საკონსტიტუციო კონტროლის გერმანული მოდელის წარმატებულმა პრაქტიკამ განაპირობა სრული კონსტიტუციური სარჩელის გავრცელება ევროპის ქვეყნებსა და ამიერკავკასიაში. მიუხედავად ამ ინსტიტუტისადმი სახელმწიფოების ფრთხილი დამოკიდებულებისა, რაც გამოიხატება ჯერ კიდევ მიმდინარე დისკუსიაში საკონსტიტუციო სასამართლოსათვის საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის მინიჭებასთან მიმართებით, მისი გავრცელების ტენდენცია სულ უფრო მზარდია. აღნიშნული განპირობებულია ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი სარგებლით, რომელიც მას გააჩნია ფუნდამენტური უფლებების დაცვის, კონსტიტუციის უზენაესობის, კონსტიტუციური მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და სამართლებრივი სისტემის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის თვალსაზრისით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის ევროპულ მოდელს მიეკუთვნება. საკონსტიტუციო კონტროლის საქართველოში დამკვიდრებული ფორმა იმ პროგრესის შედეგია, რასაც საკონსტიტუციო სასამართლომ ევროპაში მიაღწია. ამიტომ, ბუნებრივია, საკონსტიტუციო კონტროლის ქართული მოდელის მომავალი იმ ქვეყნების პრაქტიკის გაზიარება უნდა იყოს, რომელთანაც სისტემური კავშირი და მსგავსება აქვს, ვინაიდან

მექანიზმები, რომლებიც საკონსტიტუციო კონტროლის სრულყოფის მიზნით ინერგება ევროპის ქვეყნების საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ქართული სამართლებრივი სისტემის პირობებშიც. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი სრული კონსტიტუციური სარჩელია, როგორც საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის პროცესუალური საშუალება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე უკვე ვიმსჯელეთ, თუმცა იმ ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების პრაქტიკიდან გამომდინარე, რომელთაც ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში დანერგეს სრული კონსტიტუციური სარჩელის მექანიზმი, შეიძლება ითქვას, რომ ინსტიტუციური ცვლილებების გარეშე, მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებები ვერ უზრუნველყოფენ ინსტიტუტის შეუფერხებელ და ეფექტიან ფუნქციონირებას. ის რისკები, რომლებიც ინსტიტუტის დანერგვას ახლავს თან, სათანადო დაცვის მექანიზმების შემუშავებას და განხორციელებას მოითხოვენ, საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციური მომზადების თვალსაზრისით.

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილების საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მინიჭების მიზნიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი ინსტიტუციური რეკომენდაციები:

1. სრული კონსტიტუციური სარჩელის ინსტიტუტის დანერგვისთვის მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის გაძლიერება ადამიანური რესურსით. იმ ქვეყნებმა, რომლებმაც საკონსტიტუციო სასამართლოებს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილება მიანიჭეს, ახალი უფლებამოსილების უხარვეზო იმპლემენტაციის მიზნით, პირველ ეტაპზევე, დამატებით მოიწვიეს კვალიფიციური სპეციალისტები. აღნიშნული გამოწვეული იყო მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის პირობებში, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვიანობის ზრდის სტატისტიკით. ვენეციის კომისიის შეფასებით, მუდმივი ან ხანგრძლივი ვადით დასაქმებული პერსონალი ასევე საშუალებას იძლევა ჩამოყალიბდეს ინსტიტუციური მეხსიერება, რომელიც ხელს შეუწყობს პრეცედენტული პრაქტიკის თანმიმდევრულობას და უწყვეტობას.[812] აღსანიშნავია, რომ ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, სა-

[812] Study on Individual Access to Constitutional Justice, CDL-AD (2010) 039rev, N538/2009, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 27 January, 2011, 59.

კონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ კვალიფიციური თანაშემწეებით,[813] რომელთა რაოდენობა დამოკიდებული იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს საქმეთა რაოდენობაზე.[814] მისივე რეკომენდაციით, საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის გაძლიერებას მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება შეუძლია სარჩელების წინასწარი ექსპერტიზისა და დაუსაბუთებელი სარჩელების გამოვლენის თვალსაზრისით, თუმცა რამდენადაც „სასამართლოს უფლებამოსილება არ შეიძლება სხვას გადაეცეს, სამდივნოს/აპარატის აზრი შეიძლება მხოლოდ საკონსულტაციო იყოს.[815] ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ჩამოყალიბებულია სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევის დეპარტამენტი, რომელიც სამართლებრივ დახმარებას უწევს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს, თუმცა ახალი უფლებამოსილების პირობებში შესაძლოა აქტუალური გახდეს ვენეციის კომისიის რეკომენდაციის გათვალისწინებაც.

3. როგორც ზემოთ აღინიშნა, სრული კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის უფლება მიზანშეწონილია, საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიებს გააჩნდეთ, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში კი - პლენუმსაც. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში გაიზრდება საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვიანობა, ორი კოლეგიის პირობებში მატულობს მათი გადატვირთვის ალბათობაც. აღნიშნულის პრევენციისთვის მიზანშეწონილია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობაში გაიზარდოს კოლეგიების რაოდენობა და ჩამოყალიბდეს სამი კოლეგია, 3-3 მოსამართლის შემადგენლობით. აღნიშნული მოდელი, რომელიც თავსებადია საუკეთესო ევროპულ გამოცდილებასთან, ხელს შეუწყობს სარჩელთა ეფექტიან ფილტრაციას, საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას და საქართველოს საკონსტი-

[813] მისასალმებელი ფაქტია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ 2021 წლის ბოლოს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა თანაშემწეებით უზრუნველყოფის შესახებ.

[814] Opinion on the Draft Law on the Constitutional Court of Montenegro. CDL-AD (2008)030, Opinion 479/2008, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 24 September, 2008, 9.

[815] The Protection of fundamental rights by the Constitutional Court, CDL-STD (1995)015, Science and Technique of Democracy N15, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Brioni, Croatia, 23-25 September 1995, 132.

ტუციო სინამდვილეში, მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის სისტემის უხარვეზო ფუნქციონირებას.

აღნიშნული ინსტიტუციური ცვლილება მნიშვნელოვანია კიდევ ერთი სამართლებრივი გარემოების გათვალისწინებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტება პარიტეტული პრინციპით ხდება და მასში მონაწილეობას სახელმწიფო ხელისუფლების შტოები იღებენ. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს 9 წევრიდან 3-3 მოსამართლეს ნიშნავენ საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს უზენაესი სასამართლო, ხოლო 3 წევრს სრული შემადგენლობის 3/5-ის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. საკონსტიტუციო სასამართლოს შიდა სტრუქტურული ორგანიზაციის თაობაზე შემოთავაზებული რეკომენდაცია, 3 კოლეგიის ჩამოყალიბების შემთხვევაში, საშუალებას იძლევა უკეთესად იქნეს დაცული პარიტეტულობა და მოსამართლეთა რაოდენობის გადანაწილება კოლეგიებში მოხდეს წარმდგენი სუბიექტების მიხედვით თანაბრად. აღნიშნული ხელს შეუწყობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების პრინციპის მიზნის უკეთ რეალიზაციას.

4. განსახილველი სახელმწიფოების საკონსტიტუციო გამოცდილების ანალიზი ცხადყოფს, რომ საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებები, რომლებიც სრული კონსტიტუციური სარჩელის ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში ინტეგრაციას ითვალისწინებენ, მოითხოვს გარკვეულ დროს საკონსტიტუციო სასამართლოს სისტემის მომზადებისთვის. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია თურქეთის გამოცდილება, რომელმაც 2010 წელს განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმის მიუხედავად, პირველი კონსტიტუციური სარჩელი წარმოებაში მხოლოდ ორი წლის თავზე მიიღო.[816] ქართულ სამართლებრივ სისტემაში ინსტიტუტის უხარვეზო და შეუფერხებელი ინტეგრაციის მიზნით მიზანშეწონილია საქართველომაც გარკვეული მოსამზადებელი პერიოდი განსაზღვროს, რასაც მოანდომებს შესაბამის ინსტიტუციურ და საკანონმდებლო ცვლილებებს და ხელს შეუწყობს სრული კონსტიტუციური სარჩელის დანერგვას სისტემაში, ასეთ პერიოდად მიზანშეწონილია 1 წლიანი ვადა განისაზღვროს.

---

[816] Faiz P. M., A Prospect and Challenges for Adopting Constitutional Complaint and Constitutional Question in the Indonesian Constitutional Court, Constitutional Review, Vol. 2, 2016, 112; იხ., Üstün B., Protection of Human Rights by the Turkish Constitutional Court, Short History of the Turkish Constitutional Court, იხ.,<http://www.constcourt.md/public/files/file/conferinta_20ani/programul_conferintei/Bur-han_Ustun.pdf> [03.06.2022]

V. დასკვნა

მეოცე საუკუნის პოსტკომუნისტურ ევროპაში, საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს ჩამოყალიბება, ორ მნიშვნელოვან მიზანს - კონსტიტუციის უზენაესობას და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას ემსახურებოდა. ამ ფუნქციის განსაკუთრებულმა მნიშვნელობამ გაზარდა საკონსტიტუციო ტრიბუნალის როლი და იგი ჩამოყალიბდა როგორც ძალაუფლების შეკავება-გაწონასწორებისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოების კომპეტენციურმა მრავალფეროვნებამ ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის განსხვავებული სტანდარტები განსაზღვრა ევროპულ ქვეყნებში. სახელმწიფოთა ნაწილმა საკონსტიტუციო სასამართლოებს ფართო უფლებამოსილებები მიანიჭა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შემოწმება დაუქვემდებარა მას, სახელმწიფოთა ნაწილი კი ნაკლებად გაბედული აღმოჩნდა და საკონსტიტუციო სასამართლო ერთგვარი „საბაზისო“ უფლებამოსილებებით აღჭურვა, რამაც აღნიშნულ ქვეყნებში ძირითადი უფლებების განსხვავებული სტანდარტის დანერგვა განაპირობა. სწორედ ამ ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება საქართველოც.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოში დამკვიდრებული საკონსტიტუციო კონტროლის მოდელი, ევროპული კონვენციის 35-ე მუხლის მიზნებისათვის, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის არასრულყოფილ შიდაეროვნულ მექანიზმად მიიჩნია და პირდაპირი მინიშნებაც გააკეთა მისი სრულყოფის ღონისძიებებთან მიმართებით. სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელმაც საქართველოში ადამიანის ძირითადი უფლებების უკეთესი სტანდარტით დაცვა უნდა უზრუნველყოს, მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებაა, რომელიც ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი მნიშნელოვანი უფლებამოსილებაა.

კვლევის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილების მინიჭება მიზანშეწონილია, ამ ინსტიტუტისადმი დამახასიათებელი დადებითი მხარეების გამო. ამ მიზნით მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის დანერგვა საქართველოს კანონმდებლობისა და საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო გამოცდილების ანალიზს დაეფუძნოს და გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი რეკომენდაციები:

1. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება საკონსტიტუციო სამართალწარმოების სპეციფიკურ ბუნებას განაპირობებს. საკონსტიტუციო სამართალწარმოების დაწყება უფლების დაცვის პროცესუალური ინსტრუმენტის - კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენას უკავშირდება, რომელიც დასაბუთებული უნდა იყოს და მკაფიოდ უნდა იკვეთებოდეს სადავო აქტსა და მოსარჩელის კონსტიტუციური უფლებების დარღვევის ფაქტს შორის კავშირი. კონსტიტუციურ სარჩელში წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებები და მოსარჩელის სამართლებრივი პოზიცია. ამ უფლებამოსილების ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის მიზანი საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებისგან პირის კონსტიტუციური უფლებების დაცვა უნდა იყოს, ამასთან, მოსარჩელეს ამოწურული უნდა ჰქონდეს უფლების დაცვის ყველა სამართლებრივი დაცვის საშუალება და სასარჩელო წარმოებისათვის დაცული უნდა იყოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ვადა. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილი სარჩელში უნდა იყოს თავმოყრილი, რომელიც სხვა ტიპის კონსტიტუციური სარჩელისგან განსხვავებულ შინაარსობრივ კომპონენტებს მოიცავს, აუცილებელია შემუშავდეს და საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ დამტკიცდეს სრული კონსტიტუციური სარჩელის ფორმა.

2. საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას სხვადასხვა სუბიექტს ანიჭებს. აღნიშნულის მიზეზი საკონსტიტუციო სამართალწარმოების ფორმას უკავშირდება. აბსტრაქტული კონტროლის შემთხვევაში, პირთა წრე უფრო ფართოა და ძირითადად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და თანამდებობის პირებს მოიცავს, კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლისას კი პირთა წრე შეზღუდულია და ძირითადად იმ პირებს მოიცავს, რომელთა კონსტიტუციურ უფლებებსაც გასაჩივრებული აქტი არღვევს. საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებისა და საქართველოს სამართლებრივი სისტემის თავისებურებების გათვალისწინებით მიზანშეწონილია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სრული კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის უფლებამოსილება გააჩნდეს ფიზიკურ პირსა და იურიდიულ პირს.

3. საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო პრაქტიკა სამართალწარმოების პროცესში კანონიერი ინტერესების დამცველის - ადვოკატის ჩართვას მოსარჩელის კანონიერი ინტერესების ეფექტიანად დაცვის საშუალებად განიხილავს. კანონიერი ინტერესების დამცველის სავალდებულობის მიმართ არაერთგვაროვანი მიდგომებია გავრცელებული. ძირითადი გამოწვევები, რომელიც საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში კანონიერი ინტერე-

სების დამცველის სავალდებულო მონაწილეობას უკავშირდება, საკონსტიტუციო საკითხებში კანონიერი ინტერესების დამცველთა სპეციალიზაციის არარსებობას და ფინანსურად მოწყვლადი ჯგუფებისთვის კანონიერი ინტერესების დამცველის აყვანისთვის საჭირო ფინანსური რესურსების მობილიზებას შეეხება. აღნიშნული გარემოებებისა და საქართველოს კანონმდებლობით წარმომადგენლის საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში ჩართვასთან დაკავშირებული მიდგომების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის იდენტური რეგულირება შენარჩუნდეს და საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში, მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დამცველით წარმოდგენის ნებაყოფლობითი სისტემა გავრცელდეს სრული კონსტიტუციური სარჩელის მიმართაც.

4. საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა საკონსტიტუციო სამართალწარმოებაზე ხელმისაწვდომობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტად სასარჩელო წარმოების პროცესში მოსარჩელის ფინანსურ ვალდებულებებს განიხილავს. როგორც წესი, საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველი საქმეები თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ან დგინდება მისი გონივრული ოდენობა, რომელიც განისაზღვრება ორი მნიშვნელოვანი ინტერესის დაბალანსებით: დაუსაბუთებელი სარჩელების პრევენცია და ფინანსურად მოწყვლადი ჯგუფებისათვის საკონსტიტუციო სამართალწარმოებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამ თვალსაზრისით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში დადგენილი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა საქართველოს იმ ქვეყნებს მიაკუთვნებს, რომლებიც სახელმწიფო ბაჟს განსაზღვრავენ საკონსტიტუციო სამართალწარმოებისათვის, თუმცა ბაჟის არსებული ოდენობა ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო ბაჟის დაწესების ლეგიტიმურ საჯარო მიზანს - მოსარჩელეთა მიერ სასარჩელო წარმოებით მოსალოდნელი ფინანსური რისკის ჩამოყალიბებას და საკონსტიტუციო სასამართლოში სათანადოდ დასაბუთებული სარჩელების წარდგენას. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველი საქმეები მთლიანად გათავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟისგან და დაუსაბუთებელი სარჩელების პრევენცია საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში დადგენილი მკაფიო და მკაცრი სხვა წინაპირობებით მოხდეს ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ადეკვატური ოდენობით განისაზღვროს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, რა დროსაც გათვალისწინებული იქნება, ერთი მხრივ, მოსარჩელეთა ფინანსური მდგომარეობა, ხოლო მეორე მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვის საფრთხე.

5. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას მნიშვნელოვანია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები მკაფიოდ იყოს რეგლამენტირებული და საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის შეფასებით შემოიფარგლებოდეს. საკონსტიტუციო სასამართლო არ უნდა იქცეს კიდევ ერთ დამატებით ინსტანციად, რომელიც ფაქტების შეფასებას მოახდეს. საკონსტიტუციო სასამართლო საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებას ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის პრიზმაში უნდა ხედავდეს და ყურადღების მიღმა ტოვებდეს იმ ტიპის შესაძლო დარღვევებს, რომელთაც არ გააჩნიათ საკონსტიტუციო მნიშვნელობა. მხოლოდ ამგვარი „კომპეტენციური ასკეტიზმის" პირობებში შეძლებს საკონსტიტუციო სასამართლო საერთო სასამართლოების სისტემისგან მისი ინსტიტუციური როლის გამიჯვნას, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის თვალსაზრისით მისი კომპეტენციური მანდატისა და საქმიანობის ეფექტიანობის შენარჩუნებას.

6. ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის მსგავსად, სრული კონსტიტუციური სარჩელის განხილვის წინაპირობაც მოსარჩელისათვის სადავო აქტის პირდაპირი და მყისიერი ზიანის ფაქტია. მხოლოდ მოსარჩელეა უფლებამოსილი იდავოს საკონსტიტუციო სასამართლოში მისი დარღვეული ძირითადი უფლების თაობაზე. ამასთან, სადავო აქტი კონსტიტუციურ უფლებებს უნდა არღვევდეს არა გაურკვეველ მომავალში, არამედ ამგვარი ხელყოფა მიმდინარე ან უახლოეს მომავალში გარდაუვლად განჭვრეტადი უნდა იყოს. აღნიშნული უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოში მხოლოდ დასაბუთებული სარჩელების წარდგენას და მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას, ძირითადი უფლებების არა აბსტრაქტულად, არამედ რეალურად დაცვას.

7. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა ამ ტიპის სასარჩელო წარმოების სუბსიდიური ბუნებაა. კონკრეტულ საქმეზე საკონსტიტუციო სამართალწარმოება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხორციელდება, თუ მოსარჩელეს ამოწურული აქვს უფლების დაცვის ყველა სხვა სამართლებრივი საშუალება. სამართლებრივი საშუალებების ამოწურვაში გასაჩივრების ყველა შესაძლებლობის სავალდებულო წესით გამოყენება და საქმის სასამართლოს ბოლო ინსტანციამდე წარდგენა იგულისხმება, ასეთი შესაძლებლობის არსებობის პირობით. აღნიშნული პრინციპი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოიყენება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სამართალწარმოების პროცესის იდენტურად. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 35-ე მუხლის მიზნებისთვის, საკონსტიტუციო სასამართლო,

ქვეყნის ეროვნულ დონეზე, უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებად განიხილება. ამდენად, სრული კონსტიტუციური სარჩელის სუბსიდიურობის პრინციპის საფუძველზე განხილვა საკონსტიტუციო სასამართლოს საკონსტიტუციო მანდატის შესაბამისია და უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი ამ ფარგლებში საქმიანობის შესაძლებლობა. ამასთან მნიშვნელოვანია, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებდეს გამონაკლისს სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის მოთხოვნიდან, იმ შემთხვევაში, თუ ამ პირობის დაცვამ შესაძლოა ადამიანის ძირითადი უფლებების გამოუსწორებელი დარღვევა გამოიწვიოს.

8. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ვადების რეგლამენტირება. სამართლებრივი სტაბილურობის მიზნიდან გამომდინარე აუცილებელია, დადგინდეს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი სრული კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის ვადა და მისი ხანგრძლივობა განისაზღვროს არაუგვიანეს 60 დღით საერთო სასამართლოების მიერ მიღებული, იმ საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან, რომლითაც ამოიწურება ეროვნული მასშტაბით საერთო სასამართლოებში სადავო აქტის გასაჩივრების შესაძლებლობა. ასევე მნიშვნელოვანია სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების ვადა, რომელიც საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკის შესაბამისად, უნდა უზრუნველყოფდეს საქმის სრულყოფილად შეფასების, სამართალწარმოების სწრაფად და ეფექტიანად განხორციელების შესაძლებლობას. ამ თვალსაზრისით საქართველოში დადგენილი სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების პროცედურა, ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის მიმართ, თავსებადია ევროპულ გამოცდილებასთან და გამოსადეგი სრული კონსტიტუციური სარჩელის მიმართ, თუმცა პრობლემურია გადაწყვეტილების მიღების ვადა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, სრული კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანის ვადა კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 45 დღის ხანგრძლივობით განისაზღვროს; და ბოლოს, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადის რეგლამენტირება ქვეყნის შიდაეროვნული და საერთაშორისოსამართლებრივი მექანიზმებით, კონსტიტუციური უფლებების დაცვის ინტერესსა და ეფექტიანი სამართალწარმოების განხორციელების აუცილებლობას უკავშირდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, სრული კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განხილვის ვადის მიმართ გავრცელდეს ნორმატიული კონსტიტუციური კონტროლის ფარგლებში, სარჩელის არსებითად განხილვის ვადასთან დაკავშირებული საკანონმდებლო მიდგომა

და შესაბამისი პროცედურა, ხოლო საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას, გადაწყვეტილების გონივრულ ვადაში მიღების აუცილებლობიდან გამომდინარე, საჭიროა, აღნიშნული ვადა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვის დასრულებისა და კოლეგიის/პლენუმის სათათბირო ოთახში გასვლის მომენტიდან არაუგვიანეს 3 თვის ხანგრძლივობით განისაზღვროს, განსაკუთრებულ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ამ ვადის 1 თვით გაგრძელების შესაძლებლობით.

9. საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვის პრევენციის უზრუნველყოფის საშუალებად საზღვარგარეთის ქვეყნებში დამკვიდრებულია უფლების ბოროტად გამოყენების ცნება, რომლისთვისაც შესაძლებელია ფინანსური სანქციაც კი იქნეს გათვალისწინებული. საქართველოს სამართლებრივი სისტემა არ ითვალისწინებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში უფლების ბოროტად გამოყენების ცნებას და მისი დამკვიდრებაც პრობლემურია რამდენიმე გარემოების გამო, რომელთაგან ორი მნიშვნელოვანი უნდა აღინიშნოს: საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესის ერთიანობის პრინციპიდან გამომდინარე, შეუძლებელია უფლების ბოროტად გამოყენების ცნება მხოლოდ სრული კონსტიტუციური სარჩელის მიმართ იქნეს დანერგილი. საკითხის გადაწყვეტა კომპლექსურ მიდგომას და მისი საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში, ყველა სასარჩელო წარმოებაში ჩართვის მიზანშეწონილობის შეფასებას მოითხოვს. კვლევის მიზანი კი მხოლოდ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტს უკავშირდება. ასევე გასათვალისწინებელია საქართველოში მოსარჩელეთა დაბალი ფინანსური შესაძლებლობა საკონსტიტუციო სამართალწარმოების განხორციელებისათვის, რასაც კიდევ უფრო დაამძიმებს უფლების ბოროტად გამოყენებისათვის ფინანსური სანქციების შემოღება, რისი განხორციელების აუცილებლობასაც აღნიშნული ინსტიტუტი განაპირობებს. გარდა ამისა, იმ საფრთხეების პრევენციას, რომელსაც აღნიშნული მექანიზმი ისახავს მიზნად, ნაშრომში განხილული სხვა საშუალებები უზრუნველყოფენ და ამ ცნების შემოღების კრიტიკული აუცილებლობა არ არსებობს.

10. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას მნიშვნელოვნად იზრდება საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელების რაოდენობა, რაც საფრთხეს უქმნის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობას და ქმნის მისი გადატვირთვის საფრთხეს. ამ რისკის თავიდან აცილების მიზნით, საზღვარგარეთის ქვეყნებმა მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელეს სასარჩელო წარმოებისათვის მყარი წინაპირობების დანერგვის თვალსაზრი-

სით, რომელთა შორისაც აღსანიშნავია სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე პასუხისმგებელი ძლიერი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება. შესწავლილი ქვეყნების პრაქტიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, სრული კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განხილვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება გააჩნდეს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიას (ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში - პლენუმს). აღნიშნული სისტემა შეესაბამება საქართველოში ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას სარჩელის წარმოებაში მიღების პროცედურას, რის გამოც, საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი უფლებამოსილების საქართველოში დანერგვა ეფექტიანად მოხდება.

11. საქმის ყოველმხრივი განხილვის ინტერესიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესი გონივრულ ვადებში უნდა განხორციელდეს. თუმცა ყველაზე მცირე ვადების დაწესების შემთხვევაშიცაა შესაძლებელი, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, ძირითადი უფლების დარღვევის რისკი. ამ საფრთხის პრევენციისთვის, საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა გააჩნდეს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებიდან მოსარჩელისათვის მოსალოდნელი საფრთხის დროებითი ღონისძიებებით თავიდან აცილების შესაძლებლობა. ამგვარი მექანიზმი საერთო სასამართლოების გადაწყვეტილების მოქმედებისა და მისი აღსრულების შეჩერებაა. საკონსტიტუციო სასამართლოს ასევე უნდა გააჩნდეს დისკრეცია, გააუქმოს საკუთარი გადაწყვეტილება შეჩერების თაობაზე, თუ აღარ არსებობს უფლების დაცვის ამ დროებითი ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. აღნიშნული მექანიზმების წარმატებულად განხორციელების მიზნით მნიშვნელოვანია უფრო მოქნილი და ეფექტიანი მექანიზმი შემუშავდეს ვიდრე ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებისა და მისი აღსრულების შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება გააჩნდეს არამხოლოდ პლენუმს, არამედ კოლეგიასაც, რომელიც ამავდროულად გადაწყვეტილებას იღებს სარჩელის არსებითად განსახილველად წარმოებაში მიღების თაობაზე.

12. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას განსაკუთრებით იზრდება საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვიანობა, რაც მისი გადატვირთვის რისკს ზრდის. აღნიშნული საფრთხის პრევენციის მნიშვნელოვან მექანიზმს, სხვა საშუალებებთან ერთად, სარჩელის არსებითად განხილვის პროცედურა ითვალისწინებს. კერძოდ, სრული კონსტიტუციური სარჩელის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე ხორციელდება, რაც ხელს უწყობს პროცესის ეკონომიურობას, საკითხის გონივრულ ვადებში გა-

ნხილვას და გადაწყვეტილების მიღებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სრული კონსტიტუციური სარჩელის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე ხორციელდებოდეს.

13. საკონსტიტუციო სასამართლოში სასარჩელო წარმოების შეწყვეტა გასაჩივრებულ აქტს იურიდიულ ძალაში ტოვებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული საკონსტიტუციო სამართალწარმოების შეწყვეტის წინაპირობები. საკითხის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია, მისი კომპლექსური შეფასება მოხდეს საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის სხვა ფორმებთან მიმართებით და ჩამოყალიბდეს ერთიანი მიდგომა. ნორმატიული კონსტიტუციური სარჩელის თაობაზე საკონსტიტუციო სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძვლებს შორის, საქართველოს კანონმდებლობა გამოყოფს მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმას, გასაჩივრებული აქტის გაუქმებას ან ძალადაკარგულად ცნობას. აღნიშნული სამი წინაპირობიდან, სრულ კონსტიტუციურ სარჩელთან მიმართებით რელევანტურია მხოლოდ პირველი საფუძველი, ხოლო დანარჩენი ორი, მათივე სამართლებრივი ბუნებისა და მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის სუბსიდიური ხასიათის გამო, გამოირიცხება.

14. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მბოჭავი ძალა და პირდაპირი გავლენა ექნება საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე. აღნიშნული გადაწყვეტილებების არაკონსტიტუციურად გამოცხადება გამოიწვევს მათი იურიდიული ძალის დაკარგვას და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსის გათვალისწინებით, საერთო სასამართლოების მიერ საქმის ხელახლა განხილვის აუცილებლობას. საერთო სასამართლოების მიერ საქმის ხელახლა განხილვის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას გააჩნდეს ახლად გამოვლენილი (ახლად აღმოჩენილი) გარემოების მნიშვნელობა სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობაში, რისი გათვალისწინებითაც, აუცილებელია, განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.

15. საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტის დღევანდელი რედაქციით, არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის იურიდიული ძალის დაკარგვის უფრო გვიანდელ ვადას. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებად მიიჩნევა მისი სრული ტექსტის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქ-

ვეყნება. სრული კონსტიტუციური სარჩელის დანერგვა გამოიწვევს საერთო სასამართლოების არაკონსტიტუციურად ცნობილი გადაწყვეტილების მიმართ, იმავე იურიდიულ შედეგებს, რასაც მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის შემთხვევაში. აღნიშნულის გათვალისწინებით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის არსებული წესი უნდა გავრცელდეს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე, საკონსტიტუციო კონტროლის მიმართაც. რაც შეეხება კანონის უკუძალის საკითხს, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას შესაძლოა ჰქონდეს არანამდვილი უკუძალა, მაგრამ გამოირიცხება მისთვის ნამდვილი უკუძალის მინიჭების შესაძლებლობა, რაც ასევე დამახასიათებელია ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის პროცესისთვის.

16. საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება ხელისუფლების ორგანოების მიერ ინსტიტუციურ პატივისცემას უკავშირდება. მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე პირდაპირ გავლენას ახდენს და ბოჭავს სასამართლო ხელისუფლებას. ამდენად, ინსტიტუტის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის, მნიშვნელოვანია, რომ განსახილველი უფლებამოსილების ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლო საერთო სასამართლოების მხრიდან აღქმული იყოს როგორც ძირითადი უფლებების დაცვის საკონსტიტუციო გარანტი, რომლის საქმიანობაც ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.

17. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრება საკანონმდებლო ცვლილებებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი პრაქტიკის ჩამოყალიბების გარდა მოითხოვს შესაბამისი ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელებასაც. ამ ღონისძიებების მიზანი ახალი უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფაა, რომელიც საფრთხის ქვეშ შეიძლება აღმოჩნდეს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვიანობის ზრდის პირობებში. ამ რისკის პრევენციისათვის მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს ადამიანური რესურსებით გაძლიერება და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ახალი პერსონალის მოწვევა, რომელთა საქმიანობაც მიმართული იქნება ახალი უფლებამოსილების ეფექტიანად დანერგვისა და განხორციელების უზრუნველყოფაზე. აღნიშნულის გარდა, მნიშვნელოვანია, იმ პირთა რაოდენობის გაზრდა, რომ-

ლებიც სრული კონსტიტუციური სარჩელების დასაშვებობასა და შესაბამისი გადაწყვეტილებების პროექტების მომზადებაზე იმუშავებენ. საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვასთან დაკავშირებული რისკების თავიდან აცილების მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ სამამდე გაიზარდოს კოლეგიათა რაოდენობა, რაც ასევე უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიებში წარმდგენი სუბიექტის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა თანაბარ გადანაწილებას. და ბოლოს, აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია, რომ განისაზღვროს 1 წლიანი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოხდება საკონსტიტუციო სასამართლოს სისტემის მომზადება ახალი უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელების მიზნით.

გასათვალისწინებელია, რომ ნაშრომში წარმოდგენილი სამართლებრივი რეკომენდაციების კვალდაკვალ, მნიშვნელოვანია პოლიტიკური ნების ფორმირებაც და ინსტიტუტის დანერგვის თაობაზე საერთო აზრის კონსოლიდაცია. აღნიშნული, კანონმდებლის მიერ საქართველოში ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სტანდარტის ნაკლოვანებების გაცნობიერებას და მათი აღმოფხვრისთვის გაბედული ნაბიჯების გადადგმას უკავშირდება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აგრეთვე, სამეცნიერო წრეების აქტიურობას და ინსტიტუტის მნიშვნელობის თაობაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას უკავშირდება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით, მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ჩამოყალიბდება საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოდ, რომელიც უკეთ უზრუნველყოფს კონსტიტუციური კანონიერების დაცვას, სამართლებრივი სისტემის მდგრადობას, სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს შორის სამართლებრივი დიალოგის ჩამოყალიბებას და კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფას. საკონსტიტუციო სასამართლო იქცევა კონსტიტუციური უფლებების დაცვის ეფექტიან შიდაეროვნულ მექანიზმად, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას საქართველოში.

დანართი 1.

<u>პროექტი</u>

საქართველოს კონსტიტუციური კანონი
„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს კონსტიტუციის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995, N31-33, მუხ. 668) მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს დაემატოს „ა[1]“ პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ა)[1] პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს საერთო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით;“.

მუხლი 2.
კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 1 წლის შემდეგ.[817]

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

[817] კანონის პროექტის ძალაში შესვლის თარიღის საკანონმდებლო ფორმულირება პირობითია და მიზნად ისახავს მართლმსაჯულებაზე საკონსტიტუციო კონტროლის დანერგვის მიზნით, საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციური მომზადებისთვის 1 წლის განსაზღვრას.

დანართი 2.

<u>პროექტი</u>

საქართველოს ორგანული კანონი
„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (პარლამენტის უწყებანი, №001, 27.02.1996, გვ. 8) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. ა) მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „1. საკონსტიტუციო სასამართლო შედგება პლენუმისა და სამი კოლეგიისგან.“.
   ბ) მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „3. კოლეგიის შემადგენლობაშია საკონსტიტუციო სასამართლოს სამი წევრი. კოლეგიის სხდომებს უძღვებიან საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და მოადგილეები.“.
2. მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტს დაემატოს „ე[1])“ პუნქტი შემდეგი რედაქციით:
   „ე[1])“ საერთო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების კონსტიტუციურობა, კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით;“.
3. 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „2. ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“, „ე“, „ე[1]“, „ზ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია.“.

4. 39-ე მუხლს დაემატოს 39[1] მუხლი შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 39[1].**

1. საერთო სასამართლოების ბოლო ინსტანციის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეებს, სხვა ფიზიკურ პირებს და იურიდიულ პირებს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ საერთო სასამართლოების ბოლო ინსტანციის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით/განჩინებით (განაჩენით) დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი.

2. კონსტიტუციური სარჩელის შეტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ბოლო ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების/გან-

ჩინების (განაჩენის) კანონიერ ძალაში შესვლიდან 60 დღეს. თუ აღნიშნული ვადა გასულია მოსარჩელისგან დამოუკიდებელი ხელისშემშლელი გარემოებების გამო, საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანა უნდა მოხდეს ამ გარემოებების აღმოფხვრიდან 2 კვირის ვადაში. კონსტიტუციურ სარჩელს თან უნდა ახლდეს ხელისშემშლელი გარემოებების შესახებ შესაბამისი მტკიცებულებები.

3. კონსტიტუციური სარჩელის შეტანამდე ამოწურული უნდა იყოს უფლების დაცვის ყველა სხვა სამართლებრივი საშუალება. თუ სამართლებრივი საშუალებების ამოწურვამ შესაძლოა გამოიწვიოს ძირითადი უფლებების მძიმე და გამოუსწორებელი დარღვევა, კოლეგია/პლენუმი უფლებამოსილია სამართლებრივი საშუალებების ამოწურვამდე მიიღოს სარჩელი არსებითად განსახილველად 31^2 მუხლით დადგენილი წესით.

4. თუ კოლეგია/პლენუმი მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია ერთ-ერთი მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, შეუძლია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე ან უფრო ნაკლები ვადით შეაჩეროს სადავო აქტის მოქმედება ან მისი აღსრულება.

5. კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების თაობაზე კოლეგიას/პლენუმს გადაწყვეტილება გამოაქვს კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 45 დღის ვადაში.

6. საკონსტიტუციო სასამართლო ამ მუხლით განსაზღვრულ კონსტიტუციურ სარჩელს განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე.

7. საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კოლეგიის/პლენუმის მიერ საქმის არსებითად განხილვის დასრულებისა და სათათბირო ოთახში გასვლიდან 3 თვის ვადაში. განსაკუთრებულ შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღების ვადას არა უმეტეს 1 თვით აგრძელებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.“.

5. 45-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია უფლებამოსილია განიხილოს კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება სულ ცოტა ორი წევრი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 1 წლის შემდეგ.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

დანართი 3.

<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (პარლამენტის უწყებანი, №47-48, 31.12.1997, გვ. 21) 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტს დაემატოს „ვ^{1}“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ვ^{1})“ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო საერთო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება/განჩინება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 1 წლის შემდეგ.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №31, 03.11.2009, მუხ. 190) 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტს დაემატოს „$დ^1$“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„$დ^1$)“ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო საერთო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი/განჩინება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 1 წლის შემდეგ.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა

ბაბეკი ვოლფგანგ, კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში, თბილისი, 2002

ბეჟაშვილი ლევან, საკანონმდებლო ტექნიკა, სამართალშემოქმედების მეთოდური სახელმძღვანელო, თბილისი, 2012

ბეჟიტაშვილი ოთარ, საკონსტიტუციო კონტროლი იტალიაში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, N2, 1997

გეგენავა ავთანდილ, გეგენავა დიმიტრი, დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და კანონმდებლობის ნორმატიული შიმშილი, კრებულში: „ბესარიონ ზოიძე 60“, დ. გეგენავას და ს. ჯორბენაძის რედაქტორობით, 2016

გეგენავა დიმიტრი, ზოგიერთი ცნების მართებულობის საკითხისათვის ქართულ საკონსტიტუციო სამართალში, წიგნში: ზურაბ ახვლედიანი 80, ზ. ძლიერიშვილისა და ს. ქავთარაძის რედაქტორობით, თბილისი, 2013

გეგენავა დიმიტრი, კონსტიტუციის განმარტება და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტი, „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“, N1, 2013

გეგენავა დიმიტრი, საკონსტიტუციო იდენტობის გაგებისთვის, კრებულში: „სერგო ჯორბენაძე 90“, ს. ჯორბენაძის რედაქტორობით, თბილისი, 2019

გეგენავა დიმიტრი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012

გეგენავა დიმიტრი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც პოზიტიური კანონმდებელი, მოხსენება კონფერენციისთვის: „სერგო ჯორბენაძე 90“, თბილისი, 2017

გეგენავა დიმიტრი, ჯავახიშვილი პაატა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო: პოზიტიური კანონმდებლობის მცდელობა და გამოწვევები, კრებულში: „ლადო ჭანტურია 55“, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018

გენაძე გია, საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, N1, 1998

გუჩმაზაშვილი დავითი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალა, კრებულში: „ლადო ჭანტურია 55“, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018

დემეტრაშვილი ავთანდილ, კობახიძე ირაკლი, კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2010

დიური შნუც რუდოლფ, საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ევროპული სისტემების შედარებითი მიმოხილვა, პ. ჯავახიშვილის თარგმანი, „სამართლის ჟურნალი“, N2, 2017

ევროპის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოები, შედარებითი კვლევა, საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური დეპარტამენტი, 2014

ერემაძე ქეთევან, თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, საკონსტიტუციო კონტროლის 20 წელი საქართველოში, თბილისი, 2018

ერემაძე ქეთევან, ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, თბილისი, 2013

ერემაძე ქეთევან, კონსტიტუციური კანონის კონსტიტუციურობის შეფასების პერსპექტივები, კრებულში: „ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა", კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2013

ერქვანია თინათინ, კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის ხარვეზები საქართველოში - ე.წ. „რეალური" კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სისტემაში ინტეგრაციის შესახებ, კრებულში: „ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში", კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2017

ერქვანია თინათინ, ნორმატიული საკონსტიტუციო სარჩელი, როგორც კონკრეტული საკონსტიტუციო სარჩელის არასრულყოფილი ფორმა საქართველოში, თბილისი, 2014

ზაალიშვილი ნატო, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციური კონტროლის საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველოში მისი დამკვიდრების პერსპექტივა, იხ., <http://www.parliament.ge/files/legal_issues/publications/saerto_sasamartloebi.pdf>

ზოიძე ბესარიონ, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007

ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2019, 7.

კაპანაძე მარინე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიული ეფექტი, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა", 2016

კახიანი გიორგი, საკონსტიტუციო კონტროლის ზოგიერთი თეორიული ასპექტი, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N4, 2005

კახიანი გიორგი, საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2008

კახიანი გიორგი, საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში - თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბილისი, 2011

კვერენჩხილაძე გიორგი, კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა და საკონსტიტუციო იუსტიციის მოდელები (ზოგიერთი თეორიული საკითხი), ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N3, 2006

კვერენჩხილაძე გიორგი, საკონსტიტუციო კონტროლი საფრანგეთში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, N2, 1997

კვერენჩხილაძე გიორგი, მელქაძე ოთარ, საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, თბილისი, 1997

ლოლაძე ბესიკ, უკუძალის საკითხის მართებული განმარტების მნიშვნელობა ძირითადი უფლებების სფეროში, კრებული: „ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში“, კ. კორკელიას რედაქტორობით, 2017

მელქაძე ოთარ, „საკონსტიტუციო კონტროლი“ - ტერმინის არსებითი მნიშვნელობის შესახებ, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, N1, 1998

მელქაძე ოთარ, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2008

მელქაძე ოთარ, გონაშვილი ვასილ, საკონსტიტუციო ზედამხედველობა და კონტროლი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, N1, 1999

მელქაძე ოთარ, დვალი ბექა, სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქეყნებში, თბილისი, 2000

მენაბდე ვახუშტი, კონკრეტული კონტროლის პარადიგმა კონსტიტუციონალიზმში, კრებულში: „ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები“, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2010

მო დიდიე, უცხო ქვეყნის სასამართლო პრაქტიკის გამოყენება და დიალოგი საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N2, 2010

ნაკაშიძე მალხაზ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემები, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, N1, 2009

ნიშნიანიძე ნინო, კონსტიტუციური იუსტიციის ფილოსოფიური შემეცნების საკითხისათვის, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, N2, 1997

პაკტე პიერ, მელენ-სუკრამანიანი ფერდინან, კონსტიტუციური სამართალი, ავ. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012

რამიშვილი ნინო, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საკითხები კონსტიტუციონალიზმში, თბილისი, 2005

საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, სამეცნიერო რედაქტორი პ. ტურავა, თბილისი, 2013

საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მეოთხე გამოცემა, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2016

სულაქველიძე დავით, სისხლის სამართლის კანონის უკუძალის შესახებ – კომენტარი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, 2010

ტუღუში თეიმურაზ, ბურჯანაძე გიორგი, მშვენიერაძე გიორგი, გოცირიძე გიორგი, მენაბდე ვახუშტი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013

ფედერალისტის წერილები, N78, 1788, იხ., http://federalistpapers.ge/federalistebi7.php

ფირცხალაშვილი ანა, საკონსტიტუციო სასამართლოს რეალური კონტროლი კვლავ კონსტიტუციის გადასინჯვის მიღმა, ჟურნ. „აკადემიური მაცნე", სპეციალური გამოცემა, 2017

ფუტკარაძე იაკობ, სასამართლო ხელისუფლება და ძირითადი უფლებები საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა", 2009, N1

შაიო ანდრაშ, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003

შარაშიძე მიხეილ, ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის თავისებურებანი ნორმათკონტროლის კომპეტენციის განხორციელების სფეროში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N3, 2003

შარაშიძე მიხეილ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის „რეალური" კონსტიტუციური სარჩელების უფლებამოსილების მინიჭების პერსპექტივები, წიგნში: ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2010

შვაბე იურგენ, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ე. ჩაჩანიძის თარგმანი, კ. კუბლაშვილის, თ. ნინიძის, ბ. ლოლაძის და ქ. ერემაძის რედაქტორობით, თბილისი, 2011

შვარცი ჰერმან, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003

შულაია სალომე, ევროპულ სახელმწიფოთა საკონსტიტუციო სასამართლოები - ეროვნულ დონეზე საქმის წარმოების ბოლო ინსტანცია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმის განხილვამდე, კრებულში: „ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები", კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2009

ცნობილაძე პაატა, ხუბუა გიორგი, ხმალაძე ვახტანგ, მეტრეველი ნანა, კაპანაძე ოთარ, როგორ იქმნება კანონი, თბილისი, 2000

ხეცურიანი ჯონი, დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ, თბილისი, 2006

ხეცურიანი ჯონი, საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017 წ.) და საკონსტიტუციო სასამართლო, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი", სპეციალური გამოცემა, N1/2018

ხეცურიანი ჯონი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2020

ხეცურიანი ჯონი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, თბილისი, 2016

ხეცურიანი ჯონი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N4, 2011

ხუბუა გიორგი, საკონსტიტუციო სასამართლო სამართალსა და პოლიტიკას შორის, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N9, 2016

ხუბუა გიორგი, სამართლის თეორია, თბილისი, 2004

ხუბუა გიორგი, ტრაუტი იოჰანეს, კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001

ჯავახიშვილი პაატა, თვითინიციატივასა და შეჯიბრებითობას შორის: ერთი გადაწყვეტილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან, კრებულში: „ავთანდილ დემეტრაშვილი 75“, დ. გეგენავას და მ. ჯიქიას რედაქტორობით, თბილისი, 2017

ჯავახიშვილი პაატა, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციო კონტროლი: სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების გამოცდილება და პერსპექტივები, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2016.

ჯავახიშვილი პაატა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2017

ჰაფელინი ულრიხ, ჰალერი ვალტერ, კელერი ჰელენ, ტურნჰერი დანიელა, შვეიცარიის ფედერალური სახელმწიფო სამართალი, მე-9 გამოცემა, გ. ჯიმშელეიშვილის თარგმანი, 2016

Analysis of Statistics 2019, European Court of Human Rights, 2020, 4/61. იხ., https://www.echr.coe.int

Antos Marek, Constitutional Complaint and Its Limits in The Czech Republic, 2012

Barnet Richard J., The Protection of Constitutional Rights in Germany, Virginia Law Review, Vol. 45, 1959

Benatuil Eduardo, The Amparo: Analysis of the Process for Adjudicating Constitutional Claims to Healthcare in the Republic of Costa Rica, Duquense Law Review, Vol. 56, 2018

Bermann George A., Murbury v. Madison European Union „constitutional“ Review, 2004

Buquicchio Gianni, Review and Way Forward for the Individual Application System, Seven Years on Istanbul, Venice Commission, 2019

Buquicchio Gianni, Dürr Schnutz Rudolf, Constitutional Courts - The living Heart of the Separation of Powers, The role of the Venice Commission in promoting

Constitutional Justice, in Raimondi, Guido et al. eds. Essays in honour of Judge Luis Lopez Guerra, 2018

Borowski Martin, The Beginnings of Germany's Federal Constitutional Court. Ratio Juris, Vol. 16, N2, 2003

Cakmak Cenap, Dinc Cengiz, Constitutional Court: Its Limits to Shape Turkish Politics, Insight Turkey, Vol. 12, N4, 2010

Cardinal Paulo, The Writ of Amparo, A New Lighthouse for The Rule of Law in the Philippines?, Philippine Law Journal, Vol. 87, 2013

Chakim Lutfi M., A Comparative Perspective on Constitutional Complaint: Discussing Models, Procedures, and Decesions, Constitutional Review, Vol. 5, 2019

Comella Victor Ferreres, The Spanish Constitutional Court: Time for Reforms, Journal of Comparative Law, N3(2), 2008

Constitutional Court of Azerbaijan, „AACC Member Fact File: Constitutional Court of Azerbaijan," in The Jurisdictions and Organization of AACC members, ed. AACC SRD (Seoul: AACC SRD, 2018)

Croissant Aurel, Provisions, Practices and Performances of Constitutional Review in Democratizing East Asia, The Pacific Review, Vol. 23, N5, 2010

Cvetkovski Cvetan, The Constitutional-Judicial Control of the Legislative and Executive Powers in Central and Eastern Europe Countries, 1999

Dannemann Gerhard, Constitutional Complaints: The European Perspective, The international and Comparative Law Quarterly 43, N1, 1994

Dürr Schnutz Rudolf, Improving Human Rights Protection on the National and The European Levels - Individual Access to Constitutional Courts, Studii Si Anticole, 2015

Ekinci Husein, Saglam Musa, Individual Application to the Turkish Constitutional Court, Ankara, 2015

Elster John, On Majoritarianism and Rights, East European Constitutional Review, N3, 1992

Faiz Pan Mohamad, A Prospect and Challenges for Adopting Constitutional Complaint and Constitutional Question in the Indonesian Constitutional Court, Constitutional Review, Vol. 2, 2016

Fasone Cristina, Constitutional Courts Facing the Euro Crisis. Italy, Portugal and Spain in a Comparative Perspective, EUI Working Papers, European University Institute, MWP N2014/25, 2014

Fernandes de Andrade Gustavo, Comparative Constitutional Law: Judicial Review, Journal of Constitutional Law, 2001

Finck Danielle, E., Judicial Review: The United States Supreme Court Versus the German Constitutional Court, Boston College International and Comparative Law Review,1997

Fremuth Michael Lysander, Patchwork Constitutionalism: Constitutionalism and Constitutional Litigation in Germany and beyond the Nation State - A European Perspective, Duquesne law Review, Vol. 49, N2, 2011

Frosini Justin O., Pegoraro Lucio., Constitutional Courts in Latin America: A Testing Ground for New Parameters of Classification, Journal of Comparative Law, Vol 3, N2, 2008

Ganev Vanelin I., The Rise of Constitutional Adjudication in Bulgaria, Constitutional Justice, East and West: Democratic Legitimacy and Constitutional Courts in Post-Communist Europe in a Comparative Perspective, 2003

Gardos-Orosz Fruzsina, The Hungarian Constitucional Court in Transition – from Actio Popularis to Constitutional Complaint, 2012

Garlicki Lech, Constitutional Courts Versus Supreme courts, International Journal of Constitutional Law, Vol. 5, N1, 2007

Gelazis Nida, Defending Order and Freedom: The Lithuanian Constitutional Court in its First Decade, Constitutional Justice, East and West, 2003

Gentili Gianluca, A Comparison of European Systems of Direct Access to Constitutional Judges: Exploring Advantages for The Italian Constitutional Court, Italian Journal of Public Law, Vol. 4, 2012

Gegenava Dimitry, Unconstitutional Constitutional amendment: Three Judgments from The Practice of the Constitutional Court of Georgia, South Caucasus Law Journal, N5/2014

German Federal Constitutional Court, Annual Statistic 2018, published 2019

German Federal Constitutional Court, „How to Lodge the Constitutional Complaint.“ 2018

Ginsburg Tom, Constitutional Courts in East Asia: Understanding Variation. Journal of Comparative Law, N3(2), 2008.

Goldoni Marco, At the Origins of Constitutional Review: Sieyès' Constitutional Jury and the Taming of Constituent Power, Oxford Journal of Legal Studies, Vol. 32, N2, 2012

Gonenc Levent, Proposed Constitutional Amendments to the 1982 Constitution of Turkey, 2010

Greer Steven, Wildhaber Luzius, Revisiting the Debate About „Constitutionalizing“ The European Court of Human Rights, Human Rights Law Review N12, 2012

Guillen Lopez Enrique, Judicial Review in Spain: The Constitutional Court, 2008

Harding Andrew, Leyland Peter, The Constitutional Courts of Thailand and Indonesia: Two Case Studies from South East Asia, Journal of Comparative Law Vol. 3(2), 2008

Hausmaninger Herbert, Judicial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany and Russia, Tulane European and Civil Law Forum, 1997

Hazama Yasushi, Constitutional Review in Turkey: Multilevel Analysis, Researchmethods Cases, 2017

Henderson Jane, The Constitutional Court of the Russian Federation: The Establishment and Evolution of Constitutional Supervision of Russia, Journal of Comparative Law, N3(2), 2008

Kantorowiez Jaroslaw, Garoupa Nuno, An Empirical Analysis of Constitutional Review Voting in the Polish Constitutional Tribunal, 2003-2014, Springer Publishing, 2015

Karakamisheva Tanja, Constitutional Complaint – Procedural and Legal Instrument for Developmant of The Constitutional Justice (Case study – Federal Republic of Germany, Repyblic of Croatia, Republic of Slovenia and Republic of Macedonia), 1st Congress of the World Confe-rence on Constitutional Justice, Cape Town, 23–24 January 2009

Kommers Donald P., Miller Russel A., Das Bundesverfassungsgericht: Procedure, Practice and Policy of the German Federal Constitutional Court, Journal of Comparative Law, N3(2), 2008

Lacchi Clelia, Review by Constitutional Courts of the Obligation of National Courts of Last Instance to Refer a Prelimenary Question to the Court of Justice of the EU, Special Issue - Preliminary References to the CJEU Part Five, German Law Journal, Vol. 16(6), 2015

Lach Kasia, Sadurski Wojciech, Constitutional Courts of Central and Eastern Europe: Between Adolescence and Maturity, Journal of Comparative Law, Vol. 3, N2, 2008.

Limbach Jutta, The Role of The Federal Constitutional Court, SMU Law Review, Vol. 53, 2000.

Loren Ramos Anna, The Writ of Amparo and Habeas Data: Judicial Approaches to Human Rights Implementation in the Philippines, Law Asia Journal, 87, 2011

Martin Charles H., Comparative Human Rights Jurisprudence in Azerbaijan: Theory, Practice and Prospects, Journal of Transnational Law & Policy, College of Law The Florida State University, Tallahassee, 2005

Mavcic Arne Marjan, Individual Complaint as a Domestic Remedy to be Exhausted or Effective Within the Meaninig of The ECHR, Comparative and Slovenian Aspect, 2011

Örücü, Esin, The Constitutional Court of Turkey: The Anayasa Mahkemesi as the Protector of the System, Journal of Comparative Law, Vol. 3(2), 2008

Paczolay Peter, Report Introdaction to the Report of the Venice Commission on Inividual Access to Constitutional Justice, Conference on Individual Access to Constitutional Justice, Peru, 30-31 May, 2013

Palguna Gede Dewa, Constitutional Complaint and The Protection of Citizens The Constitutional Rights, Constitutional Review, 3, N1, 2017

Papuashvili Giorgi, Problematic Aspects of Interrelationship between the Constitutional and Ordinary Courts, 3

Patrono Mario, The Protection of Fundamental Rights by Constitutional Courts – A Comparative Perspective, 2000

Piqani Darina, Constitutional Courts in Central and Eastern Europe and Their Attitude towards European Integration, Vol.1, EJLS, N2, 2007.

Prakke Lucas C., Constitutional Law of 15 EU Member States, Edited by Prakke L., Kortmann C., Brandhof H., Burkens M., Calogeropoulos A., Craenen G., Frieden L., Gilhuis P., Ballin E., Koekkoek A., Kraan K., lunShof H., Meij J., Schagen J., Steenbeek J., Thill J., Deventer, 2004

Reiner Arnold, Constitutional Courts of Central and European Countries as a Dynamic Source of Modern Legal Ideas, Tulane European and Civil Law Forum, Vol. 18, 2003

Reiner Arnold, The Internationalization of the Protection of Fundamental Rights in Germany, Annales Universitatis Apulensis Series Jurisprudentia, 2018

Rupp Hans G., Judicial Review in The Federal Republic of Germany, 1960

Rupp Hans G., The Federal Constitutional Court and The Constitution of The Federal Republic of Germany, 1972

Sadurski Wojciech, Postcommunist Constitutional Courts in Search of Political Legitimacy, EUI Law, 2001/11

Safta Marieta, Developments in the Constitutional Review. Constitutional Court Between the Status of Negative Legislator and the Status of Positive Co-Legislator, Perspectives of Business Law Journal, Vol. 1, Iss. 1, 2012

Singer Michael, The Constitutional Court of The German Federal Republic: Jurisdiction Over Individual Complaints, 1982

Sólyom Laszlo, The Role of Constitutional Courts in the Transition to Democracy, with Special Reference to Hungary, International Sociology, Vol. 18, N1, 2003

Speech of Mr. Haşim KILIÇ, President of the Turkish Constitutional Court, Conference - The Best Practices of Individual Complaint to the Constitutional Courts in Europe, Paris, Strasbourg, 2014

Starck Christian, Constitutional Review in the Federal Republic of Germany, Translated by Ignaski J., Notre Dame International and Comparative Law Journal, Vol. 2, 1984

Stoichev Krassen, Constitutional Justice: Functions and Relationship with the other public authorities, National report prepared for the XVth Congress of the Conference of European Constitutional Courts by The Constitutional Court of the Republic of Bulgaria, Bucharest, 2011

Stone Sweet Alec, On the Constitutionalisation of the Convention: The European Court of Human Rights as a Constitutional Court, Yale Law School Legal Scholarship Repository, 2009

Stone Sweet Alec, Constitutional Courts, Yale Law School Legal Scholarship Repository, 2012

Stone Sweet Alec, Constitutional Courts and Parliamentary Democracy (Special Issue on Delegation), Yale Law School Legal Scholarship Repository, 2002

The Human Freedom Index 2020, A Global Measurement of Personal, Civil and Economic Freedom, CATO Institute and The Fraser Institute, 2020

Ulvan N. C., Constitutional Complaint and Individual Complaint in Turkey, Ankara Bar Review, 2013

Vanberg Georg, Constitutional Courts in Comparative Perspective: A Theoretical Assessment, Annual Review Political Scienses, 2015

Vanberg Georg, Legislative-Judicial Relations: A Game-Theoretic Approach to Constitutional Review, Florida State University, American Journal of Political Science, Vol. 45, N2, 2001

Wittig Elisabeth Caroline, Ideological Values and their Impact on the Voting Behavior of Justices of the Federal Constitutional Court of Germany, Thesis Master of Public Administration, 2009

Zagaris Bruce, The Amparo process in Mexico, Mexico Law Journal, Vol. 6, 1998

Zeidler Wolfgang, The Federal Constitutional Court of the Federal Republic of Germany: Decisions on the Constitutionality of Legal Norms, Notre Dame Law Review, Vol. 62, 1987

Zerk Jennifer A., Multinationals and Corporate Social Responsibility: Limitations and Opportunities in International Law, Cambridge University Press, 2006

Вида И., Юридическая Сила Толкования Конституции, „Конституционное Правосудие“, N2(28), 2005

Клишас Андрей, Конституционное Юстиция в Зарубежных Странах, Москва, 2004

Сравнительное Конституционное Право, Отв. Ред. В. Е. Чиркин, Москва, 2002

Сравнительное Конституционное Право, Под. Ред. А. И. Ковлера, В. Е. Чиркина, Ю. А. Юдина, Москва, 1996

სამართლებრივი აქტები

- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 1950
- ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია, 1789
- საქართველოს კონსტიტუცია, 1995
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, 1996
- საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“, 1996 [ძალადაკარგულია 21.07.17, N3265 ორგანული კანონით]
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“, 1998
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 1999
- საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, N302/1, 17 დეკემბერი, 2004.
- საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, 2009
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009
- საქართველოს კანონის პროექტი „მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის თაობაზე“, იხ., <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1924705?publication=0>
- საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 22 იანვრის N980/8 საკანონმდებლო წინადადება „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“
- საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, 2016 წლის 26 მაისი, N7256
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, 2016 წლის 3 ივნისი, N5161-რს
- Constitution of Albania, 1998
- Constitution of Armenia, 1995
- Constitution of Austria, 1920
- Constitution of Estonia, 1992
- Constitution of Columbia, 1991
- Constitution of Costa Rica, 1949
- Constitution of Chile, 1980

- Constitution of Czech Republic, 1992
- Constitution of Hungary, 2011
- Constitution of Mexico, 1917
- Constitution of Montenegro, 2007
- Constitution of the Philippines, 1987
- Constitution of Poland, 1997
- Constitution of Slovenia, 1991
- Constitution of Ukraine, 1996
- Constitution of the Azerbaijan Republic, 1995
- Constitution of the Bolivarian Republic of Venezuela, 1999
- Constitution of the Kingdom of Spain, 1978
- Constitution of the Republic of Serbia, 2006
- Constitution of the Republic of Turkey, 1982
- Constitution of the Russian Federation, 1993
- Constitution of the Slovak Republic, 1992
- Constitution of the Republic of Indonesia, 1945
- Constitution of the Republic of Croatia, 1990
- Constitution of the Republic of Latvia, 1922
- The Basic Law of the Federal Republic of Germany, 1949
- The Fundamental Law of Hungary, 2011.
- The Act of Constitutional Court of Hungary, 2011
- The Constitutional Court's Rules and Procedures of Hungary, 2017
- The Act on the Federal Constitutional Court of Germany, 1951
- Organic Law on The Constitutional Court of Spain, N2/1979
- The Act of the Electoral System of Spain
- Constitutional Court Act of Czech Republic, 1992
- The Law on Constitutional Court of Azerbaijan
- The Constitutional Act on the Constitutional Court of The Republic of Croatia, 2002
- Federal Constitutional Law on The Constitutional Court of The Russian Federation, 1994
- The Turkish Constitutional Court Act, 2011
- Code on Establishment and Rules of Procedures of the Constitutional Court of Turkey, 2011

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის N3/3/1526 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრი“, ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის N1/1/811 გადაწყვეტილება „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია“, სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“, სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში“ და სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის N2/7/1258 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ვაშაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის N3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის N2/15/1214 განჩინება საქმეზე „ააიპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის N3/6/642 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის N2/2/656 გადაწყვეტილება საქმეზე „სს სილქ როუდ ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის N3/1/855 განჩინება საქმეზე „ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალება „ნედლი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნებისთვის შეძენისა და შენახვის გამო“

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N2/6/623 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები - ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები - ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/7/580 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი კეკენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 13 აპრილის N3/1/633, 634 გადაწყვეტილება საქმეზე – „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის N3/1/708,709,710 განჩინება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის და 260-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება - გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნისთვის უკანონო შეძენა-შენახვის გამო“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი

სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის N3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის N1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე – „სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ «ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/3/601 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის N1/2/563 განჩინება საქმეზე „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის N3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/3/523 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გერონტი აშორდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის N2/2/508 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გევორქ ბაბაიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 29 დეკემბრის N2/4/507 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი თარგამაძე, გიორგი ლეკიშვილი, ინგა გრიგოლია და ჯაბა სამუშია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-3
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის N1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის N1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: ახალი მემარჯვენეები და საქართველოს კონსერვატიული პარტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება N1/466 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/469 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახაბერ კობერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის N1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2/389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 1 მარტის N1/1/413 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე ბარამიძე, ირაკლი ყანდაშვილი და კომანდიტური საზოგადოება „ანდრონიკაშვილი, საქსენ-ალტენბურგი, ბარამიძე და პარტნიორები“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 სექტემბრის განჩინება N1/6/115 საქმეზე „ხაშურის რაიონული სასამართლოდან შემოტანილი კონსტიტუციური წარდგინება“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელები

- 2016 წლის 3 ივნისის N764 კონსტიტუციური სარჩელი „საქართველოს მოქალაქეები - ნუგზარ კაიშაური, დავით წიფურია, გიზო ღლონტი, გიორგი ლობჟანიძე, არჩილ ალავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2015 წლის 30 ოქტომბრის კონსტიტუციური სარჩელი N678 „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

უმაღლესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებები

- BVerfGE 7, 15 January, 1958.
- BvR 1708/99, 11 November, 1999
- BvR 352/00, 20 July, 2000
- Marbury v. Madison - 5 U.S. 137 (1803)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ, N40765/02.
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1993 წლის 30 ივნისის განჩინება საქმეზე „ვენი უნგრეთის წინააღმდეგ, N21495/93.
- Sejdovic v. Italy [ECHR], App. N56581/00, 15 March, 2006
- Merit v. Ukraine, [ECHR], App. N66561/01, 30 March, 2004
- Hartman v. Czech Republic, [ECHR], App. N53341/99, 10 July, 2003
- Jyzsef Van v. Hungary, [ECHR], App. N21495/93, 13 May, 1993
- Vernillo v. France, [ECHR], App. N198, 20 February, 1991
- Van Oosterwijck v. Belgium, [ECHR], App. N7654/76, 6 November, 1980
- Hasan Uzun v. Turkey, [ECHR], App. N10755/13, 14 May, 2013

ევროკავშირის კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია)

- CDL – AD (2017)023. European Commission for Democracy through Law (Venice Commission), „Opinion on the Draft revised Constitution as adopted by the Parliament of Georgia at the second reading on 23 June 2017“. Adopted by the Venice Commission at its 112th Plenary Session (Venice, 6-7 October 2017)
- Joint Opinion of the Venice Commission and the Directorate for Justice and Human Dignity of the Directorate General of Human Rights and Rule of Law (DG1) of the Council of Europe, On the Draft Law on the Temporary State Commission on Miscarriages of Justice, CDL-AD (2013)013, 17 June, 2013
- Study on Individual Access to Constitutional Justice, CDL-AD (2010) 039rev, N538/2009, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 27 January, 2011
- Opinion on Three Legal Questions Arising in The Process of Drafting the New Constitution of Hungary, Adopted by the Venice Commission at its 86th Plenary Session, 2011, CDL-AD(2011)001, Opinion N614/2011
- The use of international instruments for protecting individual rights, freedoms and legitimate interests through national legislation and the right to legal defence in Belarus: challenges and outlook, CDL-JU(2008)012, CCS 2008/003, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 16 May, 2008
- Opinion on the Draft Law on the Constitutional Court of Montenegro. CDL-AD (2008)030, Opinion N479/2008, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 24 September, 2008
- Opinion on the draft laws amending and supplementing the law on constitutional proceedings of Kyrgyzstan and the law on the Constitutional Court of Kyrgyzstan, CDL-AD (2008)029, Opinion N481/2008 European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 24 October, 2008
- Comments on The Draft Law on The Constitutional Court of The Republic of Serbia, Endorsed by the Commission At It's 72th plenary session, CDL-AD (2007)039, Opinion N445/2007, Strasbourg, 7 November 2007
- The Limits of Constitutional Review of The Ordinary Court's Decisions in Constitutional Complaint Proceedings, Report Limits of Fact, Law and Remedies: Myths and Realities of Constitutional Court of Spain Experience, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission in Co-operation With The Constitutional Court of the Czech Republic, CDL-JU(2005)068, CCS 2005/11, Strasbourg, 20 December, 2005

- Opinion of Draft Constitutional Amendments Relating to The Reform of The Judiciary in Georgia, CDL-AD (2005)005, Opinion N328/2004, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 14 March 2005
- Opinion on the draft constitutional amendments with regard to the Constitutional Court of Turkey. CDL-AD(2004)024, Opinion N296/2004, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 29 June, 2004
- General Report, The Relations Between the Constitutional Courts and the Other National Courts Including the Interference Int This Area of the Action of the European Courts, Conference of European Constitutional Courts XIIth Congress Brussels, 14-16 May, 2002
- Decisions of constitutional courts and equivalent bodies and their execution, Report Adopted by the Commission at the 46th Plenary Meeting, CDL-INF (2001)009, Strasbourg, 17 May, 2001
- The Protection of fundamental rights by the Constitutional Court, CDL-STD (1995)015, Science and Technique of Democracy N15, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Brioni, Croatia, 23-25 September 1995
- Models of Constitutional Jurisdiction, By Steinberger H., European Commission for Democracy Through Law, CDL-STD (1993)002, Strasbourg, 1993

ელექტრონული რესურსები

<https://www.bundesverfassungsgericht.de>

<https://www.anayasa.gov.tr/en/publications/introductory-booklet>

<https://www.echr.coe.int>

<https://www.confeuconstco.org/reports/rep-xv/BULGARIA%20eng.pdf>

<http://emc.org.ge/2014/10/27/tinatin-erkvania/>

<http://constitution.parliament.ge/>

<https://www.confeuconstco.org/reports/rep-xv/BULGARIA%20eng.pdf>

<http://federalistpapers.ge/federalistebi7.php>

<http://www.revistadedreptconstitutional.ro>

<http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2015/07/Artikel-6_edited.pdf>

<http://www.parliament.ge/files/legal_issues/publications/saerto_sasamartloebi.pdf>

<http://federalistpapers.ge/federalistebi7.php>

<http://www.constcourt.md/public/files/file/conferinta_20ani/programul_conferintei/Bur- han_Ustun.pdf>

<https://www.echr.coe.int/sites/search_eng/pages/search.aspx#{%22sort%22:[%22createdAsDate%20Descending%22],%22Title%22:[%22\%22analysis%20of%20statistics\%22%22],%22contentlanguage%22:[%22ENG%22]>

<https://www.anayasa.gov.tr/en/publications/introductory-booklet/>

<https://www.constcourt.md/public/files/file/conferinta_20ani/programul_conferintei/Burhan_Ustun.pdf >

<https://www.radiotavisupleba.ge/a/patara-strasburgis-idea/27518532.html>

<https://www.youtube.com/watch?v=hN1Wdo6szpw&t=3s>